

ՀԱՅՈՒԹՈՒՆ ՊՄՊԵԿԱՐԱՐ

ԱՐԵՎԱԿԱՐԱՐ

ԱՐԵՎԱԿԱՐԱՐ

K 41.103
3

ՅՈՒՅՑՅԱՌ

ՅՈՒՅՑՅԱՌ

ԿՈՎՅԱ

ԿՈՎՅԱ

ვაკერისნ იმონიშვილ




ემილიონი

ნურჯის ხუ

ყოფის

1911.103
3




სამოცველოსა „სახელმწიფო სამართლის“
თაღისის — 1970



2-8/4
363-10 აჭ.
010106020
სიმულიკი

ნაშრომი გვაცნობს ქართველი მოიცავების—
მოხვევების სოფათ ყოფის. ღლებიდე უპირობო
ეთნოგრაფიული მონაცემების სიტუაციაზე ალ-
წერილია როგორც ისტორიული არსებულა
სოფათი აქმი (დადი თფახი), რომელიც ხევში
ვადგმით მიმდინარეობს სახით იყო შემონახული, ისე ინ-
დივიდუალური თფახი, როგორც თფახის განა-
ტონებული ფორმა. ნაშრომში გამჩინე-
ლია სოფათი ყოფის ძირითადი საეთნოგები:
თფახის შემადგენლობა, ეკონომიკური საუკე-
ლები, მთართველობის სისტემა და საკუთრების
ხასიათი.



Валерий Джамбулович Итонишвили

Семейный быт мохевцев

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1970

საოჯახო ურთიერთობის შეცნიერებლი შესწავლა, საზოგადოებრივი ყოფის სხვა ძირითად საკისხებთან ერთად, დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც დასავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში ეთნოგრაფია დამოუკიდებელ საშეცნიერო დისცილინად ყალიბდებოდა.

ამავე პერიოდიდან მიიქცია მკელევართა კავკასიელ ხალხთა საოჯახო ყოფამ. ოჯახის ფორმების შესწავლისადმი მკელევართა ესოდენ დიდი ინტერესი განაპირობა აქ ხანგრძლივად შემონახულმა მდიდარმა ფაქტობრივმა მასალამ, ჩაც საფუძვლად დაედო არაერთ ეთნოგრაფიულ აღწერილობას და გამოკვლევას. ეს მასალა მისი გამომზეურებისთანავე გასცდა კავკასიის ფარგლებს და ზოგადი ეთნოგრაფიის კუთვნილებად იქცა.

საოჯახო ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით საქართველოს ერთ-ერთი საყურადღებო კუთხეა ხევი, სადაც დიდხანს იყო შემონახული ისტორიულად არსებული სოციალური ინსტიტუტების გადმონაშთები. XIX საუკუნის ბოლომდე გადმონაშთის სახით შემორჩენილ ერთ-ერთ ასეთ სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა საოჯახო თემი, ანუ დიდი ოჯახი, რომელიც არსებობას განაგრძობდა ოჯახის გაძარცვებული ფორმის — ინდივიდუალური ოჯახის, ანუ პატარა ოჯახის გვერდით. მოხევურ დიდ ოჯახში რელიეფური სიცხადით იყო წარმოადგენილი გადმონაშთური ფორმით შემორჩენილი საოჯახო თემის ძირითადი კომპონენტები: რამდენიმე თაობისა და საჭირებინო წყვეტილის ერთად ცხოვრება, ქონებაზე საერთო საკუთრება, კოლექტიური შრომის ორგანიზაცია, დოკუმენტის კოლექტიური მოხმარება და სოლიდარული მმართველობის სისტემა. იმ ნიშნების მიხედვით, მოხევური დიდი ოჯახი დემოკრატიული, ანუ სოლიდარული ბუნებისა იყო და არსებითად განსხვავდებოდა ქართველთა ყოფისათვის უცნობი და ზოგიერთი სხვა ხალხისათვის დამახასიათებე-

ლი დესპოტური ოჯახისაგან, რომლის ქონებაზე და შმარევებული განკუსაზღურელი უფლებებით სარგებლობდა ოჯახის უფროსის კაცი.

მოხევეების საოჯახო ყოფის შესწავლის ძირითადი უზრუნველყოფა მოეიყენეთ ჩვენ მიერ ხევში შექრებილ ეონოგრაფული მასალები. XVIII—XIX სს. სტატისტიკური მონაცემები და სხვადასხვაგვარი ლტტერატურული წყაროები. წინასწარ ვვინდა აღვნიშვნოთ, რომ XIX საუკუნის ავტორთაგან მოხევეების საოჯახო ყოფის უკილაშე ახლოს იცნობდა ხევში აღზრდილი დიდი ქართველი მწერალი ალ. ყაზბეგი, ხოლო საბჭოთა მკვლევართაგან ამ საკითხის შესწავლაში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა რუსულან ხარაძემ.

1960—1961 წლებში რუსულ ენაზე ორ წიგნად გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში — „ქართული საოჯახო თემი“, რ. ხარაძემ, საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, მოგვერა ხევში გაღმონაშოთის სახით შემონახული საოჯახო თემის დახასიათებაც. მის მიერ გამოშესურებული მასალა ასახავს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასწყისის ვითარებას, როდესაც ხევში მეცხვარეობა უკვე მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა და, ამდენად, ის იყო საოჯახო თემის ძირითადი ეკონომიკური საფუძველი. ამის გამო რ. ხარაძის მსჯელობა ეხება უმთავრესად მეცხვარეობაზე დამყარებული საოჯახო თემის სტრუქტურას, მის სპეციფიკას.

ჩვენ მიზნად დავისახეთ საკითხის კელევის გაფართოება მეურნეობის სხვა დარგებთან დაკავშირებითაც. ამასთან, შევეცადეთ გადმონაშოური საოჯახო თემის ძირითადი თავისებურებაზი შეგვესწველ მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. საკითხისადმი ასეთი მიღვიმის შეღევად გამოელინდა საოჯახო ყოფაში მომხდარი ცელილებები, სხველდობრ, დიდი ოჯახის პატარა ოჯახებად დაყოფის პროცესი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ნომენკლატურის შესაბამისად, ამ ნაშრომში ნახმარი ცნება „დიდი ოჯახი“ შესატყვისია ცნებისა „საოჯახო თემი“, ისევე, როგორც თანამედროვე ტიპის ოჯახის აღსანიშნავად ხმარებული ცნებებიც — „ინდივიდუალური ოჯახი“ და „პატარა ოჯახი“ ერთომეორის იდენტურია.

ვვინდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ეს ნაშრომი ოჯანულადადაკავშირებული აღრე გამოქვეყნებულ ორ მონოგრაფიისთან („ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან“, „ხევი ძველად და ახლა“). პირველი მათგანი მიეღოვნა მოხევეების საქონაშინო ურთიერთობის შესწავლას, ხოლო მეორე — ხევის საცხოვრებელი ნაგებობების დახასიათებას. ამ ნაშრომებში გაშუქებულია ისეთი სა-

კითხები, ორგორიცაა: ოჯახის წევრთა ურთიერთობა სქესისა და ასა-
კის მიხედვით, ახალშეუძლებულ-თა ურთიერთდამოკიდებულება
კულტომიური უფლება-მოვალეობანი (მზითევი, სათავნო, ურვადი),
პატარიძლის შრომა-საქმიანობა, საცხოვრებელი და სამეურნეო უნიტარულება
თის გამოყენება, სახლის შიდამოწყობილობა, ქერის კულტი, საო-
ჯახო რიტუალი და სხვა. დასახელებულ ნაშრომებში ამ საკითხების
მეტ-ნაკლები სისრულით განხილუის გამო ზოგიერთ მათგანს აქ
დეტალურად აღარ შევეხებით.

ოჯახის შემადგროვებელობა

ეთნოგრაფიული ძიების შედეგად ხევში დადასტურდა ორი სხვა-
 დასხვა ტიპის ოჯახის თანაარსებობა; XIX საუკუნის ბოლომდე ინ-
 დივიდუალური ოჯახის გვერდით არსებობდა საოჯახო ოემი. ფეო-
 დალიზმისა და კაპიტალიზმის ხანაში ოჯახის ეს ფორმა განიცილდა
 თესებრივ ცვლილებებს და მისი ხევდრითი წონა თანდათანობით
 მცირდებოდა, ხოლო მათი რღვევის ბაზაშე იზრდებოდა ინდივიდუა-
 ლური ოჯახების რიცხვი. XX საუკუნის კარიბჭესთან საბოლოოდ
 დაიმსხერა საოჯახო ოემის უკანასკნელი ნაშთები ხევში და სრული
 მონოპოლია მოიპოვა თანამედროვე ტიპის ინდივიდუალურმა
 ოჯახმა.

ეს პროცესი რომ თვალნათლივ წარმოვიდგინოთ და ოჯახის არ-
 სებულ ტიპებს შორის განსხვავდა დაინიახოთ, საჭიროა ვიცოდეთ,
 როგორი იყო ოჯახის შემადგრენლობა, მისი ეკონომიკური საფუძველე-
 ბი, მმართველობის სისტემა, შრომის ორგანიზაცია და საკუთრების
 ნისიათი.



ოჯახის შემადგრენლობის შესახებ ხევში დღემდე შემონახულ
 წყაროთა შორის ყველაზე უფრო არქაულია ისტორიულ-ეთნონიმი-
 კური ხასიათის გადმოცემები, რომლის საფუძველზე ისტორიულ
 ჭრილში ოჯახის საკითხის შესწავლის პრინციპული მნიშვნელობა
 აქვს, რამდენადაც ოჯახის განვითარების ისტორია ხევში დღემდე გა-
 ნიხილებოდა მხოლოდ XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ მონაცემებ-
 შე დაყრდნობით და ადგილი აჩ ჰერინია უფრო ადრინდელი ეპოქი-
 დან შემონახული მასალის გამომზეურების ცდას.

ჩეენს ღრმომდე რამდენიმე ვარიანტად მოღწეული თითოეული
 გადმოცემა წარმოადგენს მრავალმხრივ საინტერესო წყაროს მოხე-
 ვეთა წარსულის შესწავლისათვის, მაგრამ რაყი ამ ნაშრომში მხო-
 ლოდ ერთ საკითხს ვიყვლევთ, გადმოცემათა შინაარსიდან გამოვ-

ყოფთ მარტოოდენ საოგაზო ურთიერთობის აშახველ მომენტებზე /
ამ თვალსაზრისით შეეცებით აგრეთვე მრავალმხრივ საყურადღებო
ნაგებობებსაც.

თანახმად ერთ-ერთი ხალხური გადმოცემისა, სოფ. გურჯაევის კულტურული
ახლოს, მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე, ცხოვრობდნენ ი რწმუნა
ნ ი ანუ ი რ ჭ ი ა უ ლ ი. როგორც გადმოცემის შინაარსიდან
ჩანს, ისინი გერგეტში თუ ხევის სხვა სოფლებში ეწეოდნენ მეკობ-
რეობას, მკელელობას, არ ერიდებოდნენ ქალების მოტაცებასა და
გაუპატიურებას. ამგვარი ყოფაქცევის გამო, გადმოცემის ერთი ვა-
რიანტით, ისინი მიჩნეული არიან ოდესლაც აქ ჩამოსახლებულ თათ-
რებად. ხალხმა მათი ბოროტმოქმედება „თათრობას“ გაუთანაბრა
და თვით მათი სახელწოდებაც ამ მოვლენას დაუკავშირა. ამგვარი
გაგების ნიადაგზე ირჯიაული იყიდეა, რაც ურჯულო, ურწმუნო.

ეს განმარტება არ შეიძლება სარწმუნოდ მივიჩნიოთ, რამდენა-
დაც ირჯიაულის ურჯულოსთან გაიგივება მხოლოდ ამ ორი სიტუაცის
ფონეტიური მსგავსებითაა გამოწვეული, ხოლო ირჯიაულების თათ-
რებად აღიარება განაპირობა თემთან მათმა მტრულმა ურთიერთო-
ბამ. აღნიშნული მოვლენის ამგვარი ახსნა რომ დამაჯერებლობას
მოყლებულია, ამის საფუძველს წარმოადგენს ამავე გაღმოცემის
მეორე ვარიანტი, რომლის თანახმად, ირჯიაული სხვა არა არის რა,
თუ არა გვარი, ხოლო ამ გვარის წარმოშადგენლები ყოფილან მო-
ხევები.

ირჯიაულების ყოფილი სამოსახლო დღვილი წარმოადგენს
კლდოვან ბორცვს პატარა ვაჟით. ბორცვზე დღემდე დგას ნახევ-
რად ჩამონაგრეული გვიანთეოდალური ხანის ზურგიანი კოშკი —
ე. წ. ირჯეულ ციხე. იქვე ვაკეზე მდგარა მათი სამსახულიანი
ციხე-სახლი, რომელიც საცხეურებიანი ისასვლელით ამ კოშკთან
ყოფილა დაქავშირებული. ნაგებობის აღნიშნულ კომპლექსში ირჯია-
ულებს ერთ დიდ ოჯახი და უცხოებიათ. ისინი რამდენიმე მოწილედ
გაყრილან მაშინ, როდესაც 60 სულამდე მიუღწევიათ, მაგრამ კოშ-
კი და ციხე-სახლი არ გაუყვითა. ერთობის სახლის კედლებზე მიუ-
შენებიათ მხოლოდ რამდენიმე ახალი ნაგებობა ახლად გამოყოფილი
ოჯახების საცხოვრებლიდ. ეს სახლები კარების შეშვეობით ციხე-
სახლთან და ამ გშით კოშკთანაც დაუკავშირებიათ. ერთ პატრონი-
მიულ უბანში ასე გამაგრებულ ირჯიაულებს იქვე ფერდობებზე პქო-
ნიათ სახნაე-სათესი ადგილები, სითიბები და სამოვრები, პყოლიათ
საქონლის ჭოვი, ყოფილან საუკეთესო მონაღირები და მარჯვე
მებრძოლნი, მაგრამ მათ არც სამოსახლოს გამიგრებამ უშველა და
არც ბრძოლის დიდმა უნარშია: თემმა მათი უმრავლესობა ამოწყ-
ვიტა, ხოლო ნაწილმა გაქცევით უშველა თავს.

თემის არანაულები სიძულეილი დაუმსახურებია იხტოვნული დაცულეთის სოფ. ნაჩიდან (დღევანდველი ჩრდილო ისეთი) გადმოსახულებულსა და სოფ. ყანობში კურკუმულების გვარშეს, მეტყუნველ ერთ-ერთ ოჯახსაც. ოჯახის მეთაურის სახელი ყოფილი აკურსის გამო კურკუმულების ამანათებს ერქეათ ა ღ ი ე ნ ი. რამდენიმე თაობის შემდეგ ილიენი ისე გამრავლებულან და მომძლავრებულან, რომ სოფ. ყანობის ციხეს, რომლის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, ისინი დაპატიჟონებიან. ამ ციხის ნანგრევებთან ერთად შემონახულია აგრეთვე საცნოვრებელ ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები, სადაც ალიენი ყოფილან დასახლებული ერთი ღიღი ოჯახის სახით. გადმოცუმა მათ მიაწერს ისეთსაც ბორიოქმედებას, როგორსაც ციადსახ-სენებელ იწევიაულებს. ამიტომ თემთა არც მათ მისცა ღიღის პარ-პაშის საშუალება. ალიეთ ღიღი ოჯახის უფროსები სათემო საბჭოს ვადაწყვეტილებით ჩაქოლეს (ქვებში ცოცხლად დამარხეს), ხოლო მათი ოჯახი მშეიღობიან ცხოვრებას ეზიარა.

ისტორიულ ხევში არსებული ოჯახის სტრუქტურაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს სოფ. ხურთისში ჩაწერილი გადმოცუმა, რომლის მიხედვით, მტრისაგან დაძალული შ ვ ი ღ ა ი ს ძ ე ნ ი კახეთიდან ვამოქცეულან და ხევის სოფ. ხურთისში დამკვიდრებულან. შვილის-ძეებს მიაწერენ იმ ზურგიანი კოშკის აშენებას, რომელიც სოფელსა და თერვის ხეობას კონცხიდან ღიღისაც ამაყად გადმოპყურებს და რომელიც ფეოდალური ძნელებდობის ხანაში ხევის ერთ-ერთ თავ-დასაცავ სიმაგრეს და სახელმწიფო მნიშვნელობის სასიგნალო საშუალებას წარმოადგენდა. თაობიდან თაობამდე გადმოცუმის გზით მოაღწია ცნობამ იმის შესახებაც, რომ ამ კოშკში ე. წ. ხურთისის ციხეში გამაგრებული შეციხოენენი მომხვდური მტრისაგან თავს იცავლენ შვეილდ-ისრებით, მდუღარე წყლითა და წინასწარ მომა-რაგებული ქვებით.

ხურთისის ციხის კლდოვან ფერდობებზე შვეილდისძეებს აუშენებიათ სახლი და მათი 40-სულიანი ჯალაბობა (ოჯახი) იქ დაბინავებულა. როგორც ამ სახლში, ისე კოშკში, წყალი შედიოდა თურმე თიხის მილებით. მილები აქა-იქ დარღმდეა შემონახული საქმაოდ შორს მდებარე საძოვარი მთის წყაროდან კოშკის მისაღვომებამდე.

ერთ დღეს შეიღიასძეები სათიბში სამუშაოდ წასულან. სახლში დარჩენილან ოჯახის უფროსი, ღიღისახლისი, ბავშვები და ორსული რძალი. ოჯახის უფროსს ახლად დაკლული ძროხის ხორცი დაუკრია და სპილენძის ღიღი ქვაბში ჩაუყრია. ქვაბი კერის ჯაჭვზე (საკიდელზე) ყოფილა დაკიდებული. თიხის მილით სახლში შესულ წყალს (რომელსაც საჭირო შემთხვევაში ხის ღარის დაბმარებით პირდაპირ ქვებში უშვებდნენ, ხოლო, ჩეკულებისამებრ, წყალი სახლიდან გა-

რეთ მიედინებოდა მიწისქვეშა ოჩით) გველი შეკყოლია და ხორცი
თან ერთად მოხარულა. სამუშაოდან დაბრუნებულ შეიძალებენ
ზხამიანი კერძით უცაბშმიათ. საჭმელს არ მიპერტყბია მხოლოდ უძუ-
ნებოდ მყოფი ორსული რძალი. სულ მალე ზოგი გარდაცვალის გადა-
ლო ზოგი გრლწასული დავარდნილა. შეშინებული რძალი სოფ.

ფხელშეში გაცეულა და ოჯახში მომხდარი უბედურება თავისი მა-
მისიახლისთვის შეუტყობინებია. ეს აბბავი გაუგიათ ამ ქალის დედი-
ძმებსაც სოფ. ყანობში, ხალხს ამ უბედურების მიხეზად შევი კირი
მიუჩნევია და მისი შემდგომი გაერცელების თავიდან აცილების მიზ-
ნით ოჯახისთვის ბანი თავზე დაუქეცევათ. ასეთი გაუგებრობის გამო
ზხამით შოკლულებთან ერთად გულწასულებიც საკუთარი ჭერის
ქვეშ დაუსამარებიათ. ერთადერთ ცოცხლად გადარჩენილ რძალს
ტყუპი შესძენია. ერთისთვის დაურქმევიათ ვოგია, ხოლო მეორის-
თვის — ქემა. გაღმოცემით პირველი მათვანი იყო ვოგიშვილების,
ხოლო მეორე — ქემაშეილების წინაპარი. ეს ვერცები ღლესაც სახ-
ლიყაცობენ, როგორც შეიღიასძეების დიდი ოჯახის შთამომაცალი.

შეიღიასძეების თავგადასაცალთან სიუკეტურად ახლო დგის
სოფ. არშაში ჩაწერილი გაღმოცემა. როგორც მოხუცები მოგვითხ-
რობენ, ბაზალეთიდან ლტოლვილი კაცი, ჩადენილი მკვლელობის
გამო, თავისი ცოლ-შეილით დღევანდელი სოფ. თოთის აღგილზე და-
სახლებულა, თოთისა, რომელიც ხევის სოფლებს შორის ყველაზე
დიდ სიმაღლეზეა გაშენებული.

თუ რა გვარისა იყო ეს კაცი ბაზალეთში, ამის შესახებ გადმო-
ყება ღუმს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბაზალეთიდან წარმომავ-
ლობის გამო ხევში დასახლების დოიდან მათ გვირად ბაზალი მი-
უღიათ.

ერთხელ, როდესაც ოჯახი უკვე 50-მდე სულს ითელიდა, ბაზალ-
ნი დედაბუდიანად ყანის მოსამკელად გასულიან. ეს მომხდარი ძეე-
ლი სტილით 9 სექტემბერს, როდესაც სოფ. სიონში ხატობას იჩდიდ-
ნენ და მთელი ხევის მოსახლეობა უქმეს ინახედა. სამუშაოდ გასულ
ოჯახთან სიონელებს კაცი გაუგზავნიათ და შეუთვლიათ — უქმის
გატეხვით ხევის ადასს ნერ არღვევთო.

— ჩვენი ქალი და რძალი დილითე დაიხატათ (ე. ი. უქმესთან
დაკავშირებული რიტუალი ხატში დილიდანეც შეასრულეს), — უპა-
სუხნია ბაზალთ ოჯახის უფროსს და სტუმარი მიუწვევთა. უქამიათ
იქვე მოხარული ხორცი და სულ ერთიანად ამოწყვეტილან. ამ შემ-
თხევეაშიც ქებში გველი მოჰყოლია და მისი ზხამით მოწამლულან.

ბაზალთ ოჯახიდანაც მხოლოდ უმცროსი რძალი ვადარჩენილა
ცოცხალი, რომელსაც სხვებთან ერთად არ უსადილია, ვინაიდან,
მოხევური ჩვეულების მიხედვით, ოჯახის წევრთა საღილობის მო-

შენტში ფეხზე ტრიალი და მომსახურება პატარძალს ევალებოთ, ამ ქალს ვაჟი შესძენია და ბაზალნი კელაც გამრავლებულან. შომხურაუ უბედურებით დაშინებული შთამომავლობა შემდეგში არა მორტო სიონის ხატობაზე, არამედ მის წინა დღესაც კი უქმიბიშვილისათვის მოედს ხევში სიონის ხატობის წინა დღეს აღნიშნულ წესშემნაბეჭდში ბაზალნი იცავდნენ, ამ დღეს ბაზალთ უქმი შეარქეეს.

ოჯახის სტრუქტურის შესწავლისათვის საინტერესო წყაროდ მი-გვაჩინია გადმოცემა ფა დ ი ა უ რ ე ბ ი ს ა და ფა ც ც ე ლ ა უ რ ე-ბ ი ს ურთიერთობის შესახებ; სიონს ხეობაში გზად მიმავალ ვინშე ქუშაშვილს სოფ. ქოსეში მცხოვრები ფიცხელაურები დახვედრიან და მისთვის ოქროს ყოჩი (სალოცავი ზატი) წატურთმევიათ. გაძარ-ცული ქუშაშვილი სოფ. ახალციხეში მისულა და იქ მცხოვრებ ფა-დიაურებთან გაჩერებულა. სტუმარს არც ოჯახში მისვლის მიზეზი უთქვამს და არც გზად მომხდარი შემთხვევა გაუმხელა. ძველი მო-ხევური ჩეეულების მიხედვით, მასპინძელსაც თურმე არ მართებდა სტუმრისთვის მისვლის მიზეზის კითხვა. სტუმრიდ მისულ კაცს უფლება ქვენია მასპინძლის ოჯახში 7 წლამდე ეცხოვრა და ემზადვა. მხოლოდ 7 წლის შემდეგ შეეძლო მასპინძელს თავისი ცნობისმო-ყვარეობის დაქმაყოფილება და სტუმართან მოლაპარაქება, თუკი სტუმარი ამ ხნის განმავლობაში თვითონ არაფრის ეტყოდა.

ფალიაურის ოჯახში ქუშაშვილს 7 წელიწადი უცხოვრია და ოჯახის წევრებთან ერთად უშრომია. 7 წლისთვის 7 წლის ქამაგირის მიღება და წასვლა გირჩევნია, თუ ჩეენი ოჯახის წევრიდ დამკვიდრება და დაცოლ-შეიღებათ. ქუშაშვილს უამბია მომხდარი შემთხვევის შესახებ და 7 წლის ქამაგირის საზღაურად ოქროს ხატის (ყოჩის ქანდაკების) დაბრუნებაში დამარება უთხოვია.

ფალიაურები არ მოჩიდებიან ფიცხელაურებთან კონფლიქტს და მაშინ, როდესაც ფიცხელაურები ხატში სალოცავად წასულან, ხოლო სახლში მხოლოდ ერთი ქალი დარჩენილა, ერთ-ერთ ფალი-აურს მისთვის ოქროს ყოჩი წაურთმევია და ქუშაშვილისათვის დაუ-ბრუნებია. ხატობიდან დაბრუნებული ქოსელნი ამის გამო თავს და-სხმიან ფალიაურებს და დედაბუდიანად ამოუწყვეტიათ. არ მოუ-კლავთ მხოლოდ ორსული რძალი, რომელიც გუდამყარს თავის მა-მის სახლში წასულა და იქ ვაჟი შესძენია.

როდესაც ბიჭი დაეკეაცებულა და გარდასული უბედურება შეიტყვია, შერისძიების მიზნით სოფ. ქოსეში იმ დროს მისულა, როდესაც ქოსელთ დიდი ოჯახის უფროსი იჯდა, ხოლო 35 სული ყა-ნის მკიდა. ფალიაური მათ ანაზღეულად დასცემია, 7 კაცი მოუკლავს და გაძლიერდა. დედას როცა ეს ამბავი გაუგია, შეილისთვის უთქვამს:

ქოსელებმა შენი მამა-ბიძის ოჯახიდან რაი 27 სული გაწყვეტის
შენ კადეც 20 ეპის სისხლის აღება გმართებსო. დედის დანამარებ
შეის შეუსრულებია და სისხლით დათავსწორების (ც. ი. ორივე
მხრიდან მსხვერპლის გათანაბრების) შემდეგ მამაპაპისეულ მრგვალზე
დამკიდრებულა.

მომხდარი შემთხვევეიდან დღემდე მთხრობლები თცამდე თაო-
ბას ვარაუდობენ. ამასთან ერთად მიუთითებენ, რომ მტრობას ფა-
დიაურ-ფიცხელაურებს შორის გაცილებით აღრე ჰქონია ადგილი,
ვიღრე სწორ ციხე აშენდებოდა. საყურადღებოა, რომ ამ ძეგლის თა-
რიღად ნავარაუდევია XVI საუკუნის შეორე ნახევარი ან მომდევნო
საუკუნის დასაწყისი.

თუ მხედველობაში მივიღებთ სწორ ციხის ხნოვანებას და ამას-
თან გავითვალისწინებთ, რომ თაობიდან თაობამდე საშუალოდ 30
წელი იანგარიშება, ფიცხელაურ-ფადიაურების ინციდენტი მართლაც
შორეულ ეპოქაში უნდა მომზარიყო. ზეპირი გადმოცემის საჩუმუ-
ნო წყაროდ მიჩნევის შემთხვევაში, აღწერილი მოვლენა დაახლოე-
ბით XIV საუკუნით თარიღდება.

საოჯახო ურთიერთობის შესწავლისათვის არც ის უნდა იყოს
ინტერესს მოკლებული, რომ სწორ ციხე ეკუთხოდა ღუდუშაურებს,
ხოლო გადმოცემის მიხედვით, ღუდუშაურების საგვარეულოში შე-
მავალი ერთ-ერთი ოჯახი აერთიანებდა 12 სრულწლოვან შმასა და
ბიძაშეიდას. ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრი ყოფილა ხევის ისტორიაში
კარგად ცნობილი შიომლა ღუდუშაური, რომელიც XVII საუკუნის
პირველ მეოთხედში არავის ერისთავების წინაშე დამსახურების
გამო პრივილეგიურ მდგომარეობას აღწევს.

დამოწმებული მასალიდან ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ერთ
საკითხი — რა სახის ცნობები ისახა საოჯახო ყოფის შესახებ ზეშორ
წარმოდგენილ ხალხურ გადმოცემებში. ამ თვალსაზრისით შეფასება-
სას თითოეული მათვანი მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ წყაროდ გვი-
სახება.

გადმოცემა ირჯიაულთ შესახებ შეა საუკუნეების ხევში 60-სუ-
ლიანი ოჯახის არსებობას გვაუწყებს. ეს ნამბობი საყურადღებოა იმ
მხრივაც, რომ ამ დიდი ოჯახის საცხოვრებელი ნაგებობა დიდი მო-
ცულობის კომპლექსი ყოფილა, ხოლო ხალხური ცოდნა წარმოდგე-
ნას გვაძლევს საოჯახო მეურნეობაზედაც. ირჯიაულების ძირითად
საშუალებას წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მსხვილფეხა შესა-
ქონლეობა, ხოლო შემოსავლის დამხმარე წყაროს — მონადირეობა
და მეკობრეობა.

გადმოცემების მიხედვით ასევე ცხადია, რომ სოფ. ყანობში ერთ
დიდ ოჯახად ცხოვრიბდნენ ალექნი, შვიდაისძების 40-სულიანი

ოჯახი ბინადრობდა სოფ. ხურთისში, 50 სულამდე ერთ ვერცხლის უცხოერიათ ბაზალთ, 27-სულიანი ოჯახის მოწყვეტას გვაუწიება/ ფალიაურების ხალხური მატანე, 35 მშრომელ წევრს აერთიანებდა ფალქელაურების ერთი ოჯახი სოფ. ქოსეში, ხოლო ძმებრივად მოწილე შევილების სახით 12 მოწილე ირიცხებოდა ღუდუშაურების ოჯახშა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში.

გადმოცემები საყურადღებო შემდეგ გარემოებათა გამოც: ოჯახს ხელმძღვანელობდა ხნით უფროსი კაცი, რომელიც განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. ერთი წყაროს მიხედვით, ის სტუმარს ღებულობს და პასუხს აძლევს (გადმოცემი ბაზალთ შესახებ), ხოლო მეორე წყაროს მიხედვით, მის მოვალეობას წარმოადგინდა აგრეთვე ხორცის დაჭრა, და ქვაბში ჩაყრა (გადმოცემი შეიძაისძების შესახებ).

ზოგიერთი სიინტერესო ცნობაა შემონახული პატარძლის შრომითი ვალდებულების შესახებაც, რასაც აგრეთვე გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული ხევის ოჯახის სტრუქტურის გაცნობისათვის. როგორც დავინახეთ, ფეხზე ტრიალი და სუფრასთან მომსახურება ჩაღებს შორის ყველაზე უმცროსს ევალებოდა. პურის საჭმელად დაჭრომა მას შეეძლო მხოლოდ ოჯახის წევრების საღილობის შემდეგ. წინასწარ უნდა ითვას, რომ ოჯახის უფროსისა და პატარძლის ასეთიავე უფლება-მოვალეობას ეხედავთ გაცილებით უფრო კვირადელი ვითარების (XIX ს.) ამსახველი ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც.

სპეციფიკური ვითარება მოწმდება ფალიაურებისა და მათთან შეხინწული ქუშაშეილის ურთიერთობის მაგალითზე. როგორც მისალიდან ჩანს, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე ქუშაშეილი ფალიაურების ოჯახში მივიდა და დაიწყო მათთან ცხოვრება.

მართალია, გადმოცემის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, თოვქოს მათი შეხეედრა ერთიმეორის ვინაობის გაგებისა და მდგომარეობის ცოდნის გარეშე მოხდა და თითქოს ხალხური ტრადიციის გამო, მასპინძელმა მხოლოდ 7.წლის შემდეგ გაბედა სტუმართან მოლაპარაკება, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება ასე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ. ქუშაშეილი ფალიაურთან წინდაუხედავად მისული არ ჩანს. მისთვის უსათუოდ ცნობილი უნდა ყოფილიყო ფალიაურის სამეურნეო პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუმართლებელი იქნებოდა ასეთი გადაწყვეტილებით სხვის ოჯახში მისელა.

ჩვენი რწმენით, ქუშაშეილმა მშევნივრად იცოდა, რომ ფალიაურების შეძლებულ ოჯახს ესაჭიროებოდა დაქირავებული მუშახელი და ისიც თავისი დანაკარგის ანაზღაურების მიზნით მათ მიეკედლა. ფალიაურებისთვისაც ცნობილი უნდა ყოფილიყო ის გარემოება,

რომ თავისი ნებით მათთან მისული კაცი სამუშაოსა და ცხოვრების სახსარს ეძებდა. რაკი ორივე მხარე ამგვარი გარიგებით იყო დაიწრებული, გადმოცემაშიც განინდა ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს მოხევური ტრადიციის თანაბმაღ, სტუმარ-მასპინძელი ჰისტორია 7 წლის გასცელამდე მოლაპარაკება და მასპინძლის შეირ სტუმრისადმი თვით შეკითხვის მიცემაც კი, ხანგრძლივად იქ ცხოვრების მიზანი დასახულობის შესახებ, გამორიცხული იყო.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ურთიერთობას ორი მომენტი ახლავს. ერთ შემთხვევაში თავისი ნებით მოქამავირედ დამდგარ კაცს შეეძლო 7 წლის შემდეგ კუთვნილი დოკუმენტი მიეღო და ოჯახიდან წასულიყო. როგორც ჩანს, მას ასევე შეეძლო სამუდამოდ იქ დარჩენილიყო და საბოლოოდ ოჯახის წევრის უფლებით დამკვიდრებულიყო. ურთიერთშეთანხმების ეს მეორე წესი უშუალო კავშირში ჩანს ე.წ. ამანათობის ჩვეულებასთან, როდესაც რაიმე მიზეზით შემოხიზული კაცი დამხვდურს ეკედლებოდა, მის უბანში სახლდებოდა და ხშირ შემთხვევაში მის გვარსაც ღებულობდა.

გარიგება-შეთანხმების ორივე ეს ვარიანტი სავსებით გაშორიცხავდა ძძულებასა და ძალომორჩობას. თავისი შრომის გაქირავება თვით შრომელის ნება-სურეილსა და დამქირავებელთან შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული. პირობის შესრულების შემდეგ მას არჩევანის საშუალებაც ეძლეოდა. ყოველივე ეს შორს იდგა იმ პროცესისაგან, რომელიც ადამიანის დაყმენებას და ფეოდალის მიერ მიწაზე მის მიმავრებას გულისხმოდა. კუშაშეიღილი თავისუფალი მეომეა, რომელიც ასევე რიგით მეთემესთან, მაგრამ ეკონომიკურად შეძლებულ ოჯახთან ამყარებს თავისთვის სასარგებლო კავშირს და ეს შეძლებული მეთემეც მის შრომას ასევე თავისთვის სასარგებლოდ იყენებს.

ამგვარი ურთიერთობა, რომელიც მხარეთა ნებაყოფლობით შეთანხმებას გულისხმოდა, რასაკირეველია, თავისუფალი თემისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაგრამ ამასთან ერთად სხვა შინიშვნელოვან სოციალურ სურათსაც ვხედავთ. თვით ამ ნებაყოფლობითი გარიგების პირობები არსებითად უკვე მაჩქენებელია იმისა, რომ ხევის თემურ საზოგადოებაში ღრმავდებოდა ეკონომიკური უთანასწორობა, გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა და გზას იყაფავდა უფლებრივი დიფერენციაცია. გადმოცემაში ასახული ვითარება შეესაბამება ტერიტორიული თემის ფარგლებში თემური წყობის რლევეოსა და აღრეფეოდალური ურთიერთობის განვითარების სტადიას, ისევე, როგორც ეს სოციალური პროცესი საერთოდ

დამახასიათებელი იყო ქართველი და კავკასიელი მთიელების
შოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის.

ზემოთ განხილული გაღმოცემების მნიშვნელობას წროვის განხილული საკუთრებით მასალის დათარიღების შესაძლებლობა. გამოცემის მიზანი ერთი მხრივ, გაღმოცემაში ასახული მოვლენიდან დღემდე გარდა-
სულ თაობათა რაოდენობის მიახლოებითი ცოდნის საფუძველზე,
ხოლო, მეორე მხრივ, იმ ძეგლების მეშვეობით, რომლებთანაც და-
კავშირებულია მომხდარი მმები.

XVI-XVII საუკუნეებით დათარიღებული სწორი ციხის დარსე-
ბის თუ მისი წინარე ეპოქის მოვლენების, აგრეთვე დაახლოებით
ამავე დროის სხვა ძეგლების (ხუროთისისა და გერგეტის ზურგანი
კოშკების) აშენებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ხალხური
ეპიზოდების მიხედვით, დიდი ოჯახების არსებობა ემთხვევა შეუ-
საუკუნეების ხანას. რა თქმა უნდა, ეს არ არის საოჯახო თემის წარ-
მოშობა-ჩამოყალიბების ეპოქა. როგორც უკვე დამტკიცებულია,
საოჯახო თემი შეიქმნა გერგოვნული წყობის დაშლისა და სოფლის
თემის ფორმირების საფეხურზე.

შეუსაუკუნეების ხევში, ისევე როგორც ყველგან, სადაც კი
ოჯახის ეს ფორმა იქნა შესწავლილი, დიდი ოჯახი წარმოადგენდა
საოჯახო თემის გაღმონაშოთ, რომელსაც სოფლის თემის არსებობის
პირობებში განვლილი პერიოდი განვითარების გრძელი გზა. შეუ საუ-
კუნეების ხევის თემურ საზოგადოებაში, გზას იყალის და ადრე-
ცეოდალური ურთიერთობა, საოჯახო თემის, როგორც სოციალურ-
კურნომიური უქრედის შემდგომი განვითარებაც ადრეკლასობრივი
(ადრეფეოდალური) საზოგადოების ფორმირების პროცესს მიჰყე-
ბილდა, თანდათანობით კარგავდა აღრინდელ სახეს და ითვისებდა
ახალი სოციალური წყობის შესაბამის ელემენტებს.

საოჯახო ყოფასთან კავშირში თუ გარეულ მნიშვნელობას
ერთი გაღმოცემებში სესენებულ კოშკებსა და ყოფილან გამ-
ჭრალ საცხოვრებელ ნაგებობებშე შემონახულ ზეპირ ცნობებს, სა-
კვლევი საყითხისათვის კიდევ უფრო საყურადღებოა ჩვენს ეპოქამ-
დე შემონახული ის სახლები, რომელებშიც დიდ ოჯახებს უცხოვ-
რიათ. ერთ-ერთი ასეთი გადაცემული სამსახურულიანი ციხე-სახ-
ლი დგას სოფ. ყანობში, რომელიც, ხელოვნების ისტორიულის
(რ. შეერლინგი, ვ. დოლიძე) აზრით, XVIII საუკუნეს ეკუთვნის.
ხალხური გაღმოცემის მიხედვით კი იგი აშენებულია ითონიშვილე-
ბის გაუყრელი ოჯახის შიერ 9-10 თაობის წინ, მაშინ, როდესაც ხე-
ვის დამორჩილებისათვის იბრძოდნენ არავის ერისთავები (XVII
საუკუნის პირველ მეოთხედში).

აზანაკლებ საინტერესოა ტერასული ფორმის სამსახურულიანი

სახლი სოფ. ხურთისში. ხალხური გადმოცემა სახლის აშენებას მიაწერს თაზი წილაურისა და მასთან გაუყრელად მცხოვრებ შისტულებს — თომას და მაშვილის. გადმოცემაში ექვდებით ცნობას, იმის შესახებაც, რომ თომა, მაშვილი და მათი ბიძაშვილი ვაზადაგი უკავშირდებოდა და სათოფურებილან ციცქალს უშენდნენ კარზე მომხდელი ლეკებს. შარტო ამის შინებდეთაც შეცვეძლო ეს ნაგებობა XVIII საუკუნის ძეგლად მიგვეჩნია. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო და სანდო ამის დასამტკიცებლად ის გარემობა, რომ სახლის ერთ-ერთი ამშენებელი — თაზი წილაური თავისი 5 შეილით (პაპი, ივანე, ვაზა-დაგა, პატი, მამუკა) მოხსენებულია XVIII საუკუნის სტატისტიკურ აღწერილობაში¹. მაშისადამე, ნაგებობა თარიღდება XVIII საუკუნით და ის წარმოადგენდა თაზი წილაურის მეთაურობით გაუყრელად მცხოვრები მისი 5 შეილისა და 2 ძმისტულის ბინას.

მოხევეთა თითქმის ყველა გვარის ბიოგრაფიაში ეხედავთ ანალოგიურ ფაქტს. ხევში არ გვეგულება ისეთი კაცი, რომელმაც არ მოგვითითოს წარმოსულში ერთობის სახლის არსებობის შესახებ. მოხევის გავებით, ეს ერთობის სახლი სხვა არა იყო რა, თუ არა ერთ იყახად მყოფი ახლო ნათესავების ბინა, რამდენადაც ერთობა ნიშნავდა გაუყოფლობას, რამდენიმე თაობის ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას. მაშისადამე, საცხოვრებელი ნაგებობის სახელწოდება მივითოთებს ხევის წარმოსულში გაუყრელად ცხოვრების ტრადიციაზე, ხოლო ამავე სახის ნაგებობაზე ციხე-კოშკებთან ერთად დახმარებას გვაწევენ საოგიონ ურთიერთობის შესახებ შემონახული შასალების დათარიღებაში.

ისტორიულ-ეთნონიმიკური ხასიათის ხალხურ გადმოცემებთან და მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად XIX საუკუნეში არსებული ოჯახის შემაღებენლობის შესწავლისათვის საყურადღებო წყაროს წარმოადგენს შემოხსენებული სტატისტიკური აღწერილობა, რომელიც შედგენილია 1774 წელს, მეფე ერეკლე მეორის ბრძანებით, ლუარსაბ მაყაშვილისა და მანუჩარ თუმანიშვილის მიერ და ცნობილია, როგორც „აღწერა არაგვის ხეობისა“². ამ სახელწოდებაში იგულისხმება არა მატერიალურითი და გუდამაყრის არაგვი, არმედ მდინარე თერგის ხეობაც, რამდენადაც თერგის ერთ-ერთ ძეველ სახელწოდებას აგრეთვე არაგვი წარმოადგენდა.

¹ ვ. თავ 10 შვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა შეორავებე საუკუნეში, ტფილისი, 1907, გვ. 420.

მოშინალდამე, აღწერილობა მოიცავს მთიულეთ-გუდამაყრისა და ხუ-
კის 8 სასოფლო თემს, ე. ი. ყოფილ არაგის საერისთავოს, რომე-
ლიც 1756 წელს გაუქმდა არაგის ერისთავებთან ბრძელდომაზემდებრის
ხელისუფლების გამარჯვების შედეგად.

გიგაზორის 1901

ერთ-ერთ ასეთ ტერიტორიულ თემს წარმოადგენდა ხევი, რო-
მელიც შედგებოდა 4 სამოურავოსაგან და, აღწერილობის მიხედვით,
18 სოფელს მოიცავდა. ჩაც შეეხება საკუთრივ მოსახლეობის აღ-
წერას, მასში ჭერ ნაჩვენებია კომლი, ხოლო შემზევე კომლში შემა-
ვალ „თავთა“ რიცხვი. ერთ შემთხვევაში კომლში შედის მთოლოდ
ერთი „თავი“, მეორე შემთხვევაში ორი, სამი და ა. შ. დასახელებუ-
ლია ბევრი ისეთი კომლი, რომელიც მოიცავს ოთხ, ხუთ და ექვეს
„თავს“. აღწერის მაგვარ პრინციპშე ზუსტი წარმოდგენის შესაქმნე-
ლად საყმარისია მოვიყვანოთ თენდაც ერთი მავალითი. სოფ. სნოს აღწერაში კვითხულობთ: „ღუღუშეაური ჯაბანის შვილი — კომლი ა
(ე. ი. 1—ვ. ი.), თავი ე (ე. ი. 5—ვ. ი.); მოურავი მარტია, მამუკა,
ჯარია, უძილა და შაშვა“.

მთელი აღწერილობა ემყარება რა ამ პრინციპს, აღმწერთ სია-
ში შექმნდათ მთოლოდ კომლთა და „თავთა“ რიცხვი გვარის, მამის
სახელისა და სახელების აღნიშვნით. არსად ოჯახის სრული აღწერა
არ გვხვდება, ქალებისა და ბავშვების სახელები და მათი რიცხვი
სავსებით უგულებელყოფილია.

აღნიშვნული მასალიდან განსაკუთრებით გვაინტერესებს კომ-
ლისა და მასში შემავალი „თავი“-ს მნიშვნელობა, რამაც დიდი ხანია
მიიქცია გამოჩენილ მეცნიერთა ყურადღება.

ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, დაეთარში ნაჩვენები „„თავი“
კომლში იჯახის უფროსს უნდა ნიშნავდეს, მიმა-ქმარს... კომლში
შეიძლება რამდენიმე ოჯახი იყოს, თუთუულ ოჯახს ეყოლება „თა-
ვი“ ანუ უფროსი — „მამა“. მანაზრად მებარონის ყმების სიაში
რომ გვარი და სახელია მოხსენებული, ის მთელი კომლის უფროსს
ეკუთვნის, ხოლო დაეთარში ნაჩვენებია, რამდენი იჯახი სახლობს
თვითუელ კომლში¹.

ამგვარი განმარტებისა და არსებული სტატისტიკური მასალის
გათვალისწინების შედეგად კომლი ერთ შემთხვევაში გვესახება ინ-
დივიდუალურ იჯახად, რომელსაც სათავეში ედგა ერთი მამაკაცი—
ე. წ. „თავი“. მეორე შემთხვევაში კომლი იყო ისეთი სოციალურა
ერთეული, რომელშიც ირიცხებოდა 2, 3, 4, 5 და ზოგიერთ შემ-
თხვევაში 6 „თავი“. თუ „თავი“ უცელა ვარიანტში იჯახის უფროსს

¹ ივ. ჯავახიშვილი, ხალხის აღწერის და შემთხვევის დაკრები ხა-
ქართველობში, გრან. „მოამბე“, ტფილი, 1901, № 4, განკ. 11, გვ. 10.

ანუ კოლ-შეილის პატრიონს (მამა-ქვარს) ნიშნავდა, მაშინ გამოდის, რომ რამდენიმე „თავის“ გამაერთიანებელი კომლი იყო რამდენიმე ოჯახის ერთობლიობა, კოლექტიური უკრედი.

მაშასადამე, თანამედროვე ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მოწყვეტული ბული ტერმინოლოგიის მიხედვით, კომლი, რომელშიც მისაღლია ეთნოგრაფიული 1 „თავი“ ირიცხებოდა, წარმოადგენდა ინდივიდუალურ ოჯახს, ხოლო კომლი, რომელშიც რამდენიმე „თავი“ ითვლებოდა, უნდა ყოფილყო საოჯახო თემი, რამდენადაც მის ფარგლებში შედიოდა რამდენიმე საქორწიო წყვილი თავისი შთამიმაცელობით.

როგორც ივ. ჯავახიშვილის კონცეფციიდან აშკარად ჩანს, აღწერილობაში ოჯახის სულადობა ნაჩვენები არ არის და ამდენად ცნება „თავი“ გულისხმობდა მხოლოდ შეთაურს და არა ოჯახის ყველა წევრს.

ე. თაყაიშვილის შეხედულებით, „რიცხვი „თავთა“ სრულებით იმის მაჩვენებელი არ არის, თუ რამდენი სულია კომლში. იმის ცნობები თუ რამდენი სულია კომლში, დავთორებში აღნიშნული არ არის: ეს აღმწერთ მიზანს არ ეხებოდა. თავი მიზანი აღწერისა იყო სცოდნოდათ, თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეიძლებოდა იმიანობის დროს კომლიდან და რამდენ მეკომტრის ელვა სახელმწიფო გადასახადით".

ივ. ჯავახიშვილი და ე. თაყაიშვილი ერთმანეთისაგან განსხვავებულ ახსნას იძლევიან, მაგრამ ორივე მეცნიერის ღრმა რწმენით, დაეთარში სრულებით არ არის ცნობები თითოეული კომლის სულადი შემაღენლობის შესახებ.

ორივე მეცნიერის ინტერპრეტაცია კომლში შემავალი „თავი“-ს შესახებ უსათუოდ სავულისხმოა. „თავი“ კომლში შემავალი ოჯახის უფროსის იყო, მეომარი თუ გადასახადის გამომლები, ჩვენ მიგვაჩნია, რომ რამდენიმე „თავის“ მომცველი კომლი საოჯახო თემის ნიშნებს ატარებდა. მაგრამ თუ ამ ორი შეხედულებიდან ერთ-ერთის განიარებაზე მიღვება საქმე, უფრო დასაბუთებულად მიგვაჩნია ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია. პირველ ყოვლისა, იმის საბუთად გამოდგება თეთო ტერმინი „თავი“, რაც გარკვეული სოციალური ერთეულის სათავეში ყოფნისა, თაოსნობისა და უფროსობის გამომხატველია.

„თავი“ იყო უფროსი ცოლ-შეილისა, ხოლო ვინაიდან რაშდენიმე ასეთი უფროსისა და მათი ოჯახების ერთ ჭრექვეშ ყოფნა იგულისხმება, ცხადია, რომ ასეთ გერთიანებასაც უნდა ჰყოლოდა ერთა საერთო ხელმძღვანელი, საოჯახო თემის შეთაური. აღწერილობაში

1 ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშროვი, ვგ. IX-ა გვ. ს. 10
2 ე. თაყაიშვილი

ამის შესახებ არაუკერია ნათევები. ამიტომ ოჯახში, საღაც რამდენიმე „თავი“ იმყოფებოდა, საერთო ხელმძღვანელობა მათ შესრულებული უფროსს უნდა დაისასრულოდა. თუ დასახელებულ „თავთა“ სიაში მამა, შეიღები და ბიძაშეიღები ერთად აჩიან აღრიცხული და უფროსად მამა უნდა ვიგულისხმოთ. მავალითად, ცირკუ სტეფან-წმინდაში ერთ კომლში ნაჩერებია „თავი“ ე (ე. ი. 5). ესენია: მოუ-რაე ყაზიბეგ, იასე, ბალურ, გაბრიელ და ივანე.

როგორც ცნობილია, ყაზიბეგ ჩოფიკაშვილი იყო ალ. ყაზბეგის წინაპარი. აქ ჩამოთვლილი იასე, ბალურ, გაბრიელ (ალ. ყაზბეგის პაპი) და ივანე იყვნენ ყაზიბეგის შეიღები, რაც დასტურდება ალ. ყაზბეგის მამის — მიხეილ ყაზბეგის მიერ შედგენილი გენეალოგიის მიხედვითაც¹. გენეალოგიის შედგენის დროისათვის, 1820 წელს, როდესაც მიხეილი 17 წლისა იყო, ყაზიბეგს თოხივე აქ და-სახელებული ვაჟი ცოტხალი ჰყავდა, ხოლო ორიც (მიქელ და გიორ-გი) გარდაცვლილი. ამ ოჯახს ხელმძღვანელობდა ყაზიბეგ ჩოფიკა-შვილი.

აღწერილობაში ჩშირად ცალკეა გამოტანილი „თავის“ ქვეშ ნა-კულისხმევა რამდენიმე პიროვნების მამის სახელიც. ე. ი. ჭერ და-სახელებულია მამა, ხოლო შემდეგ ხდება „თავების“ თანმიმდევრო-ბით ჩამოთვლა. მაგალითად, „წილაური თანის შეილი — კომლია, თავი ე (პაპა, ივანე, ვაზილავა, პაპი და მამუკა). აქედან ნათელია, რომ ჩამოთვლილი 5 კაცის ანუ 5 „თავის“ მამა იყო თანი, რომე-ლიც გაუყრელ ოჯახს ხელმძღვანელობდა.

ანალოგიური სურათია ლუდუშაურების ოჯახში. ლუდუშაური ჯაბანა გვესახება დიდი ოჯახის ხელმძღვანელად, ხოლო მისი თითო-ეული შეილი (მარტია, მამუკა, ვარია, უძილა და შაშვა) იყო ამ დიდ ოჯახში შემავალი ცალკე უჯრედის „თავი“.

ხევის სტატისტიკური აღწერილობიდან კარგად ჩანს მრავალი სხვა ოჯახის ასეთივე შედგენილობა და სტრუქტურა. სოფ. გერ-ვეტში რანბულიშვილის კომლში იმყოფებოდა 4 „თავი“, ამავე სოფ-ლის არაერთი სხვა ოჯახი იერთიანებდა ორსა და სამ „თავს“. სოფ. სტეფან-წმინდაში აღწერილია ჩოფიკაშვილების კიდევ 3 კომლი, რომელთაგან ერთში იყო 4 „თავი“, მეორეში—3, ხოლო მესამე-ში — 1. ამავე სოფელში ალიბეგაშვილების 4 კომლიდან ერთში აღრიცხულია 2 „თავი“, ხოლო სამ დანარჩენში — სამ-სამი „თავი“. აქვე გერააპიშვილისა და ქუშაშვილის თითოეულ კომლში ცხედავთ

¹ ალ. ყაზიბეგი, თბ., ტ. V, თბ., 1950, გვ. 540 (ს. უცხანებშვილის შე-ნიშვნები).

ოთხ-ოთხ „თავის“ და ა. შ. სოფ. სნოში ღულუშაურების კომიტეტი უმრავლესობაში ირიცხებოდა უმთავრესად 2-3 „თავი“, ხშირ შექმნაში თხვევაში თხზიც, ხოლო სოფ. ტყიარეტში ასეთ ოჯახებთან მრავალი ერთი ისეთი კომლიც კია აღწერილი, რომლიდანაც იღებულია აუკანილი ოჯახის საერთო ხელმძღვანელი და 6 „თავი“. ამ კომლის მეთაურად გვივლინება ნადირა მაისურაძე, ხოლო „თავთა“ რიცხვები დასახელებულია: ვია, მაისურ, ბიძია, შიო, ელია და ვიორგი.

მოტანილი მაგალითების მიხედვით აშენარა უნდა იყოს, რომ XVIII საუკუნის ხევში ინდივიდუალურ ოჯახებთან ერთად საექაოდ დიდი რაოდენობა მოწმდება დიდი ოჯახებისაც. აღწერილობის მიხედვით განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი ოჯახის სტრუქტურა, რომლის შემადგენლობიდან აღმწერნი, პირველ ყოვლისა, ასახელებენ ოჯახის საერთო ხელმძღვანელს, ხოლო შემდეგ ჩამოთვლიან მის შიგნით მყოფ „თავებს“.

დიდი ოჯახის გაყრის ნიადაგზე თითოეულ ცალკე გამოყოფილ ახალ ოჯახს „თავი“ ექცეოდა სათავეში. ამ ოჯახის ბუნებრივი ზრდის შედეგად იქმნებოდა რა დიდი ოჯახი, მისი სეგმენტაციის შედეგად ყალიბდებოდა უახლოეს ნათესავთა გაერთიანება. ყოველი ასეთი ნათესაური ჯგუფი, რომლის ერთობის ნიშნებად გვესახება წინაპრის კულტი, ერთი საცხოვრებელი უბანი, საერთო სალოცავი, სასაფლაო და საკუთრების რიგი საერთო ელემენტები, წარმოადგენდა პატრონიმიას, რომლის ბუნება რამდენადმე ცნობილია ქართულ-კავკასიური მასალის მიხედვით, ხოლო ხევში მისი შესწავლა ჩვენს მოძავალ ამოცანას შეადგენს.

ამეამად მხოლოდ იმ გარემოებაზე გვინდა მიყუთითოთ, რომ პატრონიმიას უმცირდებოდა ოჯახის ყოფილი მეთაურის სახელი, რაც კარგად ჩანს განხილული სტატისტიკური აღწერისა და ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშედარების საფუძველზე. მაგალითად, გერგეტელი სუვაშეილების სხევადასხვა ოჯახთა აღწერილობისას გვხედება „თავად“ ხსენებული ძაი, სეხნია, უძილა და ა. შ. ეთნოგრაფიულმა ძიებამ გვიჩვენა, რომ აქ დასახელებული „თავები“ ითვლებოდნენ დიდი ოჯახის ხელმძღვანელებად, ხოლო ამ ოჯახების დაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა პატრონიმიული ერთეულები (ნათესაური ჯგუფები) — ძაინი, სეხნიენი და უძილენი.

სოფ. სტეფანშვილიაში ჩინფიკაშვილთა ერთ-ერთი ოჯახის შეთაურის — ყაზიბეგის სახელით გამოიყო რა ერთი პატრონიმიული ერთეული, შემდეგ ამ ერთეულის ეპონიმის — ყაზიბეგის მიხედვით

წარმოქმნა თეით გვარი ყაზბეგი, რომელიც გააშნაურებით გადა-
წეული დაწინაურების გამო გაემიჯნა რიგით მეთემკებად დამატებული
ნილ ჩიტეიკაშვილებს.

აღწერილობაში ხსენებული „თავი“ რომ შემდეგში მის მიხედვის
მიული ერთეულის ეპონიმად მკეილრდებოდა, ეს ლუფრაურების
მაგალითზედაც კარგად შეიძინება. ამ გვარის კომლთა აღწერილო-
ბაში გეხვდება „თავის“ ისეთი სახელები, როგორიცაა თათარა, ფე-
რან, ვარძუკა, აქა, ლომნია, ჯანუყო და სხვ. ამის შესაბამისად ხევ-
ში დავამოწმეთ ნათესაურ გაერთიანებათა სახელწოდებები: თათა-
რენი, ფირანინი, ვარძუკენი, აქენი, ლომნინი, ჯანუყენი და ა. შ.
საყურადღებოა, რომ მათი უმრავლესობა შემდეგში გვარის სახელი-
დაც კი იქცა: ფირანიშვილი, ვარძუკაშვილი, აქიშვილი, ჯანუყა-
შვილი და ა. შ.

ანალოგიური კითარება დასტურდება XVIII საუკუნეში აღწე-
რილი ბევრი სხვა ოჯახის მიხედვითაც. ამდღნაოდაც პატრონიშია
იქმნებოდა ხაოჭახო თემის სეგმენტაციის შედეგად და მისი სახელ-
წოდება წარმოებული იყო გაუყრელი ოჯახის მეთაურის საკუთარი
სახელიდან, ამდენად ყოველი პატრონიშიული ერთეულის ჩამოყა-
ლიბებამდე ადგილი ჰქონია ხაოჭახო თემის გადმონაშორი ფორმით
არსებობას, ხოლო პატრონიშიის ყოველი ეპონიმი თავის ღროშე
წარმოადგენდა სათვახო თემის ხელმძღვანელს.

ამგვარად, ისტორიულ-ეთნონიმიკური გადმოცემების, შატერი-
ალური კულტურის ძეგლების, სტატისტიკური მონაცემებისა და ნა-
თესაურ გაერთიანებათა სტრუქტურის მიხედვით, შეა საუკუნეების
ხევში ყოფის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა დიდ ოჯახებად
ცხოვრების წესი. ისტორიულ ხევში გადმონაშთის სახით შემორჩე-
ნილ ხაოჭახო თემს უკეთ განვიტადა რა ფეოდალური ურთიერთობის
გავლენა, ზემოხსენებული წყაროების მიხედვით, ის მაინც ძირითად
ექონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა ხევისათვის ასევე ნიშანდობ-
ლივი ინდივიდუალური ოჯახის გვერდით. ფეოდალურ ხანაში ხევის
ყოფისათვის დამახასიათებელ მოელენად გვესახება ოჯახის ამ ორი
ფორმის თანაარჩებობა. მიმდინარეობდა ინდივიდუალური ოჯახების
რიცხვის ზრდა გაძმონაშორი ფორმით შემონახული ხაოჭახო
თემების სეგმენტაციის ბაზაზე. ოჯახის ძველი ფორმა კვდებოდა,
ხოლო ახალი მიიღო ტეოდა საბოლოო გამარჯვებისაკენ. ეს კი იმას
ნიშანებდა, რომ ოჯახი ძირითად გვიცხავდა თემის კულტურული ცენტრის
ცენტრის განვიტადა.



ზემოთ აღნიშნული სოციალური პროცესი კიდევ უფრთხოების გადა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ხელშეუწყიშით იყოდებდა და ვზას იყალვებდა კაპიტალისტური ურთიერთობა, მის მოხედვად, გასულ საუკუნეში საოჯახო ომი კვლავ განაგრძოდდა არსებობას გადმონაშოთ სახით. მის სხვა ძირითად ნიშნებთან ერთად ეს ჩანს ოჯახის შემაღენლობის შესახებ არსებული წყაროების მიხედვითაც.

XIX საუკუნის წერილობითი წყაროებიდან ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, საყურადღებოა რუსეთის მთავრობის საგანგებო დავალებით (საქართველოს ფინანსური აღწერის მიზნით) ნ. ჭილაშვილის მიერ 1827 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთი ნაწილის (ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, თრუსოს ხეობა) კუონოშიური მიმოხილვა¹. ამ ნაშრომში ნ. ჭილაშვილი საგანგებოდ არ ეხება ოჯახის შემაღენლობას, მაგრამ სხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ოჯახის ფორმის შესახებაც მასში გარკვეულ პასუხს ვპოვლობთ. ნ. ჭილაშვილის განმარტებით, ხევში სახაზინო მიწის ყველაზე დიდი საგადასახადო ნაკვეთი ანუ საკომლო ერთ დესეტინას არ აღმოატებოდა. ეს ნაკვეთი წარმოადგენდა ერთი კომლისათვის განკუთვნილ სახნავ-სათეს დღის, მაგრამ ნ. ჭილაშვილისავე ცნობით, თითქმის ყოველ ასეთ ნაკვეთზე რამდენიმე კომლი (ე. ი. ფაზანი) იჯდა.

როგორც ამ განმარტებილან ჩანს, ნ. ჭილაშვილი სიზუსტეს არ იყავს სოციალური ტერმინების ხმარებისას. მისი ინტერპრეტაციის მიხედვით გამოღის, რომ ეს მიწა წარმოადგენდა ერთ საკომლოს, უ. ი. ერთი ოჯახის კუთვნილებას და თანაც მასზე რამდენიმე კომლი, ე. ი. რამდენიმე ოჯახი მფდარა. ასეთი გაუგებრობა იმასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომ ნ. ჭილაშვილს ოჯახიდ, კომლად მიაჩნდა, ერთ შემთხვევაში, ერთი საქორწინო წყვილი, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ის სოციალური ერთეული, რომელიც რამდენიმე ასეთ წყვილს იერთიანებდა და მიწის ამ ნაკვეთს ფლობდა. ხოლო ეინაიდან მიწის ერთი ასეთი ნაკვეთი რამდენიმე ოჯახის (ე. ი. რამდენიმე საქორწინო წყვილის) კუთვნილებას წარმოადგენდა და ერთ საგადასახადო ერთეულად ითვლებოდა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს მიწა ეკუთვნოდა მასზე მფდარი რამდენიმე ასეთი კომლის მომცველ უკრედს, ე. ი. საოჯახო ომის, რომლის არსებობა გადმო-

¹ Записка Н. С. Чиляева о горских народах по Военно-Грузинской дороге 1827 года, АКАК, VII, Тифлис, 1878.

ნაშთური ფორმით გასული საუკუნის არამცთუ პირველ მეოთხეულში, არამედ მის მეორე ნახევარშიც ჩეცულებრივ მოვლენას წარმოადგინდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სისხლით ნათესავდებოდა ნიმე თაობის ერთ ჰერქვეშ ცხოვრების წესს ხევში პირველად ყაჩადლება მიაქცია აღ. ყაზბეგმა და მან, როგორც მოელენათა უშეალო დამკირვებელმა, 1880 წელს გამოქვეყნებულ წერილში (მოხევები და იმათი ცხოვრება) მიუთითა: „საზოგადოდ, ძმები ძელად ეყრებიან ერთმანეთს და თუ დედ-მამა ცოცხალი ჰყავსთ, მაშინ ხომ სულ შეუძლებელია იმათი გაყრა“. მწერალმა აქვე აღნიშნა, რომ „ისინი ცხოვრობენ ბევრჯელ ოცს სულ გალაბამდინ“, ხოლო 1881 წელს გ. რადეს წიგნის შესახებ დაწერილ ვრცელ ჩეცენზით აღ. ყაზბეგმა ხევი საქართველოს მთიანეთის იმ თემთა რიცხვის მიაყუთვნა, სადაც ერთ ოჯახში რამდენიმე წყვილი კოლ-ქარია, „ბევრჯერ მესამე თაობაც არ იყრება და ერთად ცხოვრობენ“. აღ. ყაზბეგი შემდეგ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა ამ საკითხს და მოხევების ეთნოგრაფიით დაინტერესებულ მოსკოვში მყოფ აღ. ხახანშეილს 1887 წელს წერილობით აუწყა: „მთაში ძმები იშვიათად გაიყრებიან .ხოლმე. ზოგი კომლეულობა, როგორც, მაგალითად, ს. სტეფანწმინდაში — ქუმაშვილი 55-ს სულს შეაღდგენს“.

გასული საუკუნის მასალებზე დაყრდნობით, ამავე გარემოებაზე მიუთითებდა ნ. ნიკიფოროვიც. როგორც ის აღნიშნავდა, XIX საუკუნის 80-იან წლებში დუშეთის ჩაზრაში, რომელშიც აღმინისტრაციულად მაშინ ხევიც შედიოდა, ოჯახის უფროსი მამის სიცოცხლეში ოჯახის გაყრა იშვიათად ხდებოდა. მისი დაკვირვებით, ეს პროცესი ძირითადად მიმდინარეობდა სამხედრო გზის პირად მდებარე სოფლებში. ნ. ნიკიფოროვს ამის მიზეზად მიაჩნდა სამხედრო გზით შეღწეული ცივილიზაციის (ე. ჩ. კაპიტალისტური ურთიერთობის — ვ. ი.) გაელენა. რაც შეეხება ქალაქიდან და გზიდან დაშორებულ მიყრუებულ ხეობებს, აერთის ცნობის თანაბმიად, აქ ჯერ კიდევ არ იჩენდნენ მიდრეეკილებას განკერძოებისაკენ და ერთ ჰერქვეშ შეთანხმებულად ცხოვრებას განავრძობდნენ. ნ. ნიკიფოროვი თითონ ყოფილა მნახელი ბევრი ისეთი პატრიარქალური ოჯახისა, რომელიც 25—40 სულისაგან შედგებოდა და 3 თაობას მოიცავდა¹.

1 Н. Никифоров. Экономический быт государственных крестьян Душетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, ч. II, Тифлис, 1887.

ალ. ყაზბეგისა და ნ. ნიკიფოროვის ამ ცნობებთან ერთად, ზე-
მოხსენებული საკითხის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყარო
გვესახება XIX საუკუნეში თუთუიალური ხელისუფლების მითითუ,
ბით შედგენილი სტატისტიკური აღწერილობა, რომლის მიხედვით უკა-
ვეც ცეკვობით მაშინდელ აღმინისტრაციულ დარიონებას, სამეურნეო მომენტების
ეკონომიკური პირობების ციფრობრივ მაჩვენებლებს, მოსახლეობის
ეთნიკურ, სოციალურ, სარწმუნოებრივ და რიცხობრივ შემადგენ-
ლობას, სოფლების სიას, კომლთა რაოდენობას და მოსახლეობის
სტატისტიკას მამრობითი და მდედრობითი სქესის ჩვენებით.

სამეურნეოთ, არც 1873 და არც 1886 წლის აღწერაში ოჯახების
პერსონალური შემადგენლობა ნაჩვენები არ არის. ამიტომ ამ წყა-
როების მიხედვით აბსოლუტური მონაცემების დადგენის შესაძლებ-
ლობა გამორიცხულია და მხოლოდ ოჯახის საშუალო სიღიდეზე
შეიძლება ვიქონით წარმოდგენა.

1873 წლის აღწერაზე დაყრდნობით, ნ. ნიკიფოროვს მოხევის
ოჯახის საშუალო სიღიდედ გამომჲავს 7,36 სული. დაახლოებით ასე-
თივე მაჩვენებლებით ხასიათდება ლუშეთის მაშრავი მცხოვრები
მოსულების, გუდამაყრელებისა და ოსების ოჯახის საშუალო სიღი-
დე, მაშინ, როდესაც ინგუშის ოჯახში საშუალოდ იზიცხებოდა, 6,51
სული, ფშავლის ოჯახში — 5,42 სული, ხევსურის ოჯახში — 4,98
სული.

ხევის შესახებ ანალოგიურ სურათს ვხედავთ 1886 წლის აღწე-
რილობაშიც. როგორც გამოანგარიშებამ ვვიჩვენა, სოფლების ერთ
ნაწილში კომლის საშუალო სიღიდეა 6 სული (გარბანი, მიგუდა,
ახალციხე, ქოსელი), სოფლების უმრავლესობაში (გერგეტი, ფანშე-
რი, სნო, კარეუჩა, თოთი, არშა, ტყარშეტი, სიონი, გორისციხე,
ფხელშე) ოჯახი საშუალოდ ითვლიდა 7—8 სულს, ხოლო ზოგიერთ
სოფელში (ყანობი, ცდო, ხურთისი, გაიბოტენი) ოჯახი საშუალოდ
9, 10, 11 სულისაგან შედგებოდა.

თავისითავად ცხადია, რომ საშუალო მაჩვენებლების მიხედვით
კონკრეტულად აღებული ოჯახის შემადგენლობის დადგენა ჭირს,
მაგრამ არამცთუ ცალკეული ოჯახების, არამედ სოფლების აღწერაც
ყოველთვის არ ემყარებოდა ზუსტ მონაცემებს. აღმშერთა დაუდივ-
რობასთან ერთად გაუგებრობას იწვევდა ზოგიერთი მაშინდელი
მიმომხილეელის, კერძოდ, ნ. ნიკიფოროვის უსაფუძვლო შენიშვნე-
ბიც.

1 Свод статистических данных о населении Кавказского края извлеченные из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893, гл. 140—145.

როდესაც ნ. ნიკიფოროვი შეეხო ხევში მოსახლეობის მუზების საყითხს და იმ მხრივ დაბალი მაჩვენებლები ღაინანა, თუმც მიმდევდე მან მიიჩნია, ერთი მხრივ, ნამატი მოსახლეობის მთიდან ბარში ჩამოსახლება, ხოლო, მეორე მხრივ, 1873 წლის კამერალის გრანიტის ნაკლი. იმის დასამტკიცებლად, რომ იღწერაში შეცდომები იყო ღია შეებული, ნ. ნიკიფოროვი მას უპირისპირებს საკუთარი კვლევის შედეგებს, ერთ-ერთ მაგალითად იღებს რა სოფ. გაიბორენს, ამტკიცებს, რომ აქ 3 კომლად ცხოვრობდა 30 სული და არა 117 სული, როგორც ეს ნაჩვენებია 1873 წლის იღწერაში. ნ. ნიკიფოროვი ანგარიშს არ უწევს 1886 წლის მონაცემებს, რომლის თანახმად სოფ. გაიბორენში 144 სული 13 კომლად ცხოვრობდა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ნ. ნიკიფოროვის მიერ იღწერილი 30-სულიანი სოფელი დროის ასეთ მცირე მონაცევეში 144-სულიან სოფლად ქცეულიყო. სამაგიეროდ სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება, რომ 1873 წლიდან 1886 წლამდე, ე. ა. 13 წლის განმავლობაში, სოფლის მოსახლეობა 117 სულიდან 144 სულამდე გაზრდილოყო. საერთაულებელია აგრეთვე მოსახლეობის ნამატების ერთი ნაწილის სხვაგან გადასახლებაც. ასევე სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია 3 ოჯახის ნაცვლად 13 ოჯახის შექმნა. როგორც ჩანს, 1873 წლისთვის სოფ. გაიბორენში არსებობდა 3 საოჯახო თემი, რომელშიც იმყოფებოდა 117 სული, ხოლო 1886 წლისათვის 3 ოჯახის სეგმენტაციის შედეგად ჩამოყალიბდა 13 ოჯახი 144 სულით.

მაგრამ არა მარტო სოფ. გაიბორენის მიხედვით, არამედ ყველა სხვა სოფლის სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე ადვილად წარმოსადგენია, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლების ხევშა არსებობდნენ მეტ-ნაკლები სიდიდის ოჯახები. იქ, სადაც ოჯახის საშუალო სიდიდე 7—11 სულს აღწევდა, ინდივიდუალური ოჯახების გვერდით უნდა ვიგულისხმოთ გაუყრელი ოჯახების დიდი რაოდენობით არსებობა. სხვაგვარად გაუკებარი იქნებოდა 144 სულის თავმოყრა 13 ოჯახში (სოფ. გაიბორენი), ანდა 28 ოჯახში 270 სულის ყოფნა (სოფ. ხურთისი) და ა. შ. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი საოჯახო თემის არსებობაც კი დასტურდება, რომლის სულადი შემადგენლობა 11-ს ბევრად არ აღმატება. მაშასადამე, იმ კუთხეში, სადაც კომლი საშუალოდ 7—11 სულისაგან შედგებოდა, ყოვლად წარმოუდგენელია არ არსებულოყო ბევრი ისეთი ოჯახი, რომელიც რამდენიმე თაობას მოიცავდა და მისი სულადობა რამდენიმე ათეულს აღწევდა.



გასული საუკუნის ხევში ოჯახის შემადგენლობის შესწავლისა—
თეის ძირითად წყაროდ მიგვაჩინია ამავე ეპოქის ეთნოგრაფიული
მასალა. თუ განხილული ლიტერატურა ამ მხრივ თითო-ოროლა
ფაქტზე მიგვითოვებს, ხოლო საკომის დაეთრებში ოჯახის პერსო-
ნალურ აღწერას არ ვხვდებით, ეთნოგრაფიული მასალის საფუ-
ძველზე დაწერილებით შეიძლება გვიცნოთ ოჯახს, რომელიც ერ-
თანებდა რამდენიმე საქორწინო წყვილს ძმების, ბიძაშვილებისა და
მათი შთამომავლობის სახით. ხევში ჩვენ შიერ აღნიშნული მრავალა
ასეთი ოჯახიდან საილუსტრაციოდ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ
მათგანს.-

ფიცხელაურების დიდი საგვარეულოს ნაწილი დღემდე ერთ
სოფლადა დასახლებული სინოს ხეობაში. ამ ნაწილის პატრიონიმი-
ული სახელწოდებაა ქოსელი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება
სოფლის ძეველ სახელს — ქოსელ.

ქოსელების პატრიონიმი რამდენიმე ოჯახი შედიოდა, რო-
მელთა შორის XIX საუკუნეში საოჯახო თემების არსებობაც მოწმ-
დება. ერთ-ერთ ასეთ ოჯახს მეთაურობდა ე დ ი; მისი სახელის მი-
ხედვით როგორც ამ ოჯახს, ისე გაყრის შედეგად წარმოქმნილ ნა-
თესაურ გვერთიანებას, ეწოდება ე დ ი ე ნ ი. მეორე ოჯახის სახელ-
წოდება იყო პ ა პ ა ლ ე ნ ი, ასევე მისი მეთაურის პ ა პ ა ლ ა ს სახე-
ლის მიხედვით.

პაპალას შეიღებიდან ერთს ერქვა მანგია, მეორეს — ლერენა.
მანგიას ჰყავდა 3 შეილი — იაქობი, შეა (შიო) და ქუნჩია; ლერე-
ნას — 4: ნიკო, გიგია, ივარდანე და თელო. მათი ერთად ყოფნის
დროს მანგიას და ლერენას ვაჟები ცოლშეილიანები იყვნენ. ეს კი
იმის მაჩვენებელია, რომ ერთ ქერქვეშ ცხოვრობდა ოთხი თაობა.

ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების მიხედვით, ზემოაღნიშ-
ნული ურთიერთობა ასეთი სტრუქტურით წარმოვეიდგება: პირები
თაობის წარმომადგენელია ოჯახის უფროსი პაპალა, რომელიც მეო-
რე თაობას ეკუთვნოდა მამად, მესამე თაობისათვის იყო პაპა, ხო-
ლო მეოთხე თაობისათვის — პაპის მამა.

მეორე თაობის წარმომადგენლები — მანგია და ლერენა შთა-
მომავლობასთან მიმართებაში იტარებენ მამების, ბიძებისა და პაპე-
ბის ფუნქციებს. მანგია თუ უშუალოდ თავისი შთამომავლობის მი-
მართ მამისა და პაპის როლში გვევლინება, ლერენას შეიღებისათ-
ვის ის არის ბიძა, ხოლო ლერენას შეილიშეიღებისათვის — პაპა.

ასეთსავე ურთიერთობაში არიან ლერენას მიმართ მანგიას შეი-
ღები და შეილიშეიღები.

სათანადო ნათესაური ტერმინებით აღინიშნებოდა მესამე² ას-
მეოთხე თაობის წარმომადგენლო ურთიერთობაც. მესამე თაობაზ
ში შედიოდნენ მანგიასა და ლერენას შეილები. ისინი შეაჭრებული
ძმათაშეილების ანუ ალალი ბიძაშეილების წრეს.

რაც შეეხება მეოთხე თაობას, მასში უკვე ძმათაშეილების ანუ
ალალი ბიძაშეილების ორ წრეს ვხედავთ. ერთში შედიან იყობის,
შიოს და კუნჩიას შეილები (მანგიას მოდგმა), ხოლო მეორეში ნი-
კოს, გიგიას, ივარდანეს და თელოს შეილები (ლერენას მოდგმა).
ძმათაშეილების ერთი წრე (მანგიას მოდგმა) ძმათაშეილების შეორე
წრის (ლერენას მოდგმის) ბიძაშეილებად ითვლებოდნენ. ამ შეძ-
ოხვევაში ტერმინი ბიძაშეილი ერთომეორისაგან უკვე ერთი საფე-
ხურით დამორჩებული ნათესაობის გამოშხატველია და ნათესავების
შედარებით ფართო წრეს მოიცავს. ამდენად, მეოთხე თაობის წარ-
მომადგენლებად გვივლინებოდნენ, ერთ შემთხვევაში, უახლოესი
ნათესავები ანუ ალალი ბიძაშეილები, ხოლო, მეორე შემთხვევაში,
ორივე ამ წრის წევრები ერთი საფეხურით დამორჩებული ნათესა-
ვების ანუ ბიძაშეილების სახით.

ისევე, როგორც ცველა სხვა ოჯახის, პაპალეთ ოჯახის სულადი
შემადგენლობაც ცვალებადი იყო. გაღმოცემით, სხვადასხვა დროი-
სათვეის ის მერყეობდა 26-დან 37 სულამდე, რაც განპირობებული
იყო გამრავლების მასშტაბით, სიკვდილიანობით, ქალების გათხოვე-
ბით და რძლების მოყვანით.

ნათესავების კადეც უფრო დიდი ჭგული ყოფილა გაერთიანე-
ბული სოფ. სტეფანწმინდაში მცხოვრები ფიცხელაურების ოჯახში.
ეს ოჯახი ეკუთვნოდა ფიცხელაურების იმ შტოს, რომლის ეპოხიძალ
გვევლინება გოჩა ფიცხელაურების — პერსონაჟი აღ. ყაზბეგის
ცნობილი ისტორიული რომანისა „ხევის ბერი გოჩა“.

გაღმოცემის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, გოჩა სინამდვი-
ლეში ხევისბერი ყოფილა და XVII საუკუნის პირველ მეოთხედში
მოღვაწეობდა. აღ. ყაზბეგის ნაწარმოებსაც სწორედ ამ პერიოდის
ისტორიული სინამდვილე დაედო საფუძვლად. ამგამად ჩვენთვის
საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფიცხელაურების იმ ნაწილს,
რომელთა უშუალო წინაპრად გოჩა ითვლება, პევით გოჩა ან ნიკი
ამიტომ იმ ოჯახსაც, რომელიც ჩვენ აღვწერეთ, ეწოდება გოჩა იან ნიკ
დიდი ჭალაბობა.

ამ დიდი ოჯახის ყოფილი წევრის, 1870 წელს დაბადებული
ნიკო იოსების ძე ფიცხელაურის ცნობით, ოჯახის 7 ნაწილად გაყრა
მომხდარა მაშინ, როდესაც ნიკო 14-15 წლისა იყო. მანამდე თვალი
შედგებოდა 50 სულისაგან და წარმოადგენდა სხვადასხვა თაობისა
და მეტ-ნაკლები სიახლოების მქონე ნათესავთა ერთობლიობას.

ოჯახის პირველ თაობას ეკუთვნოდნენ ორი ქმა და ერთიც ალალი ბიძაშვილი. მათი სახელების აღდგენა ეერ მოხერხდა. ზორ ქმას ჰყავდა ორ-ორი შეილი: ერთისა იყო ორჯევანი და ლეგა (სხვა-თა შორის, ლეგა იყო ალ. ყაზბეგის მთხრობელი), მეორისა — წერილი ლომონი და ალია. პირველი თაობის მესამე წარმომადგენელს ჰყავდა სამი შეილი: გიგოლი, გავი და გლახა, ე. ი. ორი ქმისა და მათთან მცხოვრები ერთი ალალი ბიძაშვილის შეილები შეაღეცებდნენ ოჯახში მეორე თაობას. მესამე თაობის წარმომადგენლები იყვნენ მეორე თაობის 7 წევრის შეილები, რომელთა რიცხვს ეკუთვნოდა ჩვენი მთხრობელის მამა — იოსებ გლახას ძე. თვით ჩვენი მთხრობელი ნიკო ეკუთვნოდა ოჯახის მეოთხე თაობას, ხოლო ვინაიდნ ეს საოჯახო თემი 7 ინდივიდუალურ ოჯახად დანაწილდა მაშინ, როდესაც 1870 წელს დაბადებული ნიკო 14-15 წლისა იყო, გამოდის, რომ ოთხი თაობისაგან შედგენილი 50-სულიანი ოჯახის გაყრა მომხდარა 1884 ან 1885 წელს.

როგორც ვხედავთ, გოჩიანთ ამ დიდი ოჯახის ყოველ შომდევნო თაობაში ნათესაური ურთიერთობის გარეულები საფეხურია წარმოდგენილი. პირველ თაობაში ვხედავთ ორ ქმასა და მათს ალალ ბიძაშვილს, ე. ი. მკვიდრ ძმებთან ერთად ცხოვრობს ძმებისაგან ერთი საუკეთესო დაცილებული უახლოესი ნათესავი. ეს თავისოთვის აპირობებს მომდევნო თაობებში საქმიან დაშორებულ ნათესავების ერთად ყოფნის შესაძლებლობას. მართლაც, მეორე თაობას შეადგენს სისხლით ნათესავების სამი სხვადასხვა ჭგუფი: ძმები, ალალი ბიძაშვილები და ბიძაშვილები. აქ ვხედავთ ძმათა სამ ჭგუფს: 1. ორჯევანი და ლეგა, 2. სოლომონი და ალია, 3. გიგოლი, გავი და გლახა. ამათგან პირველი და მეორე ჭგუფი ერთმანეთის ალალი ბიძაშვილები ანუ ძმათაშვილები არიან, ხოლო ორივე ეს ჭგუფი შესამე ჭგუფს ეკუთვნიან ბიძაშვილებად, ვინაიდან მათ უკვე ერთი ზედმეტი საფეხური ათავისთავადებს.

ნათესაური ურთიერთობის შემდგომ მესამე საფეხურზე, ანუ ოჯახის მესამე თაობაში ნათესაობის ფარგლები კიდევ უფრო ფართოვდება. აქ უკვე ძმებთან, ძმათაშვილებთან და ბიძაშვილებთან ერთად ჩნდება ნათესაობის კიდევ ერთი წრე გარებიძაშვილების სახით. თუ ორჯევანის შეილები ერთმეორისა ძმები არიან, ლეგას შვილებისა — ძმათაშვილები. ერთმანეთის ძმათაშვილები არიან სოლომონისა და ალიას შვილები, აგრეთვე გიგოლის, გავისა და გლახას შვილები. პირველ წრეში მყოფი ძმათაშვილები (ე. ი. ორჯევანისა და ლეგის მოდგმა) ბიძაშვილები არიან ძმათაშვილების მეორე წრისა (ე. ი. სოლომონის და ალიას მოდგმისა), ძმათაშვილების ორივე ეს წრე, ე. ი. ბიძაშვილები, გარე-

ბინაშეილები (ორი საფეხურით დაშორებული ნათესავების მარა
ძმათაშეილების მესამე წრისა (გიგოლის, გავისა და გლობას
მოდემისა).

რაც შეეხება მეოთხე თაობას, აქ სისხლით ნათესავების მარა
ძმათაშეილების შეილება ხდებიან ერთობერის ბინაშეილები, ხოლო ბინაშეილთა შეილები —
გარებინაშეილები. ამ საფეხურზე საოჯახო თემი სეგმენტაციას გა-
ნიცდის და ნათესაობის უფრო დიდი წრის აღმნიშვნელი ტერმინე,
ბიც ოჯახის ფარგლებში აღარ თავსდება. სხეადასხვა სიღილის შეო-
ნე ნათესაურ გაერთიანებებს ხევში თავისი სახელწოდებები აქვს.

გოჩიანთ ოჯახი გაყრის მომენტში 50 სულისავან შედგებოდა,
მაგრამ პაპალეთ ოჯახის მსგავსად აქაც სულადი შემადგენლობა
ცვალებადი იყო. ზემოაღნიშნული მიხეხების გამო (დაბადება, სი-
კვდილიანობა, ქალების გათხოვება, რძლების მოყვანა), ასეთივე
ცვალებადობა შეინიშნება ყველა სხვა ოჯახის ცხოვრებაშიაც. აში-
რომ, ოჯახის წევრთა რაოდენობის საჩვენებლად ჩვენ ვიღებთ მისი
გაყრის მომენტში არსებულ მონაცემებს. პაპალეთ და გოჩიანთ
ოჯახების გარდა, ამ შერიც მრავალთაგან შეიძლება დაესახელოთ
სოფ. თოთში მცხოვრები ოჯახი ხულელიძეებისა, რომელიც იერთია-
ნებდა 4 თაობას და რომელიც ერთხანს ითელიდა 54 სულს, ხოლო
გაყრის წინ ის 44 სულისავან შედგებოდა. თავისი მოცულობის გა-
მო ხულელიძეების ამ ოჯახს ეწოდებოდა დიდი ხულელნი.

თაობათა რაოდენობისა და სულადი შემადგენლობის მიხედვით,
თავისი აჩსებობის სხეადასხვა საფეხურზე, ასევე დიდი მოცულო-
ბისა იყო ტუჩაშეილების ოჯახი სოფ. ხურთისში. როგორც ნიკო-
ლოზ და არტემ ტუჩაშეილების მონათხრობიდან ჩანს, ერთხანს ერ-
თად ცხოვრობდნენ ძმები — ხიზანა, გოჭი და ვაჯალა. მათი გაყრის
შესახებ არავითარი ცნობა არ არის შემონახული. პირიქით, მოხრობ-
ლები იმ გარემოებაზე მივვითითებუნ, რომ მათი შეილებიც: გრი-
გოლ ხიზანას ძე, გოგია, ნიკო და შიო გოჭის ძენი და ასალა (ივი-
ვე იოსებ) გაჯალას ძე კვლავ გაუყრელად ცხოვრებას განაგრძობდ-
ნენ. ამ შეორე თაობის სხვა პირთა სახელები დავიწყებასაა შიეკ-
მული, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ინდივიდუალიზაციის ტენ-
დენციას არც ეს თაობა იჩენდა და მათი მემკვიდრეებიც კვლავ ერთ
ჰერქევეშ იმყოფებოდნენ.

მესამე თაობას ცკუთვნოდნენ გრიგოლის შეილები (ზაქარია,
შიო, სეიმონი), გოგიას შეილები — ზურაბი და სოლომონი (გოგიას
ძმები ნიკო და შიო უპოლშვილოდ გარდაცვლილან) და ასალას
შეილები (ადამი, სტეფანე, ალექსანდრე, დათიო და უძროდ გარდა-
ცვლილი შიუკა).

როდესაც მესამე თაობა დავიტყაცდა და შრომის ფერხულში ჩაება, პირველი თაობის წარმომადგენლები — ხიზანა, გოჭი და კაჯალა გარდაცვლილიან. ამასობაში სულ მალე ფეხი იიდგა მერთხე თაობამ, მაგრამ იმის გამო, რომ პირველი თაობიდან ცოცხალის რეაქცია რაფინ იყო, ოჯახი ახლა ფაქტორულ კვლავ 3 თაობას ერთიანებულია! მაგრამ ასეთი რაფინის გაყრა არც ამ საფეხურზე მოშედარა. შდგომარეობა შხოლოდ იმ მხრივ შეიცვალა, რომ პირველმა თაობამ სასუფეველი პოვა, მისი ადგილი მეორე თაობამ დაიკავა, მეორისა — მესამემ, ხოლო მესამისა — მეოთხემ.

ოჯახის გენერალოგიის ამ საფეხურს ეკუთვნოდნენ გრიგოლის, ვოგიას და ასალას შვილიშვილები. გრიგოლის შტოდან აღსანიშნავია ზაქარიას შვილები (დიმიტრი, ვანე, გივარგი, როსტომი, მიხელა). ადამი შიოს ძე და სვიმონის შვილები (ივარდანე, ვანო, ლევანა, გივარგი, თომა). ვოგიას შტოდან ცნობილია სოლომონის შვილები (დათიკო და სვიმონი, რომლებიც უცოლშვილოდ გარდაცვლილია) და ზურაბის შვილები (ანდრია, კიკო, სვიმონი, თედო, ალექსი, გივარგი, ლადიმერი, ივანე). ასალას მოღვაწეობან ამ თაობაში შედიან: გივარგი ადამის ძე, სტეფანეს შვილები (სანდრო, ვასილი, ლევანა, ფიდა), ალექსანდრეს შვილები (სოლომონი, ნიკალა, ზაქარა, გაბრია, გივოლა, აბრამია, მოსე) და კოტე დათიკოს ძე.

ასე გამოიყურებოდა ტუჩაშვილების ოჯახი გასული საუკუნის მიწურულში. მის პირველ თაობას შეადგენდნენ ერთად მცხოვრები ძმები. მეორე თაობის წარმომადგენლები იყვნენ მათი შვილები, ე. ი. ერთიმეორის ძმები და ძმათშვილები. მესამე თაობის წევრებად გვევლინებიან ძმები, ძმათშვილები და ბიძაშვილები, ხოლო მეოთხე თაობაში იქმნება გარებიძაშვილების წრეც.

თაობების მიხედვით ცეკლებადობას განიცლიდა არა მარტო ზაფხული ურთიერთობა, არამედ ოჯახის სულადი შემადგენლობაც პირველმა თაობამ შემოგვინახა 3 მამაკაცის სახელი, მეორემ — 4, მესამემ — 10, ხოლო მეოთხე თაობა მამრობითი სქესის 34 სულს აერთიანებდა. მართალია, წინა თაობის ზოგიერთი წევრის სახელი დავიწყებას მიეკა და ცველა მათგანის აღრიცხვა ვერ ხერხდება, შეგრამ სრული აღრიცხვის შედეგად სულადობა გაორმაგებულად მაინც რომ წარმოვადგინოთ, რიცხობრივ უპირატესობას მომდევნო თაობაში დავინახავთ. ოჯახის ბუნებრივი ზრდის უცილობელი შედეგი იყო შემდგომი თაობის აშეარა რიცხობრივი მატება.

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრობრივი მონაცემები საქმიანდ მრავალსულიანი საოჯახო თემის არსებობაშე მივვითოთებს. მამაკაცთა ამ ერცელი სიიდან რომ პირველი თაობის გარდაცვლილი წევრები გამოერიცხოთ, სამი მომდევნო თაობის აღწე-

რილობაში კიდევ 47 ქაცის სახელი გვრჩება. ექვდან პრიუტის გამოვაკლით ოჯახის გაყრამდე გარდაცვლილ პირთა სახელები, ხოლო სახეზე მყოფ მამაკაცებს დაუკარგოთ რძლებისა, სადაც დაუკარგოა რი ქალების რიცხვი, ჩვენ წინაშე აღიმართება ოჯახის უძლიერესი მარტო რამდენიმე თაობას, არამედ რამდენიმე ათეულ წევრსაც იყრიანებდა.

ტუჩაშვილები 3 საოჯახო თემად დანაწილდნენ მაშინ, როდესაც
მესუთე თაობა უკა იწყებდა წარმოქმნა-განვითარებას.

300-ელ საოცხო თემს შეაღენდა ხიზანას შტო, რის გამო
მოელ იმ მოდგმის, რომელიც დღეს ინდივიდუალურ ოფიცებადა-
განსახლებული, ეწოდებათ ხიზანენი.

შეორებ და ყველაზე ღიღი თქახი ჩამოყალიბდა გოჭის შთა-
მომავლობის ხაზით. მა თქახის სიღიღისა და ერთხანს მის სათავეში
ჰურაბის ყოფნის გამო მას დაარქვეს დიდი ჰურაბენი.
საოჯახო თემის საბოლოო სეგმენტაციის შემდეგ ის სახელი და-
კვიდრდა პატრონიმიული ერთეულის სახელწოდებადაც.

მესამე დიდი ოჯახის, ხოლო შემდეგ ინდივიდუალურ ოჯახებად მისი ღაყოფის ნიადაგზე წარმოქმნილი პატრონიმიული გაერთიანების სახელწოდებად იქცა გაგლენი, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ოჯახის ყოფილი მეთაურის — გაგლას სახელთან.

XIX საუკუნის მიწურულში ერთი საოგახო თემის დაყოფის შედევგად წარმოქმნილი ამ სამი საოგახო თემის არსებობა დიდხანს აღარ გაერთიანდა ულა. 1911 წლისათვის თითოეული შათვანის სეგმენტაციის პროცესი უკვე დამთავრებული იყო, რის შედევგად ჩამოყალიბდა რამდენიმე ათეული ინდივიდუალური ოფახი.

საოჯახო თემის სეგმენტიკიის ანალოგიური პროცესი დგინდება სოფ. სიონში ოდიშვილების მაგალითზე. ოდიშვილების საოჯახო თემის საბოლოო დაყოფა მოხდა XIX საუკუნის დასაწყისში. თავდაპირეებად ეს ოჯახი შედგებოდა 64 სულისაგან, რომელთაგან შრომას ეწეოდა 13 მამაკაცი. ოჯახს ხელშძლვანელობდა შარ შაზანი, რომელსაც ჰყავდა ხუთი შეილი: იოსები, ბალა, გივარეგი, იასე და გაბარა.

შარმაზანის გარდაცვალების შემდეგ ეს ოჯახი ორად გაიყო. ორგორუ სკომონ და ივანე იოსების ძე ოდიშვილებმა გვაუწყეს, ერთ ოჯახს სათავეში მოექცა გ ა ბ ა ლ ა, ხოლო მეორეს ი ა ს ე. გაბალას-თან და მის შთამომავლობასთან ერთად ამ ოჯახში მოხვდა უშვილო ბატა. უშვილო იყო იგრეთვე მეორე თვალის ხელმძღვანელი იასე, ჩამელთანაც მოხვდნენ იოსები და გიგარგი თავიანთი შთამომავლობით. იასეს გარდაცვალების შემთვევა ამ ოჯახის ხელმძღვანელობა

გადავიდა იოსების ხელში. ოჯახის უფროსთა სახელების მიხედვით
ერთ საოჯახო თემს შეარქევეს გაბალენი, ხოლო მეორეს იოსე-
ბენი.

XX საუკუნის დასაწყისში გაბალეთ ოჯახში იმყოფებოდა ერთ სული. ის დაიყო 7 ინდივიდუალურ თვალის გადაბეჭდის შემდეგ შეტაციის საყუთარი სახელიდან წარმოებული სახელწოდება —
გაბალენი — მათ დღემდე შეინარჩუნეს.

ამავე ეპოქაში მოხდა იოსებეთ ოჯახის დაყოფაც, როდესაც
ის უკე 50 სულს ითვლიდა. ასეთი მოცულობის გამო ამ ოჯახს
შეარქევეს დიდი თაღიანი. ისინი ცხოვრობდნენ ერთ დიდ
სახლში, რომელიც სიონის კოშეს უკავშირდებოდა სახლის შიდა-
კედლებსა და ტიხარებში დატანებული რამდენიმე კარის მეშვეო-
ბით. ამის გამო, ადგილს, სადაც ეს სახლი იდგა, კარის სიმრავლის
მიხედვით, დღესაც ნაკარალი ეწოდება.

იოსების 6 შეილისა და გიორგის 2 შეილის შთამომავლობას
13 ინდივიდუალურ თვალის დაყოფის შემდეგაც დღემდე შერჩა
ძელი სახელწოდება იოსებენი, მაგრამ უფრო მიღებულ სახელწო-
დებად დამკვიდრდა ოჯახისა და მისი განაყრების მოცულობის ალ-
მნიშვნელი დიდი თაღიანი.

ასეთი ოჯახების რიცხვი გასული საუკუნის ხევში იმდენად დი-
დი იყო, რომ მათი არამცუ დეტალური აღწერა, არამედ ჩამო-
თვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ყველა მათგანისათვის ნიშანდობლივი
იყო მრავალსულიანობა და რამდენიმე თაობის ერთ ჰერქვეშ ცხოვ-
რება. დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ მრავალი მათგანის
სახელწოდებაში გვხვდება სიტყვა დიდი, როგორც გადმონაშთის სა-
ხით შემონახული საოჯახო თემის ფორმისა და ბუნების გამომხატ-
ვლი ცნება. ამ სახელწოდების მქონე ზემოთ განხილულ ოჯახებ-
თან ერთად აღსანიშანებია ავრეთვე დიდი ჩეკინი (ვიგაურების სა-
ოჯახო თემი სოფ. ყაზბეგში, რომელიც 1908 წელს გაყრის მომენტში
52 სულისაგან შედგებოდა), დიდი ჩოფანენი (წიკლაურების
40-სულიანი ოჯახი სოფ. ცილში, რომელიც ჩენი საუკუნის 20-იან
წლებში 8 ინდივიდუალურ თვალის დაიყო), დიდი ბეკურენი (ყა-
ზარაულების საოჯახო თემი სოფ. კარეჩაში), დიდი უძილენი (სუ-
ხაშვილების საოჯახო თემი გერგეტში), დიდი დათურენი (ავსაჯა-
ნიშვილების საოჯახო თემი სოფ. არშაში) და მრავალი სხვა.

მრავალთაგან შხოლოდ ზოგიერთი ოჯახის მოკლე აღწერილო-
ბის საფუძველზე მკითხველი აღმართ დაგვეთანხმება, რომ ხევში
XIX საუკუნის ბოლომდე ჯერ კიდევ არსებობდა რამდენიმე თაო-
ბისა და რამდენიმე ათეული აღამიანის ერთად ცხოვრების წენი.
ისიც აშერა უნდა იყოს, რომ ასეთი გაერთიანება მოიცავდა სისხ-

ლით ნათესავთა წრეს, ხოლო უაბლოეს ნათესავთა ერთ ჰერცეგმა ამ წესით ცხოვრების ფაქტი საოჯახო თემის გაღმონაშორი ფორმით შემონახულობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.

ეს ნიშანი მოხვევის ოჯახს ნაწილობრივად XX საუკუნეების წყალი შემორჩია, რამდენადაც ამ დროს კიდევ მიმდინარეობდა საოჯახო თემის უკანასკნელი ნაშების აღმოფხვრის პროცესი. ს. მაკალათია მიუთიობს, რომ მოხევეთა წარსულისათვის ნიშანდობლივ მოვლენას წარმოადგენდა დიდი ოჯახების აზებობა მისი ძარითადი ატრიბუტებით და იქვე შენიშვნის: „ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახს აქ იშვიათად თუ შეხვდებით. ეს დიდი ოჯახები იყო ფინანსურული, ქუცმაცდებიან და მასთან ერთად ჭველი საოჯახო წესებიც სწრაფად იცვლებიან“¹.

ს. მაკალათიას ეს ცნობა საყურადღებო ვითარების მაჩვენებელია. 1930-იანი წლების ხევში, როდესაც მკვლევარი იქ ეთხოვა გრაფიულ მასალებს ავტოვებლა, ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ოჯახების ინდივიდუალიზაციის თდითვანეე მომდინარე პროცესი. აღრინდელი ტრადიციის ფესვები კიდევ აწედიდნენ საზრდოს სრული გადაგვარების საფეხურზე მყოფ ძველი საოჯახო ყოფის ზოგიერთ რულიმენტულ ელემენტს. ამით იმსახურება ის გარემოება, რომ, რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრების ჩვეულების მოსპობის მიუხედავად, მამის სიცოცხლეში ოჯახის გაყრა, ე. ი. მამისა და შვილების განცალკევება აღნიშნული ეპოქის ხევში იშვიათად ხდებოდა.

ორი სხვადასხვა ეპოქის დამკვირევებელთა ცნობების ურთიერთშედარებისა და ყველა ზემოთ განხილული წყაროების აზალიზის საფუძველზე საცხებით ნათელი სურათი დგინდება. ალ. ყაზბეგის დროინდელ ხევში რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრება საქაოდ დამთახსიათებელ მოვლენას წარმოადგენდა და ოჯახის ნააღრევი დამაწილება შედარებით იშვიათად ხდებოდა. რაც შეეხება XX საუკუნის 30-იან წლებს, რომლის შესახებაც ცნობებს ს. მაკალათია გვაწვდის, ხევში ასეთი ოჯახები იშვიათობას წარმოადგენდნენ და ძეველი ტრადიცია თავს ინახავდა მხოლოდ მამისა და შვილების გაუყრელად ცხოვრების წესში.

ალ. ყაზბეგისა და ს. მაკალათიას ამ აღწერილობებს მხოლოდ ნაცეპარი საუკუნე მიგნავს, მაგრამ საოჯახო ყოფის სფეროში უდიდესი ცელილებები მოხდა. ეს ვითარება კიდევ უფრო ნათლად ჩანს გაელილ ეტაპებთან დღევანდელი ვითარების შედარების ფონზე.

თანამედროვე ხევში არსებობს ტიპიური სახის ინდივიდუალური ოჯახი, რომელიც შედგება ერთი საქორწინო წყვილისა და მათი შეილებისაგან. როგორც წესი, ყოველი ვაჟი დაქორწინების

¹ ს. მაკალათია, ხევი, ტფილისი, 1934, გვ. 98.

უმდევ, ანდა ზოვეფერ მანამდეც კი, ოჯახს ეყრება და დამოუკიდებელად სახლდება. ძმების გაყრის შემდევ მათი შშობლები საცნოვ-რებლად რჩებიან ერთ რომელიმე შეილთან, უმთავრესად უმცროსა-თან. იშვიათ შემთხვევაში შშობლები ცალკეც ცხოვრობენ მარტინ შშობლები რომელიმე შეილთან დარჩებიან საცხოვრებლად და კარგი აღრევად არ გამოესალმებიან წუთისოფელს, ამ თვალში თავს მოი-კრის სამი თაობა შშობლების, მათი არჩეული შეილისა და შეილი-შეილების სახით. დანარჩენ განიყრებში ვხედავთ მხოლოდ ორ-ორ თაობას. ოჯახის რიცხობრივი შემადგენლობა დამოკიდებულია მხოლოდ ერთი საქორწინო წყვილის შეილთა რაოდენობაზე. ცოლ-შეილიანი ძმების ერთად ცხოვრების წესი ყოფილან გადავარდნილ ჩვეულებათა წყების მიეკუთვნება. მიტომ საოჯახო თემის გადმო-ნაშობის ძებნა თანამედროვე ხევის ცოცხალ სინამდვილეში უკვა შეუძლებელია.

ოჯახის ჟონება და გაურიობა

საქმარისია ადამიანშა დაკვირვებით გადახედოს ხევის მარატ-თოვლიან მწვერვალებსა და საჭიბევე ჭიუხებს, მისი შიშველი მთების მწვანით შემოსილ კალთებსა და ხშირ შემთხვევაში ნიალურით ჩა-მორეცხილ უკრდობებს, აქა-იქ შემორჩენილ ტყის ნაშთებსა და სახნავი მიწის პატარ-პატარა ნაქვეთებს, რადა წარმოიდგინოს აქაუ-რი მკეიღრის ეკონომიკური მდგომარეობა, მისი ცხოვრების პირო-ბები. ხევში მოხვედრისთანავე ადამიანი უსათუოდ დარწმუნდება, რომ აქ მცხოვრები კაცი ფიზიკურად ძლიერი, გაჭირვების ამტანი, მაგარი ნებისყოფის მქონე და გამრჩე მშრომელი უნდა იყოს. შემ-თხვევითი სრულებითაც არ არის ის გარემოება, რომ ვახუშტი ბაგ-რატიონი ჯერ იძლევა ხევის მოქლე სამეურნეო-ეკონომიკურ მიმო-ხილვას, ხოლო ამის შემდეგ მოხვევთა ამ თვისებების შეტად ლა-კონიურ დახასიათებას: „ქაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, იხო-ვანნი, პაროვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უჭიობესნი უოლითა“¹. ხევის გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ადა-მიანი იმასაც აღვილად წარმოიდგენს, რომ მოხვევის არსებობა ძი-რითადად მეცხოველეობაზე უნდა იყოს დამყარებული.

გარემო პირობებზე დაკვირვებით აღქმულ შთაბეჭდილებას არც ირსებული წყაროები უპირისპირდებიან. სამწუხაროდ, ხევისათვის

¹ ვ. ე. ე. ტ. ა. აღწერა სამეურნისა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 68.

ოდითგანვე დამახასიათებელი მეურნეობის ორი პირი დარღვეული დარღვეულის — მესაქონლეობისა და მთური მიწათმოქმედების, ისევე რეკორც მოხევეების სხვა დამხმარე საქმიანობათა შესახებ. დალაზე შეირე ცნობები მოხვეპოვება. ეს ცნობებიც ძირითადად კონტაქტურ უკუნის განვეუთვენება. მათგან აღსანიშნავია სხვადასხვა ავტორის მიერ შედგენილი ეკონომიკური მიმოხილვა და ზოგიერთ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოებებიც, რომლებიც ეპოქის მტკიცეულ სოციალ-ეკონომიკურ საკითხებს აქტუალურად ეხმაურებიან. მაგრამ ამ ეპოქის ოჯახის ეკონომიკური საფუძვლების შესწავლის მთავარ წყაროდ მაინც ეთნოგრაფიული მასალა გვესახება. ამ უკანასკნელის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის დასმული საკითხის განხილვის შესაძლებლობა ცალკეული ოჯახების კონკრეტული მონაცემების შექმნება.

XIX საუკუნეზე უფრო აღრინდელი წყაროებიდან რამდენადმე მნიშვნელოვანი ცნობების ამოქრება მოხვევეთა საოჯახო მეურნეობის შესახებ თითქმის შეუძლებელია. ამ საკითხის ისტორია ცოტათ მაინც რომ ვადაცმით, სხვა გზა არ დავკრჩენია, ვარდა იმისა, რომ ვახუშტის ეგოგრაფიას მივმართოთ, ხოლო უფრო ძველი პერიოდის თუნდაც ნაწილობრივად გაცნობის მიზნით დღემდე მოღწეული გაღმოცემები და ხევის არქეოლოგიური მასალა მოვიმულით. ერთმანეთისავან ასეთი დიდი ღრუით დაშორებულ და თანაც ფაქტობრივი მონაცემებით ძალაშე წყაროებზე დაყრდნობით, ყოვლად შეუძლებელია გავიგოთ, რომელ ეპოქაში რა დონეზე იდგა მეურნეობის ესა თუ ის დაჩვი და რა გზით ხდებოდა თითოეული მათვანის გავითარება. ეს განსაკუთრებით შეეხება არქეოლოგიურ მონაცემებსა და ისტორიული ხასიათის ხალხურ გაღმოცემებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის სახეობათა დადგენა.

გასული საუკუნის ხევში აღმოჩენილი არქეოლოგიური ინვენტარი, რომლის ერთი ნაწილი თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის X-VI საუკუნეებით, ხოლო მეორე ნაწილის თარიღდად მიჩნეულია ახალი წელთაღრიცხვის IV-VI საუკუნეები, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ყაზბეგის განძის“ სახელწოდებით. ამ განძში მრავალი სახისა და სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ნივთებთან ერთად გვხვდება ჭიხვის ჭანდაკებები, ჭიხვისავე რქები მასზე შეძლვარი ფალოსიანი მამაკაცებით, ყოჩის ქანდაკებები დაგრეხილი რქებით და სამაცულები, რომელთა ნაწილი წარმოადგენს ძროხებისა და ხარების ფიგურებს. მნიშვნელოვან კომპონენტად გვესახება აგრეთვე ცხენის მოსართავებიც. ყოველივე ეს იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ ხევის უძველესი მკეიდრი მისდევდა მე-

ცხევარობას, მსხვილფეხა მესაქონლეობას, იყენებდა ცხენს და ნა-
ღირობდა ჯიხვზე. ეს საეჭვოდ არ მიგვაჩინია განსაკუთრებით იში
გამო, რომ ხევი დღემდე მეცხოველეობის რიონიად ჩატანა და
დარგის არსებობა მისი გოგორაფიულ-სამუშაოები პირობებში მართვა
ყოველთვის კანონშომიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარტინშეურავის
კელეობისა და მონადირეობის სფეროზან არქეოლოგიური ნივთე-
ბის შემონახულობა სრულებითაც არ არის მაჩვენებელი მხოლოდ
ამ დარგების არსებობისა. მართალია, „ყაზბეგის განძში“ არ მოგვე-
პოვება არც ერთი ისეთი ნივთი, რომელიც წარმოდგენას მოგვეც-
და სამიწათმოქმედო ან სახელოსნო იარაღებზე, მაგრამ ამის მი-
ნედვით ხევის უძველეს წარსულში მიწათმოქმედების თუ მასთან
დაკავშირებული სახელოსნო საქმიანობის უგულებელყოფა მიუ-
რიცხებელი შეცდომა იქნებოდა. თვით ამ უნიკალური განძის შექმნა-
ში თუკი მოხვევთა წინაპრებმა რაიმე წლილი შეიტანეს, ეს თავის-
თავიდ უკვე ხელოსნობის მაღალი კულტურის მანიშნებელია, ხო-
ლო თუ ეს საეგებიოდ შეიძლება მოგვეჩერენოს, ის მაინც არ უნდა
იწვევდეს ეჭვს, რომ ხევის უძველეს წარსულში მეურნეობის ძი-
რითადი დარგები უნდა ყოფილიყო მეცხოველეობა და მიწათმოქ-
მედება.

ხევის ისტორიულ წარსულში ამ დარგების არსებობის შესა-
ხებ ცნობებს ვხვდებით შორეული ეპოქიდან შემონახულ ხალხურ
თქმულებებსა და გადმოცემებში. ნაშრომის პირველ თავში ზოგი-
ერთ მათგანს უკვე გავეცანით და დავრწმუნდით, რომ ოჯახის შე-
მაღვენლობასთან ერთად ეს ცნობები შეეხება აგრეთვე საცხოვრე-
ბელ ნაგებობებს, ზოგიერთ საოჯახო ტრადიციის და ოჯახის სა-
მეურნეო ყოფასაც. ბევრ სხვა გადმოცემაში ვკვდება ცნობები
იმის შესახებ, თუ სად ბალახობდა საქონლის ჭოვი ან ცხრის ფა-
რა, სად ბიბინებდა ქერის ყანა და სვილის ჭეჭილი და ა. შ. ამ ცნო-
ბების, ისევე როგორც ტოპონიმიური მონაცემებისა თუ ზემოთ
განხილული არქეოლოგიური ინვენტარის მიხედვით, შესაძლებე-
ლია ვილაპარაკოთ მეურნეობის არსებულ სახეობებზე და არა მათი
განვითარების დონეზე, მაგრამ ეინაიდან ხევი ილცური საძოვრები-
თა და მცირედი სახნავებით ცნობილ მაღალმითიან კუთხეს წარმო-
ადგენს, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაარსებობის
პირობებში წამყვანი იდგილი უკანასკნელს უნდა სჭეროდა, ხოლო
შესაქონლეობიდან განსაკუთრებით დაწინაურებული უნდა ყოფი-
ლიყო მეცხვარეობა. ისტორიული ხევის სამეურნეო ყოფას ამ
თვალსაზრისით შეხვდავს დამიანი რეტროსპექტული ანალიზის სა-
ფუძველზე, რამდენადაც ხევი დღეს მეცხვარეობის ტიპიურ რა-
ონს წარმოადგენს. მაგრამ იმისათვის, რომ ისტორიულ წარსულში

რეალური მდგომარეობა დაეინახოთ, პირველ ყოვლისა, საქონით
ვიცოდეთ, რა გარემო პირობებში უხდებოდა მეცხვირეობას ანუ
ბობა და განვითარება, პერიდა თუ არა ხევის მოსახლეობას ყოველ-
თვის იმის შესაძლებლობა, რომ ბარის საზამთრო საძოვრებზე წარმოადგინე-
ე ეყვენებინა ისე, როგორც ეს მოხევეს შეუძლია დღეს, მნიშვნელოვანი
შეეძლო თუნდაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში. ამ ის ძირი-
თადი ფაქტორი, ურომლისოდაც ცხვრის ფარების მოშენება ფუჭი
ოცნება იქნებოდა.

რა შეიძლება ითქვას საკითხის ასე დაყენებისას? ჩეენ მიღვან-
ნია, რომ წარსულში მოხევეების შესაძლებლობა ამ მხრივ ძალზე
შეზღუდული იყო. საქართველოს საზამთრო საძოვრები ისეთი მას-
შტაბისა არაა, რომ იქ ცხვრის დიდი ფარები გამოიყებათ. მოხე-
ვეებთან ერთად ამ საძოვრებს ხომ სხვა ქართველი მთიელებიც იყე-
ნებდნენ. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარე-
მოებაც, რომ ბართან მთიელების მეურნეობრივ კონტაქტს რამდე-
ნადმე ანელებდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელს ხდი-
და მტრის შემოსევა თუ ფეოდალური შინააშლილობა. წარმოვიდ-
გინოთ მოქმედი, როდესაც ქართლ-კახეთის ველებზე დათარებობ-
დნენ მონალოთა თუ ყიზილბაშთა ურდოები, რომლებიც ბაღ-ვენა-
ხებს თხრიდნენ, ყანებს წვავდნენ, პირუტყვს ქლეტდნენ, მოსახ-
ლეობას განუკითხვად არბევდნენ და ამ დროს მთიელი მწყების,
შხარზე გადებული ჯოხით, ფარის იქითენ მიერეკებოდა. განა მას
და მის ცხვარს გამოზამთრება და სახლში შევიდობით დაბრუნება
ეღირსებოდა? რა თქმა უნდა, არა! ხოლო ვინაიდან საქართველო
ხშირად იმყოფებოდა ასეთ განსაცილელში და თვით შვიდობიანობის
დროსაც მისი საზამთრო საძოვრები დიდი შეცხვარეობისთვის საქ-
მარის ბაზის არ წარმოადგენდა, ამიტომ უნდა დავეთანხმოთ მოხე-
ვე მთხრობლებს, რომლებიც დაეინებით გვიმტკიცებენ, რომ ჩრდი-
ლო კავკასიის საზამთრო საძოვრების ათვისებამდე მეურნეობის ეს
დარგი ხევში დიდი მასშტაბით არ ყოფილა განვითარებული.

მათი მითითებით, მოხევის დოკუმენტის ამ მხრივ „ბაგის ცხორი“
წარმოადგენდა. ეს გამოიტმა პირდაპირ იმ გარემოების შანიშენებე-
ლია, რომ ხევში ცხვრის რაოდენობა აღვილობრივი საკეთები რე-
სურსებით, ე. ი. ბაგური კვებით იყო ლიმიტირებული. ასეთ პირო-
ბებში ოჯახს შეეძლო სულ ბევრი თვითოდე სულის შენახვა, რამდე-
ნადაც ხევის გრძელ ზამთარში თვის თუ ჩალის უანგარიშიდ ვა-
ხატვის შესაძლებლობას აქაური მოსახლეობა მოკლებული იყო.
მატულის დიდი საქიროება რომ არა, ბაგური კვების პირობებში
ცხვრის ყოლაზე ხევის მოსახლეობა ალბათ სულ უარს იტყოდა.
ცხვარს იყენებდნენ იგრეთვე სახორცელ, ზეარავად, ვალში გასაღე-
ვნ

ბად და გადასახადებში. მინიმალური რაოდენობით ცხვრის ყოლის
პირობებში რძის პროდუქტების დამზადება უმნიშვნელო როლი
თამაშობდა. ამიტომ მოხევეების ძირითად საარსებო საშუალებების
წარმოადგენდა მსხვილფეხი მესაქონლეობა, რომლის შენაზღადობა
ზამთრო საძოვრების არსებობით არ იყო განვითობებული და მისი
გამოკვების წყაროს თივა, ჩალა და ბზე წარმოადგენდა.

იმგვარად, ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრების გამოყე-
ნებამდე ხევში მეცხვარეობა ძალშე შეზღუდული, ხოლო მსხვილ-
ფეხი მესაქონლეობა შედარებით განვითარებული ყოფილა. მეცხო-
ველეობა ხევში ვითარდებოდა დაგილობრივი საკვები რესურსების
ჩარჩოებში. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ვახუშტი ბაგრატიონის
მიერ ხევის სამეურნეო ყოფის მოკლე დახასიათება:

„ხოლო ქეობა ძევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქროილისა,
სელისა, შერივისა შთასავლით გველეთმდე. არა არს აქა ხილი,
თვინიერ მთის ხილთა; არს კოწიხერი, მოცხარი, კლდის მერსენი და
სხვანიცა ბალახთა ხილი. არს ვარდი ჭალათა მრავალფურცლოვა-
ნი და წითელი მრავალი, და სხვანიცა ყვავილი მთისანი მრავალი.
პირუტყვნი, რაც ოდენ ეტევის, მრავალი. ცხვარი უღუმო. არს
აქა მჯიხვი მრავალი ჭოვად და აზჩევი. არს ფრინველი შურთი,
გლონი და ზაფხულს შწყერი ურიცხვნი. იტყვიან ლითონს ოქროსა-
სა და ვერცხლისასა. არა არს ტყე აქა, არამედ ზიღვენ გველეთის
ქვემოდამ. ჰავით არს კეთილმშევნია”.

როგორც ვხედავთ, ვახუშტი ხევის სამეურნეო საზღვრებს
აქცევს „შთასავლით“ (ე. ი. ჯრის უღელტეხილიდან) სოფ. გვე-
ლეთმდე, ვინაიდან გველეთის ქეემოთ, დარიალის კლდოვან ხეო-
ბაში, მას აღარც მოსახლეობა ეგულებოდა და არც მიწათმოქმედე-
ბისათვის ხელსაყრელი პირობები. სამაგიროდ გველეთის ქეემოთ
ესხუშტის შეუნიშნავი არ დაჩჩნია ტყე, რომლითაც იმ დროს მო-
ხევები სარგებლობდნენ. რაც შეეხება პირუტყვს, ცალ-ცალკი
თითოეული სახეობის რიცხობრივ შემაღვენლობასა და მთიელთა
ეკონომიკაში მათი ხვედრითი წონის შესახებ ვახუშტი აზაფერს
ამბობს. იგი დაქმაყოფილდა მთილოდ იმისი აღნიშვნით, რომ ხევ-
ში პირუტყვი იმ დროს მომრავლებული იყო, ხოლო მეცხვარეობა
აქ უღუმო ცხვრის მოშენებით ხასიათდებოდა. ვახუშტი სრულებით
არ შეხებია მოხევეების მიერ საზამთრო საძოვრებით სარგებლობის
საფიხს, მაშინ, როდესაც თუშეთის მეცხვარეობის დაბასიათებისას
წერდა: „კახეთის თუშნი ინახვენ ცხვართა სიმრავლესა, ვინათვან

აქეთ ზაფხულს თვისთა მთთა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლინ
გალმა-შეარსა შინა¹.

ამ განმარტებიდან სრულიად იშეარად ჩანს, რომ „თუმცინი მის-
დევლნენ მომთაბარულ მეცხვარეობას, ხოლო „ცხოველულ კურიული ლის“ საფუძველს წარმოადგენდა საზაფხულო და საზამთრო საძოვ-
რებით სარგებლობის პირობები. ამ მხრივ სრულიად განსხვავებულ
კითარებას ხედავს ვახუშტი ხევში. მოხვევებისაც ისეთივე სამეურ-
ნეო ბაზა რომ პქონოდათ საზამთრო საძოვრების სახით, როგორიც
გააჩნდათ თუშებს, ვახუშტის ფხიშელ თვალს ეს შეუმნინეცელი არ
დაჩჩებოდა და არც მისი აღნიშვნა გაუკირდებოდა. ამიტომ, რო-
ლესაც მეცნიერი გვაუწყებს, რომ ხევში მაშინ პირუტყვი მრავალი
იყო და იქვე მიუთითებს „რაც ოდენ ეტევისო“, ეს მანიშნებელია
სწორედ იმ გარემოებისა, რომ პირუტყვის რაოდენობას აქ პირო-
ბებდა ადგილის, ე. ი. სამეურნეო-ეკონომიკური ბაზის ტევადობა,
ადგილობრივი საკვები რესურსებით წელიწადის ყველა დროში
მისი შენახვის შესაძლებლობა. რამდენადაც მთელი წლის განმავ-
ლობაში ხევში ცხვრის დიდი რაოდენობით შენახვის პირობები არ
არსებობს, ვახუშტის განმარტებაში უნდა ივულისბმებოდეს
მსხვილფეხა რქოსანის სიმრავლე.



საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და ანალი აღმინისტრა-
ციული წესრიგის დამყარების შედეგად ხევში, ისევე როგორც სა-
ქართველოს სხვა კუთხეებში, რამდენადმე შეიცვალა მცხოვრებთა
ეკონომიკური პირობები. აღნიშნული კითარება ასახვას პოულობდა
ოფიციალური ხასიათის რუსულ წყაროებში, რომელთაგან აღმო-
სავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო უოფის შესწავლისა-
თვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიგვაჩინა 6. ვილა-
შეილის ზემოთ დასახელებული მიმოხილვა. XIX საუკუნის ხევის
სამეურნეო-ეკონომიკური მდგრადირეობის შესახებ ამავე საუკუნეში
შექმნილი სხვა უფრო აღრინდელი წყარო არ გვეცულება, თუ მხე-
დველობაში არ მიიღილებთ ქართველ მთიელთა 1804 წლის აჯანყების
მიზეზების ამსახველ ფრაად საინტერესო დოკუმენტს, რომელიც
გვაცნობს გლეხთა ეკონომიკური პირობების მხოლოდ ერთ მხარეს.
ამ დოკუმენტის სათანადო მუხლებში აღწერილია მეფის რუსთის
ხელისუფლებისავან უკიდურესობამდე შევიწროებული მოხვევები-
სა და მთიულების მდგრადირეობა საქართველოს სამხედრო გზაზე
მათი შრომის არაადამიანური ექსპლოატაციის გამო. დოკუმენტი-

¹ ვახუშტი, ალწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 105.

დან აშეკრიდ ჩანს, თუ რა გავლენას ახდენდა ხალხისა და ტრაბი-
პორტის უფასოდ მუშაობა და საყუთარი მეურნეობიდან ხანგრძლი-
ვად მოწყვეტა ისედაც გაჭირებული მთიელების ეკონომიკურ ყო-
ფაზე. ხსნებული საბუთი ამ თვალსაზრისით უსათუოდ ყურადღებული
ბის ღირსია, მაგრამ მოხვევთა მეურნეობის დახასიათების ჭყარელი მიერ-
არ გამოგვადგება. ამიტომ გასული საუკუნის წყაროთა მიმოხილვი-
სას პირველ რიგში ნ. ჭილაშვილის აღწერილობას უნდა მიემართოთ.

თანახმად ამ აღწერილობისა, ხევი, მთიელეთ-გუდამიარი და
ოსებით დასახლებული თრუსოს ხეობა XIX საუკუნის პირველ
მეოთხედში შეაღენდა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელ-
საც ეწოდებოდა მთიელთა სამმართველო.

ამავე აღწერილობაში ნ. ჭილაშვილი, იღევა რა თითოეული
კუთხის სამეურნეო-ეკონომიკურ მიმოხილვის, ცალკე გამოყოფს
ხევს, რომლისთვისაც უცნობი იყო მებაღეობა-მებოსტნეობა. ნ. ჭი-
ლაშვილის ცნობით, მოხვევები იმ დროს მიწას ხნავდნენ კავში შებ-
მული უდელი ხარით, თესავლნენ ქერს, ხოლო ზოგან მოპყავდათ
ხორბალიც. ნიადაგს არ ასევნებდნენ. პურს ყოველწლიურად ყი-
დულობდნენ საქართველოს სხვა რაიონებში და თვით ვლადიკავ-
კაზს იქით — ნაზრანში. უტყვეობის გამო საწვავიდ იყენებდნენ წი-
ვას. სამაგიეროდ სარგებლობდნენ საქმიოდ ვრცელი და კარგი სა-
თიბ-საძოვერებით. მოსახლეობა მისდევდა მეცხვარეობას; ჩაიდან ამ-
ზადებდნენ ყველს, მატყულისაგან აწარმოებდნენ მთის მაუდსა და
ნაბაღს, ხოლო ტყავებისაგან — უბრალო ქურქებს.

ნ. ჭილაშვილის დაკვირვებით, მაშინდელ ხევში საყოველთაო
სიღარიბე სუფევდა. სიღატაებში მყოფი მოხევეების არსებობის
ერთადერთ სამუალების და შემოსაელის წყაროს წარმოადგენდა სა-
ქართველოს სამხედრო გზით მთებზე ამუნიციისა და სავაჭრო სა-
ქონლის გადაზიდვა. მათ ტეირთი გადაპქნდათ საპალნით, ვინაი-
დან ამ მთებში ბორბლიანი ტრანსპორტის გამოყენება შეუძლებე-
ლი იყო. აქ ზაფხულშიც კი შერალ მიწაზე მარხილებს დაათრევდნენ.

როდესაც ნ. ჭილაშვილი ასეთ სამეურნეო ვითარებასა და მო-
ხევეებზე გაწერილ გადასახადებს გაეცნო, აშეკრა შეუსაბამობა
დაინახა რეალურად არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და სა-
გადასახადო ნორმებს შორის. მან ხევსა და თრუსოს ხეობაში უფ-
რო დიდი ყალანის (მიწის გადასახადი) არსებობა დაამოწმა, ვიღრე
მეზობელ მთიელეთ-გუდამიარში, მაშინ როდესაც, სამეურნეო
პირობებით მთიელეთ-გუდამიარი ხევსა და თრუსოსთან შედარე-
ბით უკეთესად გამოიყურებოდა. ნ. ჭილაშვილის შეხედულებით,
ხევის ღარიბი მოსახლეობა ძველთავანვე უფრო მძიმედ ყოფილა
დაბეგრილი, ვიღრე მოხვევებზე შეძლებული ბარელები. ამ მოვ-

ლენას ნ. ჭილაშვილი იმით ხსნის, რომ ხევს შედარებით ნაკლებად უწევდა მტრისგან განადგურება, რის გამო მეფის ხელის ატალაბაც შეიძლობიან პირობებში მყოფი მოსახლეობისაგან შეცდა მოითხოვდა. იგი აქვე იმოწმებს ერთ ხალხურ გადმოცემის ფართის მოხევეები ღდესლაც მეფეს აუჯანყდნენ და მეფემ მთავარი მძიმე გადასახადები დაუწესაო.

კინაიდან ნ. ჭილაშვილის ეს არგუმენტი ვარაუდს წარმოადგენს და კატეგორიულ მტკიცებას არ შეიცავს, ზედმეტად მიგვაჩინა მასი კრიტიკული განხილვა. ამ შემთხვევაში შეიძლება დაეკმაყოფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ მოხევის გადასახადი არავითარ შემთხვევაში ბარელი მეტანის გადასახადზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ კახეთის სამეცნიერო-ეკონომიკურ პირობებთან შეფარდებით შევხედავდათ გადასახადის მოცულობას, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხევისათვის ერთი მანეთი უფრო მძიმე ბევრა ყოფილიყო, ვიდრე, მაგალითად, კახელისათვის ხუთი მანეთი. ალბათ ეს ჰქონდა მხედველობაში ნ. ჭილაშვილსაც, როდესაც მოხევეების გაჭირვებას გვაცნობდა, თორებ სხვაგვარად თეორიულადაც კი წარმოადგენელი იქნებოდა სოციალური მდგრადეობით ბარელებზე თავისუფალი მთიელები უფრო მძიმედ დაბეგრილნი ყოფილიყვნენ.

ნ. ჭილაშვილი თვითონ ყოფილა იმისი მოწმე, როდესაც მომკიდებული თუ აუღებელი პური მინდვრად წევიძი ლპებოდა, ვაჩაიტან მამავაცები ბეგარაზე იმყოფებოდნენ, ხოლო ქალები ვეღარ ასდებოდნენ შემოდგომის შრომატევად საქმიანობას. ძნელი წარმოსაჭდები გვია, რომ ასეთ პირობებში ქირით ტვირთის ზიდეა ხევში უშვილი გადასავალის საფლის მთავარი წყარო ყოფილიყო. ზოგიერთი ასეთი გაუგებრობის მიუხედავად, ნ. ჭილაშვილი მოხევეების საერთო ეკონომიკურ მდგრმარეობას სწორად აფისებდა. მას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ რეალური ვითარების შეფასებაში, როდესაც ხევს ღარიბ კუთხედ ვინია ტავს და ქაურთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების საეითხს აყენებს.

ნ. ჭილაშვილის ცნობით, XIX საუკუნის 20-იაზი წლების ხევში არსებობდა გლეხთა სამი კატეგორია: სახელმწიფო, საბატონო და საეკლესიო. აქედან 89 კომლი ყოფილა საბატონო და საეკლესიო გლეხი, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა შედგებოდა სახელმწიფო გლეხებისაგან. ნ. ჭილაშვილი მოითხოვდა, რათა საბატონო და საეკლესიო გლეხის ოჯახისთვის დაეკისრებინათ მხოლოდ 1 მანეთი კომლობრივი გადასახადი, ხოლო სახაზინო გლეხის ოჯახის გადასახადი შეემსუბუქებინათ 1—2 მანეთით. ეს მაშინ, როდესაც კომლობრივი გადასახადი, რომლის გამოღება ძველი ნატურით ხდებოდა, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ უმთავრეს შემთხვევაში 3 მან. და 50 კაპ. ცერცხლს შეადგენდა. გადასახადის ღირებულებაზე წარმოდგენის შესაქმნელად უნდა აღინიშნოს, რომ ხევში ნ. ჭილაშვილის მისელამდე ცეკარი შეფასებული იყო 1 მანეთად, ხოლო მისი იქ ყოფნის დროს ცეკრის ღირებულება უკვე 2 მანეთს შეადგენდა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნ. ჭილაშვილი შეეხო აგრეთვე მიწის გადასახადის (ყალანის) მოწესრიგების საქმეს. როგორც იგი წერს, მოხევეს უფლება პქინდა თავისი ნაკვეთი გაეყიდა, ვალში მიეკა, ან სისხლის საურავში გაეღო. ეს გარემოება იწვევდა სახელმწიფო შემოსავლის შემცირებას, ეინაიდან, ძველი ჩვეულების მიხედვით, გასხვისებულ მიწაზე გადასახადის გაწერა აღარ ხდებოდა. ამიტომ სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით მან საჭიროდ დაინახა, რათა აქრძალულიყო სახაზინო მიწების გასხვისების ეს წესი, მომხდარიყო ნადელების გამოყოფა და ამის შესაბამისად განხორციელებულიყო ყალანის თანაბრად გაწერა.

ამგეარად, ნ. ჭილაშვილის ეკონომიკური მიმოხილვის მიხედვით, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მოხევეების საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, შინამრეწველობა და საქართველოს სამხედრო გზაზე ტვირთის ზიდვა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხევის სამეურნეო ყოფის შესახებ თუ მარტო ნ. ჭილაშვილის აღწერილობა გამჭვირნდა, უცხადდა გიროდ მის მეორე ნახევარში ამ საკითხისადმი იჩქრიული გამჭვირნდა კუთრებით გაცხოველდა. ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური პირობები ასლა უკვე შეისწავლებოდა ეროვნულ-განმათავის უფლებელ მოძრაობასთან კავშირში. ამ თველსაზრისით საკითხის დასმა და გაშუქება, პირველ ყოველისა, ილია ჭავჭავაძის სახელთან არის დაკავშირებული. დამახასიათებელია, რომ პირველი საპროგრამო სიტყვა ილიამ თავის გენიალურ „მგზავრის წერილებში“ თქვა. ეს სიტყვა, პირველ რიგში, მოხევეების ცხოვრების პირობებს შეეხებოდა, ხოლო მწერლის კონცეფციის წყაროს მოხევისავე ნამშობი წარმოადგენდა.

გარდა იმისა, რომ ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ ხევის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ბევრ საყურადღებო მოვლენას აშენებს, მთხოობლის ნაამბობზე დაყრდნობით ის ეხება მოხევეთა მეურნეობასა და საქმიანობასაც. ისევე როგორც სოციალური ურთიერთობის სფეროდან, მოხევეების ეკონომიკური ყოფილანაც ილიას სააშეარაოშე გამოაქვს მხოლოდ ცხოვრების საჭიროობოტო საკითხები. სხვაგვარად გაუგებარი იქნებოდა, რატომ მხოლოდ მიწისა და ქირაზე სიარულის შესახებ წარიმართა ილიას მსჯელობა მოხევესთან და არა მესაქონლეობის შესახებ. ილიას წინაშე ეს საკითხი იმიტომ არ დასმულია, რომ მესაქონლეობა მაშინდელ ხევში მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა და მისი განვითარების დონით ხევის მკვიდრიც რამდენადმე ქმაყოფილი იყო, სამაგიუროდ მოხევე მწვავედ განიცდიდა სახნავი ნაკვეთების სიმცირით გამოწვეულ სიდუხჭირეს და მისი ჩიებილიც ამიტომ ამ საკითხს შეეხებოდა: „თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექნების, ვიწროდ ვარნ“ — ამ სიტყვებით ხატველა მწერალი არსებულ ვითარებას. ისევე უქმაყოფილებას განიცდიდა მოხევე იმიტომაც, რომ ქირაზე ნაშოვნი გროშები აგიბეჩი არ რჩების: მთის კაცი მახევე სვამების კერძია. ჭამადი-სმადი არაა სახლი, ნაშოვერ დუქანი მიდის“.

ილია ჭავჭავაძის შემდეგ ხევის სამეურნეო ყოფის განსაკუთრებით ერცლად შეეხო ალ. ყაზბეგი. მან, როგორც მოხევეთა ცხოვრების შეუდარებელმა მცოდნებ, ხევის ისტორიული წარსულისა და ყოფის მრავალ სხვა საინტერესო საკითხთან ერთად, თავის ეთნოგრაფიულ, პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოებებში სათანადო აღგილი დაუთმო სამეურნეო-ეკონომიკური მდგრადურობის

ამსახველ მასალებს და მათი სათანადო გაშუქებაც მოგვია. აღ.
ყაზბეგის შემოქმედების გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება რომ
მეურნეობის ძირითად დარგებს აქ მესაქონლეობა და მიწათმოქმედება
დარგი წარმოადგენდა, ხოლო დამხმარე საქმიანობას განეკუთხისტებოდა
და საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა, ქირით ტვირთის წილი მოიხსენიერდა.

ნარკევეში — მოხევეები და იმათი ცხოვრება — აღ. ყაზბეგი
შენიშნავს, რომ ხევის უტყეო და გახრევილი მოები, წვიმებისაგან
ჩამორეცხილი ფერდობები და კლდის ჩამონაშალით სავსე მინდვა-
რები გამორიცხავდა ხენა-თესვით აქაური მოსახლეობის დაკამაყო-
ფილების შესაძლებლობას. ერთ-ერთ ლექსშიც ("ჩემო ქვეყანავ")
აღ. ყაზბეგი თავის ქვეყანას მაღალმთიანსა და ხრიოქს უწოდებს,
რომლის „კიდეთა ბენივნი უღელის ხარით ხენიანო“. ნიადაგის
სიმწირე მიაჩნდა მწერალს პირად საკუთრებაში სახნავი აღვილების
მფლობელობის განშესაზღვრელ პირობადაც, როდესაც ის აღ. ხახანა-
შვილს ატყობინებდა: „საძოვარი, მთა თუ ბარი კუთხონდა საერ-
თოდ ერობას და ეისაც რამდენი საქონელი ეყოლებოდა, შეეძლო
თავისუფლად ეძოვებინა (ცხლა ესეც შეიცვალა და ამ გვარი საძოვ-
რები დაუსაკუთრა ახალმა დებულებამ ან თვითეულს პირს, ან
თვითეულს სოფელს და ან თვითეულს გვარს).

საკუთრებად უძრავ მამულში მხოლოდ სახნავები პქონდა,
რაღაც ქვინის აღვილის მოკეთება და სახნავად გამოყენება
დიდ შრომას და მოვლას ითხოვდა". ასეთ ვითარებაში მოხევეთა
დამშმარე საქმიანობად მწერალს მიაჩნდა ქირაზე სიძრული ვლადი-
კავკაზა და თბილის შორის. „რასაკვირველია, ეს სამუშაო, —წერს
აღ. ყაზბეგი ზემოხსენებულ ნარკევეში, — როგორც ცხოვრებისა-
თვის საშუალება, მოხევეებისათვის დიდი ღვთის წყალობა არის.
მაგრამ რომ იცოდეთ, რამდენი ხათაბალა მოსდევს ამ შრომას, გა-
მტერებული დარჩებოდით, თუ როგორიცა დადინ მოხევეები ქირა-
ზედ და ენერგია დაკარგული ყველაფერს თავს არ ანებებენ და
არ გადაკარგებიან საღმე?“ აღ. ყაზბეგის დაკვირვებით, ქირაზე
მავალი მოხევეების მდგომარეობას ართულებდა მათი შრომის
კქსპლოატაცია და ვაუთვალისწინებელი ხარჯები. მწერალი და-
წერილებით გვაცნობს მაშინდელ მოხელეთა მოერ ბარგის მზიდაერ
მოხევეების ძარცვის მრავალნაირ ფორმას, რითაც მწერალი ეხმაუ-
რება კაპიტალისტური ურთიერთობის გარემოში ჩავარდნილი მთიე-
ლის შძიმე მდგომარეობის შესახებ ილიას „მგზავრის წერილებში“
დასმულ საკითხს.

ვარდა ქირახე სიარულისა, მოხევეთა დამხმარე საარსებრ, სა-შუალებად აღ. ყაზბეგის მიაჩინდა საქართველოს სამხედრო ქაზე მუშაობაც. სხვა სახის სამუშაო XIX საუკუნის ხევში მწერლის არ ეგულებოდა. მისი ეს შეხედულება ასახულია ერთ-ერთში შრომით ბის („ცირკა“) გმირთა დიალოგში. ძალის (ახლანდელი ქ. ორჯონიშვილები) ბაზარში ბეჭია შეხვდება მოხევის დედაკაცს, რომელიც ქალაქის საავადმყოფოში მრეცხავად დამდგარა. ბეჭიას შეკითხვაზე, თუ რატომ გაბედა მმ სამუშაოში ჩაბმა დედაკაცმა, ეს უკანასკნელი პასუხობს: „ამჟ. ჩემო ცველავ!.. რაღა საქმეს ვიშვენიდი?.. ვზაზედ სამუშაოდ ვერ დავდგებოდი და ცხო საქმე კი ჩვენში არაა“. აქედან ნათელია, რომ ხევში აღ. ყაზბეგი გარე სამუშაოებიდან შემოსავლის დამხმარე წყაროდ თელიდა მექირავნეობასა და გზაზე მუშაობას, რომელთავან თრივე მამაკაცის საქმედ იყო მიჩნეული.

ისედაც ცნობილია და აღ. ყაზბეგის ნაწარმოებებიდანც კარგად ჩანს, რომ ხევში მამაკაცთა ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე ისეთი უძეველესი ტრადიციების მქონე დამხმარე საქმიანობა, როგორიცაა მონალიზობა. მმ საქმიანობისაღმი მოხევეების დიდი მიღრევილების მაჩვენებელია თვით ის მრავალფეროვანი ჩვეულებები, რომლებსაც აღ. ყაზბეგი მისთვის ჩვეული ისტატიონით გვაცნობს თავის შემოქმედებაში. აღვილობრივი მოსახლეობა იყენებდა ჯიხვის ხორცს, ტყავსა და რქას. როგორც ერთ-ერთი ნაწარმოებიდან ჩანს, შემოღვმაზე ჯიხვის ხორცით მომარიავება ხევში მიღებულ წესს წარმოადგენდა. ამიტომ ათქმევინა მწერალმა დედასთან საუბარში თავის ერთ-ერთ გმირს ციცქას: „მე მთაწი ნადირობ წავალ და ამაღამ იქ დავრჩები, ხვალ დილით გზას შეუკრამ, ეგების რამდენიმე ნადირი მოვკლა... თორემ სთველი მოვიდა და ჩვენ კი დამარილებული ხორცი არა გვაქეს“ (მოთხრობა „ციცქა“).

უოველივე ეს გარევეულ როლს ასრულებდა მოხევეთა ეკონომიკაში, მაგრამ მათი ცხოვრების მთავარ წყაროს აღ. ყაზბეგი ხედავდა მესაქონლეობაში, რომელიც მას მეურნეობის წამყვან დარგად ესახებოდა. მწერალი განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებდა მაშინ უკვე შზარდისა და დიდი პერსპექტივების მქონე მეცნევარეობას. მეცნევარეობის საქმიანოდ დიდ განვითარებაზე მივვითოთებს მისი „ნამწევემსარის მოვონებანი“, რომელშიც ნამეცნევარალი ივტორი დაწერილებით გვაცნობს მეცნევარეობის ორგანიზაციის, მისი მთაბარობის შარმრუტებს, ყველა არსებულ სიძნელესა და მეცნევარეობის სასაქონლო მნიშვნელობას. სომეხი ვაჭრების სიარული ხევშა მატულის შესაძენად და თვით უცხოელების ამ მიზნით იქ მოსვლა, რომლებსაც მწყემსად მყოფი მწერალი ფრანგულად გამოელაპარა-

კა, მანიშნებელია იმისა, რომ კაპიტალიზმის განვითარების პირობებში მეცხვარეობიდან მიღებულ ნედლეულზე მოთხოვნილურა ისრდებოდა. მაშასადამც, მეცხვარეობის მნიშვნელობა თანდაოზე განიცილებოდა შინამოთხოვნილების ფარგლებს და ის საჭიროებული სახარისხის განვითარების სახელმწიფო და სახარისხო სახელმწიფო სახარისხის განვითარებად დარგს მეცხვარეობა წარმოადგენდა, რელიეფური სიცხადით გამოიყენა პეტრე უმიქაშვილთან კამათის ფონზე.

აღ. ყაზბეგის შეხედულება იმის შესახებ, რომ ხევში იმ დროს განვითარებად დარგს მეცხვარეობა წარმოადგენდა, რელიეფური სიცხადით გამოიყენა პეტრე უმიქაშვილთან კამათის ფონზე.

1882 წელს გამ. „დროებას“ 270-ე ნომერში 3. უმიქაშვილმა გამოაქვეყნა წერილი — „თერგის ხევი და მთიულეთი“, რომელშიც შეეხო ბაქოს რეინიგზის ვახსნასთან დაკავშირებით მთიულებისა და მოხევების მომავალ ეკონომიურ მდგომარეობას. ის შიშს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მთიელების ცხოვრების პირობები გაუარესდებოდა, ეინაიდან მიერიდან ტვირთის ზიდვა რეინიგზით იწარმოებდა, ხოლო მოხევეებსა და მთიულებს, რომლებიც ქირაუ სიარულით ირჩნენ თავს, შემოსავლის წყარო მოესპობოდათ. ეინაიდან 3. უმიქაშვილს მთაში ცხოვრების სხვა საშუალება არ ეგულებოდა, მან უმჯობესად მიიჩნია მოხევეები და მთიულები საცხოვრებლად გადასულიყვნენ ისმალეთის მონობიდან განთავისუფლებულ აქარაში, ანდა დაუფლებოდნენ რაიმე ახალ ხელობას, სახელდობრ, ქვის მთლელობას და კალატოზობას.

1883 წელს იმავე გაზეთის მეოთხე და მეშეიდე ნომრებში 3. უმიქაშვილს საპასუხო წერილით („მოხევეებისა და მთიულების მდგომარეობა მომავალში“) გამოიხმაურა აღ. ყაზბეგი, რომელიც არ იშიარებს 3. უმიქაშვილის შტკიცებას მთიელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. აღ. ყაზბეგის შეხედულებით, რაც ემყარებოდა მთიელთა სამეურნეო ყოფის საფუძვლიან ცოდნას, მოხევეებისა და მთიულების ძირითად საარსებო წყაროს ქირაუ სიარული კი არ წარმოადგენდა, არამედ მესაქონლეობა, რომელსაც გააჩნდა ზრდისა და განვითარების დიდი პერსპექტივები.

მესაქონლეობის განვითარების საფუძვლად აღ. ყაზბეგს მიაჩნდა მთის საზაფხულო საძოვრები და იმ დროს უკვე ცხვრის გამოსაზამთრებლად გამოყენებული ჩაჩნდეთის მინდვრები. შეერალი კარგად ხედავდა, რომ მთაში მესაქონლეობის არსებული დონის ერთიათად ამაღლების შესაძლებლობა აჩისებობდა, ხოლო ამის დამაბრკოლებელ მიზეზად მას ესახებოდა საძოვრების უთანაბრო განაწილება სოფლებს შორის და რიგ შემთხვევაში, ცალკეული პირის მიერ მთების დასაეუთრება. 3. უმიქაშვილისადმი საპასუხო წერილში აღ. ყაზბეგი აღრმავებდა და ვეითარებდა იმ შეხედულებას მთიელთა სამეურნეო-ეკონომიური პირობების შესახებ, რომელიც

მას დასაბუთებული პქონდა 3 წლით აღრე გამოქვეყნებულ ფა-
ლეტონებში („მოხევეები და იმათი ცხოვრება“) და ის ხევნა-
შეკილთან მიმოწერაში. ამ საკითხს აღ. ყაზბეგი იდევ ერთხელ
შეეხო თავის ერთ-ერთ დაუმთავრებელ წერილში, რომელიც მას შე-
ვე, როგორც ზემოთ განილულ წერილებში, უკაყაფილებას გა-
მოთქვამდა მესაქონლეობის არსებული მდგომარეობით და ხალხის
კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, მოითხოვდა მესაქონლეობისა-
თვის ხელსაყრელი პირობების მაქსიმალურად გამოყენებას, შეურ-
ნეობის ამ დარგის შემდგომ დაწინაურებას (აღ. ყაზბეგი, თხ. ტ.
V, 1950 წ. გვ. 511).

აღ. ყაზბეგმა თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ერთიმეო-
რის სპეციალისტის განხილა მეცნევარეობით და ქირაზე სიარუ-
ლით მიღებული შემოსავალი და არსებული ხარჯები, რეალური შე-
მოსაველის წყაროდ სცნო მეცნევარეობა, ხოლო წერილში — „მოხე-
ვეებისა და მთიულების მდგომარეობა მომავალში“ — აღნიშნა:
„ქირის ზიღვას, გარდა ომიანობის გრძისა (ივლისსმება რუსეთ-
თურქეთის ომი 1877—1878 წ. — ვ. ი.), როდესაც ფუთი ქირა სამ
პანეთმდის ასულა, თავის დღეში სარგებელი არ მოუტანია მთის
ხალხისათვის და არც იღესმე მოუტანს, თუ იმ პირობებს თავიდგან
კერ აიცილებენ, რომელშიაც ეხლა დგანან“. მწერალს მხედველო-
ბაში აქვს სხვადასხვა ჭურის მოხელეთა შიგრ მთიელთა შეუბრალე-
ბელი უვლეფა და ხშირ შემთხვევაში მათი ბევრაზე გაუვანა ყო-
ველგვარი ანაზღაურების გარეშე, რის შესახებაც წერდა კერ კიდევ
შემოხსენებულ უვლეტონებში.

როგორც ვხედავთ, აღ. ყაზბეგი ხევს წარმოგვიდგენს სახნავი
მიწებით ღარიბ კუთხედ, საღაც ხალხის არსებობა ძირითადად და-
მოკიდებული იყო მესაქონლეობაზე, განსაუკორებელი შზარდ შე-
ცნევარეობაზე. რაც შეეხება მთიელთა დამხმარე საქმიანობას, მწე-
რალი ამათვან ვრცლად ეხება ქირაზე სიარულს, რომლის სარგებ-
ლიანობა ძირითადად გარკვეულ კითარებაზე (სახელდობრ, ომიანო-
ბაზე) ყოფილა დამოკიდებული. ეთნოგრაფიული მასალებიდან და
პერიოდული პრესის მონაცემებიდანაც ჩანს, რომ ომიანობა და ვაჭ-
რობის განვითარება ასევე ზრდიდა ტრანსპორტისა და საქართვე-
ლოს სამხედრო გზის მნიშვნელობას შემდგომ პერიოდშიც, რო-
მელსაც აღ. ყაზბეგი აღარ მოსწრებია.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პირობებში სა-
ქართველოს სამხედრო გზა ვაჭრების, მოიგარადრებისა და მეფუნ-
დუკების მომგებიან ობიექტად იქცა. ვაჭრობის გაფართოების
კუალდაცვალ გაიზარდა მოთხოვნილება ტრანსპორტზედაც. ისინი
სავაჭრო საქონელს ეზიდებოდნენ ვლადიკავკაზიდან თბილისამდე

და უკან. მოხევეები ხალისით ჩაებნენ შათოვის სასარგებლო საქმირ-ანობაში. თავდაპირეელად გაშევ ძალად იყენებდნენ ულელ-ზორი, ხოლო შემდევ ხარი შეცვალა ცხენში, რომელიც გზის შედარებით მოკლე დროში ფარავდა (ხარებით მგზავრობა კლადიკაზე მიმდინარე გრძელდებოდა 7—8 დღეში, ცხენით კი — 5 დღეში) და ხარჯსაც ნაკლებს თხოვლობდა. ყოველივე ამის გამო ცხე-ნით სიარული გლეხს მეტ სარგებელს აძლევდა.

იმ მთხრობელთა გადმოცემით, რომლებსაც თეითონ უვლიათ ქირაზე (ანდა ამ საქმეში ნაცადი მამების მონაყოლიდან იყიან), ერთი ცხენის ურეზე დებდნენ 30 ფუთს. ამას ემატებოდა ცხენის საკებიც, ხოლო როდესაც მეურმეც ზედ ჭდებოდა, ტვირთი 40 ფუთამდე აღიოდა. მეურმეები ღამით დგებოდნენ ფუნდუკებში, რომლებიც მოწყობილი იყო ერთიმეორისაგან ოციოდე კილომეტ-რით დაშორებულ პუნქტებში: კადირიავაზში, ლარსში, ყაზბეგში, კოში, მლეთში, ცასანაურში, ანაურში, დუშეთში, მცხეთასა და თბილისში. ვინაიდან ამ გრძელი გზის დაფარეა მრავალ სიძნელესთან იყო დაკავშირებული და ტვირთის გადასაზიდადაც ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ურემი იყო სპირტი, მეურმეები ჭინილნენ აღალს, რო-მელსაც ხელმძღვანელობდა აღალბაში (აღალის უფროსი). მგზავ-რები აღალბაშად ირჩევდნენ გამოცდილ, სანდო და რუსული ენის მცოდნე კაცს, რომელსაც ევალებოდა საქონლის პატრონთან გარი-გება და აღალის ხელმძღვანელობა.

ყოველგვარი ხარჯის შემდევ კლადიკავეაზიდან თბილისამდე ერთი ფუთის გადატანაში მეურმეს რჩებოდა 4 შაური, მაშინ რო-დესაც ცხვარი საშუალოდ 3 მანეთი ღირდა, ხოლო ბატეანი 6-7 აბა-ზად ფასობდა. ამის შესაბამისად გზის დაფარები მოხევე ფუთზე 4 შაურის ანგარიშით 30 ფუთში ინაღდებდა 6 მანეთს, ე. ი. 2 ცხვრის ღირებულებას. თევში მეურმეს შეეძლო საშუალოდ 5 ასე-თი გველა, რის შედეგად მისი თეიური შემოსავეალი აღწევდა 10 ცხვარს ანუ 30 მანეთს. თუ ამ ფასებს ცხვრის ახლანდელ ღირებუ-ლებას (საშუალოდ 50 მანეთს) შევცუალდებთ, გამოვა, რომ, თანა-მედროვე საბჭოთა ფულის კურსის მიხედვით, მეურმე თევში აკე-თებდა 500 მანეთს.

მგზავრობაში გაწაუვისა და ვაჭართა საქმიანობის გაცნობის შემდევ მოხევეები ვაჭრობასაც ხარბად დაეწაფენენ. კლადიკავეა-ზში ფევილის ყიდვა, თბილისის ან დუშეთის ბაზარზე მოგებით გა-ყიდვების მიწნით, ანდა საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში ღვინის თუ სხვა სისის საქონლის გატანა მოხევეების ერთ-ერთ შემოსავ-ლიან საქმიანობად იქცა. თუ თავდაპირეელად ქირაზე გასელა მო-ხევეს მხოლოდ საზაფხულო სამუშაოების დამთავრების შემდევ

უხერხდებოდა, შემდეგში, როდესაც მათ მგზავრობას აწეს და გადა-
ქო ქირას“ გემო გაუგეს, საოჯახო შრომის თრგანიშაკია გამოიყენება
ცვლილების განიცდის. შრომელ მამაკაცთა წრილან გამოყოფთა
ე. წ. მ ე უ რ მ ე, რომლის მოვალეობას შეადგენდა მაშინაც და და
სიარული.

ასეთი ვითარება გვეხატება ხევში ჩვენ მიერ შეკრებილი ეთ-
ნოგრაფიული მასალების მიხედვით. ეს ცნობები შეეხება XIX სა-
უკუნის დასასრულსა და XX საუკუნის 20-იან წლებს. მთხრობლე-
ბის გაღმოცემით, ქირაზე სიარული მოხვევებს განსაკუთრებით დიდ
შემოსავალს აძლევდა პირველი იმპერიალისტური ომის წლებში
(1914—1917 წწ.), ვინაიდან ტრანსპორტზე მოთხოვნილება გაიზარ-
და სამხედრო საჭიროებათა გამო. შემთხვევითი როდი იყო, რომ
ალ. ყაზბეგიც ტრანსპორტზე მოთხოვნილების მიზეზად ომიანობას
ასახელებდა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ალ. ყაზბეგი იმაზედაც
მიუთითებდა, რომ ასეთი სიტუაციის გარეშე ქირაზე სიარულს ზა-
რალი სდევდა. 1881 და 1883 წწ. ალ. ყაზბეგის ეს ნათქვამი მისგან
დამოუკიდებლად დაადასტურა ნ. ნიკიფოროვმაც 1887 წელს გა-
მოქვეყნებულ ნაშრომში. ის დამპტეროლებელ მიზეზად თვლილა,
ერთი მხრივ, ტრანსპორტისა და გამწევი ძალის ნაკლებობას, ხოლო,
მეორე მხრივ, სამხედრო ბევრას. ნ. ნიკიფოროვის მითითებით,
ვლეხის მდგომარეობას აზოულებდა სეზონური სამუშაოებიდან
მოწყვეტა და ის გარემოება, რომ სამხედრო უწყება მას ფასს უხ-
დიდა ტეირთის გადატანაში, ხოლო უკან დაბრუნებისას ვლეხს ცა-
რიელი ურმით უხდებოდა გზის დაფარვა. ასეთ პირობებში ქირა მას
ზარალის მეტს არაფერს აძლევდა.

ალ. ყაზბეგისა და ნ. ნიკიფოროვის მიერ აღწერილ მდგომარე-
ობასთან შედარებით შემდეგ ხანებში მექირავნეთა პირობები გა-
უმჯობესებული ჩანს. ამის საფუძვლად მიგვაჩნია აღებ-მიცემობის
შემდგომი განვითარება და ტრანსპორტზე მოთხოვნილების გაზრდა,
მაგრამ ამ მოვლენობის პერიოდშიც არ შეიძლება ყოველთვის მეურ-
მისათვის სასაჩვებლო პირობები ყოფილიყო შენარჩუნებული.
როგორც ყოველ სხვა საქმიანობას, ქირაზე სიარულსაც ქვინდა
თავისი აღმაღლობისა და დაქვეითების პერიოდები. ეს კარგად ჩანს
პრესის მონაცემებიდანაც. მხედველობაში გვაძეს 1901 წელს გან „ივერიის“ 134-ე და 135-ე ნომრებში ს. შადურის მიერ გამოქვეყ-
ნებული ხევის სათვო ყრილობის განაჩენი 20 მუხლად, რომლის
შესავალ ნაწილში ცეითხულობთ: „წარსული მარტის პირველს სოფ.
სტეფანწმინდაში მთლად ხევის ყრილობა მოხდა. საგნად ქორწი-
ლებისა და ქელეხების ხარჯის შემცირება პერნდათ. ვინ იცის, კიდევ
სადამლის გასტანდა ეს ხალხის ცუდ-უბრალოდ გამაღატაკებელი და

დამღუპავი ჩეკეულება, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე და მოხევთათვის მუშაობა და ქირის ზიდვა არ მოსპობილიყო. დაინახეთ მოხევებმა, რომ ამ ვიწრო ხევში მომწყვდეულთ გამორჩენა აღარსიღვანა გვაქვს და უშოვნელობა-უქონელობამ „რჯულთურის“ ციტატით და ცესი ჩეკეულების „შეცვლა გვატიქრებინა“...

როგორც ვხედავთ, გარდა სტაბილური შეურნეობისა (შესაქნლეობა და მიწათმოქმედება), რომლის შესახებ ხევის ყრილობის განაჩენში არაფერი თქმულა, მოხევეების „გამორჩენის“, ე. ა. ცულადი შემოსალის წყაროს წარმოადგენდა გზაზე მუშაობა და ქირით ბარგის ზიდვა. მოხევეთა ცხოვრებაში ამას იმდენად მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია, რომ ოდითვან არსებული „რჯულთუმტკიცესი ჩეკეულების“ შეცვლისა და შესაბამისი ხარჯების შემცირების საკითხი უშუალოდ აღნიშნულ საქმიანობათა მოსპობის გამო დასმულა. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ სიტყვა „მოსპობა“ აქ უადგილოდ ნახმარი ჩანს, რამდენადაც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა და ტრანსპორტის მოძრაობა არასოდეს არ შეწყვეტილა. ზემოთ განხილული წერილობითი წყაროებიდან და ჩეკე მიერ შეკრებილი მასალებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ გზაზე მომუშავე ან ქირაზე მოსიარულე კაცის შემოსავალი უოველთვის ერთნაირი არ იყო, მაგრამ ერთია მდგომარეობის გაუარესება, ხოლო მეორეა აღნიშნული საქმიანობის მოსპობა. ამიტომ ხევის ყრილობის გადაწყვეტილებაშიც „მოსპობის“ ქვეშ უსათუოდ უნდა ივულისხმებოდეს სხენებულ სამუშაოთა დაქვეითება და შემოსავლის შემცირება, რომლის ლოგიურ შედეგსაც წარმოადგენდა ზემოხსენებული ლონისძიების შემუშავება. ხევის ყრილობის განაჩენი წარმოადგენს უაღრესად საინტერესო დოკუმენტს, რომელიც გვაჩენებს აღნიშნულ საქმიანობათა მერყევ მდგომარეობას, მის ცვალებადობას.

მაშესაღამე, ალ. ყაზბეგი პ. უმიკაშვილთან პაექრობის დროს სწორ პოზიციაზე იდგა, როდესაც შემოსავლის ამ წყაროს ის მინინევდა ეპიზოდურად სასარგებლო, მაგრამ რიგ შემთხვევაში უსარგებლო საქმედ, ხოლო მთიელთა ცხოვრების გაუმჯობესების რეალურ გზად სახადა მესაქონლეობის შემდგომ განვითარებას.

ალ. ყაზბეგის მოღვაწეობის პერიოდში კაცებისის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის სფერო საქმაოდ გაფართოვდა. იმდროინდელ სერიულ გამოცემებში სისტემატურად იბეჭდებოდა შრომები, რომლებშიაც ცალკეული მაზრების მიხედვით შექდებოდა სახელმწიფო გლეხთა ეკონომიკური ყოფის საკითხები. დუშეთის მაზრის შესახებ, რომელშიაც აღმინისტრაციულად ხე-

ვიც შედიოდა, ასეთი ნაშრომი გამოაქვეყნა ნ. ნიკიფოროვის XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოხევეების ძირითად საპრეზიდენტო სამართლებად ის მიწათმოქმედებასა და მეცნიერებების დანახმად მისი სწორი დაკვირვებისა, ხევის მწირი ნუფუზორუმულუ-ზედაც უმთავრესად ქრისტი მოქადაც, სისტემატურად საციროებდა ნაკელით განვიყირებას. მისი უნივერსიტეტი, დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ე. ი. ხევში, გარდა ყაზბეგებისა და კობიაშვილების (ცეტორის მხედველობაში ჰყავს სტეფანწმინდელი და დუშელი აზნაურები, რომლებიც ხევში თავიანთ პრივილეგიებს ინარჩუნებდნენ) მიწებისა, საჩინავი ნაკელები ეკუთხოდა ხაზინას, რის გამო სახელმწიფო გლეხთა კერძო საკუთრებაში მიწის მფლობელობის შესაძლებლობა გამორიცხული იყო. ნ. ნიკიფოროვის დაკვირვებით, ხსენებული ეპოქის ხევში სახნავ მიწაზე სათემო მფლობელობის წესი მხოლოდ გაღმონაშოთის სახით შემონახულიყო. სამაგიდუროდ ეს წესი ჯერ კიდევ ვრცელდებოდა სათიბებსა და საძოვრებზე. მისი ღრმა რწმენით, მცდარი შეხედულება მიწათმფლობელობის ამ ფორმის მთაში უცვლელად ასევებობის შესახებ. ნ. ნიკიფოროვის მართებული ვანმარტებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში დუშეთის მაზრის მაღალმთიან ზოლში მიმდინარეობდა სათემო მფლობელობის რღვევისა და ინდივიდუალიზმის განვითარების პროცესი.

• საესებით სამართლიანად მიუთითა ნ. ნიკიფოროვმა მიწის სიმწირესთან ერთად სახნავი ნაკელების სიმცირის შესახებაც, ამაში ხედავდა იგი მთიელთა სიღარიბისა და ნამატი მოსახლეობის ბარად დასახლების მიზეზს. თუ ის დუშეთის მაზრის ბარისა და მთისძირა ზოლში მეცურნეობის წამყვან დარგად მიიჩნევდა მიწათმოქმედებას, მთიელთა ცხოვრების ძირითად ეკონომიკურ საფუძვლად თვლიდა მესაქონლეობას, განსაკუთრებით მეცნიერეობას. მას ამ დროს 8000—10000 სული ცხვრის პატრიონებიც კი ჰყავს დასახელებული. ასეთები ყოფილან: შიო კაიშაური სოფ. კაიშაურიდან, შიო წიკლაური სოფ. დიხხიოდან და ლერენა აღციაური სოფ. დუშაცხოდან. მართალია, არ ერთი მათგანი არ ყოფილა მოხევე, მაგრამ ისინი მოხევეებიც რომ ყოფილიყვნენ, მარტო ეს არ იქნებოდა ხევში მეცნიერების დაწინაურების მაჩვენებელი, რამდენადაც ასეთი დიდი მეცნიერები ძალშე ცოტანი იყვნენ. როგორც მეცნიერეობის, ისე მეცურნეობის სხვა სახეობათა მდგომარეობას ვეცნობით არა ასეთი გამონაცვლისების მიხედვით, არამედ იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, რომელიც თეთო ნ. ნიკიფოროვს მოჰყავს საგანგებოდ ამ მიზნით შედგენილ ცხრილში.

ცხრილში ნაჩვენებია კომლთა რიცხვი და სულადობა, პირუტყვის რაოდენობა, აღგილ-მამულების მოცულობა და გადასახადე-

შის შემაღენლობა. ხევის ცალკეული სოფლების მიხედვით ასეთი
სურათი გვეხატება: სოფ. სტეფანწმინდა, ჩომელიც მაშინ 126
კომლს ითვლიდა (835 სული), სულ ფლობდა 647 დესეტინა, მეწარული
ფართობს. აქედან საყარმიდამო იყო 4,50, სახნავი — 67,50, საზოგადოებრივი
ბი — 75, ხოლო საძოვარი და გამოუსადევარი აღვილები — 500.
პირუტყვის-სახით სოფლის დოკუმენტის შეადგენდა: მუშა და ბერწი
საქონელი 278 სული, მეწველი ძროხა — 89, ცხვარი და თხა —
8040, ცხენი და ჭორი — 76, მოელი სოფელი იხდიდა ორგვარი
სახის გადასახადს: საერობოს ანუ სასოფლოს (172 მან. და 50 კაპ.)
და საზოგადოებრივს (189 მან.).

სოფ. გერგეტში ამ დროს ცხოვრობდა 51 კომლი (383 სული).
სოფელს სულ პქონდა 237 დესეტინა: საყარმიდამო — 3, სახნავი —
39, სათიბი — 45, საძოვარი და უვარვისი — 150. გერგეტში ირა-
ცხებობდა მაშინ მუშა და ბერწი საქონელი 78 სული, მეწველი ძრო-
ხა — 33, ცხეარი და თხა — 2965, ცხენი და ჭორი — 28, სოფელს
შეწერილი პქონდა 76 მან. და 50 კაპ. საერობო და ამდენივე საზო-
გადოებრივი გადასახადი.

სოფ. გორისციხეს, რომელიც შედგებობდა 43 კომლისაგან (350
სული), ეკუთვნობდა 281,75 დესეტინა: საყარმიდამო — 2,50, სახ-
ნავი — 40,50, სათიბი — 38,75, ხოლო საძოვარი და უვარვისი —
200. სოფელს სულ პყავდა მუშა და ბერწი საქონელი 108 სული,
მეწველი ძროხა — 39, ცხვარი და თხა — 3420, ცხენი და ჭორი —
29, ღორი — 35. სოფლის გადასახადი შეადგენდა 76 მან. და 50 კაპ.
საერობოს, ხოლო 43 მან. საზოგადოებრივს.

38-კომლიანი სოფ. სიონის (328 სული) მფლობელობაში იყო
1622 დესეტინა: საყარმიდამო — 3, სახნავი — 35, სათიბი — 84,
ხოლო საძოვარი და უვარვისი აღვილები 1500. სოფლის პირუტყვი-
ლან ბერწი და მუშა საქონელი იყო 82 სული, მეწველი ძროხა —
36, ცხვარი და თხა — 7160, ხოლო ცხენი და ჭორი — 39. სოფე-
ლი იხდიდა 57 მან. საერობოს და 38 მან. საზოგადოებრივს.

სოფ. კარეუჩის (კომლი 28, სული 188) 1161 დესეტინა საერ-
ოო ფართობიდან საყარმიდამო იყო 1 დესეტინა, სახნავი — 23, სა-
თიბი — 137, საძოვარი და უვარვისი აღვილები — 1000. სოფელს
პყავდა 62 სული მუშა და ბერწი საქონელი, მეწველი ძროხა — 32,
ცხვარი და თხა — 3985, ცხენი და ჭორი — 19, ღორი — 75. სო-
ფელი იხდიდა 34 მან. და 50 კაპ. საერობოს და 28 მან. საზოგადო-
ებრივ გადასახადს.

სოფ. სწო, რომელიც შედგებობდა 73 კომლისაგან (567 სული),
ფლობდა სულ 2573 დესეტინას. აქედან საყარმიდამო იყო 5, სახ-
ნავი — 96,50, სათიბი — 272, საძოვარი და უვარვისი აღვილები —

2200 დესეტინა. სოფლის პირუტყვიღან მუშა და ბერწი-ნაჭრები
იყო 228 სული, მეწველი ძროხა — 82, ცხვარი და თხა — 843,
ცხენი და ჭორი — 85, ღორი — 240. სოფელს შეწერული კუთხები
115 მან. 50 კაპ. საერობო და 73 მან. საზოგადოებრივი კუთხები 115

როვორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ხევის სოფლებს შორის სა-
კრძნობ განსხვავებას ჰქონდა აღვილი მათი სამეურნეო პირობები-
სა და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. მაგალითად, სოფ-
სტეფანწმინდა მოსახლეობით სოფ. სნოზე გაცილებით დიდი იყო,
მაგრამ სახნავ-სათიბ-საძოვრებითა და პირუტყვის რაოდენობით
სოფ. სტეფანწმინდაზე ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა. კიდევ
უფრო მკეთრ განსხვავებას ვხედავთ სტეფანწმინდისა და კარკუ-
ჩის ამ თვალსაზრისით ურთიერთშედარების საფუძველზე. სხვა სო-
ფლების მაგალითზედაც ამ მხრივ საქმით განსხვავება შეიძლება.

მეტ-ნაკლები სიდიდისა იყო ხევის სოფლებშე გაწერილი გადასახადებიც. როგორც ცხრილიდან ჩანს, დუშეთის მაზრა მისი სამეურნეო პირობების მიხედვით იყოფლია სამ ზოლად: ბარის, მთისძირა და მთის. ქედან, ბარისა და გარდამევალი ზოლის მოსახლეობას ევალებოდა კომლობრივი და სასოფლო გამოსალების გადახდა, ხოლო მთიელებს იმ დროს საკომლოს გამოლება არ ეკისრებოდათ. თუთ სასოფლო გადასახადებიც (რომელშიც შედიოდა საერობო და საზოგადოებრივი) მთაში უფრო მსუბუქი ყოფილა, ვიდრე დუშეთის მაზრის ბარსა და მთისძირა ზოლში. ხევში ამ დროს თითოეული კომლი წელიწადში საშუალოდ იხდიდა ორიდან სამ მანეთამდე, ხოლო თითოეულ სულხე მოდიოდა 25-დან 46 კაპიკადე. ეს მაშინ, როდესაც ხარი ღირდა 20—55 მან., ძროხა — 15—30 მან., ცხევარი — 3—6 მან., ცხენი — 40—100 მან., 1 ფუთი გაურეცხავი მატყლი — 6—8,50 მან., 1 ფუთი ყველი — 4—8 მან., 1 ფუთი ერბო — 9—10 მან., უხეშად ნაქსოვი წმინდა წინდა — 20—45 კაპ. და ა. შ.

აღნიშვნული მონაცემების ფონზე ხევის მოსახლეობა შარტლაც ან ჩანს მძიმედ დაბეგრილი ვინაიდან ხევი დუშეთის მაზრის ღარიბ კუთხეს წარმოადგენდა. ეტყობა, რომ დუშეთის მაზრაში გადასახადების ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა სამეურნეო-გეოგრაფიული პირობები, მაგრამ საკუთრივ ხევის სოფლებში გადასახადების გაწერას საფუძვლად უნდა დასდებოდა არა სოფლის ეკონომიკური მდგრადრეობა, არამედ მოსახლეობის რიცხვი. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა, რატომ იხდიდა გერგეტი კარეუჩაზე ორჯერ მეტს, მაშინ, როდესაც აღვილ-პაშულითა და პირუტყვის რაოდენობით 28-კომლიანი სოფელი კარეუჩა გაცილებით შეძლებული იყო, ვიზე 51 კომლის

მომცველი სოფელი გერგეტი. ასევე გაუგებარი იქნებოდა რა ტომ სოფ. სტეფანწმინდის 126 კომლი იხდიდა სიონის 38 კომლზე თითქმის ოთხეტ მეტს, ხოლო სნის 73 კომლზედაც საკმარის, მურჯავა გადასახადს, მაშინ, როდესაც სტეფანწმინდა, ზემოთ წარუკიფირობული ციფრობრივი მაჩვენებლების მიხედვით, სნისა და სიონშე გაუღებით ნაკლებ მიწას ფლობდა და მოსახლეობის სიდიდით მკვეთრი განსხვავების მიუხედავად, საქონლის რაოდენობითაც სიონსა და სნიშე მაღლა არ მდგარა.

მაშასადამე, ეს ცხრილი პირველ რიგში გვიჩვენებს სოფლებს შორის განსხვავებულ სამეურნეო პირობებსა და ეკონომიკურ მდგრადირეობას. რასაკირველია, ეს მონაცემები სიზუსტის მხრივ უსათეოდ ნაკლელია, მაგრამ ის გარემოება, რომ ერთი სოფელი შეორენებულებული იყო და მესაქონლეობის განვითარების სამეურნეო ბაზა პირობებდა, ცხრილიდან ეს სრულიად აშკარად ჩანს.

ცხრილი მიგვითოთებს იმის შესახებაც, რომ სამეურნეო ტერიტორიის უდიდესი ფართობი საძოვრებად იყო გამოყენებული, რაც ხელს უწყობდა მეცხარეობის განვითარებას. მართლაც, აქ წარმოდგენილი ციფრობრივი მაჩვენებლების მიხედვით, მეცხოველეობის სფეროდან ხევში განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს მეცხარეობა. მაგალითად, სოფ. ახალციხეში (38 კომლი, 220 სული) 63 სული მსხვილფეხა რქოსანის გერგით ვედავთ 1740 სულ ცხვარსა და თხას. სოფ. ყანობში (42 კომლი, 338 სული) ირიცხებოდა 93 სული მსხვილფეხა რქოსანი, 2100 სული ცხვარი და თხა და ა. შ.

ასეთი შეფარდება, რაც არსებოთად დამახასიათებელია ხევის სხვა სოფლებისთვისაც, მსხვილფეხა მესაქონლეობასთან შედარებით მეცხარეობის აღმავლობის მაჩვენებელია. იმის საფუძვლად ჩვენ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ერთი სული ძროხა შეფასებული იყო 6—7 ცხვრად, ხოლო ხარი 10—12 ცხვრად. ერთიერთმანეთზე რომ 1 სული მსხვილფეხა 10 ცხვრად ვიანგარიშოთ, სოფ. ახალციხის 63 სული მსხვილფეხა რქოსანი უნდა გვეუთანაბროთ სულ ბევრი 630 ცხვარს. ეს მაშინ, როდესაც ახალციხეს ჰყავდა 1740 სული ცხვარი. მაშასადამე, მსხვილფეხა მესაქონლეობა და მეცხვარეობა რომ აქ ერთ დონეზე ყოფილიყო, ახალციხელებს 63 სულის ნაცვლად უნდა ჰყოლოდათ სულ ცოტა 174 სული მსხვილფეხა საქონელი, ანდა, პირიქით, ნაცვლად 1740 სულისა, აქ უნდა ყოფილიყო სულ ბევრი 630 სული ცხვარი.

ასეთსავე ვითარებასთან გვექნებოდა საქმე სოფ. ყანობში, სადაც მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის თანაბარ ღონეზე განვითარების შემოხვევაში 93 სული მსხვილფეხა რქოსანის ნაცვლად

უნდა ყოფილიყო 210 სული მაინც, ანდა 2100 სულის ნატად
ჰყოლოდათ სულ ბევრი 930 ცხვარი.

კიდევ უფრო მკვეთრი სხვადასხვაობა იკრძნობა მეცხოველეობაში
ამ სახეობათა განვითარების სფეროში კარკუჩის, სამარის რეპუბლიკის
სურთისის და რიგი სხვა სოფლების მაგალითზე. სოფ. კარკუჩის
რომ მეცხვარეობა და მსხვილფეხა მესაქონლეობა ერთ ღონებზე
მდგარიყო, 94 სულის ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყო 400-მდე სუ-
ლი ხარ-ძროხა, ხოლო, პირუკუ შემთხვევაში, ნაცვლად 3985 სუ-
ლისა, კარკუჩელებს უნდა ჰყოლოდათ არა უმეტეს 940 სული
წვრილფეხა. ასევე, მეცხვარეობისა და მსხვილფეხა მესაქონლე-
ობის ერთ ღონებზე არსებობის შემთხვევაში ს. სოში 118 სული
მსხვილფეხას ნაცვლად უნდა ყოფილიყო არანაკლები 716 სული.
ხოლო 7160 სული წვრილფეხას მაგივრად აქ უნდა ჰყოლოდათ
სულ ბევრი 1180 სული.

სხვა სოფლების ციფრობრივ მონაცემებს აქ აღარ შევეხებით.
ცხრილის მიხედვით სრულიად აშეარად ჩანს, რომ XIX საუკუნის
მეორე ნახევარში მეცხვარეობა ხევში მსხვილფეხა მესაქონლეობას-
თან შედარებით დაწინაურებული დარგი იყო. ამ მხრივ განსაკუთ-
რებით ოსანიშნავია უკეთესი საზაფხულო საძოვრებით უზრუნველ-
ყოფილი სოფლები: ყანობი, სონი, სნო, კარკუჩა, რომებსაც
6. ნიკიფოროვიც საგანგებოდ გამოყოფს საძოვრებით მდიდარ ისეთ
სოფლებთან ერთად, როგორიცაა ჭუთა, კობი და აბანო.

თავისთვალი ცხადია, რომ მეცხვარეობის დაწინაურება ყოვ-
ლად შეუძლებელი იქნებოდა საზიმორო საძოვრების უქონლობის
შემთხვევაში. 6. ნიკიფოროვის ცნობით, ამ მხრივ ღუშეთის მაზრა
იმ დროს ჭერ კიდევ არახელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა და
მესაქონლეობის განვითარების საქმეც ამის გამო რამდენადმე
ფერხდებოდა, მაგრამ ეს წინააღმდეგობა ძირითადად უკავე გადა-
ლასული იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩრდილო კავკა-
სის საზამორო საძოვრებშე მოხვევები სისტემატურად მიერეკე-
ბოდნენ ცხვრის ფარებს, რითაც მათ მყარი ნიადაგი შეუმზადეს მე-
ცხვარეობის შემდგომ ზრდასა და განვითარებას.

საყურადღებოა ცხრილის ციფრობრივი შაჩქენებლები აგრე-
თე საკუთრივ მსხვილფეხა მესაქონლეობის, მეცხვარეობისა და
მელორეობის ხევდრითი წონის დასადგენად. როგორც ამ მონა-
ცემებიდან ჩანს, ლორები მაშინ ჰყავდა მხოლოდ 5 სოფელს: კარ-
კუჩას — 75 სული, ახალციხეს — 100 სული, სნოს — 240 სული,
გორისციხეს — 35 სული, ხოლო ფხელშეს — 20 სული. ცხნები-
სა და ჭორების სიმრავლეს იმდროინდელ ხევში ვერ ვხედავთ. ყვე-
ლა სხვა სოფელზე წინ ამ მხრივ სნო მდგარა, სადაც აღრიცხულ

იქნა 85 ცრენი და ჭორი. მაგრამ თუ 73 კომლს ამდენი შაინც ჰყავს /
და, ხევის დანარჩენ სოფლებში ზოგან კომლზე მხოლოდ 1 კომლ
შორიოდა, ხოლო ზოგან — უფრო ნაცელებიც. სამაგიეროდ სეზ
ში გაცილებით მეტი იყო მსხვევლებები რქოსანი, რომლის საწმინდურა
რაოდენობიდან მეწველს ბევრად ჭარბობდა მუშა და ბერძოში ზექმადის
ნელი. ეს ნათლად ჩანს ზემოთ დასახელებული სოფლების (სტე-
ფანშინდა, გერგეტი, ვორისციხე, სიონი, კარკუჩა, სნო) მაგალით-
ზე. ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობა მოწმდება სხვა სოფლე-
ბის მონაცემების მიხედვითაც.

ნ. ნიკიფოროვი არ გვაცნობს აღნიშნული ეითარების მიზეზს,
მაგრამ ცხრილზე დაკვირვების შედევრად მნელი არ არის იმის მი-
ხვედრა, რომ ხევში მუშა საქონელზე ასეთი დიდი მოთხოვნილება
პირველ ყოვლისა განპირობებული იყო მიწათმოქმედებაში მისი გა-
მოყენების საჭიროებით. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, XIX საუ-
კუნის 80-იან წლებში მოხვევები მაქსიმალურად სარგებლობდნენ
სახნავად ვარგისი ყოველი ნაკვეთით. ამაზე მიგვითითებს ის ფაქ-
ტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სოფლის სახნავი ადგილები ზო-
მით სათიბებს არ ჩამოუარდებოდა. ამ მხრივ შეიძლება დავასახე-
ლოთ არშა, გარბანი, ვორისციხე, ყანობი, თოთი, ცდო.

ნ. ნიკიფოროვის ეს ცნობები რიგ შემთხვევაში სინამდვილეს
არ უნდა შეეფერებოდეს. როგორც ჩანს, სათიბების აღრიცხვის
დროს მას მხედველობიდან გამორჩა ზოგი სოფლის მოებში საამი-
სოდ გამოსადგევი ნაკვეთები. ეს მიზეზი რომ არა, გაუგებარი იქნე-
ბოდა, მაგალითად, ყანობში, რომელიც სათიბებით ერთ-ერთ მდი-
დარ სოფელს წარმოადგენს, სახნავი ადგილი ყოფილიყო 31,25 დე-
სეტინა, ხოლო სათიბი 29,75 დესეტინა. ასეთივე ნაკლით უნდა ხა-
სიათდებოდეს ზოგიერთი სხვა სოფლის მონაცემებიც, მაგრამ თუ
ამ ნაკლის არ მიეიღებთ მხედველობაში და მისგან დამოუკიდებლად
ანგარიშს გაეუწვეთ სახნავი ადგილების აქ წარმოდგენილ ზომებს,
დავრწმუნდებით, რომ მოხვევები ხნავდნენ ყველგან, სადაც კი გრ-
თანი მიუღებოდა. ასეთ ვითარებაში მეურნის გამარჯვება გამწევა
ძალის გარეშე განუხორციელებელ ოცნებად დარჩებოდა, ხოლო
მთაში ასეთ გამწევა ძალას ხარი წარმოადგენდა. ხარს იყენებდნენ
აგრეთვე ლენტისას და ტეირთის საზიდავად. მისი ასეთი დიდი საჭი-
როებისა და მთაში ლიმიტირებული საკვები ბაზის პირობებში მო-
ხევე იძულებული იყო თავი შეეკავებინა მეწველი ძროხების მომ-
რავლებაზე და პირველ რიგში ეზრუნა გამწევი ძალის შენახვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მო-
ხევები სახნავად ვარგისი მიწის ყოველ მტკაველს ჯერ კიდევ მაქ-
სიმალურად იყენებდნენ და თუით მესაქონლეობის განვითარებასაც

კი რამდენადმე მიწათმოქმედების ინტერესებს უქვემდებარებულენ. ხევში ყველაზე მტკიცნეულ საკითხს მაინც პურის ნაფლებობის წიგნი- რიადგენდა. შორს რომ აზ წაიღდეთ, ეს კარგად ჩანს. ამავე ცხრი- ლის მიხედვითაც ის გარემოება, რომ სოფ. ორშაში ჭრისას მას 12 კომლი (91 სული) სულ 9 დესეტინას ხნავდა, სოფ. გერგეტის კი კომლი (383 სული) 39 დესეტინას, სოფ. გარბანში 18 კომლი (149 სული) 15,75 დესეტინას, სოფ. ცდოში 17 კომლი (139 სული) 10,50 დესეტინას და ა. შ., აშეარად სახნავი აჟღილების სიმცირეზე მივეი- თითებს. ხევში მხოლოდ იშვიათი გამონაცელისის სახით თუ ჰქონდა ადგილი ამ დროს ისეთ შემთხვევას, როდესაც კომლი საშუალოდ 1 დესეტინა მიწას ხნავდა. კომლზე საშუალოდ ამაზე ნაკლები ფარ- თობი მოდიოდა. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ საშუალო მაჩვენებ- ლების მიხედვით მიწათმოქმედების დონეს ზოგად ხაზებში ვეცნო- ბით. ცხრილში რომ ცალკეული ოჯახების მდგომარეობა ყოფილი- ყო ასახული, მათ შორის აშეარა განსხვევება გამოჩნდებოდა — ერთ შემთხვევაში დაეინახავდით 1 დესეტინაზე მეტის მფლობელ. ხოლო მეორე შემთხვევაში მხოლოდ დესეტინის ერთი მეოთხედის მქონე ოჯახს. მაგრამ როგორადაც აზ უნდა ყოფილიყო ხევში არ- სებული სახნავი მიწის ფონდი განაწილებული, ამით საერთო მდგომარეობა აზ იცვლებოდა; სახნავად ვარგისი ტერიტორია აქ მოსახლეობის პურეულით უზრუნველყოფის საქმარის წყაროს აზ წარმოადგენდა.

ამგვარად, ნ. ნიკიფოროვის ამ ნაშრომის მიხედვით, სრულიად აშეარად ჩანს, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეურნეობის ორი ძირითადი დარგიდან ხევში წამყვანი მნიშვნელობისა იყო მე- საქონლეობა, მეცხვარეობის უპირატესობით. ნ. ნიკიფოროვის და- კვირებით, მოხვევები მისდევდნენ ისეთ დამხმარე საქმიანობასაც, როგორიც იყო მონადირეობა, მეთევზეობა (თერგში კალმახის ჭე- რა), სუსტად განვითარებული ხელოსნობა და რქის დამუშავება. ჯიხვის რქებისაგან სასმისების დამზადების ხელობით დუშეთის მაზ- რაში განსაკუთრებით ვანთქმული ყოფილა სოფ. ყაზბეგი, სადაც მაშინ წყვილი ასეთი ყანწი 2—4 მანეთად იყიდებოდა, ხოლო გადამ- ყიდველების ხელში ის 3—6 მანეთად ფასობდა. აქვე მწყემსები და მოზრდილი ბავშვები აგრივებდნენ მთის ბროლის კრისტალებს, რომლებსაც მგზავრები ყიდულობდნენ (მოცულობის შესაბამისად 20 კაპიკიდან 3 მანეთამდე). საყურადღებოა აღინიშნოს, რომ უფ- რო ადრეც ყოფილა ცნობილი ყაზბეგის (სტეფანწმინდის) ბროლი. მასზე დიდი მოთხოვნილების გამზ. ზოგიერთი ამ ბროლს მიიჩნევ- და მომვებიან სავაჭრო საგნად, რაც კარგად ჩანს 1953 წელს გამო- ნა

ცუმულ „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მასალების“ მეორე
ტომში შესული ერთ-ერთი დოკუმენტიდან.

მოხევეების შემოსავლის ერთ-ერთ დამხმარე წყაროდ ნ. ნიკოლა ფრინჯავა
ტოროვი თვლიდა აგრეთვე ქირით ტეირთის ზიდვას და საქართველოს კულტურული და სამხედრო განვითარების განვითარების შეხება, ქვის მზერევა განვითარების განვითარებად, თოვლის ზევებისა და მეწყერისაგან გზის წმენდა), რაც ძირითადად წარმოებდა სეზონური სამუშაოების დამთავრების შემდეგ.

ამ საქმეში განსაკუთრებით ინტენსიურად მონაწილეობდნენ გზის პირად მცხოვრები. გზაზე მუშაობით დღეში მუშა ღებულობდა 60 კაბიკიდან 1 მანეთამდე. ხოლო 1 საეკი ქვის დამტვრევა გზაზე დასაყრელად შეფასებული ყოფილა 8-დან 12 მანეთამდე. პროდუქტებისა და პირუტყვის მაშინდელი ფასების შესაბმისად, რასაც ზემოთ უკვე გავეცნით, ასეთი ანაზღაურება მთიელისათვის ურიკო შემოსავალს არ წარმოადგენდა.

ალბათ ეს გარემოება პენზად მხედველობაში ნ. ნიკიფოროვის თანამედროვე ზოგიერთ დამკირვებელსაც. როდესაც მოხევის ცხოვრების მთავარ წყაროდ ამ საქმიანობას თვლიდა. მაგალითად, ე. მარკოვი 1887 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში — „კავკასიის ნარკვევები“ — პირდაპირ მოუთითებდა, რომ მდინარე თერგის კლდოვანი და ცივი ხეობის მცხოვრებთა არსებობის სახსარს წარმოადგენდა გზის ჩამონიტი და ზამთრობით თოვლის წმენდა. ე. მარკოვი იმასაც აღნიშნავს, რომ ხევი ჭიხვზე ნაღირობის ცნოტრალური კუთხი იყო კავკასიში. მას მხედველობიდან არც ის გამორჩენია, რომ ყაზბეგში იყიდებოდა ჭიხვის რქები (სასმისები), სხვადასხვანირი ქვები (განსაკუთრებით ბროლი) და მთამაღნეულის ნიმუშები, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად ე. მარკოვმა ხევში კერ შეამჩნია მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიცაა მესაქონლეობა. სრულიად აშეარია, რომ მან ზერელედ გადაავლო თვალი ამ კუთხეს და მისი ეგზოტიკით გატაცებულმა მხოლოდ საჭიხეები, ბაჟშეების მიერ ყაზბეგში ქვებით ვაჭრობა და სამხედრო გზაზე გლეხების მუშაობა დაინახა, ხოლო ხევში რომ მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა და მიწათმოქმედებაც მაღალკულტურული განვითარებით ხასიათდებოდა, ეს გზად გამცალ კაცს მხედველობიდან გამოპარება.



მოხევეების სამეურნეო ყოფის შესახებ სათანადო შეხედულებები გამოითქვა თანამედროვე ისტორიოგრაფიაში.

იმის მთავარ შიზეზად, რომ მთიელები ბარში დასამკვიდრებ-

ლად მიიღო ტეოდორნენ, ნ. ბერძენიშვილს მიაჩინდა ჭავჭავაძის მკუიდრთა შესლუდული ცხოვრების პირობები, გამოწვეული მჩქე სიმწირითა და სივიწროეით (საქართველოს ისტორია, 1940 წ., 287).

ვახუშტი ბაგრატიონისა და ნ. ჭილაშვილის მოწიფერების ფარა ყრდნობით, 1955 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში — „უკოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“, დ. გვრიტიშვილი არავის საერთისთავოს ბარის ზოლში მეურნეობის მთავარ დარგად მიიჩნევს მიწათმოქმედებას, ხოლო მთის ზოლის (რომელშიაც ხევიც შედიოდა) მცხოვრებთა ძირითად საქმიანობად თელის მესაქონლეობას.

ს. მაკალათიას დაკვირვებით, „მოხევეები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ, მაგრამ მათ ეკონომიკას უმთავრესად იყ ცხადობა ანასიათებს და ჩვენი ხევიც შეცხვარების რაონიად უნდა ჩაითვალოს“. ამის საფუძვლად ს. მაკალათიას მიაჩინა მიწათმოქმედებისათვის შესლუდული, მაგრამ მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობები. მოხევეთა ეკონომიკაში ს. მაკალათია გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა ანდეზიტის წარმოებას, ჩრდილო კავკასიაში სამუშაოდ სიარულს (დურგლობა, მჭედლობა, ხარაზობა), სამხედრო გზის შეკეთებაზე მუშაობას, ტვირთის გადაზიდვას და მგზავრთა გადაყვანას.

როგორც გასული საუკუნისათვის, ისე დღეისათვის, თერვის ხეობაში გ. ჯალაბაძე („მიწათმოქმედა თერვის ხეობაში“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1961 წ. ტ. XXII-B) მეურნეობის წამყვან დარგად თელის მესაქონლეობას.

რ. ხარაძის გამოკვლევით („ქართული საოჯახო თემი“, რუსულ ენაზე, პირველი ტომი), XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ხევში გადმონამთერი ფორმით შემორჩენილი საოჯახო თემის ძირითადი საარსებო საშუალება იყო შეცხვარეობა. რ. ხარაძის დასაბუთებით, მეურნეობის ეს ფორმა წარმოადგენდა იმ ძირითად ნიშანს, რომლის მიხედვით მკვლევარმა მოხევური საოჯახო თემი განიხილა ქიზიყელების, თუშებისა და ფშავლების საოჯახო თემების გვერდით, რომელთა ეკონომიკური საფუძველი აღნიშნულ ეპოქაში ასევე მეცხვარეობა იყო.

ლიტერატურის ანალიზია გვიჩვენა, რომ მოხევეების ძირითად საარსებო საშუალებას წარმოადგენდა მეცხველეობა და მიწათმოქმედება, ხოლო შემოსავლის დამხმარე წყაროდ ითველებოდა ქირით ტვირთის ზიდვა, საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა,

მონაცირეობა და სხვა წვრილშანი საქმიანობა. ისიც კარგად დავი
ნახეთ, რომ მეტრიკეობის სხენებული დარგებისა და სხვა რიგის სა-
ქმიანობის განვითარების დონე და მცხოვრებთა ეკონომიკაში მართვული
ხვედრითი წონა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი იყო გამჭვირიარებული
ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიტერატურული მო-
ნაცემების საფუძველზე ძირითადად მაინც XIX საუკუნის, განსა-
კუთრებით მისი მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელ ვითარებას
გვიცანით. როგორც ვიცით, ეს უკვე ეთნოგრაფიული ძიებისათვის
აღვილად ხელმისაწევლიმ პერიოდია, რამდენადაც მთხრობელი
გვაცნობს როგორც პირად დაკვირვებას, ისე თავისი უახლოესი წი-
ნაპრების (მაშის, პაპის) ნათელების-ნაანდერებებს. ეს განსაუთრებით
შეეხება საოჯახო ყოფას, ვინაიდან მთხრობლის მეხსიერება, პირ-
ველ ყოვლისა, საოუთად ინახება საეუთარი ოჯახისა და გვარის ის-
ტორიის. ხევში ჩვენ მიერ შეერებილი მასალა ამ მხრივ საქმიანდ
სრულსა და ზუსტ წარმოლენას გვაძლევს არა მარტო გასულ საუ-
კუნეში არსებული ოჯახების შემადგენლობაზე, არამედ მათ ეკო-
ნომიურ საფუძველებზედაც. გვეცნოთ ამ მასალას ცალკერლი
ოჯახების მიხედვით.

როგორც პირველი თავიდან ვიცით, სოფ. ქოსელში იყო ფი-
ცხელაურების დიდი ოჯახი. ამ ოჯახს, რომელიც ცხოვრობდა ორ-
სართულიან სახლში, ასაზრდოებდა 1 დლოური სახნავი 2 უდლისა,
30-მდე სული მსხვილეული საქონელი და თავდაპირეელად 200-მდე
სული ცხეარი და თხა. სახნავის სიმცირის გამო სოფ. აჩხორში სარ-
გებლობდნენ აზნაურ ყაზბეგების მამულით, რაშიაც პატრიონს მო-
სავლის მეხუთედს აძლევდნენ. სათიბები ერთ პატარა სოფლად
მცხოვრები ქოსელებისა სერთო იყო და ყოველ სამ წელიწადში
ერთხელ კომლებზე თანაბრიად ნაწილდებოდა. ოჯახის შემოსავლის
დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა ორი ცხენით ქირაზე სიარუ-
ლი. ამ ოჯახში განსაკუთრებით მზარდი საქმიანობა იყო მეცხვარეო-
ბა. გაყრის წინ მათი ცხვრის ფარა 3000 სულს ითვლიდა. ამის შე-
საბამისად მოიშენეს 15—16 ცხენ-კვიცი, 7—8 სახედარი და 9—10
ძალლი.

1 ხევში სახნავი აღვილის საზომ ერთეულად თველებთა დღიურ რ. ა. ხალ-
ჩი ერთმინვეოსაგან განსხვავებდა ერთი უდლისა და ორი უდლის დღიურის.
დღიური ერთი უდლისა ერქვა, ამ სახნავ ნაკვეთს, რომელსაც ერთი ღლის განმავ-
ლობაში ხნავდნენ და ერთ ფარცხვდნენ ერთი უდლი ხარის. ორი უდლის
დღიური კი წარმოადგენდა მიწის იმ ერთეულს, რომელსაც ერთ დღეში ერთი
უდლი ხარის ხნავდნენ, ხოლო მეორე უდლი ფარცხვდნენ. ამის შესაბა-
მისად, დღიური ერთი უდლისა უზრო პატარა იყო, ვიზრე დღიური ორი
უდლისა.

მაშინ, როდესაც სოფ. სიონში მცხოვრები ოდიშვილების გაუყრელი ოჯახი შარმაზანის ხელმძღვანელობით 64 სულისგან შეღებოდა, მის ღოვლას შეადგნდა 15 დღიური სახურავ უკალესა, ბაგურ კვებაზე 40 ძროხის შესანახად საქმარისის მთავრებელი ჟაფარ წყერლი ხარ-მოზვერი, 2 საუნავირე (ე. ი. მხედრის მატარებელი) ცხენი, 12 მეწველი ძროხა, 8—10 მოზარდი მსხვილება საქონელი და 30—35 „ბაგის ცხორი“. ოჯახის ეკონომიკაში გარეუეულ როლს თამაშობდა სხვა ღმმბარე საქმიანობაც: კალატოზობდა სამი კაცი, ხოლო ერთ კაცს ცხენ-ურმით ქირაზედაც უკლია.

იმის შემდეგ, რაც შარმაზანეთ გაყრის ნიადაგზე ორი ახალი დიდი ოჯახი წარმოიქმნა, მათი სამეურნეო ყოფაც რამდენიმე შეკვეალა. ცალკე გამოყოფის მომენტში გაბალეთ ოჯახი ფლობდა მხოლოდ იმის ნახევარ ქონებას, რაც 64-სულიან ოჯახს გაყოფად ვააჩნდა. მეურნეობაში წამყვან მნიშვნელობას თავდაპირველად კვლავ მსხვილფეხა მესაქონლეობა ინარჩუნებდა, მეორე ადგილზე მოური მიწათმოქმედება იღდა, ხოლო კალატოზობას მარტო ერთა კაცი ეწეოდა. შემდეგში თანდათანობით მთავარი ყურადღება მეცნიერობას ეთმობა. ოჯახი მიიშიდა ვაჭრობამაც, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ზოგიერთი მისი წევრის გარეთ ვასვლა და ქალაქ-თან დაკავშირება. მოკლე ხანში, ეიღო გაბალეთ ოჯახი გაუყრელად ცხოვრებას განაგრძობდა, ცხვრის რაოდენობა 200 სულამდე ავიდა, მაშინ როდესაც შარმაზანეთ 64-სულიან ოჯახს 30—35 ცხვარზე მეტი არ ჰყოლია. ცხვრის ასეთმა ზრდამ გამოიწვია ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრებისაეკნ ლტოლეაც.

დაიდი ოდიანთ, ანუ იოსებეთ ოჯახშიც თავდაპირველად ისეთი-
ვე ექონომიკური მდგრძალეობა სუფევდა, როგორიც გაბალეთ ოჯახ-
ში, ვინაიდან ერთი საოჯახო თემის (შარმაზანეთ) შუაზე გაყოფილა
და ქონების თანასწორად განაწილების გამო ისინი ერთობეორის
მონაბეჭდი ეკრანი იყვნენ. შემდეგში ამ ოჯახშაც გამოხატა დროის
შესაფერისი გზები დოკუმენტის მოპოვებისა. ტრადიციულ საქმიანო-
ბას (შესაქონლეობა, მიწათმოქმედება, კალატოზობა) ემატება ვაჭ-
რობაში ჩაბმა და ქ. ელადიკავკაზითან დაკავშირება. ხოლო მეცხვა-
რეობას ისე ინტენსიურად მოკეთდნენ, რომ გაყრის დროს იოსების
შეკვეთში გაინაწილეს 1000 სული ცხვარი.

თუ როგორ იზრდებოდა მეცნიერეობის დონე XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ამას კარგად ვხედავთ სოფ. სტეფანწმინდაში მუხლები ქუშაშვილების ერთ-ერთი დიდი ოჯახის მაგალითშედაც. გამორჩეული არ არის შესაძლებლობა, რომ აღ. ყაზბეგის სწორედ ეს ოჯახი ჰქონდა მხედველობაში, რომელსაც აღ. ხახანაშვილის მიერ

გაგზავნილ წერილში გაუყრელად ცხოვრების ერთ-ერთ ნიმუშია
ასახელებდა ქუშაშვილების 55-სულიან ოჯახს.

მოხრობლების გადმოცემის თანახმად, როდესაც ბერი ჭრაში შემდეგი კონტაქტი გვიშავდა მისი 4 ვაჟი (ლამა, სვიმონი, სოსია, ბერი, ასახელებდა ვიანთი ცოლებითა და შეიღებით ერთად ცხოვრობდნენ, ოჯახის მხოლოდ 40-მდე სული ცხვარი ჰყოლია. ბერის სიკვდილის შემდეგ ოჯახს სათავეში ჩასდგომია რა მისი უფროსი შეიღლი ლაბა, მეცხვარეობისადმი დაინტერესებაც გაზრდილა. ოჯახის წევრთა დიდი ნაწილი თანდათანობით ამ საქმიანობას ჩაუთრევია და საქმე იქამდე მისულა, რომ ოჯახის გაყრის დროისათვის მათ გაუნაწილებიათ 3000 სული ცხვარი. ამასთან ერთად ოჯახის ქონებას შეადგენდა: 12 მეტრები ძროხა, 6 სული მოზარდი მსხვილფეხა, 3 უღელი ხარი, 3 საუნაგირე, 2 სავიცე და 4 საურმე ცხვენი, სახედარი, 7—8 დღიური სახნავი 1 უღლისა, 100-მდე თივისი სათიბი.

სოფ. თოთში მცხოვრები ხულელიძების ოჯახი — ე. წ. დიდი ხულელი, რომელიც გაყრის მომენტში 44 სულისაგან შედგებოდა და ოთხ თაობას ერთოანებდა, სახნავი ადგილებით ერთ-ერთ უკელაზე მდიდარ ოჯახს წარმოადგენდა. როგორც მოხრობლები გაღმოვკეუმენ, მათი სახნავი ადგილი თვალისის სამყოფ მოსავალს იძლეოდა. ძაღვიდან (ახლანდელი ქ. ორჯონიშვილე) მოქმედიათ იუქლი (ხორბლის ფევილი) მხოლოდ ცომეულისათვის და სიმინდი მარტო „ხილად“, როდესაც ქერისა და ქერ-სვილის უგემური პურის ჭამა ძალზე მობეზრდებოდათ. დიდხულელთ სათიბებიც იმდენი ჰქონიათ, რომ ჩალასა და ბზესთან ერთად იქ მათი პირუტყვის შესანახად საემარისი თივა მზადდებოდა. პირუტყვის სახით კი ოჯახს, მისი პირეელი მეთაურის — ბადას სიცოცხლეში ჰყავდა: 4 ცხვენი, 3 უღელი ხარი, 15 მეტრები ძროხა, 20 სული მოზარდი მსხვილფეხა, 10 ლორ-გოჭი, 1 ძალლი და 100-მდე სული ცხვარი, რომელსაც ზამთრობით გლდანსა და დილომში მიერკეცოდნენ. გარესამუშაოებიდან აღსანიშნავია ჭირაზე სისტემატური სიარული ოჯახის ერთ-ერთი წევრისა ერთიმეორებულ გაბმული 2 ცხნითა და ურმით. ოჯახის საცხოვრებელს წარმოადგენდა ორსართულიანი ბანიანი სახლი, რომლის ქვედა საჩთული გამოიყენებოდა

1 ხევში თავა ეწიოდება კონტსისებურად ავებულ თივის ზეინს. თივის ქვეშობან უდებენ სითარს (წერილის სათრევეს). სათარის შეჩებზე გამობმულია ე-ლ-დ-ა-ხ-ე-ბ-ი (გრძელი ბალაზისაგან ნაგრეხი „საბელი“). ვალდახებით შეკრულ ზეინს მოათრევენ მარჩილით. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ბაზისა და მოის თივის. სოფლის ახლა-მახლო აღვილებში (ბაზად) ავებული ზეინი დაახლოებით 10 ფუტის იწონის; ხოლო მთაში საშუალო 6—7 ფუტიან ზეინებს აყეობენ, ვანიდან მოიდან მისი ჩამოტანა ჭირს.

საქონლის სადგომად, ხოლო ზედა სართული ღჯახის საცეკვებებლად. ჰქონიათ საკუთარი წისქვილიც.

ბადის გარდაცვალების შემდეგ ოჯახს სათავეში მოექცა მისი უფროსი შეილი იასე. ეიდრე მისი მეთაურობით ოჯახი უკარისტილ ცხოვრობდა, საოჯახო მეურნეობაშ საქმაო ცელილებები გაიძირა. მაშე მეტყველებს ის ფაქტიური მდგომარეობა, რომ გაყრის დროს ხულელიძებმა გაინაშილეს: ზემოხსენებული სახნავ-სათიბი, 60 ცხენ-კვიცი, 3 ულელი ხარი, 20 სული მსხვილფეხა რქოსანი, 60-მდე ღორ-გოჭი, 30-მდე ქათამი, 6 სახედარი, 10 ძალლი, 2000 სული ცხვარი და თხა. როგორც ცხედავთ, ოჯახში ერთი თაობის გადასვლის შემდეგ ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. აველაშე მნიშვნელოვან მოელენას წარმოადგენდა მეცხვარეობის აღმავლობა.

საოჯახო მეურნეობის შესწავლის თეალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე გიგაურების საოჯახო თემი — ე. წ. დიდი ჩეკიენი. როგორც ამ ოჯახს მეთაურობდა შიო, მის ღოვლათს შეაღენდა: 20—25 მარხილისუბის! სახნავი ადგილი, 35—40 თვეის სათიბი, 3 ულელი ხარი, 15 ძროხა, დეკული და ხბო, 2 ცხენი, 9 სული ცხვარი.

როდესაც შიოს შეილები შრომის ფერხულში ჩაებნენ, ოჯახმა ეკონომიკურად წამოიწია. პირველ რიგში მათ შეიძინეს სახნავ-სათიბი ადგილები. ყაზბეგისაგან იყიდეს 50 მარხილისუბის ყანა. რომლის ტოპონიმიური სახელია ხოსო, მაგრამ ყაზბეგებისაგან ყიდვის შემდეგ ამ ადგილს შეარქევს აგრეთვე ყაზბეგი გიან თეული. ასევე, აღ. ყაზბეგისაგან ნაყიდი 10 მარხილისუბის ყანას ეწოდა სანდროს ული, ხოლო ამ ნაკვეთის ძეველი სახელწოდება დავიწყებას მიეცა. აღ. ყაზბეგს მათთვის მიუყიდა აგრეთვე 20 მარხილისუბის შეორე ყანაც, რომლის აღრინდელი სახელწოდება იყო კბილის ჭორი, ხოლო დამატებით მას შეარქევს სანდროს ული. გვიჩურა ყაზბეგისაგან ნაყიდ 15 თვეის სათიბს ეწოდებოდა გუგუცის ული, ხოლო 6 თვეის სათიბს, რომელიც ჭლუნა ფიცხელაურმა მიჰყიდა, შეარქევს ჭლუნაის ული.

შიოს გარდაცვალების შემდეგ ოჯახს სათავეში მოექცა მისი უფროსი შეილი ვანკამ, რომლის დროს დიდ ჩეკიეთ მთავარ ამოცანად დაისახეს ცხერის გაშენება. ამ საქმეში ვანსაკუთრებით დიდი დამსახურება მიყენდეს სკომონს, რომელსაც შინაურობაში ერქვა მასინამ. ის იყო აღ. ყაზბეგის სიყრმის მეგობარი, რომლის შესანიშ-

1) მარხილის ული ეწოდება ზენად ავებულ 54 ცალ ძნას, რაც საშუალო იძლეოდა 1,5—2 ფეხ მარცვლეულს. ერთი მარხილისუბე თავსდებოდა ერთ მარხილშე ან ურქშე და გადამჭრილათ ყანიდან კალაშე.

ნავ დახასიათებას თვით მწერალი იძლევა „ნამწყემსარის მო-
გონებაში“, ხოლო მასთან ურთიერთობას გვაცნობს იგრძეთვე ურთ-
ერთ პირად წერილში. აღ. ყაზბეგთან ერთად ჩაჩინეთის საძოვრებ-
ზე ყოფნის დროს სკომონი 1000 ცხვარს აზამთრებდა. მასთან კულტურული
თაღ, სხვა ძმების მუყაითობით ერთხანს ჩეიკით ოჯახის ფარა
2000 სულამდე გაზრდილია. სკომონ გიგაური ახლა უკვე კარგუჩელ
ლევანი ყაზარაულთან და გერგეტელ ტოვოლა სუგაშვილთან ერ-
თად პირველი გასულა ყიზლარის ევლებზე. ერთხანს აქ ცუდი ზაძ-
თარი დასდგომიათ და სკომონს 8000 სულიდან გადაურჩენის მხო-
ლოდ 1500 სული, ოჯახის გაყრის წინ გიგაურების ფარა კვლავ
5000 სულს ითვლიდა. გარდა მამა-პაპეული მამულებისა, ნაყიდი
ადგილებისა და 8000 სული ცხერისა, განაყრებმა გაინაწილეს:
4 უღელი ხარი, 40 სული მსხვილფეხა (ძროხა, დეკეული, მოზვერი,
ხმ), 61 ცხენ-კვიცი, 12 სახედარი, 8 ლორი, 30 ქათამი და 25
ძალლი.

როვორც ვხედავთ, ყველა ზემოთ დასახელებული ოჯახის სა-
ერთო ნიშანს წარმოადგენდა მეცხვარეობის განუხრელი აღმავლო-
ბა და მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მისი ხვედრითი წო-
ნის ღიდი ზრდა. ანალოგიური ვითარება მოწმდება ხევში ზოგიერ-
თი სხვა ასეთი ოჯახის მაგალითზედაც, მაგრამ აქვე უნდა აღინიშ-
ნოს, რომ ათასეულების ფარგლებში მეცხვარეობის ზრდა ხევში
საყოველთაო მოვლენას არ წარმოადგენდა. ოჯახების უმრავლესო-
ბაზე დაკვირვება იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ ცხერის მო-
შენება უმეტესად ასეულების მასშტაბით განისაზღვრებოდა, ხოლო
რიგ შემთხვევაში მეურნეობის ეს დარგი ოჯახის ეკონომიკაში
კვლავინდებურად უმნიშვნელო როლს თამაშობდა. სამაგალითოდ აქ
დავისახელებთ ზოგიერთ ასეთ ოჯახს.

ჩვენ მიერ აღწერილ გონიანთ საოჯახო თემს 7 ინდივიდუა-
ლურ ოჯახად გვარის მომენტში (1884 თუ 1885 წ.), სულ 100-მდე
ცხვარი და თხა ჰყოლია, რომელსაც დილომში აზამთრებდნენ.
ამასთან ერთად ოჯახის ქონებას შეადგენდა: ერთი ბანიანი ზე და-
კვერცხი (ე. ი. ორსართულიანი ბანიანი სახლი), 200-მდე მარჩილის-
უბის სახნაები აღვილი, 2 ცხენი, 2 უღელი ხარი, 18—20 მეწველი
ძროხა, 10—12 მოზვერი მსხვილფეხა.

80 სული ცხვარი ჰყოლია XIX საუკუნის მიწურულში ჩოჩი-
შეილების 33-სულიან ოჯახს სოფ. ხერთისში თხბ ნაწილიდ გაყო-
ფისას ამ ოჯახს 80 ცხვართან ერთად გაუნაწილებია 1 ორსართუ-
ლიანი სახლი, 12 დღიური მიწა 1 უღელისა, 2 საუნავირე ცხენი, 4
საურმე ცხენი (რომლებსაც ქიზაზე ატარებდნენ), 2 კვიცი, 4 ხარი,
4 მოზვერი, 8 მეწველი ძროხა, 6 სული მოზარდი მსხვილფეხა.

1911 წელს კოტორეთ (გელაძე) 25-სულიანი ოჯახის ხელი ჩა-
წილად გაყრისას გაყოფილ იქნა 100-მდე მარხილისფარს სახურავ.
8 საურმე ცხენი, უღელი ხარი, 15 ძროხა და 30 ცხეარი, აგარის
შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ ითვლებოდა პრინცესთან,
საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობა და ქირით ტუმინის ზილცა.

ახალოგორი მდგომარეობას ვხედავთ ვაჟკაცეთ (ელოშეილი)
ოჯახის შაგალითშედაც. ეს ოჯახი მცირდოდ იყო დაევშირებული
გარესაქმიანობასთან (კალატოზობა, მეჩექმეობა, ყაბბობა, მეეტლე-
ობა). მიტომ ის სოფელს თანდათანობით შორდებოდა და კალაქუ-
რი ცხოვრებისაცენ იჩენდა მიღრეცილებას. გაყრის დროს ამ ოჯა-
ხის ქონებას სოფლად შეაღვენდა 12 დღიური სახნავი 1 უღლისა,
50—60 თვეის სათიბი, 1 ცხენი, უღელი ხარი, 6 ძროხა და 15
ცხვარი.

ჩვენ ხელთ არსებული უხეი მასალიდან აქ სანიმუშოდ წარ-
მოდგენილი ფაქტიური მონაცემების მიხედვით აშერაა, რომ გასუ-
ლი საუკუნის ხევში ოჯახის არსებობის წყაროს წარმოადგენდა მი-
წათმოქმედება, მსხვილფეხს მესაქონლეობა, მეცხვარეობა და სხვა-
დასხვა ხასიათის დამხმარე საქმიანობა. აშერაა ისიც, რომ ქონებ-
რივად ოჯახები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ.
ამასთან ერთად განსხვავებული იყო მდგომარეობა მეურნეობის
ცალკეულ სახეობათა მიხედვითაც. აღნიშნული ვითარება, პირველ-
ყოველისა, შეინიშნებოდა მამულებზე მფლობელობის ხაზით. ერთი
ოჯახი თითქმის უზრუნველყოფილია ადგილობრივი პურეულია,
ხოლო მეორე სამოიდე თესის საქმარ მოსავალსაც ძლიერს იღებს.
ქოსლელი ფიცხელაურების ოჯახს თე მხოლოდ 1 დღიური გააჩნდა,
აქ დასახელებულ სხვა ოჯახებს ათვერ და თხუთმეტვერ ამაზე მეტი
სახნავი ჰქონიათ. ასეთივე შეფარდების ჩვენება შეგვეძლო სხვა შა-
ვალითების მიხედვითაც, მაგრამ ამის საფუძველზე რას დავინახავ-
დით? — იმას, რომ სახნავი ადგილებით უზრუნველყოფილი ოჯა-
ხების რიცხვი ხევში მოსახლეობის უმნიშვნელო პროცენტს შეაღ-
ვენდა. სახნავად გამოსაღები ყველა ხაევთის დამუშავების მიუ-
ხედავად, ხევის მოსახლეობა პურეულის ნაკლებობას განიცდიდა.
ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ერთი სოფე-
ლი მეორისაგან განსხვავებულ პირობებში იყო. XIX საუკუნის ში-
რურულში განსაკუთრებით მიმმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სნოს
ხეობა (კარკუჩა, ქოსელი, ახალციხე, სნო), რომლის სახნავი ნაკა-
თები წყალდიდობის შედეგად თითქმის ქვა-ლორლით მოფენილ რი-
ყედ იქცა. 6. ნიკიფოროვის მიერ გამოქვეყნებული შემოსხენებუ-
ლი ცხრილის მიხედვით კი სოფ. კარკუჩას ჰქონდა 23 დესეტინა სახ-
ნავი მიწა, ახალციხეს — 50,50 დესეტინა, ხოლო სნოს — 96,50

ლესეტინა, მაშასადამე, სწოს ხეობას ეს ზარალი თავს დასტურდა /
ნ. ნიკიფოროვის ნაშრომის გამოსკელის (1887 წ.) შემდეგ, აშაც /
კიდევ უფრო გააუარესა ისედაც შევიწროებული მოსახლეობის
მოვლამარეობა.

მოხრობლების გადმოცემით, XIX საუკუნის შეორე ნახევრები და XX საუკუნეში მოხევები სიმინდა და ხორბალს ყიდულობდნენ უმთავრესად ჩრდილო კავკასიის ბაზებზე, ხოლო შედარებით იშვიათად ქართლ-კახეთის რაიონებში. ამ დროისათვის ხალხს გამონახული ჰქონდა პურის შოვნის სხვადასხვა გზა. მოხევე ერთ შემოხვევაში პირუტყვს ან მის პროდუქტს ყიდდა და მარცვლეულს მისი ნაფასურით ყიდულობდა. შეორე შემთხვევაში ქირაზე მოსიარულე კაცი დამჭირავებელთან ნატურალურ გარიგებას აწარმოებდა და შრომის საზღაურში მისგან ხორბალს, სიმინდა ან ფევილს ღებულობდა. პურეულის მომარავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგნენდა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონში სამუშაოდ წასვლა, რასაც მოხევები ეძღვდნენ ქოით კე წასვლას ანდა პურობა წასვლას. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბარალ ხენა-ოუსვის, მყისა და ლეწის დროს მოხევე თავისი ცხენურმითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით გამართული ჩრდილო კავკასიაში მიემზავრებოდა, იქ სხვადასხვა ხასიათის მუშაობას ეწერდა (ხნავდა, მკიდა, ურმით მარცვლეულს ეზიდებოდა) და დანახარჯი შრომის საზღაურად პურს ღებულობდა. ქოით კურობა სიარული გრძელდებოდა ჩვენს ეპოქაშიც, ვანსაკეთრებით ჩრდილო კავკასიიდან გერმანელი რკინის გაძვირების გაძვირებისა და სამაშულო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ომით მოშლილი სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ჭრ კიდევ ვერ უძლევდოდა მემინდვრეობის საქმეს და ცხენ-ურემზე მოთხოვნილება კვლავ დიდი იყო.

რავების სიმედო წყაროდ იქცა. ამის შედეგად ხევში თანდაზონობით იზრდებოდა საყარტოფილე ნაკვეთების მოცულობა საქართველოს კუნძულების ხარჯზე.

უშუალოდ ამ გარემოებისთვის დაკავშირებით ხდება საქართველოს რების მოშენებაც როგორც ნ. ნიკიფოროვის ნაშრომიდან ვიტო, XIX საუკუნის 80-იან წლებში მელორეობას მისდევდა ხევის მხოლოდ 5 სოფელი (ფხელშე, გორისციხე, სნო, ახალციხე, კარჯუხი). ამის დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენდა საკვების უქონლობა. თუ ზაფხულში ღორი ბალახეულითაც იოლად გამოიდიოდა, ზამთრობით მისი გამოკვების შესაძლებლობა არ არსებობდა. ხევში მარცვლეულის სიმცირის გამო ღორისთვის მისი ვერეა ერ ხერხდებოდა, ხოლო სხვა სახის საკვები აქ არ მოიძებნებოდა. ღორის შენახვის პირობები იქმნება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც აღამიანის საკვებად იქცა ჩრდილო კავკასიონიდან შემოტანილი სიმინდი და ხორბალი, ხოლო ქერი და კარტოფილი გამოიყენებოდა არა მარტო აღამიანის, არამედ ღორის საჭმელადაც. რაც ღრიო გადიოდა, სიმინდიც იმდენად ხელმისაწვდომი ვახდა, რომ ღორის მთავარ საკვებადაც კი ის იქნა გამოიყენებული, ხოლო ქერზე უმთავრესად ცხენები მოუშევს. დღეისათვის ქერის, ქერ-სვილისა და სვილის თესვაზე მოხევევებმა საესებით აიღეს ხელი, ხოლო კარტოფილი მარტო საშინაოდ (აღამიანისა და ღორის საჭმელად) შოყვათ, ეინაიდან ფურნეში გამომცხვარი პური ახლა ყველა მაღაზიაში თავისუფად იყიდება.

ამგვარად, პურით მდიდარ ჩრდილო კავკასიასთან ინტენსიური კავშირის შედეგად, ხევში ხენა-თესვა თანდათანობით კარგვდა თვის აღრინდელ მნიშვნელობას. სიმაგიეროდ, იმავე ჩრდილო კავკასიის საზამთრო საძოვრების ათვისების წყალობით, კითარდებოდა შეცხარეობა. შეცხარეობის განვითარების სფეროში არსებითი ცვლილებები ხდება კაპიტალიზმის განვითარების ხანაში, სახელმობრ, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. პირველ ყოვლისა ამ გარემოებაზე მიგვითოთებს აქ აღწერილი ოჯახების ეკონომიკური განვითარების გზა. სულ რაღაც ერთიდან მეორე თაობამდე ერთ ოჯახში ცხერის როლენობა 200 სულიდან 3000 სულამდე აღის (ქოსელთ ოჯახი), მეორეში — 35-დან 200-მდე (გაბალეთ ოჯახი) და 1000-მდე (დიდი ოდიანნი), მესამეში — 100-დან 2000-მდე (დიდი ხულელნი), მეოთხეში 9-დან 8000-მდე (დიდი ჩეკიენი) და ა. შ.

რასაკვარელია, იქ, საღაც 35 სული მსხვილფეხა რქოსანია და მდენივე ცხვარი, ანდა იქ, საღაც მსხვილფეხა 20 სულზე მეტია, ხოლო ცხვარი მარტო 9, განვითარებულ შეცხარეობაზე კი არა, საერთოდ შეცხვარეობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

ამავე მასალიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ჯერ კიდევ შეცხვაჭ
რეობის დიდ აღმავლობამდე ზოგიერთ ოჯახს 100 და 200-სულ
ცხეარიც ჰყავდა (დიდი სულელნი, ქოსელნი). სხვა ოჯახების შესა-
ხებ არსებული მასალაც იმ გარემოების მაჩვენებელია, რამაც მას უკავშირდება
მდე სულის პატრონი თითოეულ სოფელში რამდენიმე ოჯახში შესა-
ხებ, რომლებიც ცხეარს მიერეკებოდნენ ქართლ-კახეთის საძოვრებშე.
უწმარესობის ავლადიდებას კი, როგორც იმის შესახებ ზემოთ
უკავშირდება აღნიშნული, ბაგის ცხორი შეადგენდა. ბევრი
მთხოვნელი თვითონაა მომსწრე იმისა, როდესაც მოხევეები ცხვარს
სახლში ინახავდნენ და მსხვილფეხა საქონელთან ერთად ჩალა-თი-
ვით კეებავდნენ. ამასთან ერთად მაქსიმალურად იყენებდნენ გვიან
ღაოთვლილსა და ნაადრევეად ჩამოშრიალ შზვარებს. ამ შერივ განსა-
კუთრებით ხელსაყრელ გეოგრაფიულ გარემოში იმყოფებოდნენ
ქვემო ხევის სოფლები (ყაზბეგი, გურგეტი, ცდო), რომლებსაც ხე-
ლი მოუწვდებოდათ ზემო ხევსა და სნოს ხეობასთან შედარებით
შერალ ქედებსა და ფერდობებშე. მაგალითად, სოფ. გერგეტში
უძილეთ დიდ ოჯახს, რომელიც 40 სულისაგან შედგებოდა და 3
თაობას აერთიანებდა, ყოველთვის ჰყოლია 35—40 სული ცხვარი და
მისი შენახვა არ გასჭირებია, ვინაიდან მზიან დღეებში ცხვარს
შერალ ადგილებში აბალახებდნენ.

ცხვარს ღამით ამყოფებდნენ გამოქვაბულში — ე. წ. ქოხთ
კარებში, რომელიც წინა მხრიდან ამოშენებული კედლით იყო
დათბილებული. აქვე ქვინდათ დამზადებული თივა, რომლის გადა-
ტანა სოფელში შეუძლებელი იყო უგზოობის გამო. ამიტომ მსხვილ-
ფეხა საქონელსაც აღრე გაზაფხულზე იქ მიერეკებოდნენ და აჩე-
რებდნენ მანამდე, სანამ თივა არ გაუთავდებოდათ. თივის დაკლების
შემთხვევაში საქონლის საჭმელად იყენებდნენ ძველ ქუჩს (ქუჩ-
რუახ), რომელიც თოვლის სუსსს უძლებდა. ცხვრის ძირითად
საკედებს ზამთრის პერიოდში სწორედ შზვარებში შემორჩენილი ეს
გამხმარ-გამოფიტული ქუჩი წარმოადგენდა. ასეთი ღარიბი კეების
შეღეგად ცხვარი ურქობის გამო ბატყანსაც ყოველთვის ვერ ზრდი-
და და მატყლსა და პროდუქტსაც იმის ნახევარს იძლეოდა, რასაც
იძლევა ყიზლარის საზამთრო საძოვრებშე ნაყოფი ცხვარი.

იმის გამო, რომ გასული საუკუნის 70—80-იან წლებამდე ხევში
ვეცხვარეობა ასეთი შესლუდული მასშტაბით იყო წარმოდგენილი
და აღვილობრივი მოსახლეობა საძოვრებს სჩული დატვირთვით
ეერ იყენებდა, მთებს აქირავებდნენ ბარელ მეცხვარებშე. რო-
გორც მთხოვნელები გაღმოგვცემენ, ზაფხულის განმავლობაში ყო-
ველი 100 სულის ძოვება შეფასებული ყოფილა 1 კედილად. საბა-
ლახეში აღებული ამ კედილების საფასურით სოფელი ისტუმრებდა

სახელმწიფო გადასახადებს. რაც გადარჩებოდათ, იმას კლავუნენ სასოფლო დღეობებზე.

ხალხის მეცნიერებამ იმ პირთა სახელებიც შემოგვინანა, კინაც ხევის აღმური საძოვრებით უსაჩერებლიათ. მაგალითად წერილი ტაქტი ცხვრის ფარით უელია ბაზალეთელ ქავთ ტაქტი განვიტან თიდან აქ მომდინარან აგრეთვე ვინე დიმიტრი და კისერი. ხუროთისელებთან ისინი მორიგებული ყოფილან ზემოაღნიშნული პირობით.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ხუროთისის მთებში მათმა სიარულმა თავისი კვალი დატოვა ტოპონიმიკაშიც. იმის გამო, რომ ქავთარი აქ შემოდიოდა, ერთ-ერთ მთას შეარქვეს ქავთარ შამას ვლობა, მთას, რომლითაც დიმიტრი საჩერებლომდა, ეწოდდიმიტრის მინდორი, ხოლო ადგილს, სადაც კისერიას ცხვარი იდგა, დაარქვეს კისერადს ნაბინავარი.

ხევში მეცხვარეობის ნელი ტემპით განვითარების მთავარ მოზეზს წარმოადგენდა საზამთრო საძოვრებით სარგებლობასთან დაკავშირებული სიძნელეები. კახეთის ველებზე მოხევეების მთავარ მეტოქეებად გველინებიან თუშები.

თუ კახეთში თუშების პრიორიტეტი იყრძნობოდა, ქართლის საზამთრო საძოვრებზე, პირველ ყოვლისა, ხელი მიუწედებოდა მთისძირა ზოლის მოსახლეობის. ბაზარის ამ ზოლის მცხოვრებთა ასეთი ურთიერთობა კრძელდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც. ნ. ნიკიფოროვის ცნობით, როდესაც მთიულებსა და გუდამყრელებს საძოვრები ჩრდილო კავკასიაში გამოუყეს, აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირა მცხოვრებნი ცხვარს მიერკებოდნენ სამუხრანბატონო ველებზე.

მთიულებსა და გუდამყრელებთან ერთად ჩრდილოეთისაკენ პირი იბრუნეს მოხევეებმაც, რომლებიც არცოუ ისე ხელსაყრელ მდგომარეობაში მოხედნენ საძოვრების სიძვირის გამო, მაგრამ, ისე იყო თუ ისე, მოხევეებისა და მათი მეზობელი მთიულების ერთადერთ გამოსახალს ჩრდილო კავკასიის ველებისაკენ გზის გაეთვა წარმოადგენდა. ამიტომ, გასული საუკუნის 70—80-იანი წლებიდან ისინი დიდი გამბედაობით შეუდგნენ იმ სიძნელეების გადალახვის, რომლის შესახებ ოსტატურად მოვითხოვთ ალ. ყაზბეგი და ბევრი ჭირ-ვარამის მოწმე არაერთი მწყემსი.

რაკი მათ მაგრად მოიკიდეს ფეხი ჩრდილო კავკასიაში და ცხვრის მატების ფართო პერსექტივა დაისახა, დღის წესრიგში დადგა საზაფხულო საძოვრებით სარგებლობის გადასინჯვის საკითხიც. თუ აღრე მოხევეები მთებს სხევბზე აქირავებდნენ, ახლა ეს მთები ზოგიერთი სოფლის ცხვარს ვეღარ იტევდა. ასეთი ვითა-

რების გამო საქართველოს სხვა რაიონებიდან მეცხარებმა ხევში
სიარული შეწყვიტეს, ხოლო ხევის მდიდარშა მეცხვარეებმა რაციან
სოფლებთან შეთანხმების საფუძველზე, საბალახეს გვიმიჯულებელი
პირობით, ამ მთებით სარგებლობის უფლება მოიპოვეს. მაგრა დასახური
სოფ. სტეფანწმინდაში გვიგურები (ჩეკინი), ხეთაგურები, ქუშა-
ვილები თუ ქვეთარაშვილები სოფელს ფულად უსწორებდნენ სა-
ძმვარი მთის ქირას. მაშინ როდესაც ცხვარი 3 მანეთად ფასობდა,
საძმვარი მთა ხრეკი ერთი ზაფხულის ედით ქირავდებოდა 15-
20 მანეთად, წვერი — 12 მანეთად და ადე — 25 მანეთად.
ამ თანხით სტეფანწმინდელები ისტუმრებდნენ სახელმწიფო გადა-
სახადებს და რომელიმე დღეობისათვის ხარსაც ყიდულობდნენ.
მცირე ცხვრის პატრონებს საბალახეს გადახდა არ ყვალებოდათ.

ცხვრის უკეთესად გამოკვების მიზნით ზოგიერთი ოჯახი ხა-
თიბ აღვილსაც ასაძმორებდა. ასეთ გზას დააღვნენ, მაგალითად,
დიდი ხულელნი, რომელთაც ცხვრის მომრავლების შემდეგ საძოვ-
რად აქციეს 40 თივის ხრიონი სათიბი. ანალოგიურ ხერხს მიმართეს
დიდი ოდიანთ ოჯახის უფროსებმაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ
მათ ამას მიაღწიეს გვართან შეთანხმების შემდეგ. საქმე იმაშია,
რომ ოდიშვილებს სახნავ-სათიბი აღვილები საკომლო საკუთრე-
ბაში ჰქონდათ, ხოლო მთელი ამ გვარის საერთო საკუთრებას წარ-
მოადგენდა სათიბი მთა სახი ზნარი. ამ მთას ისინი ყოველ წელს
კომლთა რაოდენობის შესაბამისად თანაბრად ანაწილებდნენ ცელის
ტარით (ე. ი. ცელის ტარით ზომავდნენ). მეცხვარე ღილშვილების
ოჯახს აქ თავისი ინტერესები გაუჩნდა და თავიანთ ბიძაშვილებთან
მოლაპარაკება გამართეს სახი ზნარის გასაძმორების შესახებ.
შეთანხმების საფუძველზე დიდი ოდიანი იქ ცხვარს აძიგებდნენ,
ხოლო ოდიშვილების ყოველ ოჯახს წელიწადში 1 კედილას აძ-
ლებდნენ ხატობაზე (ლვთიშობლობაზე) დასაძლევად. ზემოხსენ-
ბულ მთას ამავე პირობით იყენებდნენ შემდეგში დიდი ოდიანთ გა-
ნაკარი ოჯახებიც. ეს წესი მოიშალა მხოლოდ კოლექტივიზაციის
შედეგად. მანამდე, რასაკვირველია, დანარჩენმა ოდიშვილებმაც მო-
იშენეს ცხვარი, მაგრამ კინაიდან მთა სახი ზნარი ცხვრის გან-
საზღურულ რაოდენობას (არა უმეტეს 1500 სულისა) კვებავდა, მათ
ძველი პირობის დარღვევაზე აღარ უფიქრიათ და კვლავინდებურად
კომლზე თითო საკლავის მიღებას სჯერდებოდნენ.

მეცხვარეობის შემდგომი განეთარების გამო შეძლებული ოჯა-
ხების წინაშე კვლავ დაისვა ახალი საძმორების გამონახვის საკითხი.
რაյი მოსახლეობაშ მასობრივიდ მოკიდა ხელი ამ მზარდ შეურნეო-
ბას, ზოგიერთი სოფლის სამეურნეო ბაზა ვიწრო აღმოჩნდა. ის სა-
კმარისი იყო მხოლოდ ღარიბი და საშუალო შეძლების ოჯახების-

თვის. ამიტომ მდიდარი მეცნიერები იძულებული გახდება ლოდნენ თავიანთი სოფლის ფარგლებს და შეთანხმებოდნენ ურებს მათი კუთვნილი საძოვრებით სარგებლობის გატვა, უფრო მაგალი ბისაგან თოთის მთის ქირაობდნენ ხულელიძები (დიჭიულური უსახი) და აესაჭირო მეცნიერები (დათურეთ დიდი ოჯახი), უხაოს მთას — ჩქარეულები, ხოლო დუშელი აზნაურების — კობიაშვილების კუთვნილ მოებში (ტარაგამ, წითელთაძირი, ღუნვიანახ, ქუდოსძირი, ვეშათწყარო) საბალახეს გადახდის პირობით თავიანთ ფარებს მიერეკებოდნენ გიგაურები, დავითაშვილები და სხვა მდიდარი მეცნიერები.

ამგვარი შეთანხმების შედეგად ორივე მხარე მოგებული რჩებოდა. კობიაშვილები ლებდულობდნენ საბალახეს, ხოლო მეცნიერები საუკეთესოდ კვებავდნენ ცხვარს, რაც პროდუქციის სიუხვის აუცილებელ პირობას წარმოადგვნდა. ზოგიერთი მეცნიერე სხვა ხერხსაც მიმართავდა: ქირაობდა საჭიროზე მეტ საძოვარს და შემდეგ უფრო ძვირად სხვაზე აქირავებდა. მაგალითად, დიდი ჩეკინი კობიაშვილებისაგან აღებულ მთას აძლევდნენ სოფ. ფანშეტს, რომელიც საძოვრების ნაკლებობას განიცდიდა ყაზბეგების მიერ მათი კუთვნილი ადგილების ძალით დასაუზრუნების შემდეგ. ფანშეტისაგან მიღებული საბალახეთი გიგაურები თითქმის მთლიანად ფარავდნენ მათ მიერ გამოყენებული მთების ქირას.

მეცნიერობის განვითარების შედეგად მოხევეების საშეურნეო ყოფა გარჩვეულ ცვლილებებს განიცდიდა. უშუალოდ მეცნიერობის ზრდასთან დაკავშირებით ხდებოდა ცხენების, სახედრებისა და ძალების მომრავლება, ხოლო მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების მასშტაბის შემცირება. რამდენიმე კვირის საეალ გზაზე ბარგის გადატან-გადმოტანა, კოჭლი ცხვრების თუ უნდილ ბატქნების გადაყვანა, სხვადასხვა საქმეზე მწყემსთა მიმოსვლა ცხენისა და სახედრის გარეშე ისევე შეუძლებელი იყო, როგორც უძალოდ ცხერის დაცვა ოთხვეხა ან ორტეხა მტაცებლებისაგან.

ჩრდილო კიკასიის საზამთრო საძოვრების გამოყენების შედეგად იოლ და მომგებიან საქმედ იქცა მეცნიერობა. ცხვართან ერთად მთაბარობის გამო ცხენი ხარხს აღარ თხოვლობდა. მასზე მოთხოვნილება კი თანდათანიბით იზრდებოდა. თუ აღრე ის მნილოდ მხედრის სატარებლად გამოიყენებოდა, ხოლო გამწევ ძალას ხარი წარმოადგენდა ახლა უკვე ხარის ადგილიც ცხენმა დაიკავა. გარდა მოხევეებისა, მთის ცხენებს ბევრი მუშტარი ჰყავდა ჩრდილო კავკასიის მთიელების სახითაც. კავკასიონის როგორ რელიფურ პირობებში გამოყენების მიზნით მთის ცხენებს ყიდულობდა აგრეთვე

სამხედრო უწყება. ყოველივე ამის გამო მეცხვარეებმა დიდი შეუძლიათ მოპერიდეს ხელი ცხენების მოშენების საქმეს.

გარდა იმისა, რომ ცხენებზე მოთხოვნილების ზრდის შედეგად ხევში ხარების რიცხვი შემცირდა, მეცხვარეობით დაინტენსიფირდა იწვევდა ვგრეთვე მსხვილუესა მესაქონლეობის რამდენიმე უძლედეს. ალნიშნულ პროცესს პირობებდა სათიბების შემცირების ხარჯზე საძოვრების ზრდა და მუშახელის დიდი ნაწილის მეცხვარეობაში ჩაბმა. მხოლოდ ზოგიერთი ოჯახი არ ღალატობდა ძელ ტრადიციას და ამ მხრივ სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებდა. ზოგიერთი შეძლებული ოჯახი კი მეცხვარეობის ზრდასთან ერთად მსხვილუესა საქონელსაც ამრავლებდა, ხოლო ვინაიდან საქონლის შენახების შესაძლებლობას ვანსაზღვრავდა სახნავ-სათიბილან აღებული ჩალა-თივის მარავი, ოჯახი ამის შესაბამისდ აფართოებდა სამეურნეო ბაზის საზღვრებსაც. ეს ხდებოდა მამულების შეძენის გზით, რაშიც მათ მეტოქეობას ვერ უწევდნენ ღარიბი და საშუალო შეძლების ოჯახები. თუ რამდენად ადვილი იყო მამულების ხელში ჩაგდება მდიდარი მეცხვარეებისათვის, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ სოფ. ტყარშეტიდან სოფ. არშაში ჩასახლებულმა ავსაგანი-შვილებმა (დათვრეთ დიდმა ოჯახმა) საკარმიდამო ფართობში, ერთი ულლის 10 დღიურის სახნავსა და 35—40 თვეის სათიბში ყაზბე-გებს ვადაცხადეს 400 სული ცხავრი. ასევე ცხვრის საფასურით შე-ძლეს გოგაურებმა ყაზბეგიანთ მამულების ხელში ჩაგდება სოფ. სტეფანწმინდაში, ბადაშვილებმა კობიაშვილების (დუშელი აზნაურების) მამულების შეძენა სოფ. ხურთისში და ა. შ. ამ გზით ღრმავ-დებოდა სახნავ-სათიბ აღვილებზე უთანაბრო მფლობელობის პროცესი.

ამგვარად, მეცხვარეობის განვითარების საფუძველზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ზოგიერთი ოჯახი კეონომიური ბრძოლის ფრთხონტზე გამარჯვებული გამოდიოდა და მეურნეობის ყველა სფე-როში უპირატესობას აღწევდა. ამგვარი ოჯახების სახით ხევში ჩა-შეყალიბდა კეონომიურად აღზევებული ფენა, რომელიც მოსახლე-ობის ერთ ნაწილს ექსპლოატაციას უწევდა და სოციალურადაც ემიგ-ნებოდა. ოჯახში მყოფი მუშახელი ველარ უძლებოდა ყოველმხრივ გაფართოებულ მეურნეობას, ამიტომ იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგიერთ ოჯახს რამდენიმე ათეული დაქირავებული მწყემსი და მწყელავი ემსახურებოდა. სო-ციალ-ეკონომიური დიფერენციაცია, პირველ ყოვლისა, დამქი-რავებელსა და დაქირავებულს შორის იგრძნობოდა. ეს ვანსაკუთ-რებით ნათელ გამოხატულებას პოულობდა საქორწინო ურთიერთო-

ბაში, როდესაც სარქალი თავის შეყვემსთან ქორწინებასა და შეუკრობას გაურბოდა.

სარქალთან მოგამავირედ მყოფი კაცი უოველივე მას კავაზ ხელავდა, მაგრამ ცხვრის მოშენებით დაინტერესებულ ჩრდილოურ ხელავდა იმ დროს ამაზე უფრო ხელსაყრელი პირობები არ ასეურთაშოული აღდრე მოხევე ამ მიზნით თუშეთში მიღიოდა რამდენიმე წლით, ახლა უკვე ეს საქმიანობა გარეთ საძებარი აღარ იყო. ღარიბი კაცისთვის მოხევე სარქალთან მიკედლება და თავის კუთხესა და ოჯახთან მუდმივი კონტაქტი გაცილებით ხელსაყრელი იყო, ვიღრე ღიღი სხით სხეავინ გადასვერი. რამდენიმე წლის ს ა წ ყ ე მ ს თ ს (ჯამავირში კუთვნილი ცხვრის) აღების შემდეგ შეუყვემის თითონ ხდებოდა ცხვრის პატრიონი და მოჯამავირებობასაც თავს ანებებდა. ამ გზით ხევში დღითი დღე მატულობდა ცხვრის მყოლი ოჯახების რიცხვი, ხოლო ზოგიერთი პირი სარქლობასაც კი იღწევდა. მეცხვარეობის როლი თანდათანობით იჩრდებოდა, ხოლო მეურნეობის სხვა სახეობათა მნიშვნელობა იჩრდილებოდა, მაგრამ ხევის ეკონომიკური განვითარება მარტო ამ გზით არ ხდებოდა. მოსახლეობის შედარებით მცირე პროცენტს სხვა საარჩევო საშუალებაზე გამოიწახა. ოჯახების ნაწილი მეცხვარეობისადმი მიღრეკილებას სრულიად არ იჩენდა და მსხვილუება მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასაც უკვე გულგრილიად კეიდებოდა. ის ოჯახი, რომელიც ქალაქს მჭიდროდ დაუკავშირდა, ხევში მხოლოდ ერთი ფეხითლა იღდა. ასეთმა ოჯახებმა თავიანთ ძირითად საქმიანობად გაიხადეს ის, რაც მესაქონლე და მიწათმოქმედი ოჯახებისათვის შემოსავლის დამხმარე წყაროდ ითვლებოდა. ასეთ საქმიანობად გვესახება ხელოსნობა, ვაჭრობა, ტრანსპორტულ მუშაობა და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საეუთოი ხევის ფარგლებში ხელოსნობა არც ერთი ოჯახისთვის არ წარმოადგენდა მის ეკონომიკურ საფუძველს. სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ავეჯის თუ ტანსაცმლის დამზადება ხევში არ გასცილებია შინამრეწველობის ფარგლებს. შინამოთხოვნილებაზე ჭარბი ქსოვილისა (ტოლი) და ჩოხების დამზადება ბაზარზე გატანის მიზნით უშუალოდ ემთხვევა ხევში მეცხვარეობის აღმავლობის პერიოდს. როგორც მთხოვნდები გადმოგვცემენ, ეს კ. წ. ტოლ-ჩოლი დაიწყო მათი ყრმობის ღროს, ე. ი. არაუდრეს გასული საუკუნის 80-იანი წლებისა.

შეიძლება ითვეას, რომ შინამრეწველობის პროდუქტიდან მოხვევებს გაქონდათ მხოლოდ ტოლი და ჩოხა. სასოფლო-სამეურნეო იარაღსა და ავეჯს აქ მარტო იმდენს აკეთებდნენ, რამდენიც ადგილობრივი მოთხოვნილებისათვის იყო საჭირო. ხელოსანი მის დამზადებაში იღვებდა გასამრჯელოს ნატურის ან ფულის სახით. ის

ამ საქმეს ხელს პკიდებდა მხოლოდ სეზონური სამუშაოებისაგან ვან-
თავისუფლების შემდეგ. თუ მას შემკვეთი თავს დაადგებოდა უძინდ-
ერად მუშაობის პერიოდში, ხელოსანი შეკვეთის შესარტულებდა
მხოლოდ შრომაში შენაცვლების პირობით, ე. ი. ხელოსნის უცადესობა
ლად მის ნაკვეთში იმუშავებდა შემკვეთი. ასეთი წესი არ ვრცელ-
დებოდა სახლის მშენებლობის დროს. შენებლის შრომის ანაზღა-
ურება ხდებოდა ნატურით ან ფულით. მშენებლობაში გაწაფული
მოხევეები სამუშაოდ ხევის მეზობელ კუთხეებშიც მიღიოდნენ,
მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ხევში არც ეს ხელობა წარმო-
ადგენდა რომელიმე ოჯახის ერთადერთ საარსებო საშუალებას. სა-
მაგიეროდ ამ მხრივ მდგომარეობა იცვლება იმ ოჯახების ცხოვრე-
ბაში, რომლებმაც პირი იბრუნეს ქალაქისაკენ.

განსაკუთრებით ღიღი იყო მოხევეთა ლტოლვა ჩრდილოეთისა-
კენ. თავდაპირველად წარმოებასა და ვაჭრობაში ოჯახის ზოგიერთი
წევრის ჩაბმის, ხოლო შემდეგ ასეთი ოჯახის მთლიანად ქალაქში ან
საქართველოს სამხედრო გზის სატრანზიტო პუნქტებში დასახლე-
ბის შედეგად, მისი ეკონომიკური საუზღვებიც იცვლებოდა. მაგა-
ლითად, სოფ. ლარსში დასახლებულმა შიომლაშეილებმა (გორუ-
ლენი) და ლუდუშაურებმა (ყარაფენი), მოაწყვეს რა ღუნები და
ფუნდუკები, მგზავრებზე ფუნდუკების გაქირავებითა და ვაჭრო-
ბით მიღებული შემოსავალი საარსებო წყაროდ აქციეს.

ქ. ვლადიკავკაშიში დასახლებული ოჯახები (სუჯაშვილების,
ხუციშვილების, ჩოფიკაშვილების, ლუდუშაურების, გუგარაიძეების,
ზაგაშვილების და ა. შ.) სხვადასხვა საქმიანობის კიდებენ ხელს. ამ
მხრივ აღსანიშნავია ეტლით მგზავრების გადაყვანა ელალიკავკაში-
დან თბილისამდე, ამავე მარშრუტით ფოსტის ზიდვა, გზაზე მენარ-
ედ შუშაობა, ყარაულად ყოფნა, ქუჩებში ქვაფენილის დაგება,
ქისა და შეშის დამზადება და ა. შ. შემოსავლიან საქმედ ითვლე-
ბოდა ე. წ. ს ა ე ნ ე ბ ი ს დ ა დ გ მ ა, ე. ი. ქარხნების საწვავად შე-
შის დამზადება. განსაკუთრებით კარგად მოწყობილა იმ ოჯახების
საქმე, რომელთაც ხელი მოჰკიდეს მექუდეობას, მეჩექმეობას, მეუ-
ნავირეობას და ვაჭრობას. ძალზე გაზრდილა მეუნავირეთა პრიორი-
ტეტი პირველი იმპერიალისტური ომის წლებში, როდესაც ოსტა-
ტებს შეკვეთები მოსდიოდათ სამხედრო უწყებიდან. ზოგიერთი
შოხევე მაშინ ისე გამდიდრებული, რომ „კ უ პ ე ც ი ს“ სახელი მო-
უხევეშია. ასეთებად ასახელებენ კოტე წიკლაურს, კოლა ზაგაშვილს
და სხვ. ყოველივე ამასთან ერთად აქ დასახელებული თითოეული
ოჯახი ინახავდა 2—3 ძროხას, ლორებს, ქათმებს. ყველა მათგანს
ჰქონდა საკუთარი სახლი თავისი ეზოთი და სამეურნეო სათავსოე-


შით, ხოლო, როგორც რ. ხარაძემ დაადგინა, ზოვეურთში გადადგინდა და დაუწია მებალეობასა და მებოსტნეობასაც.

ამგვარი ხასიათის სამუშაოებში გაშავება წარმოადგენდა საფლავიდან მოწყვეტისა და ქალაქად ან ბარის სამეურნეო უწყობებშე დასახლების და, მაშინადამე, ხაოჭახო ყოფაში არსებითი ცალილებების განხორციელების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ეს ცალილებები, პირველ რიგში, გამოხატულებას პოულობდა გაღმონაშორი ფორმით შემონახული საოჯახო თემის ეკონომიური საფუძვლების მოშლის პროცესში, რაც თავის მხრივ ნიადაგს აცლიდა ასეთი ოჯახის არსებობას. საშოვარზე ოჯახის წევრთა დაქასებულობა იწვევდა დიდი ოჯახის მონილითური ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებად დაშლას, ე. ი. ინდივიდუალურ ოჯახებად მის სეგმენტაციას.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად ხევში დაშლის საფეხურზე მყოფი დიდი ოჯახის შიგნით იზრდებოდა კურძომესაცუთრული ტენდენცია. მეცხვარეობა აღმავლობას განიცდიდა, მისი სასაქონლო მნიშვნელობა თანდათანობით აშეარად მატულობდა, ბაზართან კავშირი ფართოედებოდა, მიწათმოქმედება უკა იხევდა. ყოფილი სახნავები სათიბებად აქციეს, ხოლო მაღალ ფერდობებზე მდებარე სათიბები გაასამოვრეს. დიდი ოჯახების სეგმენტაციასთან ერთად ქუცმაცლებოდა სამეურნეო ნაკვეთებიც. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საოჯახო თემების დაშლის პროცესი ჩვენი საუკუნის კარიბჭესთან არსებითად უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ ადგილ-მიმულებზე საოჯახო, საგვარო, სასოფლო და საოჯომო მფლობელობის წესი ხევში კოლექტივიზაციამდე გრძელდებოდა. ამ დღიდან კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.

წესდების მიხედვით კოლექტურნე გლეხს პირად სარგებლობაში დაუტოვეს 0.25 პ. მიწა, ნება დართეს იყოლიოს 40 ლედა ცხვარი თავისი ნამატით და 5 სულამდე მსხვილფეხა. ამის შედეგად ხევში ოჯახების დაჭუცვაცების პროცესი მანამდე არნახულ ფაზაში შევიდა. პირად სარგებლობაში ზედმეტი ნაკვეთის ხელში ჩაგდებისა და საქონლის შენარჩუნების მიზნით, უმრავლესობა დაადგა ფიქტური გაყრის გზას. ეს განსაკუთრებით აშეარა გახდა 1938 წლიდან, როდესაც კოლექტივიზაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. მიწის ნაკვეთების ხელში ჩაგდებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო მოსახლეობა სამაშულო ომის პერიოდში პურის დიდი სიძირისა და უშოვნელობის გამო. გავირვებული მოსახლეობა იძულებული გახდა გაყაშირებული სახნავები ხელახლა გაეტეხა და ქერისა და ქერ-სვილის ყანები აებიბინებინა. ამასთან ერთად უფრო ინტენსიურად მოეკიდნენ კარტოფილის მოყვანის საქმეს. გარდა

იმისა, რომ პურით ნაკლებობის დროს ის მნიშვნელოვან სატურებს წარმოადგენდა, ჩრდილო კავკასიის სამიწათმოქმედო რაიონებში მას პურზედაც ცელიდნენ.



კოლმეურნეობების დაარსება აქ დაიწყო 1930-იანი წლებისათვეებისა მათი არსებობა დიდხანს არ ვაგრძელებულა. მათი დაშლა გამოწვეული იყო ორი მიზეზით: 1. ანდეზიტის წარმოების გაფართოებით, რის შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი მოწყდა სოფლის მეურნეობას და ჩაება ამ წარმოებაში; 2. ყველა სოფელში ცხოვრობლნენ შეძლებული მეცხვარეები, რომლებიც საძოვრების დაკავებითა და მწყემს-მწეველავთა დაქირავებით ხელს უშლიდნენ საზოგადოებრივ საქმეს, კინაიდან ანდეზიტის წარმოებაში ჩაბმისა და მდიდარ მეცხვარეებთან მოჯამავირედ მიკედლების გამო მწარმოებელი ძალა დაიქსავსა, კოლექტიურმა მეურნეობაში ერახო განიცადა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ხევში მალე დაიწყო ასეთი ოჯახების განკულაკება და მათი ცხვარ-ძროხის კოლმეურნეობებში გაერთიანება. გაიარა ნეპის პერიოდმაც და ვაჭრობაში გართული ოჯახებიც სოფელს დაუბრუნდნენ. ასეთი სოციალური ძრების შედეგად მოხევეების საოჯახო მეურნეობა განვითარების ახალ ფაზაში შევიდა.

საკოლმეურნეო ცხოვრების ჩამოყალიბების შედეგად თუ ეკონომიკურად ძლიერი ოჯახების უფლებები შეიკვეცა, სამაგიეროდ საგრძნობლად გაუმჯობესდა დარიბ მწყემსთა მდგომარეობა. ამ დღიდან ისინი მწყემსაცდნენ აჩა მდიდარი მეცხვარეების, არამედ კოლმეურნეობის ცხვარს. სამწყებელ შეიცვალა კოლმეურნეობიდან მიღებული საზღაურით, ხოლო კოლმეურნეობის ცხვართან ერთად მწყემსი უკლის საუთარსაც, რაც მას არავითარ ხარჯს არ აძლევს. იმასთან ერთად, რომ კოლმეურნე თავაზის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს კოლმეურნეობიდან მიღებული პროდუქტები, ფული და პირად სარგებლობაში არსებული ჩაკვეთი თუ საქონელი, ოჯახის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თაშმაშის სამსახურიდან მიღებული ხელფასიც. ხევში იშვიათია ისეთი ოჯახი, რომლის ერთი წევრი მაინც არ იღებდეს ხელფასს.

მესაქონლეობიდან მიღებული შემოსავალი თანამედროვე ხევში გაცილებით დიდია, ვიდრე ეს იყო თუნდაც 1953 წლამდე. საქმე იმაშია, რომ კოლმეურნე გლეხი გაათავისუფლეს 1953 წლამდე არსებული საკმარის მძიმე გადასახადებისაგან. ამასთან ერთად, დამზადების პრენტებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ხორცისა და მატულის შესყიდვის პირობები. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასების მიხედვით, დამზადების პრენტი გლეხს 1 კგ მატულში უნაღდებს 6—8 მანეთს, ხოლო 1 კგ ხორცში (ცოცხალ წონაში) მი-

სი ხარისხის შესაბამისად 2 მანეთამდე. ამასე უფრო დაბ ბელს გლეხი ვერც ერთ თანამედროვე ბაზარზე ვერ ძლევამ, ამ- ტომ პროდუქტის სხვაგან გატანაზე ის აღარ იწუხებს თავს.

ხევში ანდეზიტის აღმოჩენა და შისი დამუშავების წილი დაკავშირებულია ყაზბეგელი გლეხის ივანე ომას ძე ფიცხელაურის სახელთან. დღეში ერთი მანეთის გადანდის პირობით მასთან ნარ-დად უმუშავია 5—6 კაცს. 1910 წლიდან აქ ასევე ნარდი ანაზღაუ-რების პრინციპებზე შეიქმნა არტელი, ხოლო 1930 წლიდან გაი-ხსნა დიდი წირმოება.

თავდაპირეელ საშუალო ობიექტებს წარმოადგენდა ანდეზიტის საბადო, რომელსაც ეწოდება საკეცე ცი ა. არტელში ჩაბმული იყო 150—200 მუშა. ისინი ჭრილენი და ამუშავებდნენ ზემოდან დაყრილ ლოდებს. სოფ. ცდოს ძირას გამოქვაბებს კლდე — ე. წ. სამჟედლო ქოხი იარაღის შესანახავად, რომელიც დღემდეა შემორჩენილი წინ ამოშენებული ქვითკირის კედლით. 1913 წლიდან აქ დაიწყეს კლდის აუკრებაც, ხოლო 1914 წლიდან მუშაობა გაშა-ლეს ხევის მეორე უფრო დიდ საბალოში — არშაში. აღრე თუ კლადიკევაზში იგზავნებოდა დაუმუშავებელი ნატეხები, 1915 წლიდან დაიწყეს ქვის აღგილზევე გათლა. არშის წარმოების განს-ნის შედეგად მუშების ჩილდები 100ს კაცმდე გაზრდილა. ამასთან ერთად მოუმატია მენარდეების რიცხვებაც.

ანდეზიტის ქვაბე ღიდი მოთხოვნილების გამო ხევში გაჩნდა წარმოების კიდევ ერთი ქერა — სამტკერე (სოფ. ყანობის პირდაპირი). კიდევ უფრო იმატა მუშახელა და მენარდეების ურთიერთქმება. საბადოებთან სოფლების მდებარეობის მიხედვით ხევში შეიქმნა ერთვარი საწარმოო ზონები. საბადო საკეცელში ძირითადად მუშაობდნენ ამ საბადოს ახლო მდებარე სოფლების — ცდის, გერგეტისა და ყაჩევების მკიდრინი. ანდეზიტის წარმოების მთავარ ცენტრს — არშის საბადოს მიაწყდნენ შუახევის სოფლების (არშა, სიონი, გარბანი, გაიბორენი, ტყარმეტი) მცხოვრებნი, ხოლო სამტკერეს საბადოში უმთავრესად მუშაობდნენ ხურთისელება და ყანობლები.

საბადო საკეცელში, რომელიც საქართველოს სამხედრო გზიდან
საქართველოდ დღიდ სიმაღლეზე მდებარეობს, გვყვანილი იყო რეინიგზა,
რომელზეც მოძრავი ვაგონეტებით ხდებოდა ქვის ჩამოტანა საქარ-
თველოს სამხედრო გზაზე. აქედან ულადიყვაზში ქვა გადაპირი-
დათ ურმებითა და დროგვებით. დროგით ქვის გადატანა შეფასებუ-
ლი ყოფილა 1 მან. 50 კაპ., ხოლო ურმით — 1 მან. ასეთ შეჭაობა-
ში ცხენის პატრიონები ხალისით ჩაეგნენ. გარდა ამისა, იმ სოფლის

ყველა მექომურს, რომლის ტერიტორიაზედაც ქვის დამუშავება
წარმოებდა, ყოველ ერთ დროვ ქვაში სახელმწიფო უნაღულება
1 მან. და 50 კაპ., ხოლო 1 ურებშე 1 მანეთს. აღნიშნული შემოსავა
ლით სოფელი ისტუმრებდა როგორც სახელმწიფო გადასახმულების
ისე დღეობებისათვის საჭირო ხარჯებს.

ოქტომბრის ჩევოლენციის შემდეგ ანდეზიტის წარმოება დაი-
სურა. იქ მუშაობა განახლდა მხოლოდ 1925 წლიდან. საბჭოთა ხე-
ლისუფლების არსებობის პირველ წლებში ქვის გადატანა კვლავ
დროგებითა და ურმებით წარმოებდა. მაშინ, როდესაც ცხვარი ორ-
ნახევარ მანეთად იყიდებოდა, ელადიყავებაზე 1 დროვი ქვის გა-
დატანა შეფასებული ყოფილა 3 მანეთად, ხოლო 1 ურები ქვისა 2
მანეთად. ასეთი ფასებით დაინტერესებული მოხევეები დაეწაფენ
ნარდ სამუშაოს. როგორც ამ საქმიანობის მონაწილეები გაღმოგვ-
ცემენ, საქალაქო ქირაზე სიარული შემოსავლის ამ წყაროსთან შე-
დარბით მონავონი იყო. 1 ცხენისა და 200 ცხერის შემოსავალი,
ხალხის გაგებით, იმ დროისათვის თანაბარი ყოფილა. ამიტომ ყვე-
ლა ცხენის შეძენაზე ოცნებობდა.

საქმიანდ დიდი ხელფასი პქონიათ ქვის დამაშადებლებსაც.
მუშის სამუშალო შემოსავალი 10—15 თუმნის ფარგლებში მერყეობ-
და. სამუშაოს შესაბამისად კი იქ არსებობდა ანაზღაურების შეტ-
ნაკლებად განსხვავებული ნორმები: მიწიდნ ქვის ამონტისა და და-
საჭრელად მისი გამზადება მუშის თვეში აძლევდა 10—11 თუმანს,
ქვის დამჭრელ-დამთლელი გამოიდიოდა 15 თუმანზე, აძლეოთქებელი
ლებულობდა 25—30 თუმანს, ხოლო სამხედრო გზამდე ქვის ჩამომ-
ტანი მუშის თვითი ხელფასი შეაღენდა 10—11 თუმანს.

1930 წლიდან საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა საყოფა-
ცხოვრებო პირობები. ამშის საბაზოს პირდაპირ, საქართველოს სამ-
ხედრო გზის პირად, გამშენეს მუშათა ახალშენი. ბინა და სპეცტან-
საცმელი მუშისათვის უფასო იყო. ანდეზიტის წარმოებაში ჩაბმის
მსურველ მოხევეთა რიცხვი მატულობდა. იმ დროს ბევრ ღარიშ
ოფას იმდენი ფული დაუგროვებია, რომ ცხვარიც შეუძენია და სახ-
ლიც აუშენებია.

1930-იანი წლებიდან ანდეზიტის წარმოებაში ჩაბმული ყოფი-
ლა 3000-მდე მუშა. ქართველებთან (მოხევეები, იმერლები) ერთად
იქ უმუშავიათ ბერძნებსა და უკრაინელებს. მუშათა ასეთი დიდი
ნაფადის საცხოვრებლად გამოყენებულ იქნა სახელდახელოდ გაკუ-
თებული ბარაკები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კარვებიც კი. ან-
დეზიტის წარმოების ასეთი გაფართოების დროს აშენდა საავაღმ-
ყოფო, სკოლა, კლუბი, ტურბაზა, ელექტროსადგური და ა. შ.

ანდეზიტის წარმოება დღეს თითქმის არავითარ როლს იკა ას-
ტულებს მოხევეთა ცხოვრებაში. თუ მან თავის დროზე მისამართ-
ლოვნად შეუწყო ხელი ბევრი ოჯახის ეკონომიკური მდგრძელეობის
გაუმჯობესების საქმეს, დღეს, როგორც ეს, ისე რმუნისშვილების
საარსებო წყარო, საესებით ღაჩრდილა მეცხვარეობის შეცტესმაქტ
ბის არახსულმა განვითარებამ, რაც ხორციელდება ორი გზით —
საკოლმეურნეო და კერძო სექტორის ბაზაზე, არსებითად შეუცვა-
ლა სახე ოჯახს, როგორც ეკონომიკურ ერთეულს.

❸

უკველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ
ხევში ოჯახის ძირითად ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა
შესაქონლეობა და მიწათმოქმედება პირველის საგრძნობი უპირატე-
სობით. ამასთან ერთად მოხევის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლი
თამაშობდა რიგი დამხმარე ხასიათის საქმიანობა, ხოლო XIX საუ-
კუნის მეორე ნახევრიდან განსაკუთრებით დაწინაურდა მეცხვარე-
ობა.

მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის პროფილით ხევი ყოველ-
თვის ერთნიირად არ გამოიყურებოდა, საოჯახო თემი აქ არსებობდა
და როგორც მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების,
ასევე განვითარებული მეცხვარეობის ბაზაზე. თვით ერთსა და იმა-
ვე ეპოქაშიც მეცხვარეობაშე დამყარებული დიდი ოჯახების გვერ-
დით სიცოცხლეს განაგრძოდნენ ისეთი საოჯახო თეშებიც, რომელ-
თა არსებობა მეცხვარეობაშე არ იყო დამოკიდებული. უფრო მე-
ტიც, ერთი და იგივე საოჯახო თემი თავისი არსებობის ერთ პერიოდ-
ში ეყიდვებოდა უმთავრესად მსხვილფეხა მესაქონლეობასა და ში-
წათმოქმედებას, ხოლო შემდეგ მეცხვარეობას. ასეთი ეითარების
გათვალისწინების შემდეგ სრულიად აშენაა, რომ ხევში საოჯახო
თემის არსებობა მეურნეობის ერთი რომელიმე დარგით არ იყო გან-
პირობებული. ასევე როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხების
შესწავლის საფუძველზე რ. ხარატემ დამტკიცა, რომ საოჯახო თემი
გადმონაშთური ფორმით არსებობდა სხვადასხვა სამეურნეო პი-
რობებში, ერთი კუთხის მავალითზედაც ცხადია, რომ ოჯახის ეს
ფორმა ერთნიირად ეგუებოდა სხვადასხვა სახის მეურნეობას და
ხანგრძლივად ინარჩუნებდა მისთვის ისტორიულად დამახასიათე-
ბელ ამ ერთ-ერთ ძირითად ნიშანს.

ოჯახის მართვისა და შრომის ორგანიზაციის სისტემა, უროვან ღრგავილების ურთიერთდამოკიდებულების მორმავი და რიტუალი

ოჯახის მართვისა და შრომის ორგანიზაციის საქმეში გამოიყენებული ერელი იყო სამი ძირითადი ფაქტორი — სქესი, ასევე დაწყებულების ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანდა საოჯახო თემის ფარგლებში, რამდენადაც ასეთი ოჯახი აერთოანებდა სხვადასხვა თაობისა და სხვა-დასხვა უნარის მქონე მამაკაცებსა და დედაკაცებს.

ჩვეულებისამებრ, ოჯახის ხელმძღვანელობა ჩაბარებული ქონ-და ხნით უფროსსა და გამოცდილ მეურნეს. ამ მოვალეობის შემ-სრულებელი პიროვნების აღსანიშნავად ხევში არსებობდა მისიერ მდგომარეობის გამომხატველი ასამდენიშვ სახელი: ოჯახის უფ-როსი, ოჯახის მაწარმოებელი, ჯალაბობის უფ-როსი, სახლის უფროსი, სახლის მაწალშართე-ბელი, ოჯახი, ჯალაბობა და სახლი ერთ ჭირების მცხოვრები ოჯახის აღმნიშვნელია, ხოლო ისეთი ცნებები, როგორი-ცა უფროსი, მაწარმოებელი და მაწალმართებელი, უფროსის გარდა-ცვალების შემდეგ ეს მოვალეობა ასევე ხანდაზმული და ვონიერი კაცის ხელში გადადიოდა. იმ წესის მიხედვით, გარდაცვლილი შე-თაურის აღგილზე ირჩევდნენ მის მომდევნო ძმას ან უფროს შვილს. თუ გარდაცვლილს ძმები ჰყავდა, ოჯახის უფროსობა უსა-თუოდ ძმებს შორის ყველაზე ხნიერს გადაეცემოდა, ხოლო როდე-საც მხოლოდ შვილები რჩებოდა, ოჯახის მეთაურობა გადადიოდა უფროსი შვილის ხელში. აღნიშნული ვითარება ნათლად ჩანს კონ-კრეტული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით.

ქოსლელი ფიცხელაურების დიდი ოჯახის შშართველი ჯერ იყო მანგია, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ უმცროსი ძმა ღვ-რენა. დიდ ხელელთ ოჯახს აღრე ხელმძღვანელობდა 4 ვაჟის მამა ბადამ, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ უფროსი შვილი იასე. დიდი ჩეკიეთ ოჯახის უფროსი თავდაპირეველად იყო შიო, რომელ-საც ჰყავდა ოთხი ვაჟი: ვანკაი, გუგუა, სეიმანა (მასინაა) და გახუ-ტა. შიოს გარდაცვალების შემდეგ ოჯახს სათავეში მოექცა მისი უფროსი შვილი ვანკა. ოჯახის გაყრამდე ვანკაც გარდაცვლილა და მისი მოვალეობა დაკისრებია მომდევნო ძმას — გუგუას. გუგუას

I თუ სახლის უფროსს გონიერი ხელმძღვანელობით ოჯახი გაძლიერდებოდა, გარდაცვლილ მეთაურის მამა ასამდენიშვ ღერს ინიციულნენ, რათა ოჯახში ბარაქა არ გამოიხდია. სახელოვანი უფროსის სახელს არქმევდნენ შვილი-შემდებარებელისა და შემცდელის თაობის ბავშვებს და ამას იშითი ასაბუთებდნენ, თოთ-ქოს ბავშვეს ატირებდა შინი (წინაპირის) სული.

გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ხელმძღვანელობდა სვიმონის (ალ. ყაზბეგის მეგობარი). ოჯახი ისევ გაუყრელი იყო, როდესაც ხელმონიც გარდაცვლილა. საბოლოოდ ოჯახის მეთაურობა დაკისრა სრულ უმცროს ძმას გახუტას, რომლის ხელში ამ დიდი ოქმნაში ჩამდებოდა მე თჯახად დანაწილებაც მოხდა.

ხნით უფროსობის მიხედვით ოჯახის მეთაურად არჩევის წესა საერთოდ დამახასიათებელი იყო მოხევეთა საოჯახო ყოფისათვის, ოჯახის უფროსი ლოგინადაც რომ ყოფილიყო ჩაგარდნილი, ოჯახში მაშინაც კი არ დგებოდა სხვა კანდიდატურით მასი შეცვლის საკითხი. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფობა ან ლრმა მოხუცებულობა მას წარათმევდა აზროვნების უნარს, ან თავისი უყაირათობით ის ოჯახის წევრთა უქმაყოფილებას გამოიწვევდა. მის ადგილს სხვა იყავებდა. მავალითად, გოჩიანთ საოჯახო თემში ერთხანს უფროსობა მინდობილი ჰქონდა გიგოლას. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მოვალეობა დაკისრა მის უმცროს ძმას გავის მაშინ, როდესაც ამ ოჯახში ცხოვრობდა ალ. ყაზბეგის ერთ-ერთა მოხრობელი, 130 წელს მიღწეული ლეგა ფიცხელაური (გავის ბიძაშვილი). მოხრობლების განმარტებასა, ასეთი ვითარების მიზეზი იყო ლეგას ლრმა მოხუცებულობა, მაგრამ ოჯახის უფროსიად ხნით უმცროსი კაცის არჩევის ზოგიერთ შემთხვევაში საფურქლად ედო ყოფილი მეთაურის უგერგილობა. მავალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ტუჩაშვილების დიდი ოჯახი, რომელსაც მეთაურობდა ფუქსავატი ზურაბი. ლოთობისა ღა უყაირათობის გამო ზურაბი გადაუყენებიათ და მისი ადგილი დაუჭირია მის უფროს შეიღს ანდრიას, რომლის გონიერი ხელმძღვანელობით ოჯახი წელში გამართულა. ამგარაც, ოჯახის უფროსად არჩევა განპირობებული იყო არა მარტო ხნიერებით, არამედ უნარიანობითაც. უმთავრეს შემთხვევაში კი ოჯახის მეთაურად ვხედავთ ხანდაზულ კაცს, რომელიც თავისი სიცოცხლეს ასეთი მოღვაწეობით ამთავრებდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის დაკარგავდა ოჯახის მართვის უნარს, მისივე სურვილით ხდებოდა სხვისი არჩევა, ოღონდ მოხუცისადმი პატივისცემა კვლავ ძალაში ჩებოდნდა. სიბერით მოტეხილ ყოფილ ხელმძღვანელს, როგორც წლოვანებით უხუცეს პირს, გვერდს მაინც არ უვლიდნენ და ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მას უთანხმებდნენ. მისდამი ასეთი დამოკიდებულებით ოჯახის წევრები იცავდნენ მოხუცისადმი პატივისცემის ტრადიციის. ასც შეეხება სამოყვრით ურთიერთობის მოწესრიგებას, სამტრო საქშეზე მოლაპარაკება-შეთანხმებას, რელიგიური წესების შესრულებას და საერთოდ მოხევური ტრადიციების დაცვას, ეს სიკვდილაშდე უხუცესი კაცის კომპეტენციაში შედიოდა.

ოჯახის ხელმძღვანელიდ დედაკაცის გამოყოფა ხევში მიუღებელი იყო. მას იმ მოვალეობის შესრულება მოუწევდა მხოლოდ უკალი თქახში. ასეთი კი შესაძლებელია ყოფილიყო მარტოოფე ინდივიდუალური ოჯახი. ხევში არ არსებობდა არც ერთი ისტორიული თქახო თემი, სადაც რამდენიმე მამაკაცი არ ყოფილიყო. შემცირებული დიდი ოჯახის მეთაურად დედაკაცის ყოფნა თავისთავად გამორიცხული იყო. სამაგიეროდ ოჯახში სადედაკაცო საქმიანობათა ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა დიასახლისს, რომლის არჩევა-საც მირითადად ასევე ხნით უფროსობა ედო საფუძვლად. აღნიშნული ეითარების გამო ოჯახში ხშირად ჰქონია ადგილი ისეთ შეძოვევას, როდესაც დიასახლისად მდგარა არა ოჯახის უფროსის შეუღლე, არამედ რომელიმე მასზე ხანდაშეული რჩალი. მაგალითად, დიდ ჩეკიეთ ოჯახს როდესაც ენიკა ხელმძღვანელობდა, დიასახლისობდა მისი მეუღლე ბაბალე. ვანკას გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მეთაური გახდა მისი ძმა გუგუა, მაგრამ დიასახლისად კვლავ ბაბალე იმყოფებოდა. გუგუას შემცველელი სვიმონის დრო-საც ბაბალე განავრძობდა ამ საქმიანობას სიკედილამდე, ხოლო შემდეგ ეს მოვალეობა დაეკისრა სვიმონის მეუღლეს — მარინეს. ამ შემთხვევაშიც დიასახლისად მარინეს გამოყოფა იმითი ყოფილა გამოწვეული, რომ ის გუგუას ცოლზე ხნიერი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ბაბალეს შემდეგ დიასახლისობა მოუწევდა გვიჩუას მეუღლეს.

როვორც ჩეკიეთ ოჯახის მაგალითზე დავინახეთ, დიასახლისად არჩევა განპირობებული იყო მისი ხნიერებით. ეინაიდან უმთავრეს შემთხვევაში ქალთა შორის ცველაზე ხნიერი იყო ოჯახის უფროსის მეუღლე, დიასახლისობაც მის ხვედრის წარმოადგენდა. ამ საყოველ-თაოდ გარტცლებული მოელენის შესახებ კონკრეტული მაგალითების მოტანაც კი ზედმეტად მიგვაჩნია.

ისევე როვორც სახლის უფროსის არჩევისას ასაკთან ერთად უნარსაც მნიშვნელობა ენიჭებოდა, ეს გარეშოება შეცდველობაში იყო მიღებული დედაკაცის დიასახლისად გამოყოფის მომენტშიც. ხნით უფროსობის მიხედვით დიასახლისის არჩევის პრინციპი განსაკუთრებით ირლვეოდა მაშინ, როდესაც ოჯახში იმყოფებოდა შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ დიდი ამავისა და ქმარ-შეილის დამტაცებელი ქვრივი. ქვრივს, რომელიც ქმრის ოჯახში დაბერებას გადაწყვეტდა და გათხოვებაზე აღარ ფიქრობდა, ზოგჯერ დიასახლისობას უბოძებდნენ, რითაც მის დამსახურებას აღიარებდნენ. ხევში ისეთი ფაქტებიც კი მოწმდება, როდესაც დიასახლისად არჩეულ ქვრივს დედამთილი ჰყავდა და ოჯახში დედამთილის თაობის რამდენიმე რამალიც იმყოფებოდა.

თუ ოჯახის საერთო ხელმძღვანელსა და სამაშვაცო საქართვის უშუალო თრიანიზატორს ხნით უფროსი მამაკაცი წარმოადგენდა, დედაკაცთა საქმიანობას დიასახლისი განაცემდა. როგორც ალ. ყაზბეგი წერს, „სახლში რიგის მიცემა ან უფროსი უფრავი ცენტრი არის მივარღნილი და ან იმისთვის რძალჭედ, რომელიც თავი გამოიჩინა სახლში რითომე. საზოგადოდ, ვინც რიგის მიმცემია, იმას ეძახიან დიასახლისს და იმას აბარია ყოველისფერი: დაწყებული ფულიდვან, ვიღრე უბრალო ქატომდინ. ესევე დიასახლისი აძლევს განკარგულებას მომრიცე რძლებს, რომლებიც რიგ-რიგათ აცხომენ პურს, ეზიდებიან წყალს და სხვა შინაურს საქმეს აკეთებენ. ძნელად შესაძლებელია, რომ დიასახლისის წინააღმდეგობა გასწიოს ვინმემ და თუნდა რომელიმე რძალმა ეს კიდეც მოიწადინოს, მაინც ჭალაბობა ნებას არ მისცემს“.

ალ. ყაზბეგი აქ მოკლედ გვაცნობს ქალთა შრომა-საქმიანობას და მათ უფლებებს. საყურადღებოა, რომ საღებავაცო საქმიანობა-თა ხელმძღვანელს მწერალი უწოდებს დიასახლისს, ხოლო დანარჩენებს—მორიცე რძლებს. ჩვენ მიერ ხევში შეკრებილი მასალების მიხედვითაც ანალოგიური ვითარება დასტურდება. მავე მასალები-დან ჩანს, რომ დიასახლისს მეორენაირად ერქვა წინამდევ ე. ი. წინ მდგომი, წინამდლოლი, მეთაური). უფროსი თაობის რძლების აღსანიშნავად იხმარებოდა მორიცე რძლები, რომლებიც მართლაც მორიგეობით ასრულებდნენ საუფროსო საქმეებს, ხოლო რძლებს, რომლებიც ერთ რომელიმე თაობას (უფროსს, საშუალოს ან უმცროსს) ჰკუთვნოდნენ და თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ, ეწოდებოდათ მესწორე რძლები.

დიასახლისს ჩაბარებული ჰქონდა სენას (პროდუქტების სათვესოს) გასაღები. სენაშივე იდგა სარქველიანი ვარცლი, რომელშიც დიასახლისს ჩაკეტილი ჰქონდა ფული და ოჯახის ძეირფასეულობა. დიასახლისს გარდა სენაში შესვლის უფლება არავის არ ჰქონდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დიასახლისი სადმე წიგიდოდა, ჩაკეტილი ვარცლის გასაღები თან მიქვინდა, ხოლო სენას გასაღებს უტოვებდა ხნით უფროს რძალს და მასვე იძლევდა პროდუქტების ხარჯვის განრიგს. დიასახლისი სენას სამუდაშოდ მხოლოდ მაშინ ტოვებდა, როდესაც დაკარგვდა დაკისრებული მოვალეობის გაძლილის უნარს. ამის შემდეგ ის იყავებდა საპატიო მოხუცის მდგომარეობას, როგორც ოჯახის უოფილი უფროსი მამაკაცი. ყოფილი დიასახლისისადმი ოჯახის წევრთა პატივისცემა გამოხატულებას პოულობდა ისეთ მომენტებში, როგორიც იყო მტერ-მოყვარეს-

1 ალ. ყაზბეგი, შოხევები და იმათი ცხოვრება, თხ. ტ. V, გვ. 36-37.

თან ურთიერთობა და რაიმე ჩიტუალის შესრულება, რომლებს თოვებანიშატორადაც ის გვევლინებოდა, თუკი დღეობა ტარდებოდა მხოლოდ ქალების მონაწილეობით.

სურსათის ხარჯვა დიასახლისის კომპეტენციაში შეტყობინებული იყო დიასახლისის ნებართვით ხდებოდა აგრეთვე ისეთი საგნების განაჩეუქრება-გასუსხება ან ვისოფისმე თხოვება, რომლებიც ქალთა საქმიანობაში მოიხმარებოდა (საცერი, საჩეჩელი, ჭურჭელი, ნების...). არც დიასახლის და არც სხვა რომელიმე დედაქაცის აზ შეეძლო გაპეარებოდნენ კაცის მოსახმარ ნივთებს, განსაკუთრებით იარაღს. თვით მისი გაშენდაც კი მხოლოდ კაცის უფლებებში შედიოდა. ქმრის იარაღის მოვლა-პატრონობის უფლებით სარგებლობდა მარტოოდნენ ქვრივი, როდესაც ის იქვე რჩებოდა საცხოვრებლად. სამამაკაცო ნივთების გაცემა ხდებოდა ოჯახის უფროსის განკარგულებით.

სურსათის ხარჯვისთან ერთად დიასახლისის უფლებებში შედიოდა შრომის განაწილება რძლებს შორის. პირადად მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ცომის მოზელა და პურების გაყეოება. პურების გამოცხობა ევალებოდათ უფროსი თაობის მორიგე რძლებს. საწვავის დაზოგვის მიზნით ზამთარში პურის საცხოვად უმთავრესად გამოიყენებოდა კერა, ხოლო სხვა ღროს ღომელი (ლუმელი). ერთ-ერთ მორიგე რძალს, რომელიც დიასახლისის დავალებით ღუმელს შემოსტრიალებდა, ერქვა მეღომლე. დიასახლისის მითითებით ამზადებდნენ მორიგე რძლები სადილსაც, ოლონდ ხორცის დაჭრა და შემდეგ მოხარშული ნაკრების ოჯახის წევრებზე განაწილება იჯახის უფროსი მამაკაცის საქმედ ითვლებოდა. ჯამებში წვენს ასხამდა დიასახლისი, ხოლო სუფრაზე კერძება ჩამოარიგებდა რომელიმე მორიგე რძალი. ამ საქმეში კაცის მონაწილეობა იმითი არის მოტივირებული, რომ საკლავის დაკველაც, ხორცის შენახვაც და მისი ხარჯვაც, ისევე, როგორც ხარო-გოდრებილან მარცვლეულის ხარჯვა, მამაკაცის უფლებას წარმოადგენდა.

დიასახლისის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი უფროსი თაობის რძლების მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე რძის პროცესტების დამზადება. ამ სახის საუფროსო საქმეების გვერდით ოჯახში გამოიყოფდნენ საუმცროსო სამუშაოსაც, რაზედაც უმცროსი თაობის რძლები იყვნენ მიმავრებული. უმცროს რძლებს ევალებოდათ საქონლის მოწეველა, ეზო-ჯარისა და ბოსლის დაგვა, წისქვილში ზურვით საუქვევის წალება და იქიდან ფქვილის მოტანა, ზურგზე ასაკი-დებელი ტაგანით (ხის ესრით) წყლის ზიდვა და სხვა.

საუმცროსო საქმიანობათა სფეროდან შევეთრად იყო გამოყოფილი საეუთრივ პატარძლის შრომითი მოვალეობა. ქორწილიდას

ერთი თვის გასვლამდე ის რეცხვედა ჭამ-ჭურქელს, გვიდა ეზო ქარს. შლიდა და ალაგებდა ლოგინებს, ხელებზე წყალს უსხამდა, რა ფეხებსაც ბანდა უფროს კაცებსა და სტუმრებს. მასეურაუკუფულობა ფეხზე დგომა ვახშმობის დროს და ჩირალის (კვარიში) ქართული ცეკვას ლის განათების მიზნით. როდესაც ყველა ივახშებდა, მხოლოდ ამის შემდეგ ჯდებოდა პატარძალი პურის საჭმელად. წევებოდა ყველაზე გვიან და დგებოდა ყველაზე აღრე. საუმტროსო მუშაობაში პატარძალი სრული დატვირთვით ებმებოდა ქორწილიდან ერთი თვის შემდეგ, როდესაც მას პირველად წაიყვანდნენ წყაროზე და შეისრულებოდნენ წყალზე გაყვანის რიტუალს.

მოხევის ოჯახში ზოგი ისეთი სამუშაოც სრულდებოდა, რომელშიც ყველა ასაყის რძლები და თეთო გაუთხოვარი ქალებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ასეთი იყო ჭრა-ექრვა და მატყულის დამუშავების შრომატევადი პროცესი, დაწყებული მატყულის გაწერვა-გაწერვით და დამთავრებული ტანსაცმლისა და საფენ-საგებლის დამზადებით. თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე მოხევე ჩატყულდახურული იყო ოჯახში შეთელით, მოქსოვილი და შეკერილი სამოსელით. ფაბრიკული ნაწარმი თვით XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი ნაკლებად გამოიყენებოდა. ამიტომ შატყულზე, როგორც სამოსელისთვის საჭირო ნედლეულზე, მოთხოვნილება ხევში დიდი იყო.

ხევში, ეიდრე მეცხვარეობა ბავის ცხრით იყო წარმოლ-გენილი, მატყული გასაყიდად არ გამოიყენებოდა. ის მხოლოდ საშინაო საჭიროების ნედლეული იყო და მისი დამუშავებაც ოჯახის რძლების ერთობლივი შრომით ხდებოდა. გასათხოვარ ქალებს კი ცალკე ძლიერდნენ მატყულს მზითვის მოსამზადებლად.

მეცხვარეობის განვითარების პირობებში დაკანონდა შატყულის განაწილება-გამოიყენების შემდეგნაირი წესი: საერთო მარაგიდან მატყულს გარკვეული რაოდენობით გამოყოფდნენ პირველ რიგში საერთო საოჯახო საჭიროებისათვის (კედელზე გასაქრავი და საფენ-საგებელი ნაბდების, ყისინების თუ მწყებსთა ტანსაცმლის დასამზადებლად), შემდეგ გადადებლენენ საცოლე ახალგაზრდებისათვის, რომელთა ლამაზად გამოწყობას განსაკუთრებული უურადლება ექცეოდა, ბოლოს დიასახლისი მატყულს უნაწილებდა რძლებს, რათა მათ თავიანთი ქმარ-შეილი შეემოსათ, ხოლო რაც ასეთ განაწილებას გადაუტჩინდოდა, მას ყიდლენენ.

როგორც გაუყრელი ოჯახის ყოფილი დიასახლისები გადმოვკერდნენ, რძლებზე მატყულის განაწილებისას გათვალისწინებული იყო შათი შეილების რაოდენობა. მიკერძოება ამ შემთხვევაში ისევე შეულებელი ყოფილა, როგორც პურის ჭამის დროს. როგორც საკვების,

ისე მატულის გამოყენებისას ამოსავალი იყო ოჯახის სულადობა თავასის ყველა წევრის თანამწორულებიანობის პირობებში. ზაოგნა თემის არსებობის უკანასკნელ პერიოდში, XIX საუკუნეს შემდეგ წურულში, ეს წესი შეცვლიათ და გაცემული თავასის ფარგლებში უკანასკნელი მატულის განაწილება შემოულიათ მხოლოდ მომავალ მოწმეულების მიერად ზე. ანგარიში აღარ ეწეოდა რა სულადობას, მრავალშვილიანი მოწილე იმდენს ეს დებულობდა, რამდენსაც უშეილო მოწილე. მოწილეების მიხედვით მატულის განაწილების ასეთი წესი გვესახება საოჯახო თემის სეგმენტაციის ჩატარების წინაპირობად. ოჯახი გვრ არ გაყრილა, მაგრამ მოწილეებზე უკვე ქონების ნაწილი (მატული) გაიყო, ე. ი. ერთი ოჯახის შიგნით ჩაისახა ქონებრივი უთანასწორობა, როგორც თავასის დაშლის მომასწავლებელი ფაქტორი. ამ კერძოშესაც უთარულ ტენდენციას ხელი შეუწყო შეცხვარეობის სასაქონბლო მნიშვნელობის ზრდამ, რამაც მთიელი კიცი ბაზართან დააკავშირა. მატყლი წარმოადგენდა ერთ-ერთ ისეთ საქონელს, რომლის გატახა ბაზარზე ნედლეულის თე მისი ნაწარმის (ქსოვილისა და ტანსაცმლის) სახით, თანდათანობით აღვიყებდა საოჯახო თემიდან დამოუკიდელ შეკომურად გამოყოფის ინტერესს.

ვარდა ზემოსსენებული საოჯახო საქმიანობისა, რძლების შოვალეობას შეადგენდა მამაკაცებთან ერთად მინდვრად მუშაობაც. ისინი ყანა-სათიბს არჩევდნენ ქვისაგან, ხენის დროს ნიაღავს წმენდონენ სარეველა მცენარეთა ფესვებისაგან, თოხით აფხვევებდონენ ვორახს, შეიღნენ ყანას, ბერტყავლენ სეილს, კალოობის დროს ეხმარებოდნენ კაცებს, ანიავებდნენ ბზიან შარცვლეულს, ფოცხავდნენ თივას, კაცებს ეხმარებოდნენ თივის ზვინების დადგმაში, მიუდგომელი ადგილებიდან ზურგით ზიდავდნენ თივას, ზურგით შოჭქონდათ აგრეთვე ფიჩხი, ლექა, ეკალი და სხვა. რძლებს მძიმე ტვირთად აწვათ აგრეთვე სასმელის გამოხდა (კაცები ეხმარებოდნენ მხოლოდ ქვების გამართვასა/და შეშის დატრაში), ბართის (წიგას) კეთება თე მისი მინდვრად შეგროვება, შეცხვარებისა და მეზარების მომზადება-გასტუმრება, სტუმრის მიღება და ბავშვის აღზრდა.

ყოველივე ამასთან ერთად, საშუალო და უმცროსი თაობის რძლები დიდი დატვირთვით შრომობდნენ მთაში ცხვარ-საქონბლის წეველის პერიოდში, რაც საშუალოდ 6 კვირაშდე გრძელდებოდა. იქაც მათ მოვალეობას შეადგენდა წეველა, რძის პროცესების დაძალება და შწყემსების მოელაპატრონობა. ზოგჯერ ცხვარს კაცებიც წეველიდნენ, მაშინ როდესაც კაცისთვის ძროხის მოწველა უდიდეს სიჩრცვილად ითვლებოდა. ეს გარემოება იმით უნდა იისნას, რომ მსხვილფეხა საქონელს სახლში ინახავდნენ და მისი წველაც ქალს

ჸეონდა მინდობილი. რაც შეეხება კაცის მიერ ცხერის წევლის მს შემოღებული ჩანს მომთაბარე მეცნიერეობის ინტენსიურად განვითარებასთან დაკავშირებით, როდესაც საზამთრო საძოველებზე მათ-ლოდ კაცებს უხდებოდათ ყოფნა და ძალაუნებურად მარტინიურად მეურნეობის ამ დარგთან არსებული ყველა სახის სამუშაოს შესატებაც.

დიდ ოჯახში სათანადოდ იყო ორგანიზებული აგრეთვე შაბაკაცა შრომა-საქმიანობა, რასაც უშუალოდ სახლის უფროსი ხელ-მძღვანელობდა. თუ ეს უკანასკნელი სიბერით მოტეხილი არ იყო, სხვებთან ერთად მუშაობდა. როგორც მას, ისე დანარჩენ მამაკაცებს გარევეული საქმე პქონდათ მიჩნიალი, ხოლო გადაუდებელი სეზონური მუშაობის პერიოდში (თბივა, მეა) ყველანი ერთობლივად შრომობდნენ.

მამაკაცა შორის ფუნქციების განაწილებას აპირობებდა საო-ჯახო მეურნეობის ხისიათი. რაც უფრო მრავალფეროვანი იყო ოჯა-ხის მეურნეობა, მით უფრო დიფერენცირებული სახით იყო წარ-მოდგენილი მამაკაცთა შრომა-საქმიანობაც. როგორც ეთნოგრაფი-ული მონაცემებიდან აშკარად ჩანს, მრავალპროფილიანი საოჯახო მეურნეობა მუშახელსაც მეტს საჭიროებდა. ეს განსაკუთრებით შე-ეხება ისეთ შრომატევად საქმიანობას, როგორიცაა მეცნიერეობა.

მამაკაცის შრომითი ფუნქცია ალინიშნებოდა შესაბამისი სა-ხელწილებით. მას, ეინც ხვნა-თესვას და თიბგას ეწეოდა და მსხვილ-ფეხა საქონელს უვლიდა, ერქვა შინაგა კაცი. ვინც ურმით შე-შას ზიდავდა, ოჯახს პურეულით ამარავებდა ან ქირით ტეირთის გა-დაზიდვას ეწეოდა, ის იყო მეურმე, ხოლო კაცს, რომელსაც თა-ვის ძირითად საქმედ ვაფხადა ცხვრის მოვლა-პატრონობა, მე-ცხორეს ეძახდნენ. მაგალითად, ქოსელი ფიცხელაურების დადგო-ოჯახის როგორც პირეელი უფროსი (მანგია), ისე მისი შემცველელი (ლერენა) ცნობილი იყენენ შინაგას კაცებად. ამ ოჯახის ორ დიდ ოჯახად გაყოფის შემდეგ კი ერთი ოჯახის სათავეში მყოფი იაკობი ისევე შინაგას კაცი ყოფილა, ხოლო მეორე ოჯახს მეთაურობდა ქი-რაზე მოსიარულე მეურმე ნიკო.

ხულელთ დიდი ოჯახის მეთაური ისე შეწისქერილე ყოფილა, რომლის მოვალეობას შეადგენდა წისქვილის მოვლა და სატევავით ოჯახის უზრუნველყოფა. მისი მომდევნო ძმა იყო მეურმე, რომე-ლიც ოჯახს ამარავებდა შეშით, იფექლით, სიმინდით, მარილით და-სხვა წვრილმანით. მოვალეობით მას ორი ცხენით ქირაზედაც უც-ლია. მესამე ძმა ნანაა მეცნიერეობას მისდევდა, რომლის ინიციატი-ვით ცხვრის ფარა 2000 სულამდე გაზრდილა, ხოლო თითონ საჩ-ქლად დამდგარა. ნანასთან ერთად ცხვარში უკლიათ მის შეილებსა

და ძმისწულებს. რაც შეეხება ნანას უმცროს ძმას ნიზიას, ის ფრთხის და დედად დაბერებულა.

დათურეთ (ავსაჯანიშვილების) დიდი ოჯახის უფროსები ჩატურები კალატონბდა, ხოლო ერთხანს მას ჩრდილო კავკასიაში (ტრიუფილოვის ში) ხარებით ხე-ტყის დამზადებაშეც უმუშავია. მისი მომდევნო ძმა გოგა შინაგამ კაცი იყო, ხოლო სულ უმცროსი (დავითი) — მეცხვარე. დავითთან ერთად ცხვარში უვლია ნიკოს შვილს გუგუას, ხოლო ნიკოს ორი შვილი — გომრგი და ვანო მამასთან ერთად კალატონბდნენ.

ქუშეთ დიდი ოჯახის უფროსი ლაბა შინაგას კაცად ითვლებოდა. მისი მომდევნო ძმაც შინაგას კაცი და მონაცირე იყო, რომელსაც ორჯერ აუთავებდა აზარი. უმცროს ძმებს — სოსიას და ბერს თუ-შეთში რამდენიმე წელს მწყემსად უელიათ. ცხვრის მომრავლების შემდევ სხვაგან მწყემსობისთვის მიუნებებიათ თავი, თავისი ცხვრით თერგის ლექის საზამთრო საძოვრებშე გასულან და მეცხვარეობაში ჩაუბიათ თავიანთი შვილებიც. სოსიას შვილებიდან მეცხვარეებად გამწესებულან ბესო და გუგუა, ხოლო ბერის შვილებიდან — გასება. როგორც ამ ნაშრომის მეორე თავში იყო აღნიშნული, მათი მუყაითი მეცალინეობით ცხვრის რაოდენობაშ 3000 სულს მიაღწია. ამ მეურნეობის გაძლოლა (სარქლობა) დაუკისრა სოსიას, ბინის უფროსობა — ბერს, ხოლო ბესო, გუგუა და ვასება თავისობრივი იყვნენ. ვინაიდან ერთ მწყემსს საშუალოდ 200 სული ცხვრის პატრონობა შეუძლია, ამ ფარის მოსაელელად 5 კაცი არ იყო საქმარისი. ამიტომ ქუშენი მწყემსებს ქირაობდნენ თითოეული მათგანისათვის წელიწადში 12 დღედა ცხვრისა და მისი ნამარტის მთლიანად ანაზღაურების პირობით. მათსავე მოვალეობას წარმოადგენდა მწყემსების უზრუნველყოფა კვებითა და ტანსაცმლით. ასეთი გარიგების პირობებში მწყემსს უფლება ჰქონდა სამწყემსობის გამავირი მიცემულ ცხვრებთან ერთად თან გაერევა 30-40 სული საკუთარი ცხვარიც, რომლის საბალახოს გალებაც ასევე ფარის პატრომის ევალებოდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მწყემსს დაახლოებით 100-120 სული საკუთარი ცხვარი ჰყავდა, ის სამწყემსოს ელაზ მიიღებდა. სარქალი მას მხოლოდ იჭმევდა, ატმევდა და საბალახოსგან ათავისუფლებდა. თავისი ცხვრის შენახვა-გამრავლებით დაინტერესებული მწყემსი იძულებული იყო უფასოდ მომსახურებოდა სარქალს. ქუ-

1 აზარის ათავისობა ნიშნავდა 100 ჯიხეის მოკვდას, რომლის შემდევ მონაცირე თოჯს მარხავდა. აზალ აზარს ის აზალი იარაღით შეცდგებოდა.

შეთ მაგალითზე ნაჩვენები გარიგების ასეთი წესი საერთოდ დამა-
სასიათებელი იყო რევოლუციამდელი ხევისათვის.

მეცხვარეობასთან დაკავშირებით საჭიროა აღნიშვნის მიზანი, მაგა-
ნის უფროსისა და თავისობანის ფუნქციებიც. სარქანული მართვის მიზანი
ლი პქონდა მეცხვარეობის საერთო ხელმძღვანელობა. მისი მო-
ვალეობა იყო საზამორო და საზაფხულო საძოვრების დაქირავება,
გარეშე მწყემსებთან გარიგება, ოჯახიდან გასულ და დაქირავებულ
მწყემსებს შორის ფუნქციების განაწილება. ბინის უფროსს ევალე-
ბოდა მეცხვარეთა ბინაზე ყოფნა. ცხვრის მგზავრობის დროს ის
მიპყებოდა ურმების ქარავანს, ხოლო ადგილზე დაბანავების შემდეგ
ბინაზე იმყოფებოდა. მისი მოვალეობა იყო სურსათის მომარავება
და მწყემსებისათვის საჭმლის მომზადება. რაც შეეხება თავისობანს,
იგი წარმოადგენდა ფარაში უფროს მწყემსს. როგორც წესი, ცხვა-
რი რამდენიმე ფარად ბალახობდა: ერთში იყო დედაცხვარი, მეო-
რეში ბერწი და შიშაქი, მესამეში ყოჩი და კედილა, მეოთხეში თოხ-
ლი. თითოეულ ასეთ ფარაზე მიმაგრებულ 3—4 მწყემსს შორის უფ-
როსს ერქვა. თავისობანი, რომელიც მგზავრობის დროს ფარას წინ
მიუძღვებოდა. აქ დასახელებულთ გარდა, ცხვარში დღიდი როლი ენი-
ჭება მცნობს, რომელსაც შეეძლო სერის გარეშეც კი ეცნო თავი-
სი ფარის ცხვარი სხვის ფარაში მისი მოხვედრის შემთხვევაში. გან-
საკუთრებით როგორ საქმეს წარმოადგენდა იმის გამოცნობა, თუ
რომელი ბატქანი რომელი დედისა იყო, როდესაც ისინი ერთიმეო-
რეს დაკარგავდნენ. თუ ოჯახიდან ასეთი მცნობი არ ჰყავდათ, სარ-
ქალი მას საგანგებოდ ეძებდა და სამწყემსოსაც მას რიგით მწყემ-
სებზე მეტს აძლევდა, ვინაიდან კარგი მცნობის გარეშე დოლია-
ნობა წარმოუდგენელი იყო.

ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების დასანახვად
საინტერესოა დიდი ჩეკით შემოხსენებული ოჯახი. მაშინ, როდე-
საც ოჯახს ხელმძღვანელობდა შიო და ოჯახის არსებობის წყაროს
წარმოადგენდა ხენა-თესვა და მსხვილფეხა მესაქონლეობა, შიოს
და მისი შეილების ძირითადი საქმიანობაც მეურნეობის აღნიშვნულ
სახეობათა მიხედვით იყო განსაზღვრული. თითქმის ყველა მათვა-
ნი შინაგა კაცებად ითელებოდნენ. შემდეგში გუბუა სოფლის კო-
გის მწყემსად დადგა, გახუტა ხან საქონელს მწყემსავდა, ხან ღო-
რის კოლტს, ხოლო სეიმონი ცხვარში წავიდა. შიოს შემცველელი
ოჯახის უფროსი ვანქა შინაგა კაცად დარჩა. მწყემსობაში აღებუ-
ლი ჯამაგირით მათ შეიძინეს ცხვარი. ცხვრის მომრავლების შემ-
დეგ მამაკაცებს შორის ფუნქციები ასე განაწილდა: ვანქა ვანგრ-
ძობდა შინაგა კაცობას. მავე საქმით იყო დაკავებული მომდევნო
ძმა გუგუა. სეიმონი სარქალი გახდა, ხოლო მეოთხე ძმა გახუტა —

ბინის უფროსი. ამათი შეიღებიდან გამოყოფილი იყო ჩამდენიშვილი თავისინაი და მცნობი. 8000 სულიანი ფარის მოსაელელად დაძირი რავებული ჰყავდათ 21 შეკვეთი, რომელთა 1000 სული ცხვარი ჩეკით ფარებთან ერთად ბალახობდა ურთიერთშეთანხმების მოსხის მოსხენებული პირობებით. როდესაც სვიმონს სახლის უფროსობის დაეკისრა და საზამთრო საძოვებიდან თჯაში მოსვლაც უხდებოდა, სარქლის საპასუხისმგებლო მოვალეობას გახუტა ისრულებდა.

უკელა მამაკაცს განსაზღვრული საქმე უვალებოდა ისეთ თჯაშიც, რომელიც უკვე შრეშველობასთან, ხელოსნობასა და ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, კოტორეთ გაუყრელი ოჯახის მეთაური სია იყო შინაგან კაცი. მისი უფროსი შვილი მენარდედ მუშაობდა საქართველოს სამხედრო გზაზე. მას დაქირავებული ჰყავდა რამდენიმე კაცი, რომლებსაც ურმებით აზიდვინებდა ვზის სამშენებლო მასალასა და მუშების სურსასოს ძალითან (აზლანდელი ქ. ორჯონიძე) გუდაურამდე (ჯრის ულელტეხილამდე). მომდევნო ძმა სება ხან გზის მუშად იყო, ხანაც ძაუგის ერთერთ ყაზარმაში ყარაულად იდგა. მესამე ძმა ვანია და მეხუთე ძმა სვიმონი მეურმეები იყვნენ, ხოლო მეოთხე ძმა ანდრია კალატოზობდა.

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ მოხევის ოჯაში შრომა-საქმიანობა განაწილებული იყო სქესის, ასაკისა და უნარის მიხედვით. სათანადო დავალების გარეშე არც გასათხოვარი ქალები, უცოლო ბიჭები და ბავშვები იყვნენ დარჩენილი. გასათხოვარი ქალები რძლებთან ერთად მკიდნენ, ფოცხავდნენ, ცხვრის პარსვის დროს ახვევდნენ მატყლს, სასმელების გამოხდაში ეხმარებოდნენ უფროსებს, არწევდნენ აკვანს, მონაწილეობდნენ მატყლის დამუშავებაში და ა. შ. დანიშნული ქალი უმთავრესად თავისი თავის მომზადებაზე ზრუნავდა: იქსოვდა და იკერავდა ტანსაცმელს, იმზადებდა სამზითვო ლოგინს. 13—14 წლის ასაკიდან ქალი უკვე მომზადებულ მუშახელად ითვლებოდა და მრავალი სახის სამუშაოსაც უძლევებოდა. დაახლოებით ამავე ასაკიდან ებმებოდა საკაცო შრომაში ვაიც. ის ეწეოდა მეხრეობას, ფოცხავდა თივის, მწყემსავდა ცხვარ-ძროხას, მეურმეებთან ერთად მიღიოდა მარავის მოსატანად და სხვა. სიმწიფის ასაქში მყოფი ქალებისა და ვაკების ვეერდით გამოიყენებოდა ბავშვთა შრომაც. 8-10 წლის ასაკიდან ისინი მწყემსავდნენ ხბოებს, კოჭლ ცხვრებსა და ღორებს. შრომაში მათ მომზადებას ხევში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ეს, პირეველ ყოვლისა, ეხებოდა მეცხვარეობაში გაწაფვას, რაც ხორციელდებოდა გამოცდილ მწყემსებთან ბავშვების ახლო ყოფნის გზით. ბავშვის შრომა გამოყენებული იყო

ავტოთე მემინდვრეობაში. მათ არჩევინებდნენ სათიბს კერძოდ. სახნაეს სარეველასაგან, აფოცხვინებდნენ თივის, ხოლო უძლიერი ბინებდნენ მხოლოდ 15-16 წლის ასაკიდან, კინაიდან ბავშვისათვის თიბეა მძიმე და ნაადრევ საქმედ ითვლებოდა. ურარცხული

როგორც ყველგან, ხევშიც განსაკუთრებით შრომატევით სუბზაფხულის სეზონი. საზამთრო სამოვრებიდან ცხვრის მოსვლისთანავე იწყებოდა ხენა-თესევა, შემდევ თიბეა, ბოლოს მკა, ლეწვა, ხოლო ყოველივე ამას ემატებოდა საქონლისა და ცხვრის მოელა-პატრონობა, მათი მთა-ბარობა, ცხვრის პარსევა, საზამთროდ მომარავება შეშით, პურით და სხვა საჭიროებით, ხოლო შემოღვიმის მიწურულს ცხვრის გასტუმრება. ასეთ ვითარებაში ოჯახის ყოველი წევრი თავის მუდმივ სამუშაოსთან ერთად დროლადრო ებმებოდა კოლექტიურ საქმიანობაშიც. შრომა კოლექტიურ ხასიათს ღებულობდა განსაკუთრებით თიბეის, თივის ფოცვისა და მკა-ლეწვის დროს, როდესაც მამაკაცებთან ერთად დედაკაცებიც მთელი დატვირთვით მუშაობდნენ, რათა შედარებით ხანმოკლე ზაფხულით ოჯახს მაქსიმალურად ესარგებდა. აღნიშნული ვითარება ქეონდა მხედველობაში ალ. ყაზბეგს, როდესაც ზემოხსენებულ წერილში აკრიტიკებდა ზოგიერთის ყალბ შეხედულებას მთიელთა სიზარმაცის შესახებ, იგი ხახს უსვამდა მათ დიდ შრომისმოყვარეობას და იძლეოდა ამის დასაბუთებას: „მოხევეს ისე ცოტა დღეები აქეს სამუშაოდ, ისე ცოტა ხანს აძლევს იქაური ბუნება, ჰაერი, რომ, ნებით თუ ძალით, უნდა სწრაფად ისარგებლოს კარგის დღეებით და დღევანდელს საქმეს ეერასოდეს ვერ გადასდებს სახვალით. ესევე მიზეზი უნდა იყოს, რომ ქალი კაცთან ერთად მუშაობს და ნამდეილ ამხანავობას უწევს“.

ამგვარად, განხილული მასალა იმ გარემოების შესახებ მიგვითოთებს, რომ მოხვევთა საოჯახო ყოფის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა შრომის ორგანიზაცია, ერთი მხრივ, საკაცო და სადედაკაცო, ხოლო, მეორე მხრივ, საუფროსო და საუმცროსო საქმიანობათა მიხედვით. არც ის უნდა იყოს საეჭვო, რომ ოჯახის არსებობა ხევში შრომატევადი საქმიანობის გარეშე წარმოუდგენელი იყო, რომ ქალთა საქმიანობას ხელმძღვანელობდა დიასახლისი, კაცთა შრომის ორგანიზატორი იყო მამასახლისი (ოჯახის უფროსი), ხოლო ოჯახის მართვაც ამ უკანასკნელის მოვალეობას შეადგენდა.

განხილული მასალა იმასაც აშკარად გვიჩვენდს, რომ დასახლისის პირადი საქმიანობა უმთავრესად იყო პურის ცხობა და კერძის მომზადება, ხოლო ოჯახის უფროსი კაცის პერსონალური შრომითი მოვალეობა ასე მტკიცედ განსაზღვრული არ ყოფილა. ოჯახის უფროსად ერთ შემთხვევაში ვხედავთ გუთნის დედას, მეო-

რე შემთხვევაში — მეურმეს, მესამე შემთხვევაში — მეცხვარეს, მეოთხე შემთხვევაში — მეწისქვილეს და ა. შ. ოჯახის უფროსს რა საქმეც ემარჯვებოდა, უშუალოდ მას კიდებდა ხელს. ოჯახის უფროსად კაცის გამოყოფისას მნიშვნელობა აზ პქონდა იმპერატორის რომელ დარგს ემსახურებოდა ის. ერთი რამ კი საყურადღებოა: ოჯახის უფროსის მდგომარეობა რამდენადმე მძიმდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ის მეცხვარეობაში იყო ჩამოული. მას უხდებოდა როგორც საზამთრო საძოვრებზე სარქლად ყოფნა, ისე დროიდან მაგრამ ენიალან უმთავრესად სახლის უფროსი ხნითაც უფროსი იყო და მოხუცებულს კი ცხვარში სიარულის თავი აღარ პქონდა, ამიტომ მეცხვარეს შედარებით იშვიათად უწევდა ოჯახის სათავეში ყოფნა. უმეტეს შემთხვევაში ოჯახს ხელმძღვანელობდა შინაგან კაცი, რომელიც მუდმივად სახლში იმყოფებოდა. განსაკუთრებით თვალშისაცმით ეს XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე ხევში მეცხვარეობა ფართო მასშტაბით განვითარდებოდა და ოჯახიდან ხანგრძლივიდ მოწყვეტის შესაძლებლობაც თავისთავად გამორიცხული იყო.

ზემოთ არაერთგზის იყო მითითებული, თუ რა პირობებდა ოჯახის უფროსის არჩევას. სიტყვა არ ჩევა არც ერთ შემთხვევაში აქ უადგილოდ ნახმარი აზ არის. იგი გამოხატავს რეალურ მდგომარეობას, რამდენადაც ულირსი ხნით უფროსის ადგილს ხშირად ლირსეული უმცროსი იყავებდა და ამ ნიშნის მიხედვით ოჯახის მმართველობა ხევში დემორატიულ ხასიათს ატარებდა. ოჯახის ხელმძღვანელობა ემყარებოდა რა სოლიდარულ პრინციპებს, მისი უფროსი აზ წარმოადგენდა დესპოტ მმართველს. ივო ვალდებული იყო კველა მნიშვნელოვანი საკითხი ოჯახის სრულწლოვან წევრებთან შეთანხმების შემდეგ გადაეწყვიტა. ჩევნ ხელთ ასებული ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, თათბირში მონაწილეობდნენ უფროსი თაობის მამაკაცები. კითხულ პირებად ითვლებოდნენ აგრეთვე დიასახლისი და უფროსი რძლები.

ხევში რომ ოჯახის მმართველობა სოლიდარული ხასიათისა იყო, ეს ფერ კიდევ შენიშნული პქონდა ალ ყაზბეგს. ეთნოგრაფიულ ნაჩვევში — „მოხევეები და იმათი ცხოვრება“ — მწერალი მიუთითებს, რომ დიდ ოჯახში „ეაცებზედ უფროსობს და რიგს აძლევს მამა, ქალებზედ კი დედა“ და იქვე განმარტავს: „ამ უფროსობაში თვევნ ნუ გვიჩიათ, რომ ერთს ვისმე პქონდეს მინიჭებული სრული ძალა და იმის ქეიფზედ, იმის დესპოტიურს სურვილზედ უნდა იარონ კველამ. ყოველ საქმეში უეჭველად და აუცილებლად მთელი სახლობა შეიყრება, რჩევა აქვს და სანამ ასე რიგად აზ გადას-

წევერენ შინაურულათ, საერთო რჩევით, ძროხისაც კი გვე / მუდიან, არამც თუ სხვა რომელიმე საქმე დაიტირონ. ამ ჩამოვაშლის განებათ ითვლებიან ყველანი, ვინც კი იმათ სახლობას დაუსთინის. ასე წარმოიდგინეთ, რომ ახლათ მოყვანილს რაღაც აც გვიპოვთ რჩევას, თუმცა ის რამოდენიმე წელიწადს, როგორც შიშვილის, ისე უფროსს მაზლებს უმაღლვს ხმას და თუ არ რომელიმე ჭალის შემწეობით, პირდაპირ, ხმამაღლივ, კერ წარმოთქვამს თავის ახრს".

როგორც ვხედავთ, ალ. ყაზბეგმა მრგვერა ისეთი საოჯახო თემის აღწერილობა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო არა დესპოტური, არამედ სოლიდარული ბუნება. ხევში რომ უმცროსებსაც არ ტოვებდნენ უყურადღებოდ, ეს ჩვენ მიერ შეერებილი მასალებიდანაც ჩანს, მაგრამ საოჯახო თაბირში თუ უმცროსებს ჩარევდნენ, ეს მაინც ფორმალური ხასიათისა იყო, რამდენადაც გადაწყვეტილება ხორციელდებოდა უფროსების შეხელულებისამებრ. აღნიშნული ვითარების გამომხატველია მოხეცური ანდაზა: „ჰეითხ ყმაწვილსაო და ქენ გუნებისაო". ამდენად, იმის მტკიცება, თითქოს „ხმოვანებათ ითვლებიან ყველანი", არ შეეცერება სინამდვილეს, ერნაიდნ ოჯახის წევრთა საქმიან თაობირში უმცროსების და მით უმეტეს პატარძლების მონაწილეობა ხევში მიუღებელი იყო. ოჯახის წევრები ემორჩილებოდნენ უფროს-უმცროსობის ტრადიციას, რაც, პირველ ყოვლისა, გამოხატულებას პოულობდა საოჯახო თაობირის მომენტში.

•

ჩვენი ერთ-ერთი ნაშრომის (ხევი ძველად და ახლა) სპეციალურ თავში აღწერილი გვაქვს სამყოფო მთავარი საცხოვრებელი ოთახი) თავისი შიდამოწყობილობით (კერა-საკიდელი, დედაბორი, ბუხარი, ლუმელი, სანათურები, კედლებში დატანებული თახჩა-თაროები, ყველა სახის დგამ-ჭურჭელი). მის აღწერილობას იქ აღარ დაუბრუნდებით. დავყმაყოფილდებით მხოლოდ იმისი აღნიშვნით, რომ სამყოფო წარმოადგენდა სახლის იმ ნაწილს, სადაც ოჯახის წევრები თბებოდნენ კერაზე დანობებული ცეცხლით, ვამდნენ კერასთანვე გაწყობილ ტაბლებზე, აქვე ღებულობლნენ სტუმარს, ინდიდნენ ქორწილს თუ ქელებს, ასრულებდნენ საოჯახო რიტუალს. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ოჯახის ყველა წევრის სამყოფოში თავმოყრა ზამთრის პერიოდში დღისით ისინი ისხდნენ ცეცხლის პირად, ხოლო ღამით იძინებდნენ სამყოფოს კედლებთან მდგრადიდ პანდრებზე (ხის ტახტებზე), გრძელ სკამებზე, ჩაფებში (ოვალური ფორმის მოწნული საწოლი, რომელსაც ეწოდება ივრეთვე ჭინი ან ძირი) და მიწის იატაზე დაგებულ ლასტებზე.

გრძელი სკამი და ჩაფი უმთავრესად გამოიყენებოდა მოხუცთადების, ხოლო სამყოფოში პანდარი იმდენი იღვა, რამდენი საქორწინო წყვილიც ოჯახში იმყოფებოდა. თითოეულ პანდარზე გარდებარებული მო იძლებოდა ერთი საქორწინო წყვილისა და მათი შეკვეთის მოვალეობა ლოგინი. პანდარზე არ იძინებდნენ მხოლოდ ახალი ცოლ-ქმარი. მათთვის განკუთხილი იყო იზოლირებული ოთახი — საწვალა, რომელიც მდებარეობდა სახლის პირველ სართულზე, ბოსლის გერდით. სახლის ზედა სართულზე საწვალა ჩნდება მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროიდან ის იქცა ცოლ-ქმრის საძინებელ ოთახად. უფრო ადრე, როდესაც საწვალა მარტო პირველ სართულზე მდებარეობდა, ახალშეულლებულთ იქ ყოფნა შეეძლოთ. ერთი წლის განმავლობაში, თუ ერთი წლის თავშე ოჯახიდან კიდევ ეინმე დაქორწინდებოდა, საწვალა გადაეცემოდა ახალშეულლებულთ. თუ ასეთი რამ არ მოხდებოდა, მაშინ საწვალის იყვაებდა საქონლის მომველელი კაცი, რომელსაც უადვილდებოდა საქონლის მეთვალყურეობა ბოსლის გერდზე ყოფნის გამო.

ეინაიდან სამყოფო წარმოადგენდა ოჯახის ძირითად საცხოვრებელ განკუთილებას, იქევ იყრიბებოდნენ სათათბიროდ ოჯახის უფროსი წარმომადგენლები. ზამთარში მათი სხდომა ეწყობოდა კერის პირად, სადაც წყდებოდა უყელა მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მქონე საკითხი. ასეთ კითხებაში თათბირის ყველა მონაწილე იცოდა თავისი კუთხილი ადგილი. თავიანთი ადგილების ცოდნა ევალებოდათ ოჯახის წევრებს მაშინაც, როდესაც ისინი ცეცხლს შემოუსხდებოდნენ გათბობის მიზნით. როგორც წესი, კერის თავში იქდა ოჯახის უფროსი მისთვის განკუთხილ ზურგიანსა და ორნამენტებით შემკულ სავარძელში. თვით მისი სახელწოდებებიც — სამარტო შეკამი, მარტო შეკამაც ან საუფრო სოჭკამი — იმის მაჩვენებელია, რომ ეს სავარძელი ხევში ერთი კაცისათვის და ისიც მხოლოდ უფროსისათვის იყო განკუთხილი. ამ სკამზე უფროსი ისე უნდა მჩდარიყო, რომ პირი აღმოსავლეთისაეკ პქონოდა მიქცეული. მასზე სხვისი დაჭდომა მიუღებელი იყო იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ოჯახის უფროსი სახლში არ იმყოფებოდა. მასზე მიუკარებობის რეეიმს განსაუთრებით მკაცრად იცავდნენ დედაყაცები, სულ ერთია, რა ასაკისანიც არ უნდა ყოფილიყონენ ისინი. თვითონ სახლის უფროსი კი ზოგჯერ ამ სკამზე დაჭრომას საპატიო სტუმარს შესთავაზებდა, მაგრამ სტუმარი იშვიათად თუ გაბედავდა დაყაბულებას და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ის მასპინძელზე ხნიერი იყო. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ ოჯახის მეთაურს თავისი სკამი დაუთმია ოჯახში შემოსწრებული ხნით უფროსი დედაყაცისათვისაც კი (მაგალითად, სოფ. ყა-

ნობში გიგოლა ტატიშვილი თავის საუფროსო სკამს თურმე უზმიაბდა ციკე ბეღოშვილს, რომელიც გიგოლას დეიდად ეკუთვნიას და მასწერ ბევრად უფროსი ყოფილი), მაშინ როდესაც მარტოშვილი ქალის დაჯდომა საერთოდ მიუღებელი იყო. ეს გამონაცადის შემთხვევა ეს აიხსნება ხნით უფროსი ქალისადმი პატივისცემის მოტივით. ხნით უმცროსი დედავაცი კი საუფროსო სკამზე არამც თუ დაჯდომას, არამედ მის სიახლოეს გავლასაც ერიდებოდა. სოფ. ყანობში ჭიალაშვილების ერთ-ერთ ოჯახში 1940 წლამდე მდგარა ოჯახის ყოფილი უფროსის ივანეს (ვანკას) სკამი, მაგრამ გარდაცელილი უფროსის პატივისცემელი მოხუცი რძლები ამ სკამზე ჭდომის უფლებას თავის თავს მაინც არ აძლევდნენ. საუფროსო სკამზე არ ჭდებოდნენ არც უმცროსი თაობის კაცები. სახლის უფროსის გარდაცევალების შემდეგ სამარტო სკამს იყევებდა მისი შემცელელი უფროსი, ხოლო ოჯახის გაყრის შემდეგ სკამის აღვილიდან დაძრა არ ხდებოდა და ის უცილობლად რჩებოდა განაყართა შორის ყველაზე უფროსს.

ზოგიერთ სამყოფოში ერთის მაგივრად რამდენიმე მარტოშვამა იდგა. სამყოფოს აღწერილობასთან დაკავშირებით აღ. ყაზბეგ-საც აღნიშნული აქვს, რომ სამ გრძელ სკამთან ერთად კერასთან რამდენიმე მარტოშვამაც დგასო. მისივე განმარტებით, მარტოშვამა არის „ქრესლო, რომელსაც უფროსს კაცს დაუდგამენ ხოლმე სუფრის თავში“. მაგრამ შეტეალი იმას კი აღიარ გეაუწყებს თუ ამ რამდენიმე მარტოშვამადან საუფროსოდ განკუთვნილ სკამს გარდა დანარჩენებშე ჭდომის უფლებით ვინ იყო აღჭურებილი. სამაგიეროდ ამ ხარვეზს ავსებს ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვით, რამდენიმე სამარტო სკამიდან ერთი თუ ოჯახის მეთაურს ეკუთვნიდა, დანარჩენებს სხვა უფროსები იყავებდნენ, ანდა საპატიო სტუმარს უთმობდნენ.

როგორც ეხედავთ, მარტოშვამა ხევში წარმოადგენდა საპატიო კაცის უფლებრივ ატრიბუტს. ამან ერთგვარი გამოხატულება პოვა ხალხის სოციალურ თვალსაზრისშიც: „ხალხის თქმულებით, — წერს აღ. ყაზბეგი მოთხერობაში „ნინო“, — შიომლა ლუდუშაურისათვის წყალობის ნიშანად ერისთვიანთ სკამი უბოძებიათ“. მამასადამე, სკამი ხევში შეჩენეული იყო ისეთ ნივთად, რომელთანაც უშუალოდ ყოფილა დაკავშირებული როგორც ოჯახში უფროსი კაცის, ისე სახოგადოებაში სოციალურად აღწევებული პიროვნების პრიორიტეტი.

თუ საუფროსო სკამი კერის თავში იდგა, მის მარჯვენა მხარეზე კერასთან მდგარ ერთ ან რამდენიმე გრძელ სკამზე ჭდებოდნენ დანარჩენი მამაკაცები უფროს-უმცროსობის მიხედვით. გრძელ

სკამზე საუფროსო ადგილად ითვლებოდა საშარტო სკამისაკენ რეზ-
ციული მხარე.

კერის იმ მხარეს, სადაც მამაკაცთათვის განკუთხნილი სკამები
იღვა, ხევში ერქვა ს ა კ ა ც ო, ხოლო მის მოპირდაპირე მხარე უნდა იყოს ს ა დ ე დ ა კ ა ც ო. საკაცო მხარეზე დედაკაცების ყოფნა და მით
უძეტეს მამაკაცთა სკამებზე დაჯდომა სასტიკად იყო აკრძალული.
ქალები ჯდებოდნენ სადედაკაცო მხარეზე მდგარ უზურგო სამფეხა
სკამებსა და ქუნთებზე (ბალიშებზე). თვით ქალთა შორის ცველა-
ზე უფროსსაც კი არ ჰქონდა ცოტად თუ ბევრად უკეთესი სკამი.

კერასთან საკაცო და სადედაკაცო ადგილების გაყოფის ჩე-
უიმი მკაცრად იყო დაცული პამის დროსაც. მამაკაცები შემოუსხ-
დებოდნენ მათ წინ დადგმულ ტაბლას, ხოლო დედაკაცები ამის
შემდეგ თავიანთ დაბალ სამფეხა მაგიდაზე შეეცეოდნენ საჭმელს.

ამგვარად, კერასთან მკაცრად იყო დაცული სქესობრივ-ასაკობ-
რივი ღიფურენტიკის პრინციპი, რაც კარგად ჩანს თუნდაც იმაში,
რომ კერის მარჯვენა (საკაცო) მხარეს მეორენაირად ერქვა ს ა უ-
ც რ თ ს ო, ხოლო კერის მარცხენა (სადედაკაცო) ნაწილს — ს ა უ მ-
ც რ თ ს ო.

უფროს-უმცროსობის ტრადიცია მოხევურ ოჯახში მარტოო-
დენ კერასთან ჭდომის წესთან დაკავშირებით როდი ვლინდებოდა.
ხევში „მოხეუცი, საზოგადოდ, დიდი პატივუმული არიან უმც-
როსთაგან, და ცველგან ეს უკანასკნელები ისე ემსახურებიან უფ-
როსებს, როგორც უკანასკნელი მოსამსახურე“ — ვკითხულობთ
ალ. ყაზბეგის ნარკევეში „მოხევეები და იმათი ცხოვრება“. იმ სამ-
სახურში იგულისხმებოდა უმცროსების მორჩილება უფროსე-
ბისადმი როგორც შრომაში, ისე ყოველდღიური ურთიერთობის
სფეროში. ახალგაზრდა კაცები (განსაკუთრებით უცოლოები) თა-
ვიანთი უფროსებისადმი პატივისცემას გამოხატავდნენ შემდეგი
წესების შესრულებით: როდესაც უფროსი სადმე დაპირებდა წასვ-
ლას, უმცროსები ცხენს შეუკაზმავდნენ, ხოლო შინ დაბრუნების
შემთხვევაში ცხენს ჩამოართმევდნენ და დააბინავებდნენ. ასეთა-
ვე წესს იცავდნენ სტუმრების მიმართაც. უფროსებთან ისინი სუფ-
რას არ მისახდებოდნენ არც სტუმრიანობის და არც სხვა დროს.
პირიქით, ხალხიანობის შემთხვევაში ისინი ზეზამდგმურობდნენ
(მერიქიულობდნენ). უფროსების შემოსელისთანავე წამოდგებოდნენ,
მათთან თამბაქოს მოწევის ერიდებოდნენ, ხოლო მოერალ მდგომა-
რეობაში ჩვენება განსაკუთრებით დიდ სირცხვილად მიაჩნდათ. ქე-
ბას იმსახურებდა ის ახალგაზრდა, რომელიც მოისმენდა უფროსის
რჩევა-დარიგებას, შრომასთან ერთად შეიყვარებდა მამა-პაპურ
ჩვეულებას, დაიმახსოვრებდა მოხუცთა ნამბობს თავისი გვარ-ჩა-

შომავლობის, წინაპართა ნამაგარისა და ხევის გმირული ჩატულის შესახებ. იმ ახალგაზრდას კი, რომელიც არ დაემჰარისტოდა აღათს და რამეთ შეცდომის ჩაიდგნდა, ოჯახის უფროსი სხვა ქუთხოსების თანდასწრებით მითითებას აძლევდა, მაგრამ თურქების უქმერის დარიგება ვერ გასჭრიდა, დამნაშავეს საუმისრი გამსჭრა ნენ, ე. ი. მის შეცდომებზე იმსჯელებდნენ უპნის (ვატრონიმიის) თუ გვარის უფროსებიც. საუბნოდ საქმის გატანა ოჯახის წევრისათვის უმძიმეს სასჯელს წარმოადგენდა.

ახალგაზრდა კაცებთან ერთად უფროსებისადმი პატივისცემა წარმოადგენდა ქალთა ვალდებულებასაც. საქმარისი იყო უფროსი კაცი სახლში შემოსულიყო, რომ ყველა ასაკის რძლები უეხზე წამომდგარიყვნენ და შხოლოდ მისი თხოვნით შეიძლებოდა დამჯდარიყვნენ. აღნიშნული წესის შესრულებაში მეტი მოეთხოვებოდა პატარამალს. ერთ წლამდე ის ფეხზე უდგებოდა ყველა ასაკის შაშლს. ერთი წლის შემდეგ კი ამ წესს იცავდა ოჯახის უფროსთან, დიასახლისთან და უფროსი თაობის რძალ-მაზლებთან. ასევე იქ-ცეოლენ მოხუცების წინაშე უფროსი რძლები, ხოლო დიასახლისი ფეხზე უდგებოდა შხოლოდ ოჯახის უხუცესს.

შოხევური ჩეეულების თანახმად, მიუღებელი იყო ქალების ლაპარაკი კაცებთან. სხვებთან ყოფნის შემთხვევაში განსაკუთრებით შეზღუდული იყო ცოლ-ქმრის ურთიერთობა. ურთიერთშორის აზრის გაზიარება და მით უმეტეს გრძნობების ჩეენება ცოლ-ქმარს შორის სირცხვილად ითვლებოდა. თვით ავადმყოფობის დროსაც კი ვერ ბედავდა მეუღლე სიბრალულისა და განცდის სახალხოდ გამომეუღლებას. გავიხსენოთ თუნთაც ერთი აღვილი ალ. ყაზბეგის „ელგუჯადან“. სკომონ ჩიოფიკაშვილი სასიკვდილო სარეცელზე წევს, მისი სიბრალულით დამწვარ ცოლს უნდოდა ალერსიანად ენუგე-შებინა საყვარელი ქმარი, „მაგრამ ჩეეულების მონა, აღვილიდან განძრევას ვერ ბედავდა და თვით ოხვრასაც კი კრძალვით, მორი-დებით და ფარულად წარმოსთქვამდა. ის ცოლი იყო და ხალხის შეხედულებას კი, ქმრისადმი გრძნობის აშეარად გამოთქმა დასაძრახად მიაჩნდა“.

ხევში ცოლ-ქმარს შორის ისიც კი სამარცხვინოდ ითვლებოდა, რომ სახალხოდ ქალს ეთქვა ქმრის სახელი, ხოლო კაცს ეხსენებინა ცოლისა და შვილების სახელები. მაგალითად, სოფ. ყანობში დღე-საც არ იციწყებენ ერთ-ერთ შემთხვევას, როდესაც ჩეენი საუკუნის დასაწყისში ალექსი გეგის ძე კობიაშვილს თავისი ბიძის (და-თივას) იქ ყოფნის მომენტში სახელით მიუმართავს ცოლისათვის (ნინოსათვის). დათივას თავისი ძმისწული ასეთი საქცელისათვის

გაულანძლია, შემდეგ უთქვამს გეგისათვის და „თავხედი“ შეიძი
მამასაც გაუკიცხავს.

იმავე სოფელში ხალხს კარგად ახსოვს ერთი ასეთი შემთხვევაზე
ვაც: საქეიფოდ მოუყრია თავი რამდენიმე კაცს. დაპკლებით უსტირობა
მელი. ამ დროს მოსულა ვანო (ციცლა) იმდარაშვილი და სასმელის
ნათქვამ სადღეგრძელოს არ მიიღებს და არ გაიმეორებს, სასმელიც
მან იყიდოსთ. პირველი სადღეგრძელო შემოსწრებისა ყოფილა.
მეორე სადღეგრძელოში აღუნიშნავს: „ღმერთო გორიდე აღიდე-
ბულ წყალსაო, გამოგორებულს ქვისაო, დედაკაცის შარსაო და
საწყლის კაცის ვალსაო“. მესამე და გადამწყვეტი სადღეგრძელო
ასეთი უთქვამს: „გაუმარჯოს კეკელას (ცოლს), რევაზის, სეითას და
ელისოსა“. ასეთივე სადღეგრძელო უთქვამს ოხუნჯობით ცნობილ
ილია ჭიათურის: „გაუმარჯოს ანიკოსა (ცოლს), შალიკოსა და ვა-
ლიკოსა“. სამაგიეროდ თავისი ცოლ-შვილის ხსენება არ უკისრია
ტრადიციის მიმდევარ გიორგი ტატიშვილს და სასმელიც მას უყი-
დია.

იქ, სადაც ასეთი ჩეკულება არსებობდა, დაუშვებელი იყო
მამას შეიღის აკანი დაერწია ან ბავშვი ხელში აკანა. მისისწულის
ხელში აკანა ან მისი აკანის დარწევა კი კაცს აუგად არ ჩაეთვ-
ლებოდა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება კვლავ ციცლა გავიხ-
სენოთ, რომელიც თავის მამას მიშველებია (მისი მამა თურქმე არ-
წევდა ორ აკანს; ერთში წოლილა ციცლას შვილი, ხოლო მეორეში
მისი მიტყას შვილი), მაგრამ მისისწულის ნაცელად შეცდომით
შვილის აკანისათვის უხლია ხელი. მამისაგან მას შენიშვნა მიღლია
და შერტვენილი ციცლა რამდენიმე ხნით ცხარში წასულა, რომ
მამას ორაზ სჩეკენებოდა. რაც შეეხება შვილის ხელში აკანს, ასე-
თი შემთხვევები ხვის წარსულიდან არ მოწმდება. სხვა კუთხეების
ანალოგიურად, ზევში იმის შესახებ კი ყველა გეტავით, თითქოს
ბანიდან გადასაერთოდა განწირული შვილი მამამ ხელში კი არ
აიყვანა, არამედ სამოსის კალთაზე ფეხის დაღვმით გადაარჩინაო.
ეს თქმულება ტრადიციით შეზღუდული ურთიერთობის მკვეთრ
დახასიათებას იძლევა.

ბაეშვებთან ურთიერთობაში რამდენადმე შეზღუდული იყო
დედაც. არსებობი ჩეკულების მიხედვით, პატარძალს სამ წლამ-
დე ხელში შვილის დაქვერა უფროსების წინაშე სირცევილად ეთვ-
ლებოდა. მათთან ყოფნისას აკანში ბავშვის ჩაკვრასა და დარწევას
კი არ ერიდებოდა.

სათანადო წესის დაცვა მართებდა რძალს დედამთილის მიმართ.
მოხევური ჩეკულების მიხედვით, რძალი დედამთილს დალაპარა-

კებას გაუბრდა და მხოლოდ 5 წლის შემდეგ. ამ დღიდან მას შეეძლო დაბალი ხმით დედამთილისთვის ეწოდებინა დედა, ქალა ანდა ნიკოს დედა, ვანის დედა და ა. მ. შორიობები იმასაც გამოგვცემენ, რომ დედამთილთან ტერიტორიული მოდა შეეძლო იმის შემდეგ, როდესაც ის 3 შვილის ტურაგმატება მოდა. ასევე, ვიდრე 3 შვილის მამა არ გახდებოდა კაცი, მას არ შეეძლო საოჯახო თაობირში სიტყვის ჩარევა და თავისი შეხედულების თამამად გამოიქმნა. კაცს ასეთი შეზღუდვა არ ეხებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უშვილო აღმოჩნდებოდა და ხანში შევიდოდა. რაფი ოჯახის წევრებიც დარწმუნდებოდნენ მის უდავლათობაში (უშვილობით გამოწევულ უბედურებაში), ოჯახის საქმეშიც მის მონაწილეობას არ ზღუდვენ. შვილების რაოდენობას ყურადღება ექცეოდა იმ დღიდან, რა დღიდანაც კაცი ერთი შვილის მამა ხდებოდა. ამის შემდეგ 3 შვილის ყოლა როგორც კაცისათვის, ისე რძლისათვის ოჯახის სრულუფლებიან წევრად გახდომის ერთგვარ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. როგორც ჩანს, 3 შვილი ადამიანის მოქალაქეობრივი უფლების სახომად იყო მიწნეული. ხალხის მგვარ შეხედულებაში არ შეიძლება არ დაინახოთ ერთგული ინტერესების დაცვა, რამდენადაც, ჩვენი პატრიოტი წინაპრების თვალსაზრისით, გამრავლება ითვლებოდა ოჯახისა და საზოგადოების კეთილდღეობის საფუძვლად.

ქალს განსაკუთრებული სიფრთხილე და მორიდება მართებდა კაცებთან. რძლების ლაპარაკი უფროს მაზლებთან მიუღებელი იყო. ზოგიერთი რძალი ისე ამთავრებდა თავის სიცოცხლეს, რომ არც მამამთილს და არც ოჯახის სხვა ხანდაზმულ წევრებს არ დაელაპარაკებოდა. „უმძრახისის“ დაზღვევების მიზნით ამდენიმე წლის შემდეგ კაცები საჩუქრებს ყიდულობდნენ რძლებისათვის, მაგრამ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივად აღწევდნენ, ვიზაიდან ამის შემდეგ ქალი კაცს შეკითხვაში კი აძლევდა პასუხს, მაგრამ როდესაც თოთონ რისიმე თქმა უნდოდა, ამას სხვისი მეშვეობით ატყობინებდა.

თუ კაცისათვის მიუღებელი იყო ცოლის სახელის ხსენება, სამაგიეროდ ქალს აუგად ეთვლებოდა როგორც ქმრის, ისე დედამთილის, მამამთილისა და მათი თაობის უფროსების სახელებით მოხსენიება არა მარტო მათთან ურთიერთობის მომენტში, არამედ ოჯახის ფარგლებს გარეთაც. მდგომარეობიდან გამოსავალს წარმოადგენდა სახელების ნაცვლად პერიფრაზების გამოყენება.

ხალხთან ყოფნის მომენტში ცოლაქმარს შორის მიმართვის გამომხატველი იყო: ეი, არ მაგდის? არ გეჭურება? ასევე იცავდნენ ერთიმეორის სახელის მალეის წესს სხვებთან საუბრის მომენტშიც. კაცი ცოლის სახელის ნაცვლად იშველიებდა მისი სქე-

სის ან ჩამომავლობის გამოშეატველ ცნებებს: დ ი ი ც ი, დ ე დ ა კ ა
ც ი, ლ ო მ ნ ი ე თ ჭ ა ლ ი და ა. შ. ქმრის სახელის აღსანიშნავის
ქალს შეეძლო ეთქვა ჩვენი კ ა ც ი.

სხვასთან საუბრის დროს ისევე მოუღებელი იყო ქალმართველი იური
დედამთილ-მამამთილის, უფროსი რძალ-მაზლისა და ქმრის გვარის
წინაპართა საკუთარი სახელებით მოხსენიება. მას უნდა ეთქვა: დ ე-
დ ა მ თ ი ლ ი, მ ა მ ა მ თ ი ლ ი, რ ძ ა ლ ი, მ ა ზ ლ ი, მ უ ლ ი. ზო-
გიერთ შემთხვევაში უფროსების მოხსენიება ხდებოდა მის მიხე-
დვით, თუ ვისი მამა ან დედა იყო ის. რაკი რძალს ახალგაზრდების
სახელების ხსენება არ ეკრძალებოდა, მის შესაბამისად უფროსებ-
ზე შეეძლო ეთქვა: ი ა გ თ ს მ ა მ ა, ე ლ გ უ ჭ ა ხ ს დ ე დ ა, კ ა-
ბ ა ხ ს პ ა პ ა, გ ი ვ ა რ გ ი ს ბ ე ბ ი ი ა დ ა ა. შ. დასაშევები იყო
აგრძელებული დედამთილისა და სხვა ხნიერი დედაკაცების მოხსენიება
მათი გვარიშვილობით: ხ ე თ ა გ ე თ ჭ ა ლ ი, გ ო გ ო რ ე თ ჭ ა ლ ი
და ა. შ. ვინაიდან ქმრის ოჯახის უფროსის ან ეპონიმის სახელის ხსე-
ნებაც მოუღებელი იყო, ამიტომ ქმრეულთ პატრონიმის აღსანიშნა-
ვალაც ზოგჯერ ახალი ონომასტრიუქტრი სახელები ჩნდებოდა. მაგალი-
თად, სოფ. ფხელშეში ელოშვილების გვარში შემვალი ერთ-ერთი
პატრონიმის სახელია კ ო ტ ო რ ე ნ ი, რაც შემდევი გარემოებით
აიხსნება. ამოვან ელოშვილის ბებია ყოფილა გარბანელი გელაძეე-
ბის ჭალი. გელაძეების იმ პატრონიმისა, საიდანაც ეს ჭალი გამო-
თხოვდა, ეწოდება კ ო ტ ო რ ე ნ ი. რძლებს რაკი არ ეკუთვნოდათ
ქმრეულთ ეპონიმის სახელის ხსენება, ელოშვილების ამ ოჯახს
შეარქვეს კ ო ტ ო რ ე თ ჭ ა ლ ი ა ნ ნ ი. შემდევში ეს სახელწოდება
შემოყლდა და მომავალმა თაობამ არჩია მათთვის ეწოდებინათ
კ ო ტ ო რ ე ნ ი. როგორც ვხედავთ, ნაცვლად იმისა, რომ ელოშვი-
ლების ამ შტოს ერქვას ა მ ო ვ ა ნ ე ნ ი მათი ეპონიმის — ამოვანის
სახელის მიხედვით, აღნიშნული ჩეკულების გამო დამკვიდრდა
ელოშვილების მოყვრების — გელაძეების ერთ-ერთი პატრონიმის
სახელი.

ელოშვილების გვარში დასტურდება სხვა ანალოგიური შემთხ-
ვევებიც. მათი ერთ-ერთი პატრონიმის — თუ ზ ა რ ე თ ნაწილს
შეარქვეს კ ა ტ ი ლ ე ნ ი (კატილა იყო მათი რძალი, ყანობელი ბა-
ბაშვილი ციცის ასული), ნანეთ ერთ-ერთ შტოს უწოდეს ბ ე რ ე თ
ჭ ა ლ ი ა ნ ნ ი (ბერენი არიან ავსახანიშვილები, საიდანაც მოიყვა-
ნეს რძლად ათერად) და სხვა. ანალოგიური სახელწოდებებია სხვა
გვარებშიც: მ ა ლ ვ ე ნ ი, ძ ი კ ი ე ნ ი, ა თ ე თ ჭ ა ლ ი ა ნ ნ ი და
ა. შ. მოწმდება ისეთი შემთხვევაც, რომ რძლებს პატრონიმისთვის
შეურქმევიათ ტოპონიმიკური სახელი. მაგალითად, სოფ. გარბანში
გელაძეების ერთ-ერთი პატრონიმის სახელწოდებაა ბ ე ჟ უ ე ნ ი.

ადგილს, საღაც ეს პატრონიმია ერთ უბნად არის დასახლებული, ეწოდება ფუჭუანი. ჩძლები რაყი მორიდებიან ბერუეთ ნიმის — ბერის სახელის ხსენებას, მისი შთამომავლობის თვეს უწოდებიათ მათი სამოსახლო ადგილის სახელი ფუჭუანი უწოდებულია.

ურთიერთდამოკიდებულების ზემოაღნიშნულ წესებთან ერთად საინტერესო ოჯახის წევრთა შორის არსებული მიმართვის ფორმები, როგორც წესი, მშობლები შვილებს სახელებით მიმართავდნენ. ამასთან ერთად მიღებული იყო ქალისათვის ეწოდებინათ ქალაქ, ვაჟისათვის ბიჭა ან ბალი, ხოლო ყველა მათვანის აღსანიშნავად იხმარებოდა ხიზანი. მიმართვის ისეთი ფორმები, როგორიცაა ქალავ და ბიჭა, მიღებული იყო ახალგაზრდების ურთიერთობაშიც შინ და გარეთ. ამიტომა, რომ მსგავს შემთხვევებს ხშირად ვხედებით ალ. ყაზბეგის ვმირთა დიალოგებში, ხოლო მწერალი ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ნაწარმოების („ციცა“) სკოლიოში სათანადო განმარტებასაც იძლევა: „მთაში ქალი კაცს სახელს ძნელად დაუძახებს, საზოგადოდ ბიჭობით ელაპარაკებიან“. იგივე შეიძლება ითქვას ქალისადმი ბიჭის დამოკიდებულების შესახებაც.

სათანადო წესებს იცავდნენ შვილები შშობლებისა და სხვა უფროსებისადმი მიმართვის მომენტში. ხევში ჯერ კიდევ ცხოვრობენ ძველი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც შშობლებს არ ეძახდნენ დედას და მამას. უმთავრეს შემთხვევებში დედას მიმართავდნენ სახელით. დაუძახებდნენ ასედაც: დავ, ქალო, რძალო. მამისაც ხშირად ეძახდნენ საქუთარ სახელს ან ბიძას. ხოლ ყანობში გაბო ვაჩდიშვილს შვილები დღესაც ეძახიან ბიძას, ხოლო ნამდვილ ბიძას, აწ განსვენებულ ფილოს, უწოდებდნენ მამას. მოხვევებში მამისადმი ბიძის და ბიძისადმი მამის დაძახება, ისევე როგორც დედისადმი დის, ქალის ან რძალოს თქმა, ხოლო ბიძის ცოლისადმი დედის წოდება, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ხშირი ყოფილა შემთხვევაც: როდესაც უფროს ძმას ან ბიძაშვილსაც უმცროსი და-ძმა-ბიძაშვილები ბიძას ეძახდნენ. ბებიას ან სხვა მოხუც ქალს უმთავრესად უწოდებდნენ დედას, ხოლო მოხუცი კაცებისადმი მიღებული იყო როგორც მამის წოდება, ისე მათი ხანდაზმულობის გამომხატველი ისეთი სახელებით მიმართვა, როგორიცაა პაპა, გაგა ან ძია.

როგორც ვხედავთ, ცნებები დედა და მამა უფრო მეტად ხნით უფროსობის გამომხატველი იყო, ვიდრე რეალური ვითარების ამსახველი. თუ ოჯახში უფროს ძმას მისი შვილები მამას დაუძახებდნენ, ხოლო მამის უმცროს ძმას ბიძას, მიმართვის ასეთსაც ფორმას იყენებდნენ შემდეგში უმცროსი ძმის შვილებიც. თავიანთი ბი-

დაშვილების მიბაძვით ისინიც თავის მაშას უწოდებდნენ ბიძას, ხელი ბიძას — მამას. ასევე მეორდებოდა შემდგომ თაობებში. ასეთი ვითარება დამახასიათებელი იყო მხოლოდ გაუყრელად, კუთხეული რებისათვის, სადაც მიმართოში განმსაზღვრელი იყო არა მულტიკული გაური ფაქტორი (დედობა, მამობა...), არამედ უფროს-უმცროსობა. ურთიერთობის აღმნიშვნელ ამ ცნებებს ეს შინაარსი უნდა შეეძინა ლევიტანის არსებობის საფეხურზე, როდესაც დასაშვებად ითვლებოდა მაზლის მიერ ქვრივი რძლის ცოლად შერთვა. ასეთი ქორწინების შედეგად ქვრივის შვილებისათვის ქვრივის მეორე ქმარი იყო მამინაცვალიც და ბიძაც, ხოლო ღვიძლი დედა იმავდროულად ხდებოდა ბიძის ცოლიც. მეორე ქმართან ნაყოლი შვილები კი მისი პირველი შვილებისა იყვნენ როგორც ძმები (დედით), ასევე ღვიძლი ბიძაშვილები ანუ ძმათაშვილები (ალალი ბიძაშვილები). ამ ტერმინების ასეთი მნიშვნელობით გამოყენების შესაძლებლობა გამორიცხული იყო ინდივიდუალურ ოჯახში. მიმართვის ეს ფორმები თავს ინახავდა მხოლოდ ისეთ სოციალურ უჯრედში, სადაც ერთად უხდებოდა ცხოვრება რამდენიმე თაობის რამდენიმე საქორწინო წყვილს შობლების, ბიძების, ბიძის ცოლებისა და ბიძაშვილების სახით.



ოჯახის წევრთა ურთიერთდამოყიდებულების ჩვენება გულისხმობს აგრეთვე რიგი ისეთი მომენტის გარეკვევას, როგორიცაა გასათხოვარი ან დანიშნული ქალის მდგომარეობა და ქცევის ნორმები, ქმართან და ქმრის ნათესავებთან პატარძლის ურთიერთობა, მცირებულებანი პატარძლის იღზრდისა და შრომაში ჩაბმის წესი, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხები გაშუქებული გვაქვს 1960 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში — „ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან“, მათ შესახებ მსჯელობას არ გვაგრძელებთ. ამავე მონოგრაფიასა და 1967 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში — „ხევი ძევლად და ახლა“ — განხილულია საოჯახო ყოფასთან დაკავშირებული ზოგიერთი რიტუალი. ქვევე იძალება ინტერესი საკუთრივ საოჯახო დღეობებისადმი, მაგრამ ვინაიდან ხევში საგანგებო საოჯახო დღეობა არ აჩვებობდა და ყოველი ოჯახი მონაწილეობდა ყველასათვის საერთო საუბნო, სასოფლო და სათემო დღესასწაულებში, ამიტომ საოჯახო დღეობაზე მსჯელობის საფუძველი არც არსებობს. ქვემოთ შევეხებით მხოლოდ ამ რიტუალს, რომელიც სამყოფოს „წმინდა“ კუთხესთან და სენაში, ე. ი. ოჯახის ფარგლებში სრულდებოდა და ამდენად ეს რიტუალი საოჯახო ხასიათისა იყო.

სამყოფოს ერთ-ერთი მცირე ზომის თახია (შუკუნა) ჩატარდებოდა „საწმინდის განკარგულებაში იყო და იქ ჩვეულებისამებრ ხატი (ჯვარი) და სახთლები ინახებოდა. ყოველ შებათ შეტყობინებული სახათ შამომავალს“ ოჯახის უფროსი სანთლებს ახორციელდა, იქვე კედელში დამაგრებულ ქვაზე ან დედაბოძშე მიაკრავდა და „უშაბის ან გელოზის“ სახელზე სათანადო ლოცვებს შეასრულებდა. რაյო ეს შუკუნა წარმოადგენდა ფუძის ანგელოზის საბრძანისს, ამის გამო მას სხვაგვარად „ფუბის ან გელოზის საბზანის“ ან „ფუბის ან გელოზის კუთხე“ ერქვა.

მოხევების ჩრდენით, „ფუძის ანგელოზი“ ოჯახის და იმ გვარის (მოდგმის, ჩამომავლობის, ფუძის) მფარველად ითვლებოდა, რომლის შემადგენლობაში ეს ოჯახიც შედიოდა. მისაღმი „ფუძის ანგელოზის“ წოდებაც სწორედ იმით არის მოტივირებული, რომ სიტყვა „ფუბი“ თავისთავად გვაჩსა და ჩამომავლობასაც ნიშნავს. როდესაც მოხევე ამბობს, რომ ერთი ფუძისანი ვართო, ან ერთ ფუძეზე, ერთ ძირზე მოვდივართო, იგულისხმება, რომ ერთი მოდგმა-ჩამომავლობისა არიან.

ვინაიდან „ფუძის ანგელოზი“ ოჯახთან ერთად გვარ-ჩამომავლობის მფარველად ძალადაც იყო მიჩნეული, რელიგიურ დღესასწაულზე მას სანთლებს უნთხებდა არა კვლავ სახლის მაწალ-მართებელი, არამედ გორის უფროსი (გორის ხუცესი). ის თავის გვარის შემადგენლობაში მყოფ ოჯახებში ჩამოივლიდა, „ფუძის ანგელოზის“ სანთლებს აუნთხებდა და ოჯახს დამწყალობნებდა. სხვა დროს კი (შაბათობით), როგორც უკვე ითქვა, „ფუძის ანგელოზის“ სახელზე ლოცვა გვარის ხუცესს აღარ ვვალებოდა; მოსანთლე-მოწმინდარის როლში ოჯახის მეთაური გამოდიოდა.

სხვათა შორის, „ფუძის ანგელოზის“ კუთხეში ზოგჯერ სოფლის ხატებსაც აბრძანებდნენ. მაგალითად, სოფ. ყანობში „არ ყონის წმინდა გიორგის“ საბრძანისად განკუთვნილი იყო აიდარაშვილების სახლი, ხოლო „ყანაზის წმინდა გიორგის“ — კურკუმულების სახლი. შემდეგ კურკუმულების სახლი ვარდიშვილებმა იყიდეს, მაგრამ ყანაზის წმინდა გიორგისათვის ადგილი მაინც არ გამოუცვლიათ. დღეობაზე ამ ხატებს სოფლის სალოცავში გააბრძანებდნენ, ხოლო დღეობის დამთავრების შემდეგ კვლავ წმინდა კუთხეში დააბრუნებდნენ.

„ფუძის ანგელოზის“ საბრძანისთან დედავაცის მისვლა მიუღებელი იყო და ისინი არც ამ წმინდანისადმი მიძღვნილ ლოცვაში იღებდნენ მონაწილეობას. დედავაცია შორის თეთი ყველაზე მაღა-

ლი უფლების მქონე დიასახლისაც კი ეკრძალებოდა „ფუძეს ან-
გელოზის“ კუთხესთან ახლოს ყოფნა. სამაგიეროდ ის ევედრებოდა
და ე. წ. „სახლის ანგელოზის“, რომლის ადგილ-სამყოფებულებული
სენა წარმოადგენდა.

თუ „ფუძის ანგელოზი“ ოჯახთან ერთად გვარის მფარველ
ღვთაებადაც ითვლებოდა, სამაგიეროდ „სახლის ანგელოზის“ მხო-
ლოდ ოჯახის მფარველობა ქვენდა და აისრებული. მოხევის ჩრდე-
ნით, „სახლის ანგელოზი“ მდედრობითი სქესის წმინდანია, მას
ღვთიშობლის ამხანაგად აღიარებდნენ და ლამაზი დედაკაცის სახით
წარმოიდგენდნენ. ეს შეხედულება აშკარავდება თუნდაც ლიზა აი-
დაშეილის მონათხრობიდან: „ჩემმა დედამთილმა თქვისკე — ჩემი
დედამთილისაგან (ე. ი. მთხრობლის მამამთილის დედისაგან) მქონ-
დათ გავონილი, რო ლოლეთ (აიდარაშვილების) ქოითაჩი როცა
ძროხების საწველად ჩავიდოდიო, დაგილის დედა კელაპტარიცით
თეთრად მაკმაზული, საყურაბეჭდიანი, როგორც ელვა, ეგეთი გამო-
ვიდისკეთ და ძროხების წველის დროს შორისხლო ბაგაზე ჩამაჭ-
დისკეთ. როცა დწველას გავათავებდიო, კუთხეჩი მივიდის და გა-
ქერისკეთ. მაღლი იყო მისი ნახეოთ“ (სოფ. ყანობი, 8. VIII. 1959 წ.).

ხევში „სახლის ანგელოზის“ შედარებით განსხვავებული სახე-
ლებითაც მოიხსენიებენ ხოლმე. ასეთებია: „სახლთანგელოზი“, „სახლის ბერანგელოზი“, „კარის ანგელოზი“, „დედათანგელოზი“,
და „ადგილის დედა“. ეს ორი უკანასკნელი სახელი (დედათანგე-
ლოზი და ადგილის დედა) სწორედ „სახლის ანგელოზის“ მდედრო-
ბითობის შესახებ ხალხში არსებული ჩრდენის გამომხატველია.

„ადგილის დედის“ სახელზე დიასახლისი ყოველ ხუთშაბათს
გასტეხეს (ქაღას) აცხობდა, სანთლებს ანთებდა და მას სა-
ქონლის მფარველობასა და ოჯახის წევრთა კეთილდღეობას შეს-
თხოვდა.

„სახლის ანგელოზისთვის“ ქაღის გამოცხობა ხდებოდა ე. წ.
თავთავა ერბოთი. ყოველ შედლებაზე დიასახლისი პირ-
ველ ნადუღარ ერბოს (თავთავას) ცალკე პატარა ქილით შეინახავდა
და ხუთშაბათ დილით ქაღის მასალად მხოლოდ მას ხმარობდა.
გამომტხვარ ქაღას დიასახლისი მარტოდმარტო დასტრიდა სენა-
ში მდგარ საყველე კასრის თავზე, სანთლებს აანთებდა და დაი-
ლოცებოდა: „სახლის ბედო და ანგელოზო, ადგილის დედაო, მო-
გეც მაღლი და ბარაქა, ნუ გოგიშვერ შენ სახსოვარ საქონელსა,
დაიღარე სეტყოსაგა და კონისაგა, შეეწიე ჩვენს გალაბობასა, შენი
მასავონარი და დიდება იყოს ამ ოჯახში“ (ნინო კაჭოს ასული კურ-
კუმული, დაბადებული 1889 წ. სოფ. ყანობი, 6 VIII. 1959 წ.).
ლოცების დამთავრების შემდეგ ქაღის მარტო თითონ შეჭამდა, ქა-

ლებსაც კი არ უნაშილებდა, ხოლო მამაკაცის მიერ ამ ქართის შეტემა ხომ უსიამოვნების მომასწავებლად ითვლებოდა. ოჯახი რომ ჩაირე ზარალი განეცადა (ყველის გაფუჭება, რძის დამეავებება, ტანტრის ერბო-კარაქის მიღება და სხვა) დედაკაცები ზოგჯერ ქართული ტრადიციების ევების ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ „აღვილის დედის“ სახელ-ზე გამომცხვარი ქადა რომელიმე მამაკაცმა შეტამაო.

მოხევის რწმენით, „აღვილის დედას“ არა მარტო მის სახელ-ზე გამომცხვარი ქადის განაწილება სწყინდა, არამედ კიდევ უფრო მაგრად წყრებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის წევრები თა- ვიანთი საცხოვრებელი ბინისა და ცხოვრებისადმი უქმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ერთმანეთში უსიამოვნება, წყველა-ვინება, ბუზ- ღუნი და ხშირად იმის თქმა „როდისლა მოცმორდები ამ დასაქცევ სახლსაო“ და სხვა, „სახლის ანგელოზს“ თავისადმი მღურებად შიანწდა და შეეძლო ოჯახისთვის რაიმე ზიანი მიეყენებინა — „დე- მიზეზა“.

ასეთ შემთხვევაში „სახლის ანგელოზის“ გულისწყრობას იმით თურმე გებულობდნენ, რომ მოისმოდა მისი ყრუ კენესა, ბუტბუტი და რალაცას ბაგაბუგი (რახუნი). ამასთან დაკავშირებით საყუ- რადღებოა ლიზა აიდარაშვილის შემდეგი ცნობა: „კაცთათ ზარალი გვერდა, ჩემი დედამთილი სულ ტიროდა და აღვილის დედა კი ჯვერობდა. ღამე ჯერთ კენესას მახვებოდა, გეგონება გულის მწუ- ხიარეა, მამრე კი რაისლაც ბაგიბუგს დაიწყებდა“ (სოფ. ყანობი, 7. VIII. 1959 წ.).

გარდა ამისა, „აღვილის დედა“ მაშინაც თურმე აერდებოდა (კენესოდა, არაუნებდა), როდესაც სახლში ან ოჯახის მანლობელ- თა შორის რაიმე ცუდი ამბავი იყო მოსალოდნელი. ცაჟ ტატა- შვილის ცნობით, „იმისი გმინვა და გრიალი 3-4 დღემდე სტანობდა და ოჯახიც უბედურების მაღლოდინინი იყვისკე. ბებრებმა ერთურთს შესჩივლიანე, ადგილის დედა თვითირდა და გონჯი რაიმე მახქდე- ბაო“ (სოფ. ყანობი, 6. VIII. 1959 წ.).

ოჯახისადმი „აღვილის დედის“ მღურებას ზოგჯერ მყითხავის მეშვეობითაც „გებულობდნენ“. მაგალითად, გუდამაყრის ხეობის სოფ. ბახანში მეთხვეთინ მყოფ მოხევე ნინო კურეულისათვის ნი- ნოს „სახლის ანგელოზს“ („აღვილის დედას“) მყითხავის პირით სამდურავი შეუთვლია: „რას გაიძიხი ვაძ დადადასაო, რომენიმე ბალდი შევიშინეთ თუ ცხო რაიმე დაგიშიეთო, რაა მიზეზი ხპოვნე ჩემჩიო“. მყითხავისავე პირით „აღვილის დედას“ უთქვამს, რომ ახლა მაგას (ნინოს) აღარც სამყითხაო სანთლის ანთება კუუთვნის, რაკი ჩემ მფარეველობაში მყოფ სახლზეა უქმაყოფილოო. მაგრამ „სახლის ანგელოზს“ იქვე გამოლაპარაკებია მთელი კურეულების

ვერარისა და სოფ. ყანობის სალოცავი — „არყონის წმინდა ვივერგობის და მექოთხავისავე პირით შეუთელია: „კარგი მოსანთლე ცუდეს ხთის მოყორეულიო (იგულისხმება ნინოს ქმარი — ოჯახის უფროსი), იმისი ხათრით პატივეთ და აუნთეთ სანთელიო“. მხოლოდ უძრავი და დამატებითი დაუგდინდება აუნთია მექოთხავს სანთლები და ნინოც ღრმად დარწმუნებულა იმაში, რომ „სახლის ანგელოზი წყინულობდა“ ოჯახის დიასახლისის უქმაყოფილო ბუზურგისა და ბობოქრობას („ჩემი გონი პირი იქ დამხედოა“ — ვაუწყებს მოხრობელი).

„ადგილის დედის“ წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებისა და მისი კვლავ მომადლიერების მიზნით იცოდნენ ხატში ვასელა, ლოცვა და „სახლის ანგელოზის“ სახელზე „დასულდგმულებული“ საელავის დაკვლა. განსაკუთრებით მიღებული ყოფილი პირებელად შობიარე დეკეულის ხბოს „დასულდგმულება“, ხოლო თუ „სახლის ანგელოზის მიზეზი“ გამოუვიდოდა ოჯახს და საკლავის „დასულდგმულების“ საყითხი არ იდგა, ასეთ შემთხვევეაში დეკეულის პირებელად მონაგები ხბოს გაზრდა არ შეიძლებოდა. როგორც წესი, მას 12-14 დღისას ჰკლავდნენ და მხოლოდ ოჯახის წევრები ვამდნენ. გარეშე პირისათვის მისი ხორცის მირთმევის „სახლის ანგელოზის“ შიშით კერ ბედავდნენ და ამ ჩევეულების მიმღევარ სტუმრად შესწრებულ მოხევეს ეს არც სწყინდა, რადგან ამ წესს ცველა მტკიცედ იცავდა თავის ოჯახში.

იმასთან ერთად, სასტრიკად იყო აქრძალული ხბოს ძელების გადაყრა და მისი ხორცის ნიხარში წვენის გადაღვრა, ვინაიდან მას „თოხტეხი“ (ძალლი, კატა, ლორი) შეკვამდა და ამითაც „სახლის ანგელოზის“ გულისწყრომას დამისახურებდნენ. ეს რომ ასე არ მომხდარიყო და საქონელი არ „გადაღატულიყო“ (წველაზე დაკლაბა, დაავადება, დაკოჭლება...), ხბოს ძელებსა და წვენს წინასწარ იმოთხრილ თრმოში ფლავდნენ.

გარდა ამისა, „სახლის ანგელოზისადმი“ თაყვანისცემა თავის გამოხატულებას პოულობდა სხვა შემთხვევასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ქოჩწილში ან სხვა სალხინო სუფრაზე, როდესაც უკვე „საღვთიშობლოს“ ჩამოატარებდნენ, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთთან გამომშვიდობების დროს ფეხზე მდგომი უკანასკნელ სადღეგრძელოს — ე.წ. „სახლის (კარის) ანგელოზისას“ გამოცლიდნენ. სახლის თუ კარის „ანგელოზის“ ხსნება ლხინის დასასრულს დღესაც იციან ხევში და მას არც ერთ ქეითში არ ივიწყებენ.

როგორც კხედავთ, მოხევური სახლის შიდამოწყობილობაში საკულტო მნიშვნელობის ადგილებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევდა, ხოლო „ფუძის ანგელოზის“ თუ „ადგილის დედისადმი“ თაყვანისცემა მძლავრად იყო გაბატონებული ძეელი ხევის საოჯახო

ყოფაში. ხალხს მტკიცედ სკეროდა, რომ უამპირობოდ „ფუძისა“ და სახლის ანგელოზისაგან“ ოჯახს დამინენება (კისიმე დაავადება, და/კოჭლება, მატერიალური ზარალი და ა. შ.) არ ასცდებოდა, ხოლო შეცდომის გამოსწორებისა და პატივის თხოვნის მიზნით მათთვის გადასახლება. საკუთრივის „დასულდგმულება“ ხდებოდა.

ამგვარად, სახლის (კარის) და ფუძის „ანგელოზი“ ერთნაირი ფუნქციის მქონე, ოლონდ სხვადასხვა სიღილის სოციალური ერთეულების მფარველობის მიხედვით უფლებრივად მეტ-ნაკლები პრივალეგიებით აღჭურვილ ღეთაებებად წარმოგვიღებიან. პირველი მათგანის მოვალეობაა ერთი ოჯახისა და მისი საცხოვრისის დაცვა, ხოლო შეორისა მთელი საგვარეულოს მოდგმისა (ფუძის, ძირის) და შთამომავლობის, მათ შორის გვარის ფარგლებში შემავალი ცალკეული ოჯახების მფარველობა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემობაც. მოხევეს ძველად სკეროდა, რომ „სახლისა და ფუძის ანგელოზის“ გარდა სახლს მფარველობდა აგრეთვე ე. წ. „ფუძის გველი“, რომელსაც ზოგჯერ შეცდომით სახლის თუ ფუძის „ანგელოზისაც“ უწოდებენ.

„ფუძის გველი“ ჩვეულებისამებრ სახლის ქვედა სართულში, საძირკვლის ახლოს ბინადრობდა და უშუალოდ მას (სახლის საძირკველს, ფუძეს) იცავდა. ამაში მტკიცედ დაჭრებული მოხევეები ძველად ზოგჯერ გველს სახლში ინახავდნენ და მას არაჩვეულებრივი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ოლონდ ის „ალალი“ უნდა ყოფილიყო და არა „არამი“. ალალ გველად ინკარა ითვლებოდა, ხოლო არამი შხამიანია. ამის გარდა ალალ გველს სცნობდნენ სხვა ნიშნების მიხედვითაც: მას უნდა ჰქონოდა „ლემანი“ (რუსი) ფერი და ყურებთან მწვანე წერტილები, ან ყელზე ჩამოყიდებული ბოთლისებური ჯირკვლები — ე. წ. „საყურები“. ამის მიხედვით მას მეორენაირად „საყურიან გველსაც“ ეძახოდნენ. მის სიალალეში მტკიცედ დარწმუნების მიზნით, გველს თვეზე ჯობსაც ადგამდნენ და ხმამალლა შეკეთხებოდნენ: „გველო, ალალი ხარ თუ არამიო“. თუ გველი ერთ აღგილზე გაჩერტებოდა, შემინებული გაიტრუნებოდა და ენას გამოყოფდა, მიხედვებოდნენ, რომ ის ალალი იყო; თუ ენას არ გამოყოფდა, დაიკლაკნებოდა და სისინს დაიწყებდა, მაშინ მას არამ (შხამიან) არსებად ჩათელიდნენ, მოკლავდნენ, ენას ამოაგლეჭდნენ და შეინახავდნენ. ძველად სწამდათ, რომ გველის ენის მოსმით გველის ნაკბენი სხეული განიკურნებოდა და სახლიც ბოროტ არსებათაგან ხელშეუხებელი იქნებოდა.

სახლის მფარველად, კერძოდ, ერბო-ყველის შესანახი სენას სიმდიდრის მცველად, ბარაქიანობის მომნიჭებელ ძალად და

„მხიბლავებისაგან“ მოსალოდნელი უბელურების თავიდან ასაკი-
ლებელ საშუალებად შხამიანი (არამი) გველის ენასთან ერთად მიჩ-
ნეული იყო ე.წ. „გველის თოლი“ — შავი ფერის პატარა
მრგვალი კენჭი, რასაც მოკლედ „თოლიც“ (თვალი) ერქვა. გვერდიშვილი
ენის ან „თოლის“ დაქარგვა ოჯახის საიდუმლოების საქამისო მიზან
გამეღავნების თუ ეკონომიკური გაჩანაგების მომასწავებლად ითვ-
ლებოდა. ამის გამო, ოჯახის დიასახლისი ამ საგანს სენაში საგულ-
დაგულოდ ინახავდა.

ჩვენ მიერ ხევში ჩაწერილი მასალების მიხედვით, გველის თვა-
ლის პოვნა დიდ ილბლად ითვლებოდა. და მხოლოდ ზოგიერთ ბედ-
ნიერს თუ ხედებოდა წილად.

ხალხური გამოიცემის ერთი ვარიანტით, გველი როდესაც
შემოწერის და გახურებულ ქვაზე წვება, იქ დროებით ტოვებს
თავის შხამს. შხამი მოკლე ხნის განმავლობაში პატარა მრგვალი
კენჭის სახით დადგება და თუ ვინმე გველის იქვე მისელამდე მას
იპოვიდა, სახლში წაიღებდა და დიასახლისს ჩაბარებდა.

მეორე ვარიანტით, გველის თვალის მოპოვება უფრო რთული
გზით ხდებოდა. ევროიან დღეს ან ნაავტორალზე გველები ერთად
იკრიბებიან და „თოლით თამაშობენ“. ერთ-ერთი იმათვანი თავის
თვალს იმოიღებს და პირით ჰაერში შეაგდებს. მაღლიდან ჩამო-
ვარდნილ თვალს მეორე გველი პირითე იტერს და ისევ მაღლა-
შეისვრის. ასეთ შემთხვევას თუ ვინმე წააწყდება და ასროლილ
თვალს გველების მაგივრად თითონ დაიჭირს, ის გახარებული
გამოიქცევა სახლისკენ. გამწარებული გველები მას გამოეკიდებიან.
როდესაც კაცი მათ თვალს მოეფარება, გველები გზად შემხედრ-
უველა მცენარესა და ქვებს ეკითხებიან — ხომ არ დაგინახავს
ჩვენი თვალის გამტაცებელით. თუ კაცს ის გზა ჰქონდა გავლილი,
ეტყვიან ენახეთო. შაგრამ თუ მან მდინარეზე გადასვლაც მოასწ-
რო, მაშინ კი გველები კვალს კარგვენ და ხახამრალები უკანვე
ბრუნდებიან, ვინაიდან კაცის გავლის დროს მომღინარე წყლის
ნაჟადმა ჩაიარა და ამბავიც თან წაილო, ხოლო გველების მისელის
დროს მოსული ახალი ნაჟადი ეტყვის — არ მინახია.

კაცი მოვიდოდა ჩა სახლში, პირველ ხანებში ამ საიდუმლოე-
ბის ოჯახის წევრებს არ უმედავნებდა, ვინაიდან ამის თქმა „თოლის“
თავის მნიშვნელობას დაუკარგავდა. თვალი ის ნაყოფიერ ადგილას
დამარხავდა და შედეგს დაელოდებოდა. თუ გარევეული ხნის შემ-
დეგ იმ ადგილას მცენარე ამოვიდოდა და აუგავდებოდა, თვალი ბა-
რაქიანობის მომნიჭებლად ითვლებოდა. თვალის მპოვნელიც მას
მიწიდან ამოთხრიდა და დიასახლისს გადასცემდა, ხოლო დიასახლი-
სი მას სუფთა ფარჩის ნაკერში შეახვევდა და „სენაში“ მდგარ ერ-

პოიან ქოთანში ინახავდა. იმ „შემთხვევაში კი, თუ „თოლი არ აყვა-
დებოდა“, მისი პატრონი მიწაშიც ტოვებდა, რადგან ის კავაშ
გაღატავება-გაჩანაგების მომასწავებლად იყო მიჩნეული და არა
ბარაქიანობა-სიმდიდრის მომნიჭებლად.

გიგანტური მუსიკა

გველის ენაზე მეტად რომ თვალი ითვლებოდა ოჯახის ბარა-
ქიანობის მომნიჭებელ საშუალებად და რომ ის სიმდიდრის სიმბო-
ლოდაც კი იყო მიჩნეული, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ეკონო-
მიურად შეძლებულ ოჯახზე ხშირად იკოდნენ თქმა — „მაგათ სე-
ნაჩი თოლი ინახებათ“.

მაგრამ არანაკლები ბეღნიერების მომასწავებელი იყო ოჯახი-
საოცის მათი სახლის საძირკველთან „ფუძის გველის“ დამკეიდრე-
ბა. მას როგორც სახლის ფუძე-საძირკვლის მცველს, დიდი მზრუნ-
ველობით ეპყრობოდნენ, აქმევდნენ ერბოს, კარაქს და დასალევად
უდგამდნენ რძეს, რომელიც განსაკუთრებით ჰყვარებია. მზრუნვე-
ლობის მოკლების შემთხვევაში „ფუძის გველი“ შეიძლება სხვის
ოჯახში გადასახლებულიყო და ამით მიტროვებული ოჯახის „გაუბე-
დურება“ გამოიწვია. მაგრამ ოჯახს, რომელიც სხვა ოჯახიდან წასულ
გველს მიიღებდა, მიმღები „სახლის ანგელოზი დაღმიშეზავდა“ და
გველს კვლავ ძეველ ფუძეს უბრუნებდა, ეინაიდან „ფუძის გველი“
მხოლოდ ერთი სახლის ფუძისა და საძირის მცველი იყო.

მოძალიერების მიზნით ოჯახის წევრები „ფუძის გველს“ სიტყ-
ვიერ მოფერებასაც არ აქლებდნენ. მას „ია“-ს „ბია“-ს (ბია —
მოფერებითი, საალერსო სიტყვა) და ნიშნავს კარგს, შეენიერს,
სათნოს), „თოლ ლამაზ ჭიას“ და სხვს უწოდებდნენ. „გველო იაო,
ბიაო, თოლ ლამაზო ჭიაო“ — ასეთი სიტყვებით მიშართავდნენ
„ფუძის გველს“ და ენას გამოაყოფინებდნენ. მოხრობელთა გაღმო-
კვმით, გველიც გაწევრთნილი ყოფილა და აღნიშნული სიტყვების
მოსმენისთანავე ენას გამოყოფდა, რათა მოქმედი (შინაური თუ
გარეშე პირი) თვეის სიალალესა და სიკეთეში დაერწმუნებინა.

„ფუძის გველის“ მოკვლა ან მისი წევრინება ოჯახის დაზარა-
ლების მომასწავებელი იყო. შესაძლებელია მის განვაერებას მოპყო-
ლოდა გამჯავრე პირის ავადმყოფობა ან ერთ-ერთი მეწველი ძრო-
ხის გაშრობა. ძროხის გაშრობა, მოხვევის რწმენით, მოსალოდნელი
იყო ბაყაყის ან „დედუფალადს“ (თრითინას) მოკვლის შემთხვევა-
შიც. როგორც გველმა, ისე „დედუფალამ“ ძროხების მოწოვაც იცი-
ანო, — გაღმოვეცმენ მოხრობლები, მაგრამ თუ რომელიმე მათ-
ვანი გააგავრე, მაშინ ძროხებს ცურ-ძუძუს დაბენსო. განსაკუთ-
რებით საშიში ყოფილა „დედუფალას“ ნაებნი, რაც თურმე ცურის
გასივებას იწვევს და ამ სიმსივნის შედეგად სამ დღეში ძროხის
სიკვდილიც კი ყოფილა მოსალოდნელი. მაგრამ ხევში ასეთი შემ-

თხვევები იშეიათად მომხდარა და თუ „დედუფალა“ ძროხას უკბენ¹ და, ფერდის არები ერთ რომელიაც ძარღვს გაუჭრილნენ და შე-
წამლული სისხლის გამოშვებით საქონელს სიკედილისაგან გატარ-
ჩენდნენ.

„ფუძის გველის“ თუ „დედუფალის“ გაჭაერებით მოსალოლნე-
ლი უსიამოვნებისაგან თავის დალწევისა და მონანიების მიზნით,
შეცდომის ჩამდენთ სახლში სოფლის დეკანოზი მოჰყავდათ, რომელ-
საც საკლავს დაკვლევინებდნენ და „სახლის ანგელოზს“ დანაშაუ-
ლის პატიების სთხოვდნენ.

როგორც ეხედავთ, „ფუძის გველი“ ერთი ოჯახის საცხოვრებე-
ლი სახლის ფუძის (საძირკვლის) მცველად არის მიჩნეული. ამის
გამო, „ფუძის ანგელოზად“ ან „სახლის ანგელოზად“ მისი აღიარე-
ბა აშკარა შეცდომაა. „ფუძის გველის“ აღრევა-გათანაბრება „ფუ-
ძის ანგელოზთან“ გამოწვეულია აღბათ სიტყვა ფუ ძის ხმარე-
ბით. მაგრამ სინამდვილეში ეს სიტყვა პირველ შემთხვევაში მხო-
ლოდ სახლის საძირკვლის აღმნიშვნელია, ხოლო მეორე შემთხვე-
ვაში შედარებით ფართო შინაარსის მომცველია და მთელი საგა-
რეულოს მოდგმა-წარმომავლობის მნიშვნელობითაა ნახმარი.

„ფუძის გველისადმი“ სახლის ან ფუძის „ანგელოზის“ შეც-
დომით წილება გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ მას ძეელად,
გარდა ალალი გველისა, „ანგელოზიან გველსაც“ ეძახოდნენ. დრო-
თა კითარებაში შედარებითი ცნება „ანგელოზიანი“ მოხვევების
მეტყველებაში დამკვიდრდა როგორც „ანგელოზი“ და გველსაც
რიგ შემთხვევაში უმთავრესად ანგელოზს უწოდებდნენ. თვით
„ფუძის გველისადმი“ „ანგელოზიანი“-ს შერქმევაც არ არის შემ-
თხვევითი. „ანგელოზიანი“ ხევში ნიშნავდა, და დღესაც ნიშნავს კე-
თილი თვისებებით აღჭურებილს, სარგებლობის მომტან არსებას,
რომელიც თვალით ჩანს, და არავითარ შემთხვევაში ის არ შეიძ-
ლება იყოს „ანგელოზი“, რომელიც, ხალხის ჩრდენით, თვალუჩი-
ნარია. „ანგელოზიანი გველი“ ისეთივე მნიშვნელობის ცნებაა,
როგორიცაა, მაგალითად, „ანგელოზიანი ბალლი“, „ანგელოზიანი
ქალი“ და ა. შ., რაც მათი კეთილი თვისებებისა და საონოების გა-

1 ზემოთ მოტანილი მასალის მიხედვით, სახლის ანგელოზი ოჯახს ლაშიზ
ქალის სახით ეცნადებოდა, მაგრამ ხალხს მას მაინც მოჩვენებად, თვალუჩინაზ
არსებად თვლიდა, რამდენიმდეც იგი მოჩვენება-გაქრობის უნარით ყოფილა და-
გვერდილი. ფუძის გველი კი ხორციელი წმინდაშის სახითაა წარმოდგენილი და
მიღენდა, ის ანგელოზი კი არ არის, არამედ, ხალხური გავეპით, მხოლოდ „ანგე-
ლოზიანია“ — კეთილი თვისებების შემნეა.

მომხატველია. „ფუძის გველი რო ანგელოზი ყოფილიყო“ მას თოლით ეერ დაინახავდეს. ფუძის გველს რძეს უდგამდეს და ჩახლის ინახავდეს. ვის სახლჩიც ის იქნებოდა, მოელი ხალქუ, მწუხაჭავი ნატროდა. ეხლაც იტუკანეე შეძლებულ ოჯახზე, რომელიც მართვა პელინერია, ანგელოზიანი გველი შამასტრიალებსთ და აბა რად გამალდეს მაგათ მადლია და ბარაქებათ. ფუძის გველის ან თოლის დაკარგვა დიდი უბედურება ყოფილა წინავა. ვერც ცხო ღბედავისკე სახლის გველის თავის ფუძები მიჩინეას. თავისიც სახლის ანგელოზი არ უქდენდა, ნაარმევად ჩაუთვლიდა და დალმიზეზავდა. გველიც ვერ შაიქდენდა ცხვს ფუძესა, ისრივ თავისას მაღნახავდა. ანგელოზიანი იყო და არას ვის ჩაადგენდა, მოვნეს ამთხობდა. ანგელოზი თოლუხინარია. მარტო ადგილის დედას ეწვენებოდა. თითონ სუყველას ხელის, მაგრამ არ გეჩვენება, ვეხვეწებით და მაღლს შავსთხოვთ“. (ვანა მაისურაძე, დაბადებული 1855 წ. სოფ. ტყარშეტი, 9. VIII—1957 წ.).

„ფუძის გველის“ სახლში ყოლისა და სენაში „თოლის“ თუ ენის შენახეის ჩვეულების შესახებ მოტანილი მასალა გველის კულტის არსებობაზე მიგვითითებს. ზეპირ გადმოცემებთან და მოხევეების ძველი ყოფისათვის დამახასიათებელი აწმენა-წარმოდგენების გვერდით ამის საუკეთესო დამადასტურებელი ნიშნებია ალბეჭდილი მატერიალური კულტურის ისეთ ძეგლზე, როგორიცაა მოხევური საცხოვრებელი სახლი — „ფუძის გველის“ ადგილ-სამყოფელი. მოხევურ საცხოვრებელ ნაგებობათა ერთადერთ იშვიათ გვზებმპლარზე სოფ. გერგეტში, სუჯაშვილების საცხოვრებელი სახლის კარის თავზე (წირთხალზე) გამოსახულია ერთმანეთზე თავებმიღებული და კულებშემოსხვეული ორი გველი. მა გამოსახულებას „ფუძის გველი“ ეწოდება და ყოფა-ცხოვრებაში ძველად გავრცელებული ჩვეულების ჩელიიფურ ანაპეჭდს წარმოადგენს.

ამგვარად, „ფუძის ანგელოზი“ და „ადგილის დედა“ („სახლის ანგელოზი“), რომლის სახელშედაც „სულდემული“ იკვლებოდა და სახლის სამხთო იმართებოდა, არსებითად განსხვავდებოდა ხალხში ზოგჯერ ფუძის თუ სახლის ანგელოზად შეცდომით სახელდებული „ფუძის გველისაგან“. „ფუძის გველის“ სახელზე მსხვერპლის შეწირვის შემთხვევა ხევში არ მოწმდება. მისადმი პატივისცემა მხოლოდ საჭმლის მიტანასა და ალერსიანი სიტყვებით მოფერებაში გამოიხატებოდა. ამის გამო, სახლის თუ ფუძის ანგელოზსა და ფუძის გველს ყოველთვის ამ გავებით უნდა შევხედოთ და არავითარ შემთხვევაში „ანგელოზი“ „ანგელოზიანის“ აღეკვატურ ცნებად არ უნდა მიეკინოთ.

ოკანის გამრის წერი და ქონიას
განაზღვების პრიცეპი



როგორც ზემოთ აღნიშნეთ, რამდენიმე თაობის გამოყენებული ცხოვრების წესი მოხევეებმა ხანგრძლივად შემოინახეს. 3—4 და იშვიათად 5 თაობის შემდეგ ადგილი ჰქონდა ასეთი ოჯახის სეგმენტაციას. ოჯახის დანაწილება მიზანშეწონილად ითვლებოდა მხოლოდ პირველი თაობის წარმომადგენელთა გარდაცვალების შემდეგ. მანამდე ვისიმე გამოყოფა მიუღებელი იყო, როგორც ძველი ტრადიციის საწინააღმდევო მოვლენა. მესამე-მეოთხე თაობის მომწრე მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრის შემთხვევები მოწმდება საოჯახო თემის გადმონაშთების არსებობის უკანასკნელ პერიოდში.

გაყრის მსურველი ოჯახი ქონების განაწილებას ივალებდა სოფლიდან ამორჩეულ ნდობით აღჭურვილ მოხუცებს. ასეთ საქმეში უმთავრესად მონაწილეობდნენ ოჯახის ახლობლები, რომლებმაც უკეთესად იცოდნენ ოჯახის ცხოვრების პირობები. შეაღვაცებად ამორჩეული მოხუცების უპირველეს ამოცანას შეაღვენდა წილის ყრით ქონების ობიექტებისა და განაწილება. არსებული წესის გამო მიეკრძოება გამორიცხული იყო, ვინაიდან უძრავ-მოძრავ ქონებას ისინი ყოფილნენ იმდენ თანაბარ ნაწილად, რამდენ ნაწილადაც ოჯახი უნდა გაყრილიყო. მხოლოდ ამის შემდეგ ისინი ქუდში ჩაყრიდნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საგნებს ან სხვადასხვაგვარად დაცდეულ ჩისირებს, აურევდნენ და სათითაოდ ამოალებინებდნენ გაყრის პრეტენდენტებს. ამ წესით ქუდიდან ამოღებულ ნივთს ერქვა წილი, რომლის მიხედვით მიღებულ ქონებას (წილს) უნდა დასჯერებოდა ყველა ის პირი, რომელსაც მოწილე ერქვა და ამ უფლებით სარგებლობდა.

ვინაიდან ოჯახის გაყრა მიზანშეწონილად ითვლებოდა პირველი თაობის მოხუცთა გარდაცვალების შემდეგ, მოწილეებად გვაცლინებოდნენ მათი შემცელელი თაობის წარმომადგენლები. მოწილეებიდან ზოგი იყო ერთმეორის ძმა, ხოლო ზოგიც—ბიძაშვილი. მოწილე წარმომადგენდა საოჯახო თემიდან გამოყოფილი ახალი საოჯახო თემის ან ინდივიდუალური ოჯახის მეთაურს. ამდენად, მოწილეშე გაცემული ქონება წარმომადგენდა მისი ხელმძღვანელობით გამოყოფილი ახალი ოჯახის კუთვნილებას. ქონების გაყოფის მომენტში განმსაზღვრელი იყო მოწილეების, ე. ი. მომავალი ოჯახების რაოდენობა და არა თითოეული გამოსაყოფი თავისი რიცხობრივი შემადგენლობა. ერთი მოწილე რომ ცოლშეიღიანი შეიღების მამა ყოფილიყო, ხოლო მეორე მოწილე—უშეიღო, ქონებას ისინი

თანაბრად მიიღებდნენ. ასევე, ერთ მოწილეს რომ დიდი ამაგი ცეკ-
ნოდა, ხოლო მეორე მოწილეს თავის შენახვაც არ შესძლებოდა, ქუ-
ნება კელავ ზემოაღნიშნული წესით გაყოფილია. ოჯახის გაყრის
მომენტში რომელიმე მოწილე რომ კერ კიდევ აკვნიდონი უკალები
ლიკო ამდგარი, იმასაც კი იმდენს აძლევდნენ, რამდენსაც-სისის უკალებ
მულსა და შრომით დალლილ მოწილეს. დიდი ამაგის შეონე მოწი-
ლესთვის შედარებით მეტი ქონების მიცემა ხდებოდა მხოლოდ
ოჯახის საერთო თანხმობის შემდევ, ქონების გაყოფის წესის მკაც-
რად დაცეს შემთხვევაში ამგვარი გადახვევა არ ხდებოდა და უკე-
ლა მდგომარეობის შეონე მოწილე ერთნაირი უფლებით სარგებ-
ლობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქონების გაყოფის ეს პრინციპი, რომე-
ლიც გაყრის პრეტენდენტთა თანასწორულებიანობას ითვალისწი-
ნებდა, ზოგიერთ შემთხვევაში საფუძველი ხდებოდა განაყართა
შთამომავლობას შორის კეონომიური უთანასწორობის გაღრმავე-
ბისა, რაც განპირობებული იყო მათი რიცხობრივი შემადგენლო-
ბით. იმ ოჯახის შთამომავლობა, რომელიც დიდი ოჯახიდან გამო-
ყოფის მომენტშიც მჩვალერიცხოვანი იყო და შემდგომშიც მატუ-
ლობდა, გაცილებით ვიწრო პირობებში ვარდებოდა, ვიდრე იმ ოჯა-
ხის შთამომავლობა, რომელიც რიცხობრივად პირველს ბევრიდ
ჩამორჩებოდა. ხოლო ადგილ-მამულს იმდენსავეს ფლობდა, რამდენ-
საც პირველი. ხევში არაერთი მაგალითი გვაქვს იმისა, როდე-
საც 2—3 ოჯახი ითვლებოდა 10—15 ოჯახის მონახვერედ, რამდე-
ნადაც გაუყრელად მყოფი ოჯახის ადგილ-მამულის ერთი ნახევარი
გადატიოდა 2—3 ოჯახის (ე. ი. ერთი მოწილის შთამომავლობის),
ხოლო მეორე ნახევარი 10—15 ოჯახის (ე. ი. მეორე მოწილის
შთამომავლობის) ხელში. უადვილმამულობით შევიწროებული
ხალხმრავალი მონახვერის ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა
ნაკვეთების შექენა ან სხვაგან წასვლა. ასე ხდებოდა მთის ჭარბი
მოსახლეობის ბარად ჩამოსახლება.

იმისათვის, რომ ყველა მოწილეს ქონება თანასწორად შეხვედ-
როდა, შუაკაცები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ უძ-
რად-მოძრავი ქონების თანაშეფარდებას. ერთ მოწილეს რომ სახ-
ლის უკეთესი ნაწილი შეხვედროდა, სამაგიროდ სახლის შედარებით
მდარე ნაწილის პატრონს არგუნებდნენ უკეთეს სახნაც ნაკვეთს ან
ზედმეტ საქონელს. ასეთ შემთხვევაში სახლის უკეთესი ნაწილის
პატრონი უნდა დასჭერებოდა მიწის ნაკლებ ნაკვეთს ან საქონლის
ნაკლებ რიცხვს. მთელი დოვლათის ამ წესით განაწილებასთან ერ-
თად შუაკაცები ვალდებული იყვნენ ასეთივე თანაშეფარდება დაე-
ცვათ თეთი ქონების ცალკეული სახეობის გაყოფის დროსაც. ისიტი

კალდებული იყვნენ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველი მოწირდებულის ერკვნათ მამულის საუკეთესო ნაკვეთები, მაგრამ როდესაც ეს კელარ ხერხდებოდა, ასეთ შემთხვევაში ერთ წილადურავაზე დებდნენ მამულის მცირე, მაგრამ საუკეთესო ნაკერს, ხოლო მუშაობების რე წილად მასზე დიდია და შედარებით მოუსავლიან ნაკვეთს. ხარისხიანი და უხარისხო ნაკვეთების განაწილება ისე უნდა მომხდარიყო, რომ ყელა მოწილეს შეხვედროდა ერთიც და მეორეც. ერთ მოწილეს რომ კარგი ხარისხის მცირე ნაკვეთი შეხვედროდა, ხოლო მეორეს უხარისხო და დიდი ზომის ნაკვეთი, ეს უსათუოდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა და შუაკაცების გადაწყვეტილებაც ასეთ შემთხვევაში განუხორციელებელი დარჩებოდა. ზუსტად ამ პრინციპით ხდებოდა საქონლისა და დგამ-ჭურჭლის განაწილებაც, მაგრამ რისი განაწილებაც ელარ ხერხდებოდა, გაუყოფლად ტოვებდნენ და განაყრები საზიაროდ იყენებდნენ. ეს ეხებოდა როგორც ნაკვებობას, ისე მამულს, საქონელსა და საოჯახო ინვენტარს.

სახნავ ნაკვეთს ან სათიბს, რომელიც განაწილების გარეშე დარჩებოდა, განაყრები მორიგეობით ხნავდნენ და თიბავდნენ. ზოგჯერ ასეთ საზიარო აღვილებს იქირავებდნენ და მის საფასურს იყოფდნენ, ან საუბრო დღეობაში ხარჯავდნენ. მოწმდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განაყარი ოჯახები გაუყოფელ აღვილს შესწირავდნენ თავიანთ საგვარეულო სალოცას, მას მორიგეობით ამუშავებდნენ და მისი მოსავლით სალეთოს მართავდნენ რომელიმე დღეობაზე. ამ გზით ეს მამული გადადიოდა პატრონიშიის საკუთრებაში.

ოჯახის გაყრის შემდეგ უმეტესად გაუყოფელი რჩებოდა წისკვილი, რომელსაც განაყარი ოჯახები საზიაროდ იყენებდნენ. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის კომპლექსიდანაც ზოგჯერ ასევე საზიაროდ რჩებოდა დერეფანი, საქონლის სადგომის რომელიმე განყოფილება ან ეზო, თუ ეს უკანასკნელი გააჩნდათ. იმ შემთხვევაში, როდესაც დიდი ოჯახის განაყრების ცხოვრება კვლავ გრძელდებოდა ახალი ოჯახების მიხედვით დანაწილებულ ერთობის სახლში, ხოლო „ლომელი“ (ლუმელი) ყველა ოჯახისათვის ხელმისაწვდომ აღვილას (საერთო დერეფანში ან თეატრსუექნაში) იყო გამართული, მისი გაყოფა არ ხდებოდა და განაყართა საზოგადო საკუთრებაში რჩებოდა. ასეთ ლუმელს მოხევეები უწოდებდნენ სა ა ზ ი ი ა რ თ ღ თ მ ე ღ ლ ს და ძმა-ბიძაშევილები მას რიგით ხმარობდნენ. თუ საცხოვრებელი ნაგებობის განაწილებისას ლუმელი მოხვდებოდა ერთი რომელიმე მოწილის ხელში და სხვებს აღარ უქნებოდათ იმით სარგებლობის შესაძლებლობა, ასეთ შემთხვევაში უასლოესი მეზობლები საერთო ლუმელს იშენებდნენ და მორიგეო-

ბით ხმარობდნენ. ერთ უბნად მცხოვრები განაყრების ანუ პატიონიმიის საერთო ღუმელს ხევში ეწოდებოდა ს აუ ბ ნ თ ღომელი
სამეურნეო იარაღებიდან და სიოჯახო ინვენტარიდან. არარეგის
თად განვიყითა საერთო საკუთრებაში ჩემბოდა გუთანხარების მქონე მუზეუ
ლი (ტყავის საზელი ხელსაწყო), საარაყე და სალუდე შემსრულებელ
ლა ისეთი შემთხვევაც, როდესაც განაყრები საზიაროდ იყენებდნენ
გამწევ ძალასაც. ეს განსაკუთრებით ხდებოდა მაშინ, როდესაც
ოფას გაყრამდე პყავდა ერთი უღელი ხარი და ურთიერთშეთანხ-
მების საფუძველზე მოწილეები მას რამდენიმე ხნით მაინც იტო-
ებდნენ საერთო სარგებლობაში.

ამგვარად, ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონება თანაბრად იყოფო-
და მოწილეებს შორის, რომლებიც ასევე თანასწორუფლებიანო-
ბას ინარჩუნებდნენ გაუყოფლად დაჩჩენილ ღოვლათზე. როგორც
ზემოთ აღნიშვნეთ, რამე უპირატესობის ნიშნით მოწილეებს შო-
რის დოკვლათის უთანასწოროდ განაწილება არ ითვლებოდა მიზან-
შეწონილად. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეავაცები მიი-
ღებდნენ მოწილეების თანხმობას, დასაშენებად ითვლებოდა ოჯა-
ხის ზოგიერთი დამსახურებული წევრის სივრცი, კუთვნილი წილის
გარდა, მოეცათ ზედმეტი ქონებაც სახლის უკეთესი ნაწილის, მი-
წის ნაეკეთის, საქონლის ან ინვენტარის სახით. პირველ ყოვლისა,
ეს წესი ვრცელდებოდა ოჯახის უფროსის მიმართ, რომელსაც
უთმობდნენ მამაპაპური საცხოვრებლის ძირითად ნაწილს — ს ა-
კ უ თ ფ თ ს. თუ წილის ყრის შედევილ სამყოფო შეხვდებოდა რომე-
ლიმე უმცროს მოწილეს, მას იქ ცხოვრებას კერავინ აუკრძალავ-
და, მაგრამ უფროსისადმი პატივისცემის ნიშნად სახლის ამ მთა-
ვარ განცოფილებას წილში არ ჩააგდებდნენ, რათა იქ საცხოვრებ-
ლად დარჩენილიყო ოჯახის უფროსი. მოხევეები მას ხსნიან იმ გა-
რემობით, რომ სამყოფოში არსებული კერა-საკიდელი, დედაბო-
ძი, საუფროსო სკამი და „წმინდა კუთხე“ წარმოადგენენ ერთ
კერაზე ნამყოფ-გაყრილთა ერთობის სიმბოლოს, ერთობისა, რო-
მელსაც სათავეში ედგა ოჯახის უფროსი. სამყოფოში ოჯახის უფ-
როსის დატოვებით განაყრები კვლავ ინარჩუნებდნენ წინაპართავან
ნაანდერძევსა და ზოგიერთი რიტუალის შესრულებით გამოხატულ
ერთობის ტრადიციებს. როგორც წესი, ერთ ჭერქეებ ნამყოფი
ოჯახები კვლავ ძეველ სახლში იქინდებოდნენ და მამაპაპურ კერას-
თან ნათლავდნენ ბავშვებს, იხდიდნენ ქორწილს ან ზოგიერთ დღე-
ობას, აწყობდნენ მოსისხლესთან შერიცებას და ა. შ. ყოველ შემ-
თხვევაში, მაგვარი წესების შესრულება ხდებოდა მანამდე მაინც,
სანამ ყოფილი ოჯახის უფროსი ცოცხალი იყო, ხოლო მამაპაპუ-
რი კერა მოუშელელი.

ოჯახის ღირსეული ხელმძღვანელი სარგებლობდა რა ამგვარი კრიფტოეკით, მოწილეები მას აძლევდნენ იმის უფლებასაც, რომ თანაბრად განაწილებული მამულებიდან სასურველი წილი ქმოქმნაული ჩინა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ოჯახის უფროსი უარს განვითარებულ არჩევანშე და სხვა მოწილეებთან ერთად, წილის ყრით კუთვნილ სახლსა და მამულს დასჭერდებოდა, მას, როგორც დამსახურებულ პიროვნებას, დამატებით აძლევდნენ მიწის პატარა ნაკვეთს, რასაც ვწილებოდა ს აუ ფრთხოების აზ ან ა. შემთხვევით აზ არის ის გარემოება, რომ ხევის ზოგიერთ სოფელში გვხვდება ტოპონიმი ს აუ ფრთხოები, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ სოციალურ კითარებასთან.

ოჯახის უფროსისადმი პატივისცემას იმითაც ვამოხატავდნენ, რომ ცხერის განაწილების დროს მას უტოვებდნენ ცხვრის ძველ სერს (ყურებზე გაკეთებულ ნიშნებს), რომელიც წარმოადგენდა გაუყოფელი ოჯახის კუთვნილებას. დანარჩენი განაყრები თავიანთ ცხვარს უკეთებდნენ ძეველისაგან განსხვავებულ ახალ სერს. ასეთი ვადაწყვეტილება ითვლებოდა სავალდებულოდ, რომლის შეცვლა არც ერთი მოწილის სურვილით აღარ შეიძლებოდა მომხდარიყო.

ოჯახს თუ არ უხერხდებოდა უფროსისათვის მიწის ნაკვეთის მიცემა, მას აძლევდნენ ცხენს, ხარს ან ძროხას. მიწის, პირუტყვის ან მამაპატური სახლის უკეთესი ნაწილის სახით ოჯახის ღირსეული უფროსისათვის განკუთვნილ ამ ზედმეტ ქონებას ხევში ერქვა ს აუ ფრთხოები. თუ ოჯახის მეთაური უღიმობოდნენ გაატარებდა თავის მოღვაწეობას, მისთვის საუფროსოს გამოყოფაზე თავს არ იწენებდნენ. აღნიშნული ვითარება იმის მანიშნებელია, რომ საუფროსოს მიეუთვნება დამოკიდებული იყო პიროვნების დამსახურებასა და მოწილეების გადაწყვეტილებაზე. მათი თანხმობის გარეშე საუფროსოს ვერც შუავცები გამოყოფდნენ და მას ვერც ოჯახის უფროსი მოითხოვდა, რაც არ უნდა დიდი ამავის მქონე ყოფილობი ის. ამიტომ მოხვეური საუფროსო არსებითად განსხვავდება იმ საუფროსოსაგან, რომელიც ხასიათდებოდა ოჯახის ხელმძღვანელის განუსაზღვრელი (დესპოტური) უფლებებით და რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული მაიორატთან. იქ, სადაც არსებობდა მოწილეების მიხედვით ქონების თანასწორად გაყოფის პრინციპი და საუფროსოს გამოყოფაც საერთო ვადაწყვეტილების საუგვეველზე ხდებოდა, მაიორატის გამოვლინების შესაძლებლობა გამორიცხული იყო.

ისევე როგორც ტრადიციულად ოჯახის უფროსს აკუთვნებდნენ სამყოფოსა და განაყრებთა ერთობის ატრიბუტებს (ცერა-საკალელი, დედაბოძი, საუფროსო სკამი, „წმინდა კუთხე“), ასეთსაც

მნიშვნელობას ანიჭებდნენ დიდი ოჯახის ვარცლს, საცურს, ლობელსა და ყველის საჭრელ დანას. ამ საგნებს უთმობდნენ სახლისს, სულ ერთია ის ოჯახის მეთაურის ცოლი იქნებოდა რომელიმე სხვა მოწილის მეუღლე. ადგილიდან მათი დაუტუშებულება პის მიზეული მოხვევები მიიჩნევდნენ მოსალოდნელი უბარაქობის საშიშროებას. დიასახლისის უფლების დაკაშირება ვარცლთან თავს იჩენდა მოხვევთა ჩრდილოდგენებშიც. ამ მხრივ საყრდენიშვილი მიცვალებულის კულტურული დაკაშირებული ერთ-ერთ ჩვეულება, რომელიც ალ. ყაზბეგმა აღწერა წერილში — „სასოფლო გაზეთისათვის“ მისი ცნობით, ბიჭები ავიდოდნენ იმ სახლის ბანზე, სადაც მიცვალებული ესვენა და ქვით შემოხაზული წრის შიგნით დასხლებოდნენ. ისინი გაძყურებდნენ მეზობლების ბანებს და გულდასმით აკირდებოდნენ მოსალოდნელ სიკვდილიანობათვა გამოსაცნობ ნიშნებს. თუ ისინი დაინახავდნენ, რომ კვისიმე სახლის ერდოდგან ანთებულმა სანთელმა აიარა, იმ სახლში ბავშვები მოკვდებოდა თუ ვარცლი ჩამოვარდა, დიასახლისი მოკვდება... თუ სახლის ტანი გატყდა, მაშინ სახლის უფროსი მოკვდება“.

ალ. ყაზბეგის ეს ცნობა საყრდალებოა იმდენად, რამდენადაც დიასახლისის სიკვდილი ვარცლის ჩამოვარდნასთან, ხოლო სახლის უფროსისა „ტანის“ (სახლის სახურავის მთავარი სის) გატეხასთან არის დაკაშირებული. ამის მიხედვითაც ვარცლი გვესახება დიასახლისის ატრიბუტად, ხოლო სახლის უფროსი კაცი მიჩნეულია ოჯახის ბურჯად.

ზემოაღნიშნული წესით ქონების გაყოფისას, მოწილეების თანხმობით, შეაკაცები საუფროსოსთან ერთად წინასწარ გამოყოფნენ გასამრჩევლოს იმ მოწილესთვის, რომელმაც თავისი ენერგია შესწირა მეცხვარეობის განვითარებას. თუ ეს პირი თითონი იყო სახლის უფროსი, ბუნებრივია, მისთვის მიეცათ საუფროსო. შეგრამ თუ ოჯახის მეთაური მეურნეობის სხვა დარგს ემსახურებოდა, ასეთ შემთხვევაში გამოყოფნენ როგორც საუფროსოს, ისე იმ გასამრჩევლოს, რომელიც საჩქალს ან სხვა რომელიმე დამსახურებულ მწყემსს ეკუთხნდა. როგორც საუფროსოს, ისე მწყემსისათვის განკუთხნილი საჩქრის მოცულობა დამოკიდებული იყო ოჯახის შესაძლებლობასა და მოწილეების გადაწყვეტილებაზე. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ცხვარში ნამყოფი პირისათვის გამოყოფილ საჩქარის ხევში ეწოდებოდა საჭოებო, რაც მის ბუნებაზე არალურ წარმოდგენის გვაძლევას. ცხვრების ან შევაზმული ცხენის სახით საჯოხეს გამოყოფა დამსახაითებელი იყო იმ ოჯახებისათვის, რომელთა პირითაც ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა მეცხვარეობა. საუფროსოს ანალოგიურად, არც საჯოხეს

ნორმა იყო განსაზღვრული. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც
არ უფიქრიათ მეცხვარის ამაგზე და მისთვის საჭოხე არც მოუ-
კიათ. ისიც ძიულებული იყო დასჯერებოდა კუთენილ წილს, და-
ნიდინ ერთი მოწილე მეორეზე მეტის მიღების უფლებით გრაფიკულად
ვაბლობდა.

მოწილეების საერთო შეთანხმების შედეგად საჭოხეს ამლევდ-
ნენ არა მარტო მოწილე მეცხვარეს, არამედ უმცროსი თაობის იმ
წარმომადგენელსაც, რომელსაც ამ მხრივ დიდი წელილი ჰქონდა
პეტანილი ოჯახის კვინომიქაში. კაცს, რომელიც წილის მიღების
უფლებით არ სარგებლობდა, მაგრამ ოჯახის ერთ-ერთ მოამაგდე
ოფლებოდა, საქონელი საჩუქრად ეძლეოდა იმ შემთხვევაშიც,
როდესაც ის სხვა საქმიანობას (მემინდვრეობას, ქირაზე სიარულს)
უწეოდა. მოხევეები ერთნაირად აფასებდნენ მშრომელი კაცის
ღვაწლს, განურჩეველად იმისა მეცხვარე იყო თუ სხვა საქმიანო-
ბის მიმყოლი. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ მეცხვარის გა-
სამჩრგელოს ჰქონდა გარკვეული სახელწოდება (საჭოხე), ხოლო
მეურნეობის სხვა სფეროში ნაღვაწი კაცისთვის გამოყოფილ სა-
ჩუქრს არაეთარი სახელწოდება არ გააჩნდა.

ოჯახის გაყრის მომენტში გათვალისწინებული უნდა ყოფი-
ლიყო მოწილეებისა და მათი სრულწლოვანი ვაჟების პირადი
მდგრმარეობაც. იგულისხმებიან ისინი, რომლებმაც ოჯახის გაყ-
რამდე ვერ მოასწრეს დაქორწინება. მათ შორის ზოგი შეიძლება
მოწილეც ყოფილიყო. უფრო მეტად კა უვილა მოწილის დაქორ-
წინება ოჯახის გაყრამდე ხდებოდა. გაყრამდევ ირთავდნენ ცო-
ლებს მოწილეთა ვაჟები, ე. ი. მესამე თაობის წარმომადგენლები,
რომელთა საქორწინო ხარჯებს ოჯახი ეწეოდა. ამის გამო იმ ვა-
ჟებს, რომლებმაც თავისი შრომით ოჯახს რაიმე არგეს და გაყ-
რის დროს საქორწინო ასაქში იმყოფებოდნენ, შესაძლებლობის მი-
ხედვით აძლევდნენ საქონელს ურვადისა და სხვა საქორწინო ხარ-
ჯების გადასახდელად. ამ მიზნით გამოყოფილ ქონებას, რომლის
მიცემა შრომისუნარიანი უცოლობისათვის სავალდებულოდ ითვ-
ლებოდა, ეწოდებოდა საჭორწილო ვინაიდან საქორწილოს
ვამოლება საეალდებულოდ ითვლებოდა, თავისი ბუნებით ის არ-
სებითად განსხვავდებოდა საუფროსოსა და საჭოხესაგან, რომელ-
თა მიცემა ღირსეულ პირთათვის ხდებოდა ნებაყოფლობით, მოწი-
ლეების სურვილის მიხედვით და არა დაკანონებული ვალდებუ-
ლების შესრულების მიზნით.

ასეთი წესით ხდებოდა განაყორთა შორის ქონების განაწი-
ლება, რომელიც ემყარებოდა მოწილეთა თანასწორუფლებიანო-
ბის პრინციპს, სულადობის მხედველობაში მიუღებლად. სულზე

ანაწილებდნენ მხოლოდ იმ წლის სარჩოს (მარცვალუს უძველეს, პროდუქტებს), რომელ წელსაც ოჯახის გაყრა მოხდებოდა. ამ წელს განაწილებულ სარჩო-საბალებელს ხევში ეწოდებოდა კულტურული დღი.

გვივროვთ

წილის ყრით არ ხდებოდა არც ტანსაცმლის განაწილება. თავიდანევე ოჯახის კოველ სრულწლოვან კაცზე ისევე გამიროვნებული იყო იარაღიც. გასაყოფად ითვლებოდა მხოლოდ ნადაცლის სახით მოპოვებული ან მემკეიდრებობით დარჩენილი მამაპაპური იარაღი. ზოგჯერ არც წინაპრის იარაღი იყოფოდა და ის უფროსი დან უფროსის ხელში გადადოდა, როგორც ღდინდელი ერთობის ერთ-ერთი ემბლემა. ამის შედეგად ის იქცეოდა პატრონიმის საკუთრებად და მისი მოვლა-პატრონობა, ისევე როგორც ხატისა და „წმინდა“ საგნების შენახვა თუ დანიშნულებისაშებრ გამოყენება, ერთ კერაზე ანუ ერთ ცეცხლპირზე გაყრილთა შორის უხუცეს კაცს ევალებოდა.

წილის მიღების უფლებას სავსებით მოკლებული იყენენ ქალები და რძლები. ამასთან დაკავშირებით აღ. ყაზბეგი წერილში— „მოხევვები და ჩათო ცხოვრება“ აღნიშნავს: „ქალს არაეთარი წილი არ ეძლევა მამის სახლიდგან და კაცს რომ ქალის მეტი არა ჰყავდეს რა, იმისი სარჩო-საბალებელი ისევ შორეულს ნათესავს დარჩება, სანამ ქალსა ქვრივიც ამავე მდგომარეობაში ირის და თუ გასვლა მოიწარინა ქმრის სახლიდგან, ეძლევა მხოლოდ წელიწადში 12 კოდი ქერი, ერთი ურემდი შეშა, მარილი 10 კირ ძრობა უნდა ჰყავნდეს უკედავათ და ამის მეტი აზაფერი“.

როგორც ჩანს, აღ. ყაზბეგი გვაცნობს უშეილო ქერივის მდგომარეობას, რომელიც ისევე უწილოდ (ც. ი. უადგილმამულოდ) გამოდიოდა გაუყოფელი ოჯახიდან, როგორც გასათხოვარი ქალი რაც შეეხება რომელიმე მოწილის იმ ქერივს, რომელსაც ეკავიშვილი ჰყავდა, ის სხვი მოწილეების თანაბარსა და ხელშეუხებელ წილის დებულობდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ქვრივს ჰყავდა მხოლოდ ქალები, ის მაინც სრულ წილს დებულობდა, ოღონდ მამული ეძლეოდა ღროებით სარგებლობაში. ქალების გათხოვებისა და ქვრივის გარდაცვალების ან მამის სახლში დაბრუნების თუ სხვაზე გათხოვების შემდეგ მამული რჩებოდა მის მაზლებსა და მაზლის შეილებს. ფაქტოურად კვლავ მაზლებისა და მაზლის შეილთა ხელში გადადიოდა ქვრივის კუთვნილი სახლიც, ვინაიდან სხვაზე მისი გაყიდვა და უცხო კაცის ჩასახლება მიუღებელი იყო. ისევე, როგორც მოუღებელი იყო რომელიმე ქალის მიერ მამისეულ სახლში ქმრის მიუვანადამევიღრება.

როგორც ქვრივის, ისე დანარჩენი რძლების სიკვდილამდე

ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა ერთობ უმნიშვნელ
ღიაებულების მზითევი, რომელსაც ქონების გაყოფისას არ ეხ
ბოდხენ. ჩეეულებისამებრ, ღედისეული მზითევი გადადირთუ მრავალ
ქალების ხელში.

მზითევთან ერთად ქალს გათხოვების დროს მაშის სახლიდან
ატანუნენ 1 ღეკეულა ან 1—2 ცხვარს, რასაც ერქვა სათავნო
და ქმრის ოჯახში ის წარმოადგენდა ქალის პირად საკუთრებას.
ქალს შეეძლო სათავნოს გაყიდვაც, მაგრამ თუ არ გაყიდდა, სათავ-
ნო ღროთა კითარებაში საერთო საოჯახო საკუთრებას შეერწყმო-
და და მის შემადგენელ ნაწილად იქცეოდა. ამიტომ ოჯახის გაყრის
მომენტში ხანდაზმული რძლებისათვის სათავნოს უკან დაბრუნების
საკითხი არ დგებოდა. მხოლოდ 2—3 წლის მოყვანილ რძლებს
შეეძლოთ სათავნოს თავისთვის დატოვება თავნის სახით, ე. ი.
მათ შეეძლოთ მოყვანილი პირუტყვის უკან მიღება ნამატის გარეშე,
ვინაიდან ნამატი გადადიოდა საერთო საოჯახო საკუთრებაში იმის
ანგარიშით, რომ პირუტყვის მოვლა-პატრიონიბაზე ოჯახმა გას-
წია შრომა და ხარჯი. სათავნო რომ ქალის სიბერემდე მისი პირადი
საკუთრება უოფილიყო, ეს უსათუოდ ოჯახის გაყრის მომენტშიც
ვამინინდებოდა. მაგრამ ვინაიდან საერთო ქონების განაწილების
დროს ხელშეუხებელი იყო მხოლოდ უკელა ასაკის რძლების მხი-
თევი, ხოლო სათავნო უკან უბრუნდებოდათ მარტოოდენ ახლად
მოყვანილ რძლებს და ისიც ნამატის გარეშე, თამამად შეიძლება
ითქვას, რომ ქალის პერსონალურ საკუთრებას წარმოადგენდა
მხოლოდ მზითევი. რაც შეეხება სათავნოს, ქალის ასეთი უფლება
მასზე ღრიებით უჩცელდებოდა, ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ
საერთო საკუთრებაზე დაყარებული მოხევური ოჯახი სათავნოს
შეზიარებით გზას ულომავდა კერძომესაკუთრულ ტენდენციას.
მზითევისა და სათავნოსაგან ასეთი მიუგომა იმით იყო განპირობე-
ბული, რომ მზითევი წარმოადგენდა უმნიშვნელო ღიაებულების
ქონებას, რომელსაც არ გააჩნია ზრდის პერსპექტივა. სამაგიეროდ
დოვლათის მატების შესაძლებლობა პქონდა ცხვარ-ძროხას და თუ
ეს მატება ქალის სასაჩვენებლოდ მოხდებოდა, რამდენიმე ხნის
შემდეგ ერთი ოჯახის შიგნით მოგვეულინებიდა საკუთარი ქონე-
ბის მფლობელი რამდენიმე რამდენი.

ასეთ კითარებაში ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა დიდი
ოჯახის, როგორც კუთნმიური ერთეულის, არსებობა და მით უფ-
რო მისი. მთლიანობის შენარჩუნება. ყოველივე ამის გამო, მოხევუ-
რი საოჯახო თემის ფარგლებში სულ მაღა ეღებოდა ბოლო სა-
თავნოს, მისი გაყიდვის ანდა საერთო საკუთრებაში შერწყმის
გზით.

შოთავეური საოჯახო თემის ფარგლებში რომ სათავენო დღიწაკ-
ლული იყო, ხოლო შზითევი ქალის მუდმივა და ხელშეუძლებელი
საკუთრებას წარმოადგენდა, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ჭედი
შზითევი მის ქალებს რჩებოდა, ხოლო ქალებისთვის სარტყელში ჭურ-
დაცემის საკითხი საერთოდ არც დგებოდა. ამავე გარემოში შემკ-
ვენებელია ცოლ-ქმართ ვაყრის შემთხვევაში ეკონომიური ანგა-
რიშესწორების წესიც. თუ ქმარსგაცილებული ქალი მამის სახლში
წავიდოდა, შეეძლო წაელო მარტოდენ შზითევი. სათავენოს (თავ-
ნის) გატანა შესაძლებელი ყოფილ შზოლოდ იმ შემთხვევაში, რო-
დესაც ცოლ-ქმრის დაშორება მოხდებოდა ქორწინებიდან მეორე
მესამე წლის თავზე. ხანდაზმული ცოლ-ქმრის ვაყრის შემთხვევა-
ში კი კმრის ოჯახიდან წასული ქალი სათავენოს აღარ ითხოვდა,
რადგან მან ძალიან კარგად იკოდა, რომ ის საერთო საოჯახო ქო-
ნებასთან იყო შეზიარებული ანდა ქორწინების პირველსაც წელს
თითონ პქონულ ვაყრდული და თავისთვის ვამოყენებული. ასევე, თუ
ქერივი სხვაზე ვათხოვდებოდა და იმის შემდეგ წინა მაზლებთან
შერიცებას მოახერხებდა, შერიცებული მაზლები მას უკან უბრუ-
ნებდნენ სამზითო ზანდუქს, როგორც დედაკაცის პირად საკუთ-
რებას. რაც შეეხება სათავენოს, მისი საკითხი არც იმ შემთხვევაში
დგებოდა, რამდენადაც ის ინ ქერივის მიერ აღრევე მოხმარებული
იყო, ანდა ხანდაზმულობის შედეგად საოჯახო ქონებასთან შერწყ-
მული.

როგორც ვხედავთ, ხევში ქალის პერსონალურ საკუთრებას
წარმოადგენდა შზითევი და სათავენო, ოლონდ იმ არსებითი ვან-
სხვავებით, რომ იმ უფლებას ქალი პირველ მათვანზე სიკვდი-
ლამდე ინარჩუნებდა, ხოლო მეორეზე—ღროვებით. აქედან ვამომდი-
ნარე, ხევში არსებული სათავენო თავისი ხასიათით ვანსხვავდებოდა
საქართველოს სხვა კუთხეებში (ქართლ-კახეთი) დამოწმებული სა-
თავენოსაგან, რომელიც ყოველთვის ქალის პირად საკუთრებას
წარმოადგენდა და მით სარგებლობის შესაძლებლობას მოქლებუ-
ლი იყო ის კოლეგეტივი დიდი ოჯახის სახით, სადაც ქალს უხდებო-
და ცხოვრება (რ. ხარაძე). ხევის ეთნოგრაფიული მასალების მი-
ხედვით, სათავენო არ წარმოადგენდა კერძო პირის მომებიან სა-
კუთრებას. ვიდრე ხევში საოჯახო თემი გადმონაშთის სახით არ-
სებობდა, არსებობდა სათავენო-კ-სათავენოსა და საოჯახო თემის ვაღ-
მონაშთების მოსპობა ხევში ერთდროულ პროცესად ვევსახება. სა-
მავიეროდ ვაიზარდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა შზითევი, რაც
სათავენოს არსებობის პირობებში უმნიშვნელო ლირებულების ქო-
ნებას წარმოადგენდა. აღნიშნული პროცესი მანიშნებელია იმისა,
რომ სათავენო იყო საოჯახო თემისათვის ღამიხასიათებელი კომპო-

წენტი, რომელსაც პქონდა კერძო საკუთრების ელემენტიად ჩამოყალიბების ტენისტენტია, მაგრამ ამის შესაძლებლობა მას არ მიეცა კოლექტიურ საკუთრებაზე ღამყარებული მოხევური სახვახო უმის ფარგლებში. რაც შეენება შზითევს, ის როგორც გამოიწვია აული და ზრდის პერსპექტივის მოქლებული მცირე ღრა ჩამოყალიბების დოვლათი, საფრთხეს არ უქმნიდა ოჯახის კეონომიურ ჰილიანობას, რის გამო არც დასმულა საკითხი საზოგადო საკუთრებაში შინი შეზიარების შესახებ. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ შზითევი არ იყო მზარდი კეონომიური ელემენტი და მასზე ქალის ინიციატივი საკუთრება ოჯახის კეონომიურ ერთობას არ ემუქრებოდა, შზითევზე საკუთრების ხასიათში განაპირობა შემდგომი მისი განვითარება. ეინაიდან ის ჭერ კიდევ დიდი ოჯახის შიგნით პირად საკუთრებას წარმოადგენდა, ეინაიდან მისი არსებობა შეესაბამებოდა ოჯახის თემის ფარგლებში შემავალი ინდივიდუალური ოჯახის ანტერესებს და მიგარი საკუთრების უფლება ქილს არ კერძალებოდა, ბუნებრივია, შზითევის შემდგომი განვითარება და ავტორებული ყოფილიყო დიდი ოჯახის ინდივიდუალურ ოჯახებად დაყოფის პროცესთან. ასეც მოხდა: საოჯახო თემის მოსპობასთან ერთად სათვისო მოისპო, ხოლო მზითევის მოცულობა და მნიშვნელობა გაიზარდა. მზითევის, როგორც პირადი საკუთრების ერთეული ელემენტის ზრდა-განვითარება მოხდა იმის შემდეგ, რაც ხევში კადმონაშთის სახით არსებული საოჯახო თემი საბოლოოდ მოისპო და სამუდამოდ დამკვიდრდა ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების შესა.

ამ მოქლე მიმოხილვიდან ნათელი უნდა იყოს, რომ დიდი ოჯახის გაყრა მიზანშეწონილად ითვლებოდა პირველი თაობის წარმოშედებულთა გარდაცემალების შემდეგ. ხოლო თითოეული ცალკე კამოყოფილი ოჯახის კეონომიურ საფუძველს წარმოადგენდა წილი. ზოგჯერ კი ეს ტრადიცია ირლევოდა და ოჯახი იყრებოდა მოწილეთა შშობლების (ე. ა. პირველი თაობის წარმომადგენელთა) სიცოცხლეშიც. ასეთ შემთხვევაშიც ქონების განაწილება ხდებოდა კვლავ ზემოაღწერილი წესით. შშობლების აქტიური ჩარევა და რომელიმე მოწილესადმი მიეკრძოება დაუშვებელი იყო. შეიღის უწილოდ დატოვების უფლება მამას არ პქონდა და ქონების განაწილების საქმე მამის სიცოცხლეშიც შუაკაცების კომპეტენციაში შედიოდა. გაყრა შშობლების გარდაცემალების შემდეგ მოხდებოდა თუ გარდაცემალებამდე, დოვლათის გაყოფის საფუძველად ედო მოწილეთა თანამწორების გარდაცემალებისა მას არ მიტოვდა. ამჟანად, ოჯახი ირიცე შემთხვევაში ინარჩუნებდა სოლიდარულ ბუნებას.

შშობლები მოწილეებად არ ითვლებოდნენ. ამიტომ მათ აძლევდ-

ნენ საუფროსოს, რაც სხვა შემთხვევაში (რომა ოჯახი უყრდნობა შობლების გარდაცესავის შემდეგ) ეძლეოდა უწიროს მოწირლეს. რაკი საუფროსოს მიიღებდნენ შობლები, უფროქართულები მხოლოდ სხვების თანაბარ წილს უნდა დასჭირდებოდა უნდა უნდა აღინიშნოს, რომ შობლებისათვის საუფროსოს მიცემა სა- გალვებული იყო მაშინ, როდესაც უფროსი მოწილისათვის მის გამეტება ხდებოდა მხოლოდ სხვა მოწილეების თანხმობით.

საუფროსოსთან ერთად მოხუცებს დამატებით ძლიერდნენ მა- თი დასაფლავებისათვის კუთვნილ ხაჩს საქონლის სახით, რომ- ლის დანიშნულებაზედაც მივეითითებს თვით მისი სახელწოდება— ს ა მ ა რ ს ი კინაიდან შობლები საცხოვრებლად ჩინებოდნენ სულ უმცროს შვილთან, თავიანთ საუფროსოსა და სამარხსაც ამ შვი- ლის ქონებასთან ეერთიანებდნენ. ამიტომ შობლების დამარხვაც უმცროს შვილს ევალებოდა, რომელსაც ზოგჯერ უფროსი ძმებიც ეხმარებოდნენ.

შობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრის შემთხვევები დამ- ხასიათებელ მოვლენად გვესახება საოჯახო თემის არსებობის ბო- ლო პერიოდისათვის. პირველი თაობის წარმომადგვნელთა გარ დაცვალებამდე დიდი ოჯახის დანაწილება ეწინააღმდეგებოდა საო- ჯახო თემის დაყოფის ტრადიციულ ნორმებს და გაყრის ასეთი წე- სი შეესაბამებოდა დიდი ოჯახის კვდომის ეტაპს.

●

ოჯახის გაყრის პარალელურად ხევში ზოგჯერ აღგილი პქონია პირუკუ პროცესსაც. ყოფილა შემთხვევა, როდესაც დიდი ოჯახი- დან დამოუკიდებლად გამოსული მოწილეები ისევ ერთ პერსევში ერთიანდებოდნენ და კალავ ებძმებოდნენ საერთო საოჯახო შეურ- ნეობის ფერხულში. ხევსა და მის მეზობელ კუთხეებში (მთიულე- თი, გუდიაყარი, თრუსოს ხეობა) გაყრილი ოჯახების ხელიხალი შეყრის პროცესს, როგორც კომლობრივი გადასხადის გამოღ- ბასთან დაკავშირდებულ სოციალურ მოვლენას, გასული საუკუნის 20-იანი წლების მონაცემებშე დაყრდნობით, პირველად ყურადღე- ბა მიაქცია იმავე ეპოქის უშუალო დამკირვებელმა ნ. ჭილა- შეიღმა.

საგადასახადო სისტემის აღვილზე მოწილეობით დაინტერე- სებული ნ. ჭილაშვილი აშერად ხედავდა, რომ ოჯახების გაყრი აწვევდა კომლობრივი ვამოსაღების ზრდას ხაზინის სასარგებლოდ, ხოლო შეყრის შედევგად ხელოვნურად მცირდებოდა გადამხდელ ერთეულთა (კომლთა) რიცხვი და ამდენად ხაზინის შემოსავალიც.

ჩავი ის დარწმუნდა, რომ მთიელები შეკრილობაში პოულობრტი
კომლობრივი გადასახადის შეცემის რეალურ გზის, მაგ, რო
გორუ საგანგებო დავალებით მიელინებულა მოხელემე, და მათუა
ხაპირისპირო გვეგძა. როგორც ჩანს, ნ. ჭილაშვილი კარგადამცირდებოდა
და ქართულ ხალხურ ტრადიციებს და ამ მტკუნეულ საკითხს
ფრთხილად მოეკიდა. მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ
ოჯახების შეკრილობის წესი საქართველოში ორსებობდა რესერ-
თან საქართველოს შეერთებამდეც. ამიტომ მას არ შეეძლო და
ყენებინა საკითხი შეკრილობის, როგორც ჩუსულ აღმინისტრა-
ციულ ღონისძიებათა საპირისპიროდ გამოვრნებული საშუალების.
ხელალებით აქრძალვის შესახებ. ნ. ჭილაშვილმა თავის მიერ შედ-
გენილ პროექტში გვერდი აუართ ოჯახების შეკრილობის წესს და
წამოაყენა წითადადება, რათა სოფლის თავიაცებს სასოფლო ვადა
სახალი განესაზღურათ კომლთა რაოდენობის საფუძველზე. ასეთი
ღონისძიება ფაქტურად ნიშნავდა შენიღბული ბრძოლის გამოცხა-
დებას შეკრილობის წინააღმდეგ, რამდენადაც სოფლის თავიაცს
ეკისრებოდა სასოფლო ვადასახადის თანაბრად ვანაწილება რეა-
ლურად არსებულ კომლთა რაოდენობის შესაბამისად. ასეთ შემ-
თხვევაში ფიქტური შეკრილობის მახსილებლის როლში მეზობ-
ლები შეიძლება გამოსულიყვნენ, რათა შეკრილობის ნიადაგშე
სოფლიდან კომლის ხელოვნურად დაკლების მიუხედავდ სოფლის
ვადასახადის სიმძიმე ყველაზე თახაბრად ყოფილიყო ვანაწილე-
ბული.

მიუხედავიდ იმისა, რომ ზოგჯერ ადგილი ქვერილი
ოჯახების ხელახლა ვერთინანებას, XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე
მაინც უკვე დამახასიათებელ მოვლენის წარმოადგენდა დიდი ოჯა-
ხების დაქუცმაცება ინდივიდუალურ ოჯახებად. ამდენად, მიმდინა-
რე პროცესად ვერსახება ვაყრილობა, ხოლო საპირისპირო ვაძო-
ნაკლისად—შეკრილობა. ნ. ჭილაშვილის დაკირვებით, ამ უკანასკა-
ნელ მოვლენის პირობებდა ნაკლები ვადასახადების გამოღებით
დაინტერესება, რის გამო შეკრილობა უფრო მეტად ფიქტური
ღონისძიების სახეს ლებულობდა, ვიდრე კანონზომიერი პრო-
ცესის იქრს. ამაზე ნათელ წარმოდგენის ვეაძლევს ჩვენ მიერ შეკ-
რებილი ეთნოგრაფიული მასალაც. მთხოვობლებმა ვერ დაგვისახე-
ლეს ვაყრილი მოწილეების (ძმებისა და ბიძაშვილების) კალავ ერთ-
კერძევებ ვაერთონების ვერც ერთი ფაქტი. სამავიეროდ ყოფილა
შემთხვევა, როცა ეკონომიკურად გაძირვებული კაცი თავისი ოჯა-
ხით ახლო ნაოხსავებთან შეხიზნულა, გარკვეული დროის შემდეგ
კი ისევ გამოცალავებულა. თუ რა პირობით ხდებოდა ამგვარი
შეკრა, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ბაზალთ ოჯახის მა-

ვალითი. ერთად მცხოვრები სამი ძმის ოჯახს საცხოვრებლად შეუ-
ღია (შეუყრია) ღარიბი ბიძაშვილი თავისი ოჯახით. რამდენიმე ბიძა
შემდეგ, როდესაც ეს ოჯახი დანაწილდა, ქოხება გაუკევით თოს
თანაბაზ ნაწილად. შეყრილი ღარიბი ბიძაშვილისთვის ჩამდებული
პირებით, რაც წილად ხვდა თითოეულ ძმას. ასეთნაირ შეურთისაშე
პას საფუძველად ედო სილატყიდას თავის დაღწევის მიზანი, რაც
ხორციელდებოდა ახლობელი ნათესავების პუმანიური დახმარე-
ბის გზით.

თავისი ხასიათით ასეთივე იყო დედიძმების მიერ დისტულე-
ბის აღზრდის ან ღაურდილ-ღავაჟაცებულთა მიეკლების წესი.
დედიძმების ოჯახში დისტულების ცხოვრება ხდებოდა იმ შემთხ-
ვევაში, როდესაც დისტულები დაობლდებოდნენ და მათ არც ბი-
ძები ჰყავდათ. ბიძების პატრონი ბავშვების დედიძმებთან წასვ-
ლა კი ბიძებისთვის სირცხვილად ითვლებოდა. მიტომ ყველა ის
უაქტი, რომელიც ჩვენ ადგილზე დავამოწმეთ, გვაცნობს ისეთი
ობლების მდგრადრეობას, რომელთაც მამის სახლიდან იღარ ჰყავ-
დათ პატრონი და ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა დედი-
ძმებთან შეხიზნა. დისტულებს დედიძმები ზრდიდნენ, ზოგჯერ
თავის სახლშივე დააცოლშვილებდნენ, ხოლო ოჯახის გაყრის დროს
ქონებასაც აძლევდნენ. მოხევური ჩვეულების მიხედვით, დისტუ-
ლი დედიძმის ოჯახში მოწილედ არ ითვლებოდა. მიტომ დისტუ-
ლებისათვის რამეს მიცემა უშეალოდ დედიძმების სურვილზე
ყოფილა დამოკიდებული. მოხრობლები ისეთ შემთხვევებსაც კი
გვისახელებენ, როდესაც დედიძმები თავის დისტულებს აძლევდ-
ნენ წილს (ე. ი. მამულსაც კი). ასე მოქცეულან, მაგალითად, ხუ-
ციშვილები, რომლებსაც გაყრის დროს ყველა სახეობის ქონებ-
ოთხ თანაბაზ ნაწილად გაუკვით სამ ძმაზე და მათ დისტულზე
(კობა ჭათიშვილზე).

არანაელები მზრუნველობით მოპყრობიან სიონელი დავითა-
შვეილებით თავიანთ დისტულებს — ყაზბეგელ ჩოფიკაშვილებს. რო-
გორც მოხრობლებმა გადმოვცეს, შიო და პეტრე დაეკითაშვილებს
სოფ. ყაზბეგში შეაგრი კირისავან გარდაცვლიათ და და სიძე. ობლად
დარჩენილი დისტულები — ვაჩუა, ვაგა და ნანა ჩოფიკაშვილები
სიონში მოუკვანიათ, დაუზრიათ და დაუცოლშვილებიათ. დედი-
ძმებთან ყოფნის პერიოდში გუგუს შესძენია 3 ვაჟი (სიმონი, და-
თიკო, იობა) და 3 ქალი (მაკო, ტასია, ულეფავ), გაგას — 3 ვაჟი
და 1 ქალი. ამ სამი ვაჟიდან 2 (მიხელად და ვასებამ) იქნება დაქორ-
წინებულან. ნანას ჰყოლია: ნიკო, ფილამ, დოდო და ნინუცამ.

დედიძმებთან ცხოვრების მანძილზე ჩოფიკაშვილების მიტო-
ვებული სახლი თანდათანობით დანგრეულა. ერთად მცხოვრები

დისტულ-დედიძმები ერთაც ხშარობდნენ როგორც სიონში, ისე ყაზბეგში არსებულ აღვილ-მამულებს. დისტულების მამაპაპისეულ ადგილებიდან სიონში მიქვენებიათ ძნა და თვა. ერთად ყუფნებული პერიოდში მათ უყიდიათ აგრეთვე 90 თვეის სათიბი (ს ათვასულებოთ 9 წელი) სოფ გარბანში.

1880 თუ 1882 წელს ამ ოჯახიდან ცალკე გამოყოფილა შიო დავითაშვილი თავისი შვილებითა და შვილიშვილებით. 1889 წლამდე ერთად ყოფნას თურმე განაგრძობდნენ პეტრეს შთამო-მავლობა და მისი ზემოთ დასახელებული დისტულები თავიანთი ოჯახებით. 1889 წელს ჩოფიქაშვილები სიონიდან მშობლიურ ყაზბეგში დაბრუნებულან. ამ დროისათვის მათი და მათი დედიძმების გაერთიანება ითვლიდა 56 სულს. დედიძმებსა და დისტულებს შუაწე გაუყვიათ გარბანში ერთობლივად შეძენილი სათიბი. სიონის ადგილ-მამული ვაინაშვილეს დავითაშვილებმა (დედიძმებმა), ხოლო დისტულები მიუპატრონზენ მამაპაპისეულ მამულს ყაზბეგში. შემდეგ, როდესაც ისინი სამაც გაყრილან, სამ ნაწილად გაუყვიათ ეს ადგილიც, ძველი სახლის ნანგრევიც, ბიბო ყაზბეგისა-ვან ნაყიდი ეზო-კარიც და ის ტოვლათიც (საქონლისა და საოჯახო ნივთების სახით), რომელიც თან გამოატანეს მათმა აღმზრდელმა დედიძმებმა.

ძირითადად ამ სახით წარმოგვიდგება ხევში ოჯახების თუ ნა-თესავების ერთ ოჯახად შეყრისა და გარკვეული ხნის შემდეგ მა-თი კვლავ გაყრისა და ქონების განაწილების ხასიათი. როგორც და-კინახეთ, ამგვარი შეყრა-გაყრა დამახასიათებელი იყო ბიძაშვი-ლებისა და ჯისტულ-დედიძმებისათვის. ისიც აშეარაა, რომ ალ-ნიშნული ურთიერთობის დროს გამოყენებული იყო დიდ ოჯახე-ბად ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტრადიციები, ხოლო ამ-გვარი ურთიერთობის დამყარება მინნად ისახავდა გაჭირვებულ-თაღმი დახმარებას ან სახელმწიფო გადასახადის შემსუბუქებას. უმ-თავრესად კი შეყრილთა კვლავ გაყრისა და ქონების განაწილების მომენტში დიდი ოჯახის გაყრისათვის ჩიშანდობლივი წესები ზუს-ტად აჩ მეორდებოდა, რამდენადაც შეყრილნი აჩ სარგებლობდნენ ერთნაირი უფლებებით. ამისთან ერთად მთავარი უურადლება აქ-ცეოდა მიკეღლებულ პირს, რომლის ეკონომიკური მფლობელობის გაუმჯობესების მინით მიმღები ოჯახი ბევრ დათმობაზე მიდიოდა. ყოველივე ამის ვამო, აჩ შეიძლება შეყრილობის მოხევურ წესში დაიყინახოთ უიზი ღვანის რესტავრაციის ცდა. თუ წარმოვიზგენ-დით, რომ შეყრილობის გზით იქმნებოდა შესაძლებლობა დიდი ოჯახების აღდგენისა, მაშინ ძალაუნებურად უნდა დაგვეშვა სა-ზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების პირუკუ პროცესის,

ე. ი. განვლილი ფორმაციების აღდგენის შესაძლებლობაც, /ჩატ
შიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.

ამგვარად, XIX საუკუნის წერილობითი და ეთნოგრაფიული
მონაცემების მიხედვით აშკარა უნდა იყოს, რომ ოჯახში შეკრისტიანი
ლობას ხევში პირობებდა ეკონომიკური ინტერესებს. ზოგიერთი პირ
პროცესშიც, რომელიც ნ. ჭილაშვილმა გავაცნო, უნდა დავინახოთ
ფიქტიური შეცრილობა, ისევე როგორც ხშირ შემთხვევაში მიმარ-
თავდნენ ფიქტიურ გაყრილობასაც.

XIX საუკუნე რომ ძირითადად ხასიათდებოდა დიდი ოჯახების
სეგმენტაციის და არა პირუულ პროცესით, ეს კარგად ჩანს არა
მარტო ჩენენ მიერ მოპოვებული და განხილული ეთნოგრაფიული
მასალებიდან, არამედ ზემოთ არაურთვების დამოწმებული ნ. ნიკო-
ფოროვის ნაშრომიდანაც. როგორც ნ. ნიკიფოროვი წერს, ხელი-
სუფლებას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცივია ოჯახების გაუ-
რის საკითხისათვის, კინაიდან დიდი ოჯახების დანაწილება ინდი-
ვიდუალურ ოჯახებად იწვევდა მუშახელისა და დოველათის შემცი-
რებას. ამ პროცესის შენელების მიზნით ხელისუფლებას შეუმუ-
შვებია პროექტი, რომლის მიხედვით გაყრა დასაშვები ყოფილა
მხოლოდ ოჯახის უფროსის, სასოფლო საზოგადოების წარმომად-
გენლისა და გუბერნიის უფროსის თანხმობით (ვ. 24). ნ. ნიკიფო-
როვის ამ ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ გლეხის
ეკონომიკური კეთილდღეობა ხელისუფლებას მიაჩნდა თავისთვის
მოშვებიან საქმედ, ხოლო ამის რეალურ შესაძლებლობას ხედავ-
და გაუყრელად ცხოვრების წესში.

როგორც ვხედავთ, რუსეთის ხელისუფლების ღონისძიებები
დაყავშირებული იყო მის უშუალო ინტერესებთან. სხვაგვარად გაუ-
ვებარი იქნებოდა რისთვის სჭირდებოდა ხელისუფლებას, ერთ შემ-
თვევები, ოჯახების სეგმენტაცია, ხოლო, მეორე შემთხვევაში, გაუ-
ყრელად ცხოვრების შენარჩუნება. ჩენენ მიგვაჩნია, რომ რუსეთის
ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გადასახადების მას-
შტაბის ზრდით დაინტერესებული უწყებები სასაჩვენებლო საქმედ
თვლილენ საგარასახადო ერთეულების, ე. ი. კომელების რიცხობ-
რივ მატებას, რის ერთ-ერთ რეალურ გზაც სახავდნენ იმ დროისა-
თვის შემორჩენილი დიდი ოჯახების დანაწილებას ინდივიდუალურ
ოჯახებად. მაგრამ როდესაც ხელისუფლებამ დაინახა, რომ ეს
პროცესი თავის მხრიց პირობებდა მთელთა საოჯახო მეურნეობის
დაქვეითებას, ხოლო აღნიშნული გარემოება ასუსტებდა მოსახ-
ლეობიდან დოველათის მოქაჩიების შესაძლებლობას, მთავრობამ
სცადა დიდი ოჯახების შენარჩუნება. ამგვარ ღონისძიებებს მის-
თვის სასურაელი შედევი ას მოპყოლია. ოჯახის ფორმები იცვ-

ლებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების შესახ
ბამისად, რის ლოგიკურ შედეგსაც წარმოადგენდა გადმონაზ
თის სახით XIX საუკუნის ბოლომდე ხევში შემონახული საოჯახო
ოქმის დაშლა ცალკეულ ინდივიდუალურ ოფახებად. ინდივიდუალურ

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შესაძლებლად ჩატარდეს მარც
ნია დავასკვნათ, რომ ოჯახების შეყრილობას ან დიდ ოჯახში ახ-
ლო ნათესავის შეხიზენას აპირობებდა კონკრეტული ეკონომიკური
კითარება. ამდენად, შეყრილობა ხევში წარმოადგენდა წინასწარ
კამინნულ ღრმებით ღონისძიებას, ხოლო ოჯახების გაყრა-განა-
ზილება კანონშომიერ პროცესად გვესახება.

7.20/18



ს ა რ ა ნ ი ბ ი ბ ი

ოფიციალური შემადგენლობა	6
ოფიციალური ქონება და მეურნეობა	33
ოფიციალური შემადგენლობის სისტემა, შრომის თანამიზაცია, ურთიერთობა დამოუიდებულების ნორმები და რიტუალი	79
ოფიციალური გაურის წესი და ქონების განაწილების პრინციპი	111

ჩედაქეტორი ნ. ბეჭედი
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვარი რედაქტორი რ. მახანაძე
რეპიონირი რედაქტორი ც. შევაძე
კორექტორი მ. ჩიხრაძე
გამოშევები დ. იამანიძე

გაღაეცა წარმოებას 27/IV-70 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდით 17/X-70 წ.
ქაღალდის ზომა 60×901/16.
ნაბეჭდი თაბაზი 8.
სააღმ. საგამომც. თაბაზი 7,17.

შე 01777. ტარაფი 3.000. შეკვ. № 491.

ფასი 26 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ბეჭდებითი სიტყვის სახლმწიფო კომიტეტის
მთავარპილივრატურულების
ამილის სტამბა № 4

Тбилисская типография № 4
Главполиграфарома Государственного
комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати

00000000000000000000000000000000

